



ფონდი ღრა სამოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

გიორგი სახიშვილი ნინო კილაძე

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაზე

მსოფლიო აღლითიკის გლობალიზაცია

დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

გამოჩეულობა „მერიდიანი“

თბილისი

2001

УДК 316.2

ს 263

ავტორები მადლობას უხდიან ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ პროექტის მხარდაჭერისათვის, უპირველესად კი ფონდის სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის დირექტორს, პროფ. მარინე ჩიტაშვილს, პროგრამის კოორდინატორებს მაკო მიქაბერიძესა და ირაკლი ცერცვაძეს ნაშრომზე მუშაობისას და მისი გამოსაცემად მომზადების პროცესში განეული დახმარებისათვის.

რედაქტორი ლია კაჭარავა

რეცენზენტი: პროფ. ლადო ვარდოსანიძე
პროფ. თინათინ ბოჭორიშვილი

© ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“, 2001

ISBN 99928-32-24-X

შირაკსი

შესავალი.....	5
I. თეორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ და გლობალიზაცია.....	48
II. საერთაშორისო ურთიერთობათა კანონზომიერებანი.....	25
III. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია.....	38
IV. საერთაშორისო უსაფრთხოება ცივი ომის შემდგომ პერიოდში.....	63
V. საერთაშორისო რეჟიმები.....	83
VI. საერთაშორისო ორგანიზაციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში.....	97
VII. ტრანსნაციონალური აქტორები გლობალურ პოლიტიკაში.....	110
VIII. სახელმწიფოთა სუვერენიტეტი და ჰუმანიტარული ინტერვენცია გლობალიზაციის ეპოქაში.....	133
IX. ეკონომიკის გლობალიზაცია.....	148
X. რეგიონალიზმი და ინტეგრაცია.....	161
XI. ნაციონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.....	176
XII. კულტურული ეონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში: დასავლეთი და ისლამი	197

შესავალი

XX საუკუნის 80-90-იანი ნლების მიჯნაზე მსოფლიოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა როგორც მკვლევრების, ისე პოლიტიკოსების ნინაშე მთელი სიმწვავით წამოჭრა საკითხი ახალ ვითარებაში საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათისა და კანონზომიერებათა შესახებ. ბერლინის კედელის დანგრევა „ცივის ომის“ დასრულების სიმბოლო გახდა. თუმცა, ოპტიმისტური და ხშირად იდეალისტური პროგნზების მიუხედავად, ამ მოვლენას არ მოჰყოლია დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოება უნივერსალურ ფასეულობათა საფუძველზე და ასევე არ მომხდარა ერთიანი მსოფლიო თანამეობრობის ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნებოდა ყველას ყველასთან ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას. ამ გარდამტებ ეპოქას თან ახლდა მრავალი პოლიტიკოსისა და მკვლევრისათვის მოულოდნელი და ხშირად არაპროგნზირებადი მოვლენები: საბჭოთა კავშირის დაშლა და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოების გაჩენა, ეთნიკური კონფლიქტების ესკალაცია, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების დონის გაზრდის ფონზე სეპარატისტული ტენდენციების გაღვივება, საერთაშორისო ტერორიზმის უკიდურესად მასშტაბური ხასიათი, ბოლოს კი საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული სისტემის დასუსტება.

საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერებისათვის გლობალურ ცვლილებათა მოულოდნელობამ, მათი ნინასნარ განჭერეტის სირთულემ ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა შექმნა ახალი საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ. პირველი საკმაოდ პესიმისტურია და მასზე დაფუძნებით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევა ამჟამად უკვე არ ცოტა ისე ახალგაზრდა დარგია მეცნიერებისა¹, მას არა მარტო არ დაუგროვებია საკმარისი ცოდნა საკვლევ სფეროში, არამედ იძულებულია ეჭვიც კი შეიტანოს დარგის არსებობის მიზანშენონილობაში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათსა და კანონზომიერებებს საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ, რომელიც მათ განასხვავებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სახეებისაგან. ეს კიდევ უფრო ამყარებს მათ პოზიციას, ვინც შეუძლებლად მიიჩნევს საერთაშორისო ურთიერთობათა ერთიანი უნივერსალური თეორიის შექმნას, რომლის ჭეშმარიტება ან სიმცდარე დამტ-

¹ მიიჩნევა, რომ დარგის ინსტიტუტიონალიზაცია დაიწყო 1919 წელს ეიბერსეიტში (ფილი ბრიტანეთი) საერთაშორისო პოლიტიკის კათედრის შექმნით.

კიცდებოდა საკუთრივ საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებითა და ფაქტებით. ამ პოზიციის დამცველთა შეხედულებით, საერთაშორისო ურთიერთობები იმდენად მრავალსახოვანია, მასში ჩაბმული არიან იმდენად განსხვავებული სოციალური ჯგუფები, რომ საერთო თეორიული დასკვნების გამოტანა, მით უმეტეს შეუმცდარი, სწორი პროგნოზების გაკეთება მეტად არადამაჯერებელია. სწორედ ამიტომ უარი უნდა ითქვას საერთაშორისო ურთიერთობების ერთიანი თეორიის შექმნის ნებისმიერ მცდელობაზე (უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეხედულება აღრეც არსებობდა)

მაგრამ სწორედ მრავალ, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ თეორიებთან არის დაკავშირებული მეორე დასკვნა, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო არენაზე დღეს არსებული სიტუაციის შეფასებას. ამ დასკვნის მიხედვით, სხვადასხვა თეორიული ტრადიციების, პარადიგმების, კონცეფციებისა და თეორიების ურთიერთკრიტიკა სულაც არ ინვერს მათ ნგრევასა და გაქრობას. პირიქით, ის სწავლულებს აიძულებს გადააფასონ დაგროვილი ცოდნა, ხელს უწყობს მათი შეხედულებების ურთიერგამდიდრებას და, ამგვარად, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების საერთო წინსევლას საკუთარი საკვლევი ობიექტის შემცნების, მისი ხასიათისა და კანონზომიერებების გარკვევის მიმართულებით. ის მიუთითებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის საკითხის ანალიზის დროს ჩვენ ვერ ავცდებით ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიული პოზიციების განხილვას.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევისას უპირველესი ყურადღება ექცევა გლობალიზაციის პროცესებს. ჩვენი მიზანი იყო, რომ სწორედ ამ კუთხით, გლობალიზაციის ჭრილიდან განგვეხილა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი ფუძემდებლური საკითხი. აქვე ხაზს გავუსვამთ, რომ დღევანდელი ვითარების უფრო ობიექტურად წარმოსაჩენად, ზოგჯერ ვამჯობინებთ საერთაშორისო ურთიერთობების ნაცვლად ვიხმაროთ მსოფლიო პოლიტიკა. დღეს ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებით (რაც თავისითავად გამომდინარეობს ტერმინიდან საერთაშორისო პოლიტიკა) და საერთაშორისო ურთიერთობებში უკიდურესად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი აქტორები არიან ჩაბმული (მულტინაციონალური კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა კერძო სტრუქტურები და ფონდები, ტრანსნაციონალური ტერორისტული დაჯგუფებები), ამდენად, უფრო უპრიანია ყოველივე ზემოთქმულის გამოსახატავად გამოვიყენოთ ტერმინი,

მსოფლიო პოლიტიკა. ბუნებრივია, საერთაშორისო ურთიერთობები არ ნიშნავს, რომ ლაპარაკია მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე, მაგრამ მხოლოდ ერთა-შორის — ინტერნაციონალურ ურთიერთობებზე აქცენტის გაკეთება, მსოფლიოში დღეს არსებული სიტუაციის განხილვისას, ბუნებრივია, არასწორი იქნება.

დასასრულ, გამოყოფთ იმ ძირითად მიზნებს, რომლებსაც ისახავენ ნაშრომის ავტორები:

- მსოფლიო პოლიტიკის საერთო სურათის ნარმოჩენა გლობალიზაციის ეპოქაში;
- იმ თეორიებისა და მიდგომების განხილვა, რომლებიც მიზნად ისახავს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ახსნას;
- იმ პროცესების განმარტება, რომლებითაც გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკის ტრანსფორმაციას ახდენს.

I. თაორივები საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ და გლობალიზაცია

საერთაშორისო-პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული მრავალი კონცეფცია და შეხედულება, საბოლოო ჯამში, შეიძლება სამ ძირითად თეორიად (ფილოსოფიულს თომას კუნის მიერ პარადიგმებად მონათლული) დავაჯვალოთ: **რეალისტური** (რომელიც მოიცავს კლასიკურ რეალიზმსა და ნეორალიზმს), **ლიბერალური** (ტრადიციული იდეალიზმი და ნეოლიბერალიზმი) და **მსოფლიო სისტემის** – იგივე ნეომარქისტული. მათგან თითოეულის ამოსავალი წერტილი საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის მისეული ხედვაა. ეს თეორიები, ბუნებრივია, არ ამონურავს საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ შინაარსს. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე მის ჩარჩოებში ინტენსიურად ვითარდება ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ტრანსნაციონალიზმი და ინსტიტუციონალიზმი, კონსტრუქტივიზმი და პოსტმოდერნიზმი. სულ უფრო დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენენ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგია. არსებობს განსხვავებები (და ხშირად მეტად თვალსაჩინო), კერძოდ, – ზემოაღნიშნული თეორიების შიგნითაც. იმავდროულად დღეისათვის ყველაზე გავრცელებული სწორედ ეს თეორიებია. დისკუსიათა შუაცეცხლში კი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საკითხების შესახებ, რომელიც უმეტესწილად განაპირობებს მისი განვითარების გზებს, რჩება დისკუსია ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის.

პოლიტიკური რეალიზმის თეორიისათვის, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ნარმომადგენელი 30-40-იან წლებში გახდა გ. მორგენთაუ (G. Morgenstau), ცენტრალური ადგილი უჭირავს „ინტერესის ცნებას, რომელიც გამოიხატება ძალაუფლების ტერმინებით“ და მასთან დაკავშირებულ ძალთა ბალანსს, გეოპოლიტიკურ სტრატეგიას და ა.შ. ნეორეალიზმში, რომლის ძირითადი იდეები 70-იანი წლების ბოლოს ჩამოაყალიბა კ. უოლცმა (K. Waltz), ეს აქცენტები შედარებით შეცვლილია. იცავს რა ძალის სტრუქტურულ გაგებას, ნეორეალიზმს იგი არ დაჰყავს სამხედრო კომპონენტამდე და რთავს მასში აგრეთვე ეკონომიკურ, ინფორმაციულ-კომუნიკაციურ, სამეცნიერო, ფინანსურ და წარმოებით შემადგენელ ნაწილებს. ეს თეორია ახალი ცნებებითაც არის გამდიდრებული, როგორიცაა ურთიერთდამოკიდებულება, ახალი, ძველზე გაცილებით უფრო ეფექტური ძალაუფლების ტიპის ზეტერიტორიული ცნება – ძალაუფლება იდეებზე, კრედიტებზე, ტექნოლოგიებზე, ბაზრებზე და ა.შ. მიუხედავად ამისა, საკუთრივ არსი რეალისტური მიღებომისა, მსოფლიო პოლიტიკის მისთვის დამახასიათებელი გაცნობიერებით, როგორც უშედავათო ბრძოლისა და სახელმწიფოების შორის ძალაუფლებისა და გავლენისათვის, კვლავაც უცვლელი რჩება.

პოლიტიკური რეალზმის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია ცნება საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული ხასიათის შესახებ. ამ თვალსაზრისით, სწორედ ანარქიულობა განასხვავებს საერთაშორისო ურთიერთობებს შიდა საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან, რომლებიც დამყარებულია იერარქიის, სუბორდინაციის, ბატონობისა და მორჩილების პრინციპებზე, რაც ფორმალიზებულია სამართლებრივი ნორმებით, რომელთაგან უმთავრესია სახელმწიფოს მონოპოლია ლეგიტიმურ ძალადობაზე საკუთარი შიდა სუვერენიტეტის ჩარჩოებში. საერთაშორისო ურთიერთობათა ანარქიულობა კი, პოლიტიკური რეალზმის მხარდამჭერთა თვალსაზრისით, გამოიხატება ორი მთავარი ასპექტით. პირველია საერთო მთავრობის არარსებობა – მსოფლიოში ერთიანი მმართველი სტრუქტურის არარსებობა, რომლის განკარგულებათა შესრულება სავალდებულო იქნებოდა ნებისმიერი სახელმწიფოს მთავრობისათვის. მეორე კი ის, რომ თითოეულ სახელმწიფოს მხოლოდ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების იმედი აქვს თავის ინტერესების დაცვის პროცესში. ამდენად, მსოფლიო მთავრობის, საერთო-სამართლებრივი და მორალური ნორმების არარსებობა, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიო აარიდონ დამანგრეველ კონფლიქტებსა და ომებს, რეალიზმის მომხრეთათვის ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათი მნიშვნელოვნად არ შეცეცლილა უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე. ამ სფეროს რეფორმირების ნებისმიერი იმედი ფუჭია, ზენაციონალური ორგანიზაციები ვერ მოიპოვებენ დომინირებად როლს. არავინ, სახელმწიფოს გარდა, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელების სახით, არ არის დაინტერესებული მის უსაფრთხოებამი, რომლის გამტკიცებაც ნარმოადგენს სახელმწიფოს მთავარ ინტერესს, მისი გაძლიერების მთავარ ნინაპირობას. ზემოაღნიშნული თეორიის ჩარჩოებში ყოველივე ეს ნიშნავს, რომ რაციონალური თეორიის, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს იყვლევს, მთავარ შინაარსად რჩება სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტებისა და ომების შესწავლა, მის ცენტრალურ პრობლემად კი – უსაფრთხოების პრობლემა. ამასთანავე, უსაფრთხოება განიხილება მხოლოდ მისი სამხედრო-ძალოვანი და სახელმწიფოებრივ-ცენტრისტული ფორმით. მთელი ყურადღება კონცენტრირდება „უსაფრთხოების დილემაზე“, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მეტ უსაფრთხოებას მიაღწევს სახელმწიფო (ან სახელმწიფოები), მით უფრო ნაკლებად უსაფრთხო ხდება სხვა სახელმწიფო (ან სახელმწიფოთა კავშირები).

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ პოლიტიკური რეალიზმის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაკანინდა. ნეორეალიზმის ზოგიერთმა ნარმომადგენელმა საკუთარ თავს უწოდეს „ლიბერალური რეალისტები“ ან „უტოპიური რეალისტები“, რითაც ფაქტობრივად გამოავლინეს

მზადყოფნა რეალისტური თეორიის მთელი რიგი დებულებების გადა-
სინჯვაზე, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული
ბუნების თაობაზე. მაგალითისათვის, ბ. ბუზანი (B. Buzan), რომელსაც
ეჭვი არ შეაქვეს თეზისში პოლიტიკური ურთიერთობების განსხვავებუ-
ლი ხასიათის შესახებ სახელმწიფოს შიგნით და საერთაშორისო
არენაზე, იმავდროულად თვლის, რომ საერთაშორისო ურთიერთობა-
თა ხასიათი იკვლება „მომზნიფებული ანარქიის“ მიმართულებით, რომ-
ლის ჩარჩოებშიც ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეუ-
ძლიათ შეასრულონ საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტების
როლი, პროგრესი კი მიღწევადა ყველასათვის, მათ შორის სუსტი სახ-
ელმწიფოებისა და ინდივიდუებისათვისაც.

ამგვარ ვითარებაში საერთაშორისო-პოლიტიკური მეცნიერების
ლიბერალურ-იდეალისტური თეორია, რომელიც თითქოს მიერნისა
იყო ბიპოლარული ურთიერთდაპირისპირების პერიოდში, ისევ იქცევს
ყურადღებას და სხვადასხვა ფორმებს იძენს. მისი მრავალი მიმდევარი
აღიარებს, რომ ვინაიდან საერთაშორისო არენაზე არ არსებობს იძუ-
ლების მექანიზმი, ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობები კვლავაც
ანარქიული რჩება ბატონობისა და მორჩილების თვალსაზრისით. მიუხე-
დავად ამისა, როგორც თვლის ა. უენდტი (A. Wendl), იდეათა პირველა-
დობა და ინტერესთა ბალანსის მიღწევის საშუალება ნიშნავს, რომ ანარ-
ქია ნარმოადგენს საკუთრივ სახელმწიფოების პოლიტიკის შედეგს.
უფრო მეტიც, საერთაშორისო ურთიერთობათა ანარქიულობა არ შეი-
ძლება განხილული იყოს, როგორც ძირეულად განსხვავებული შედასა-
ზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან. მაგალითად, ი. ფერგულისონის (I.
Ferguson) თვალსაზრისით, ნეორეალისტების მტკიცების მიუხედავად,
საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ანარქიის ბატონობის
შესახებ, ჭეშმარიტებასთან გაცილებით უფრო ახლოს სხვა რამ დგას.
„უკანონობასა და ძალადობას ყველაზე ხძირად ვაწყდებით ქალაქის
უღარიბეს უძნებში, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მო-
ქმედებაში, ეთნიკურ კონფლიქტებში, ტერორიზმსა და სამოქალაქო
ომებში. პერუსა და კოლუმბიის მსგავს ქვეყნებში, მთელ რიგ პროვინ-
ციებში ფაქტობრივად მოქმედებს არა სახელმწიფო კანონები, არამედ
დანაშაულებრივი სამყაროს კანონები, და პირიქით, სახელმწიფოთა-
შორისო მოქმედი დღეს იძირათ მოვლენაა და ტრანსნაციონალურ ურთ-
იერთობათა მრავალი სფერო ამჟამად მშვიდობიანი და პროგნოზირე-
ბადია.“

უფრო მეტი კრიტიკული შენიშვნაა გამოთქმული ანარქიულობის
მეორე ასპექტის თაობაზე. ლიბერალური პარადიგმის მხარდამჭერთა
თვალსაზრისით, ძნელია იმის მიჩნევა, რომ აზის, ჩრდილოეთ
ამერიკის, ოკეანისა და დასავლეთ ევროპის განვითარებული

დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთობები იგება პრინციპზე – „საკუთარ თავს თავად დაეხმარე“. ანარქიის თანმხელები მრავალი მოვლენა გადაიღახა მთელი რიგი ინსტიტუტების წყალობით, რომლებიც მართავენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს და უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმებს. ეს ინსტიტუტები გამოხატავენ სახელმწიფოთაშორის კონსენსუსს, უზრუნველყოფენ ამ კონსენსუსის შენარჩუნებასა და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს. ეს ინსტიტუტები, გარდა იმისა, რომ აღნევენ კონსენსუს სახელმწიფოებს შორის, არბილებენ სახელმწიფოთა ფაქტობრივი არათანასწორობის შედეგებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ნეოლიბერალი მიიჩნევს, რომ მსოფლიო თანამეგობრობის განვითარებაში დაინტენტობა ეტაპი და დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების შეწყვეტის პირობებში, ბოლოს და ბოლოს გახდა შესაძლებელი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება იდეალისტური კონცეფციების საფუძველზე. მათი თვალსაზრისით, თანამშრომლობის იდეებს წარმატების გაცილებით უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე რეალისტების კლასიურ შეხედულებებს კონფლიქტებზე.

ლიბერალური თეორიის სხვა მომხრეები ისნრაფვიან გამოიკვლიონ მიმდინარე ცვლილებების ხასიათი და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ტენდენციები. მაგ., ჯ. როზენაუ (J. N. Rosenau) ხაზს უსვამს, რომ დღეს წარმოქნის პროცესში მყოფი „პოსტსაერთაშორისო“ პოლიტიკაში კონტაქტები სხვადასხვა სტრუქტურებსა და აქტორებს შორის პრინციპულად ახლებურად ხორციელდება. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული სამყაროს გვერდით, ჩვენ წინაშე იძალება „მეორე, პოლიცენტრიული მსოფლიო“, „პოსტსაერთაშორისო“ ურთიერთობათა სამყარო. იგი გამოირჩევა ქაოტურობითა და არაპროგნოზირებადობით, იდენტურობის დამახინჯებით, ახალი ტიპის ძალაუფლებათა წარმოქმნით, ლოიდალურობის ორიენტაციების შეცვლით. ამასთან, „პოსტსაერთაშორისო“ ურთიერთობათა საბაზისო სტრუქტურები თითქოს იხლიჩება ეტატისტურ და პოლიცენტრულ სამყაროებს შორის, რომლებიც ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, შაგრამ ვერ წახულობენ და არ შეუძლიათ მონახონ ერთმანეთში ჭეშმარიტი შერიგების მიღწევის გზები.

ამასთანავე, ლიბერალური პარადიგმის მიმდევართა პოზიციების შეფასებებისას არ უნდა დაგვავინყდეს, რომ, საერთო ჯამში, ნეოლიბერალები უმთავრეს პოზიციებში (საერთაშორისო ურთიერთობათა ანარქიულობა, სახელმწიფოს წინამავალი როლი, ხელისუფლებისა და ძალის მნიშვნელობა) უფრო ახლოს დგანან ნეორეალიზმთან, ვიდრე ტრადიციულ ლიბერალ-იდეალისტებთან.

რეალისტური თეორიის ძირითადი დებულებების კრიტიკით გამო-

დის ნეომარქესიზმი. მის მომხრეებს მსოფლიო წარმოუდგენიათ მრავალგვარი ეკონომიკების, სახელმწიფოების, საზოგადოებების, იდეოლოგიებისა და კულტურების გლობალური სისტემის სახით. ამ რთულ მრავალგვარობაში გარკვევისათვის გამოიყენება საბაზისო ცნებები – „მსოფლიო-სისტემა“ და „მსოფლიო-ეკონომიკა“. ეს უკანასკნელი ასახავს არა იმდენად მსოფლიოში ეკონომიკურ ურთიერთობათა ჯამს, არამედ ურთიერთქმედების უკიდურესად ფართო სისტემას საერთაშორისო აქტორებს შორის, რომელშიც ნინამავალ როლს ასრულებენ ყველაზე ძლიერნი. „მსოფლიო-ეკონომიკის“ მთავარი ნიშნებია: წარმოების მსოფლიო ორგანიზაცია, სამრეწველო კომპლექსების მზარდი კოორდინაცია, კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია და ფინანსთა სფეროში სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობის შემცირება. ნეომარქესისტთა მტკუცებით, სახელმწიფოები, რომელიც ადრე საკუთარ თავს იცავდნენ გარეგანი ჩარევისაგან, ამჟამად იქცევიან აგენტებად, რომლებიც გადასცემენ ნაციონალურ ეკონომიკებს „მსოფლიო-ეკონომიკის“ მოხსოვნებს, რათა მოახდინონ მათი ადაპტირება მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის პირობებისადმი. ამასთანავე, ზემოაღნიშნული პროცესები და მათი შესაბამისი სტრუქტურები წარმოადგენენ ადამიანთა მოლვანების შედეგს, ისტორიის პროდუქტს. იმავდროულად, ხაზს უსვამენ ნეომარქესისტები, არსებობს გლობალიზაციის საწინააღმდეგო პროცესებიც – ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სოციო-კულტურული და სხვა სახის ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების დივერსიფიკაცია, განვითარების განსხვავებული გზების ძიება.

პიპერლიბერალურ „მსოფლიო-ეკონომიკას“, როგორც აღნიშნავს ნეომარქესიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რ. კოქსი (R. Cox), ესაჭიროება ლიდერი, რომელსაც შესწევს უნარი სხვები აიძულოს პატივი სცენმის მიერ შემოლებულ წესებს. „ცივი ომის“ შემდეგ ეს როლი გაითავისა აშშ-მა. რეალურად, საერთაშორისო ურთიერთობები იძენს აშშ-საგან დამოკიდებულ ხასიათს. ეს დამოკიდებულება ხეხება მსოფლიო სისტემის არა მხოლოდ „მარგინალურ“ ზონებს, ანუ „მესამე სამყაროს“ განვითარებად ქვეყნებს, არა მარტო მის „აქტიურ“ და „მთავარ“ პერიფერიულ ზონებს, როგორებიც ხდებიან აღმოსავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნები, რუსეთი თუ ინდოეთი, არამედ ისეთ ტრადიციულ „სისტემის ცენტრებს“, როგორიცაა იაპონია და დასავლეთ ევროპა. ნეომარქესისტთა შეხედულებით, მსოფლიო სისტემის მომავალი ევოლუცია უმეტესწილად დამოკიდებული იქნება „პერიფერიულ“ ზონათა და რეგიონთა პოლიტიკურ ნებასა და უნარზე ეკვიპირი განყვითონ მათთვის თავს მოხვეულ განვითარების სტრატეგიასთან როგორც შიდა სფეროში, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში.

ზემოაღნიშნული თეორიების მომხსრეთა მრავალი სხვა მოსაზრება შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ ზემოთ მოყვანილებიც საკმარისია იმის მკაფიოდ დასანახად, რომ ურთიერთერიტიკის საფუძველზე იქმნება მთელი რიგი საერთო დებულება, რომელსაც სამივე თეორიის მიმდევრები იზიარებენ.

პირველ რიგში ეს არის დებულება იმის თაობაზე, რომ საერთა-შორისო ურთიერთობებში ანარექის არსებობისა და მისი ნაწილობრივი გაზრდის მიუხედავად, მათი რეგულირების შესაძლებლობები არსებობს.

მეორე, ეს არის თეზისი, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობებში მონანილეთა რიცხვი იზრდება და მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოებსა და სამთავრობათშორის ორგანიზაციებს, არამედ ახალ, არატრადიციულ აქტორებსაც – საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ფირმებსა და სანარმოებს, მრავალ სანარმოო, ფინანსურ, პროფესიულ და სხვა სახის ასოციაციას, ასევე რიგით ინდივიდებს.

მესამე, ეს არის აღიარება ამ გამონვევებისა და პრობლემების მსოფლიო ხასიათის, რის ნინაშეც აღმოჩნდნენ დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა მონანილენი.

იმავდროულად საერთო დებულებების არსებობა არ ნიშნავს განსხვავებათა გაქრობას. თითოეული თეორიის მომხსრენი უპირველესად ხაზს უსვამენ იმ ასპექტებს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ამა თუ იმ პარადიგმის ტრადიციებთან.

ახალმა მოვლენებმა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლებსაც ყურადღება მიაქციეს ლიბერალური პარადიგმის მომხსრეებმა, აიდულეს ნეორეალიზმის თეორეტიკოსები შეემსუბუქებინათ ზოგიერთი საკუთარი დებულება და შეეცვალათ სხვები. მაგ., კოლინ გრეი (C. Gray) ლაპარაკობს სამხედრო ძალის მნიშვნელობის შემცირებაზე, ყოველ შემთხვევაში იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ბირთვულ იარაღს. მეორე მხრივ, ბარი ბუზანი და ჯონ მირშაიმერი (J. Mearsheimer) აღნიშნავენ, რომ დღეს ნეორეალიზმმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ეთნიკური კონფლიქტების შესწავლასა და მათ გავლენაზე საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციაზე. მ. ბრეჩერი (M. Brecher) ხაზს უსვამს „პერიფერიული“ კონფლიქტების (ე.ი. რომლებიც დიდი სახელმწიფოების ინტერესებში არ შედიან) ანალიზის აუცილებლობას. 70-იან წლებში ნეორეალიზმის მამამთავრის კ. უოლცის (K. Waltz) მიერ გამოთქმული დებულების – რომ ნეორეალიზმისათვის არსებობს მხოლოდ ორი ზესახელმწიფო და შესაბამისად ნეორეალიზმი ნარმოადგენს ამ ორი ზესახელმწიფოს თეორიას, ფონზე ზემოაღნიშნულ მკვლევართა მოსაზრებები სერიოზულ ნოვაციად ჩანს. იმავდროულად

„ცივის ომის“ დასრულებასთან დაკავშირებული ილუზიების სწრაფმა მარცხმა რეალისტური თეორიის მნიშვნელობა აქტუალური გახდა. ნეორეალიზმი საჭირო გახდა სხვადასხვა ქვეყნების როგორც სახელმწიფო ლიდერთათვის, ისე ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისათვის. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

პირველი – თანამედროვე საერთაშორისო სიტუაციის მრავალი ნიშან-თვისება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში ვითარება გაცილებით უფრო სახითო გახდა და ნებისმიერი მოვლენა, რომლის ახსაც შეუძლებელია, ნარმოადგენს საფრთხეს. საერთაშორისო ურთიერთობათა აღრე არსებული მექანიზმების მოშლის პირობებში დაირღვა ნახევარი საუკუნის მანძილზე მსოფლიოში არსებული ძალთა ბალანსი, რასაც ყველა მიჩვეული იყო. მსოფლიო არენაზე გამოჩნდნენ ახალი სახელმწიფოები და საერთაშორისო ურთიერთობების არასახელმწიფოებრივი მონაწილეები, დაბოლოს, ნარმოიქმნა ახალი ტიპის მრავალგვარი და ურიცხვი კონფლიქტები. მეორე მხრივ, ამ მოვლენებმა გამოაჩინა გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების არაეთექტურობა ახალი საერთაშორისო წესრიგის აღმშენებლობის საქმეში, რომელიც დაფუძნებოდა უნივერსალურ ფასეულობათა უზენაესობასა და სახელმწიფოთა საერთო ინტერესებს, კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივ გზას და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას.

მეორე – პოლიტიკური რეალიზმი ტრადიციულად ნარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის საქმეში ამა თუ იმ სახელმწიფოში „საკუთარი“ ხელისუფლების სასარგებლოდ, რომელიც იცავს სახელმწიფოს „ნაციონალურ“ ინტერესებს. იგი ხელისუფლებას უზრუნველყოფს არა მხოლოდ მხარდაჭერით საზოგადოების მხრიდან, არამედ ხელს უწყობს სახელმწიფო ერთიანობის შენარჩუნებას გარეგანი საფრთხის წინაშე.

მესამე – პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ძირითადი დებულებები – საერთაშორისო პოლიტიკის, როგორც ძალაუფლებისა და ძალის მოპოვების ინსტრუმენტის შესახებ; სახელმწიფოს, როგორც მთავარი და არსებითად ერთადერთი რეალურად მოქმედ ძალის თაობაზე ამ პოლიტიკაში, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს; სახელმწიფოთა შორის ინტერესთა არათანმთხვევობის შესახებ და ამით განპირობებელი საერთაშორისო გარემოს გარდაუვალი კონფლიქტოგენურობა – მისაღები გამოდგა დასავლეთისა და, პირველ რიგში, შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტისათვის.

მეოთხე – მნიშვნელოვან როლს პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი დებულების შენარჩუნების საქმეში ასრულებს გენერალიტეტის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ნარმომადგენელთა, ექსპერტთა და ძალოვანი სტრუქტურების მრჩეველთა, უმაღლეს სახელმწიფო მოხ-

ელეთა, დამოუკიდებელ ანალიტიკურ ცენტრთა და ცალკეულ აკადემიურ მკვლევართა შეხედულებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ხპირ შემთხვევაში ისინი ეყრდნობიან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა დეტალურ ანალიზს და არკვევენ ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებს ამ ურთიერთობებში.

უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ პოპულარული გახდა ორი კონცეფცია: ეს არის ფ. ფუკუიამას (F. Fukuyama) „ისტორიის დასასრული“ და ს. ჰანტინგთონის (S. Huntington) „ცივილიზაციათა შეჯახება“. ფ. ფუკუიამა ლაპარაკობს დასავლურ ფასეულობათა ტრიუმფის შესახებ, პლურალისტული დემოკრატიის საყოველთაო გავრცელებაზე, ინდივიდუალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის იდეალების შესახებ. ს. ჰანტინგთონი ხაზს უსვამს აღმავალ საფრთხეს, რომელიც მოდის სამხრეთიდან და უკავშირდება მუსლიმურ და კონფუციანური ცივილიზაციებს, რომლებიც უპირისპირდებიან მათთვის მტრულ და უცხო დასავლეთს. ორივე თეორია, მიუხედავად მთელი რიგი სადაც დებულებებისა, აუცილებლად ანგარიშგასაწევია და გასათვალისწინებელი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის შესწავლისას.

ზ. ბრეზინსკისა (Z. Brzezinski) და ჩ. კრაუტპამერის (C. Krauthammer) შეხედულებით, დასავლეთის საბჭოთა კავშირზე გამარჯვების უმნიშვნელოვანესი შედეგი „ცივ ომში“ და ერთ-ერთი ზესახელმწიფოს გაქრობა ისაა, რომ ამიერიდან პასუხიმგებლობა მსოფლიო ნესრიგზე ეკისრება ერთადერთ ზესახელმწიფოს – აშშ-ს. მას კი გააჩნია შესაძლებლობა არა მარტო დაიცვას მსოფლიო, არამედ გაავრცელოს დემოკრატიის, ინდივიდუალიზმისა და საბაზრო საზოგადოების ფასეულობებიც მთელ მსოფლიოში. ჰ. კისინჯერის (H. Kissinger) აზრით კი, „ცივ ომში“ აშშ-ის გამარჯვებამ მას დააკისრა მძიმე, მაგრამ მისთვის შესაძლებელი მისია ერთადერთი ლიდერისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის დაცვა.

საკვანძო საკითხები:

- საერთაშორისო-პოლიტიკურ მეცნიერებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამი თეორია (პარადიგმა): რეალისტური, ლიბ-ერალური და ნეომარქესისტული ანუ მსოფლიო სისტემის.
- დღეს უმთავრესი დისკუსია მიმდინარეობს ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის.
- არსებობს მთელი რიგი დებულებებისა, რომლებსაც სამივე თეორიის მიმდევრები იზიარებენ.

საერთაშორისო ურთიერთობათა სამი თეორია და გლობალიზაცია

80-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას ჩვეულებად იქცა ინტერპარადიგმული დებატები. ეს ნიშნავს, რომ სამი მთავარი თეორია ურთიერთშეჯიბრშია და „ჭეშმარიტება“ სწორედ მათ შორის დებატების შედეგად უნდა დადგინდეს. ერთი შეხედვით ჩანს, რომ თითოეული მათგანი მსოფლიო პოლიტიკის ამა თუ იმ კონკრეტულ ასექტს სხვებზე უფრო ზუსტად და მართებულად აღნერს, შესაბამისად, შესაძლებელია ამ თეორიების კომბინირების შედეგად სწორი პასუხის მიღება. მაგრამ საკითხი ესოდენ მარტივი გადასაწყვეტი არ არის, ვინაიდან ეს სამი თეორია არა იმდენად სხვადასხვა შეხედულებებია ერთსა და იმავე სამყაროზე, არამედ უფრო მეტად სამი თეორიაა სხვადასხვა სამყაროს შესახებ. შევეცდებით განვმარტოთ ზემოთქმული: მიუხედავად იმისა, რომ თითოეული თეორია ფოკუსირებას ახდენს მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე (რეალიზმი ძალაზე და მყარებულ ურთიერთობებზე სახელმწიფოთა შორის, ლიბერალიზმი უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ურთიერთქმედებაზე, მსოფლიო სისტემის თეორია კი მსოფლიო ეკონომიკის მოდელებზე), ბუნებრივია, ისინი მხოლოდ ზემოთქმულით არ შემოიფარგლებიან. თითოეული თეორიით უბრალოდ მიიჩნევა, რომ მასში ყურადღება გამახვილებულია მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, რაც უკეთესად ხსნის საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებს, ვიდრე სხვა თეორია. შესაბამისად, სამი თეორია პრაქტიკულად ურთიერთდაპირისპირებულია და მეტად რთულია მას მეორე თეორიის კომპონენტები რომ მივუსადაგოთ. მაგალითისათვის, თუ თქვენ ნარმოადგენთ მსოფლიო სისტემის თეორეტიკოსს, მიგაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მოქმედებას მთლიანად განაპირობებს კლასების ძალა. კლასები კი, რეალისტური თეორიის თანახმად, არავითარ გავლენას არ ახდენენ სახელმწიფოს მოქმედებაზე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სამი თეორია რეალურად იმის ვერსიებია, თუ რას ნარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობები და არა მისი ცალკეული ნაწილების ახსნა. უპირველესად კი შეუთანხმებლობაა მათ შორის იმის თაობაზე, თუ რას ნარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკა!

გამორიცხულია ვიფიქროთ, რომ ამ თეორიათაგან თითოეულს გააჩინია ზუსტი პასუხისყველაფერი მაზე, რასაც შეადგენს საერთაშორისო ურთიერთობები გლობალიზაციის ეპოქაში. სამივე თეორიაში გლობალიზაცია სხვადასხვა გვარად არის ალექსილი. განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

1. რეალისტებისათვის გლობალიზაცია სულაც არ ცვლის

საერთაშორისო ურთიერთობათა ყველაზე მნიშვნელოვან მახასი-ათებელს, კერძოდ, მსოფლიოს ტერიტორიულ დაყოფას ეროვნულ სახელმწიფოებად. აღმავალი ურთიერთობა გვშირის მიუხედავად ეკონომიკურა და საზოგადოებრივი შორის, რამაც ისინი უფრო ურთიერთდამოყიდებულნი შეიძლება გახადოს, იგივე არ ითქმის სახელმწიფოთა სისტემაზე. სახელმწიფოები ინარჩუნებენ სუვერენიტეტს და გლობალიზაციას სულაც არ აქცევს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ბრძოლას წარსულის რუდიმენტად. იგი არ ამცირებს არც ძალის გამოყენების საფრთხეს და არც ძალთა ბალანსის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია შეიძლება შეეხოს ჩვენს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას, მაგრამ იგი გავლენას არ ახდენს სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე.

2. ლიბერალებისათვის სურათი აბსოლუტურად სხვაგვარად წარმოდგება. ისინი გლობალიზაციას მიიჩნევენ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკის ტრანსფორმაციის საბოლოო პროცესებით. მათვის გლობალიზაცია თავისთავად უარყოფს მსოფლიო პოლიტიკის რეალისტურ მოდელებს, ვინაიდან აჩვენებს, რომ სახელმწიფოები აღარ არიან საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრალური აქტორები, როგორც ეს ადრე იყო. მათიადგილი დაიკავა სხვადასხვა და აურაცხელი რაოდენობის აქტორები. მათ განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნიათ იმ სფეროს მიხედვით, რომელშიც უხდებათ მოღვაწეობა/ლიბერალები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სფეროში რევოლუციის მიმართ, რასაც გამოხატავს გლობალიზაცია. ყოველივე ეს, ტექნოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, იწვევს საზოგადოებათა სულ უფრო მჭიდრო ურთიერთდაკავშირებას და მისი შედეგი ადრე არსებულისაგან მკაფიოდ განსხვავებული მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების სისტემის შექმნა ხდება. სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ ჩაკეტილ ერთობებს და მსოფლიო სულ უფრო ემსგავსება მრავალმხრივი ურთიერთობების ქსელს. ყოველივე ეს არ თავსდება არც რეალიზმის სახელმწიფო მოდელისა და არც მსოფლიო სისტემის კლასობრივი მოდელის ჩარჩოებში.

3. მსოფლიო სისტემის თეორეტიკოსებისათვის გლობალიზაცია თავისებურ „მატყუარას“ წარმოადგენს. არაფერი განსაკუთრებულად ახალი არ ხდება და იგი შეადგენს საერთაშორისო კაპიტალიზმის განვითარების გვიანდელ ეტაპს. მას არავითარი რაოდენობრივი ცვლილებები არ შეაქვს მსოფლიო პოლიტიკაში და არც არსებულ თეორიებსა თუ კონცეფციებს ხდის უფრო მრავლის-

მთექმელს. პირველ რიგში, გლობალიზაცია არის დასავლეთის მიერ შექმნილი და წარმართული ფენომენი, რომელიც საერთაშორისო კაპიტალიზმის განვითარების ბუნებრივი ნაყოფია. ეს, ერთი მხრივ, მსოფლიოს ერთგვაროვანს ხდის, მაგრამ, ამასთანავე, უფრო მეტად ანანევრებს მსოფლიოს და გამოკვეთს შეუსაბამობას ცენტრს, ნახევრად-ჰერიფერიასა და ჰერიფერიას შორის.

გლობალიზაცია და მისი ნინამორბედი პროცესები

გლობალიზაციაში ჩვენ უბრალოდ ვგულისხმობთ საზოგადოებათა იმ მზარდ ურთიერთდაკავშირების პროცესს, რომლის შედეგადაც მოვლენები მსოფლიოს ერთ ნაწილში სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს შორს მყოფ საზოგადოებებსა და ხალხებზე. გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მოვლენები სულ უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება და ფართო მნიშვნელობას იძენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ საზოგადოებაზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს სხვა საზოგადოებებში მიმდინარე პროცესები. ეს მოვლენები შეიძლება სამ ტიპად დაიყოს: სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური. ნებისმიერ შემთხვევაში, მსოფლიო სულ უფრო „ვინწროვდება“ და ადამიანები აცნობიერებენ ამის შედეგს. მაგალითისათვის, ინტერნეტი – მსოფლიო აბლაბუდა იძლევა საშუალებას იჯდეთ სახლში და თვალყური ადევნოთ, თუ რა ხდება მთელ პლანეტაზე. ელექტრონულმა ფოსტამ ასევე გარდაქმნა სიტუაცია. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: ორმა გამომცემელმა შეიძლება ერთმანეთს წუთების განმავლობაში გადასცეს წიგნის ტექსტი, რაც ამ ხუთიოდე წლის წინ ნარმოუდგენელი იყო. სხვა. შემთხვევებია მსოფლიო სატელეკომუნიკაციო სისტემა, მსოფლიო გაზიერები, საზოგადოებრივი მოძრაობები (ემნესტი ინტერნეტშენალ თუ გრინფისი), სამომხმარებლო პროდუქცია (მაკდონალდსი, კოკა-კოლა თუ პიცა) და მსოფლიო ეკონომიკა (შედით მეზობლად მდებარე სუპერმარკეტში და ნახეთ, თუ რამდენი ქვეყნის პროდუქცია იყიდება), ასევე გლობალური საფრთხეები (გარემოს დაბინძურება, შიდსი და ა.შ.).

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ გლობალიზაცია არ არის სრული-ად ახალი ფენომენი კაცობრიობის ისტორიაში. შესაძლოა ამგვარად დავსვათ საკითხი: ესაა ახალი ტერმინი, რომელიც გამოიყენება დიდი ხნის მანძილზე მიმდინარე პროცესების აღსანიშნავად. არსებობდა გლობალიზაციის წინამორბედი მსგავსი პროცესები. მათ შორის უნდა გამოყენოთ ცხრა მახასიათებელი, რომლებიც განხილულია „გლობალიზაციამდელი“ ავტორების ნაშრომებში.

1) გლობალიზაციას ბევრი საერთო აქვს მოდერნიზაციის თეორიასთან, რომლის თვალსაჩინო ნარმომადგენლები არიან გ. მოდელსკი (G. Modelska) და ე. მორსე (E. Morse). ამ ავტორთა

თანახმად, ინდუსტრიალიზაციამ გამოიწვია ახალი ტიპის კონტაქტების დამყარება საზოგადოებათა შორის და შეცვალა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები, რაც ახასიათებდა წინამოღვვერნისტულ მსოფლიოს. უპირველესად მოღვვერნიზაციამ შეცვალა სახელმწიფოს ბუნება, ერთი მხრივ, გაზარდა მისი პასუხისმგებლობა და, მეორე მხრივ, შეასუსტა მისი კონტროლი. ამის შედეგი იყო ის, რომ შეიცვალა საერთაშორისო ურთიერთობების ძალაზე დამყარებული მოდელი. ძალა ნაკლებად გამოსადეგი გახდა. სახელმწიფოები იძულებულნი შეიქნენ ურთიერთობები ჰერონდათ სხვა აქტორებთან საკუთარი მიზნების მისაღწევად, შესაბამისად დადგა სახელმწიფოს, როგორც აქტორის იდენტურობის საკითხიც.

2) გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს პირველ შემთხვევასთან უოლტ როსტოუს (W. Rostow) გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური აღმავლობის მოდელი აუცილებლად გულისხმობს ინდუსტრიალიზაციას. ნაკლებად განვითარებულმა ეკონომიკებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ განვითარებული ეკონომიკის მოდელი ნარმატების მისაღწევად და ამ მხრივ მათ შორის კავშირი მყარდება.

— 3) ლიბერალური პარადიგმა გულისხმობს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასა და ტრანსნაციონალური აქტორების არსებობს. ამას ხაზს უსვამენ რ. კუპერი (R. Cooper) და ჯ. ნე (J.S. Nye).

4) მარშალ მაკლუპანმა (M. MacLuhan) 1964 წელს გამოაქვეყნა ცნობილი ნაშრომი „გლობალური სოფელი“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება შესაძლებლობას მოგვცემდა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში მიმდინარე პროცესების თვალყურის დევნებს. ყოველივე ეს გამოიწვევდა დროისა და სივრცის კომპრესიას, იმდენად, რომ დაიკარგებოდა ტრადიციული იდენტურობა (უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება გლობალიზაციის შემადგენელი, მაგრამ არა ერთადერთი ნაწილია).

— 5) 1972 წელს ჯონ ბარტონმა (J. Burton) იწინასწარმეტყველა „მსოფლიო საზოგადოების“ ნარმოქმნა, რომელშიც შემცირდებოდა სახელმწიფოთა სისტემის როლი და გაიზრდებოდა არასახელმიწოდებრივ აქტორთა მნიშვნელობა.

6) 60- 70- 80-იან ნლებში დიდ მუშაობას ეწეოდა მსოფლიო წესრიგის მოდელების პროექტი (WOMP). იგი შეიქმნა სახელმწიფოთა-შორისო სისტემისათვის ალტერნატივების გამოსანახად, რომელიც შეამცირებდა ომის საფრთხეს. მუშაობის ფოკუსირება ხდებოდა მსოფლიო მმართველობაზე, რაც დღეს, გლობალიზაციის პირობებ-

ში, განსაკუთრებულ აქტუალურ საკითხს ნარმოადგენს. 90-იანი წლებიდან პროექტი ძირითადად ზრუნავს ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვაზე.

7) გარკვეული პარალელები არსებობს გლობალიზაციის იდეებსა და საერთაშორისო საზოგადოების არსებობის მომხრეთა შორის. მათ შორის არიან დ. ჰელდი (G. Held) და ჰ. ბული (H. Bull). ისინი მიიჩნევენ, რომ საკუნძულების მანძილზე იქმნებოდა საერთო და შეთანხმებული ნორმების სისტემა და ურთიერთგაგების საფუძველი სახელმწიფო ლიდერებს შორის, რაც იძლევა უფრო მეტად საზოგადოების, ვიდრე საერთაშორისო სისტემის ფორმირების საშუალებას. ყოველივე ამას იგი ნათლავდა „ახალ მედიევალიზმად“. მაგრამ საკმაოდ ბუნდოვანი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევდა, რომ ზენაციონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები მეტოქეობას გაუნდებოდნ სახელმწიფოს, მაგრამ იმავდროობულად მსოფლიო საზოგადოების განვითარება არ გამოიწვევდა ეროვნული სახელმწიფოს გაქრობას.

8) ფ. ფუჭუიამაშ 1999 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ისტორიის დასასრული“. მისი თვალსაზრისით, ეკონომიკური ბაზრის შექმნის შედეგად გაძლიერებული ლიბერალური დემოკრატია შეცვლის მმართველობის ყველა სხვა ფორმას. იგი აღიარებს სხვა რესუმების არსებობას, მაგრამ მიიჩნევს, რომ კომუნიზმს, ფაშიზმსა თუ ისლამს არ შეუძლია ისეთი ეკონომიკური კეთილდღეობის მოტანა, როგორიც ლიბერალურ დემოკრატიას. ამდენად, ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვება თავისთვავად გამომდინარებს საზოგადოებათა ინტერესებიდან.

9) არსებობს გარკვეული მსგავსება გლობალიზაციის პოლიტიკურ ასპექტებსა და „ლიბერალური მშვიდობის“ თეორიას შორის. ლიბერალური სახელმწიფოები არ იძრვებიან ერთმანეთში. ისტორიაში არსებობს პროგრესი, რაც სულ უფრო რთულს ხდის ომების დაწყებას.

გლობალიზაცია: მითი თუ რეალობა?

ქვემოთ განვიხილავთ გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებს.

გლობალიზაციის დადებითი მხარეებია:

1. ეკონომიკური ტრანსფორმაციის საშუალება იმდენად დიდია, რომ იგი ქმნის ახალ მსოფლიო პოლიტიკას. სახელმწიფოები აღარ არიან ჩაკეტილი ერთობები და მათ არ შეუძლიათ აკონტროლონ საკუთარი ეკონომიკები. სახელმწიფოთა ეკონომიკები არასოდეს ყოფილა ესოდენ ურთიერთდამოკიდებული ვაჭრობის

განვითარებითა და ფინანსების ბრუნვით.

2. კომუნიკაციებმა ფუნდამენტური რევოლუცია მოახდინეს იმ საშუალებებში, რომლებითაც ჩვენ ვუკავშირდებით დანარჩენ მსოფლიოს. ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომელშიც ერთ ადგილას მიმდინარე მოვლენებზე პირდაპირი დაკვირვება ხდება მეორე ადგილიდან. ელექტრონული კომუნიკაციები აფართოებს იმ სოციალური ჯგუფების ცნებებს, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ვმოღვაწობთ.

3. დღეს რეალობას წარმოადგენს გლობალური კულტურის არსებობა. ურბანისტული რეგიონები სულ უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს. მსოფლიო გლობალურ კულტურას იყენებს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰოლივუდიდან მოდის.

4. მსოფლიო უფრო ჰომოგენური ხდება, განსხვავებები ხალხებს შორის იშლება.

5. დრო და სივრცე იკუმშება. ჩვენი ძველი წარმოდგენები გეოგრაფიულ სივრცესა და ქრონოლოგიურ დროზე იცვლება თანამედროვე კომუნიკაციებისა და მედიის სისწრაფის საშუალებით.

6. იქმნება მსოფლიო სახელმწიფოებრივი მონაბა ტრანსნაციონალური საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობებით, ხორციელდება ფუნქციების გადაცემა სახელმწიფოდან ზესახელმწიფო, ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო კავშირებზე.

7. ვითარდება კოსმოპოლიტური კულტურა. ხალხი ინკებს „აზროვნებას გლობალურად და მოქმედებას ლოკალურად“.

8. ყალიბდება რისკის კულტურა, როდესაც ადამიანები აცნობიერებენ, რომ გლობალურ პრობლემებს (შიდსი, გარემოს დაბინძურება) მხოლოდ სახელმწიფოები ვერ გადაწყვეტენ.

მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოა გლობალიზაციის ამ შედეგების პროგრესული მნიშვნელობა, არსებობს გლობალიზაციის მეორე, არასასურველი მხარეც, რომლის წარმოსაჩენად ძირითადად შემდეგ არგუმენტებს იყენებენ:

1. ერთი თვალსაზრისით, გლობალიზაციას წარმოადგენს კაპიტალიზმის ყველაზე გვიანდელი ფაზას. ჯ. ჰირსტი (J. Hirst) და ე. ტომპსონი (E. Thompson) ხაზს უსვამენ, რომ გლობალიზაცია წათლად ამჟღავნებს ეროვნული მთავრობების უუნარობას გლობალური ტენდენციების წინაშე. ყოველივე ეს ბოლოს უღებს მთავრობების მცდელობას დაიმორჩილონ გლობალური ეკონომიკური ძალები, მოახდინონ მათი კონტროლი და რეგულირება. ამგვარი სიტუაცია სულაც არ არის უნიკალური და გაცილებით უფრო ღრმად აქვს გამდგარი ფესვები, ვიდრე წარმოგვიდგენია. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს ხუთი მთავარი ეკონომიკური ფაქტორი: 1) ამჟამინდელი მსოფლიო ეკონომიკა არ არის

ერთადერთი ისტორიაში. მსგავსი რამ არსებობდა 1870-1914 წლებში; 2) მართლაც, ტრანსნაციონალური კომპანიები მეტად იშვიათია. ძირითადად ნაციონალური კომპანიები არსებობენ, რომელთა მოღვაწეობასაც საერთაშორისო ხასიათი აქვს; 3) არ არსებობს ფინანსების მოძრაობა განვითარებული სამყაროდან განვითარებადის მიმართულებით. პირდაპირი ინვესტირება ძირითადად კონცენტრირებულია განვითარებულ სამყაროში; 4) მსოფლიო ეკონომიკა არ არის გლობალური, ვინაიდან ვაჭრობა, ინვესტიციები და ფინანსები კონცენტრირებულია სამ ბლოკში – აშშ-ში, დასავლეთ ეკონომიკაში და იაპონიაში; 5). ამ სამ ბლოკს, თუკი ისინი მოახდენენ პოლიტიკის კოორდინირებას, ძალუძთ განახორციელონ გლობალური ეკონომიკური ბაზრისა და ძალების რეგულირება. ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვანი ხედვაა, მაგრამ გლობალიზაციის მხოლოდ ეკონომიკურ ასპექტებს მოიცავს.

2. გლობალიზაცია მეტად არათანაბარია თავისი შედეგებით. იმის აღნიშვნა, რომ ადამიანთა დიდ რაოდენობას არ შეუძლია მოიხმაროს ინტერნეტი, ოდნავ გადაჭარბებულია, მაგრამ ბევრ ადამიანს თავის ცხოვრებაში არასოდეს გამოუყენებია ტელეფონი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალიზაციის სასურველ შედეგებს იმკის მხოლოდ განვითარებული სამყარო, მაშინ, როდესაც გლობალიზაციის სიკეთე არანაირად არ აისახება დანარჩენ მსოფლიოზე.

3. უკვე აღინიშნა იყო, რომ არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც გლობალიზაცია წარმოადგენს დასავლეური იმპერიალიზმის ყველაზე გვაინდელ ფაზას. გლობალიზაცია დასავლეთის წარმოიწყო. რა ადგილი აქვს მასში არადასავლურ ფასეულობებს? გლობალიზაცია მსოფლიოს დასავლეური თვალთახედვის ტრიუმფი მსოფლიოს არადასავლური კულტურების თვალთახედვის ხაჯჯზე.

4. გლობალიზაციის შედეგად ბევრი წაგებული რჩება. ღიაობის ლოზუნგით ხდება ღარიბი ქვეყნების ხალხთა უფრო მეტი ექსპლუატაცია. ტექნოლოგიები, რომელიც თან ახლავს გლობალიზაციას, ავტომატურად ხელს უწყობს მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ეკონომიკების წინსვლას და არ ითვალისწინებს ადგილობრივი მნარმოებელი ხალხების ინტერესებს.

5. გლობალიზაციის ძალები არ არის ყოველთვის „სიკეთის მომტანი“ ძალები. გლობალიზაცია სასურველ პირობებს ქმნის წარკიბიზნესისათვის, საერთაშორისო ტერორიზმისათვის. ინტერნეტის ქსელში გამეფებული ანარქია კი წარმოშობს კითხვებს ცენტრისადაზოგირთი მასალის მოხმარებაზე შეზღუდვის დაწესების შესახებ.

6. თუკი დაუუბრუნდებით გლობალიზაციის ე.ნ. გლობალური მმართველობის ასპექტებს, ყველაზე მეტ შემთხვებას ინვევს

ის, თუ როგორ და ვის ნინაშე არიან პასუხისმგებელი და დემოკრატიულად ანგარიშვალდებული საერთაშორისო სოციალური მოძრაობები? თუ კი IBM და შელი სულ უფრო მეტ ძალას შეიძენენ, რა მადენად ანგარიშვალდებული იქნებიან და დაექვემდებარებიან ისინი დემოკრატიულ კონტროლს? დევიდ ჰელდი ყოველივე ამას უწოდებს „კოსმოპოლიტურ დემოკრატიას“. მაგრამ გლობალიზაციული მსოფლიოს სულ უფრო გაძლიერებული აქტორები სწორედ რომ აღარ არიან ანგარიშვალდებული. ამგვარი არგუმენტი შეეხება ისეთ „კარგ“ აქტორებსაც, როგორიცაა საერთაშორისო ამნისტიია ან მწვანეთა მოძრაობა.

7. საბოლოოდ, საკუთრივ გლობალიზაციის ცნება გარკვეულ-ნილად პარადოქსულია. ერთი მხრივ, იგი ყოველთვის გამოისახება, როგორც დასავლეთის, ბაზრისაკენ მიმართული ფასეულობების ტრიუმფი, მაგრამ როგორ აეხსნით იმ უზარმაზარ ეკონომიკურ ნარმატებას, რომელსაც მიაღწია ზოგიერთმა ქვეყანამ გლობალურ მსოფლიოში? აქ ჩვენ უპირველესად ვგულისხმობთ ე.ნ. აზიის „ვეფხვებს“ – სინგაპურს, ტაივანს, მალაიზიასა და კორეას, რომლებმაც უდიდეს ეკონომიკურ ნარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ, ამასთანავე, იცავენ ე.ნ. „აზიურ ფასეულობებს“ და უარყოფენ დასავლურს. სწორედ ეს არის პარადოქსი – მათ ნარმატებას მიაღწიეს დასავლურ ფასეულობათა გამოყენების გარეშე. აქედან გამომდინარე, გარკვეულად ბუნდოვანი ხდება გლობალიზაციის ცნება, რომლის თანახმადაც ეს პროცესი გულისხმობს დასავლური ფასეულობების გავრცელებას მთელ მსოფლიოში. თუ კი ეს ქვეყნებს გააგრძელებენ ეკონომიკურ და სოციალურ მოდერნიზაციას, შეიქმნება მომავალი დებატების პირობები „დასავლურ“ და „აზიურ“ ფასეულობებს შორის რელიგიის, ადამიანთა უფლებებისა თუ სხვა სფეროებში.

საკვანძო საკითხები:

- სამი თეორია არა იმდენად სხვადასხვა შეხედულებებია ერთსა და იმავე სამყაროზე, არამედ უფრო მეტად სამი თეორიაა სხვადასხვა სამყაროს შესახებ, ვინაიდან თითოეული თეორია ფოკუსირებას ახდენს მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე.
- გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური, ეულტურული და სოციალური მოვლენები სულ უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება და უფრო ფართო მნიშვნელობას იღებს.
- გლობალიზაციას გააჩინია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ეითხვები და დავალებები:

1. რა უმთავრესი თეორიები არსებობს საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ?
2. რომელი თანმთხვევი დებულებები ახასიათებთ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიებს?
3. ვინ არიან საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი და არატრადიციული აქტორები?
4. არის თუ არა გლობალიზაცია ახალი ფენომენი მსოფლიო პოლიტიკაში?
5. როგორ ხსნის სხვადასხვა თეორია გლობალიზაციას?
6. დაახასიათეთ გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ლიტერატურა:

- a. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები (თბ.: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996).
- D.A. Baldwin, Neoliberalism and Neoliberalism: The Contemporary Debate (New York: Columbia Univ. Press, 1993).
- U. Beck, Was ist Globalisierung? Fr. am M., 1997.
- P. Hirst & G. Thompson, Globalization in Question (Cambridge: Polity Press, 1996).
- R. Lebow, Th. Risse-Kappen, International Relations Theory and the End of the Cold War (NY: Columbia, 1995).
- J.N. Rosenau, Turbulence in World Politics (Princeton: Univ. Pres, 1990).
- P. Viotti & M. Kauppi, International Relation Theory: Realism, Pluralism, Globalism (New York: Macmillan, 1993).

II. საერთაშორისო ურთიერთობათა პანლიკიტებანი

თავიდანვე უნდა ალინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა კანონზომიერებების პრობლემა ერთა-ერთი ყველაზე ნაკლებად და-მუშავებული და ყველაზე მეტად სადისკუსიო თემაა. ეს აიხსნება, პირველ რიგში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკით, რომელშიც განსაკუთრებით რთულია აღმოაჩინო ამა თუ იმ მოვლენისა და პროცესის განმეორება და სადაც, ამ მიზეზით, კანონზომიერებათა მთავარ მახასიათებლებს ნარმოადგენს მათი შედარებითი, ფარდობითი და გაურკვეველი ხასიათი.

პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ მახასიათებელს ნარმოადგენს ის, რომ იგი ცდილობს დაამტკიცოს იმ აზრის ჭეშმარიტება, რომლის თანახმადაც საერთაშორისო პოლიტიკას საფუძვლად უდევს იგივე ობიექტური და უცვლელი კანონები პოლიტიკური ქცევისა, რომლის ძირების მოძიებაც თავად ადამიანის ბუნებაში შეიძლება. პოლიტიკური რეალიზმის ცენტრალური ცნება – „ინტერესი, გამოხატული ძალაუფლების ტერმინებით“ უკავშირებს საერთაშორისო ურთიერთობების კანონების არსებობას ადამიანთა მოთხოვნილებას უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობასა და განვითარებაზე, რაც უნდა დაიცვას სახელმწიფომ საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობისას. პოლიტიკური რეალიზმი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობათა განხილვა არა რაიმე იდეალის თვალსაზრისით, რამდენად მომხიბდვლელიც არ უნდა იყოს ეს იდეალი, არამედ მისი არსით – პოლიტიკის საფუძველზე.

„საერთაშორისო პოლიტიკა, მსგავსად სხვა ნებისმიერი პოლიტიკისა, ნარმოადგენს ბრძოლას ძალაუფლებისათვის; რანაირიც არ უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკის საბოლოო მიზანი, მის უშუალო მიზანს ყოველთავის ნარმოადგენს ძალაუფლება.“

ჰ. ჯ. მორგენთაუ (H. J. Morgenthau)

არ უარყოფენ რა მსოფლიო საერთაშორისო წესრიგის პარმონიულობის მიღწევის აუცილებლობას, რომელიც დაეფუძნება უნივერსალურ ფასეულობებს, დემორატიისა და სამართლის უზენაესობას, პოლიტიკური რეალისტები იმავდროულად ხაზს უსვამენ, რომ თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია დიდი სახელმწიფოების მუდმივი სწრაფვა შეინარჩუნონ საერთაშორისო არენაზე არსებული სტატუს-კეო, თუკი იგი მისაღებია მათი ინტერესებისათვის, ანდა მოინდომონ მისი შეცვლა, თუ ეს მათ ინტერესებში შედის. თავის მხრივ, ეს ინვევს საერთაშორისო ურთიერთობათა განსაკუთრებულ კონფიგურაციას, რასაც ძალა

ბალანსს უწოდებენ და, შესაბამისად, იმგვარი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მოწოდებულია შეინარჩუნოს ეს ბალანსი.

ნეორეალიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი კ. უოლცი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოთა სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებული ქცევის სიტუაციაში, მათი პოლიტიკა აისხნება არა მხოლოდ შიდა მიზეზბით, არამედ სხვა სახელმწიფოთა მოქმედებითა და ქცევითაც. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ ან უცადოთ წინასწარ განვსაზღვროთ ამგვარი ქცევა, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფოთაშორისო სისტემის თავისებურებები, მისი სტრუქტურის სპეციფიკა.

პოლიტიკური რეალიზმი სკეპტიკურად უყურებს საერთაშორისო „საზოგადოების“ რეგულირების შესაძლებლობას სამართლებრივი ნორმების ანდა ზნეობრივი ფასეულობების საფუძველზე. როგორც გ. შვარცენბერერი (G. Schwarzenberger) ნერს, „საზოგადოებაში, რომელშიც არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება, კანონის მთავარ ფუნქციას ნარმოადგენს ძალისა და იერარქიის უზენაესობის მხარდაჭერა, რომელიც სწორედ ძალას ეყრდნობა და ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო სამართალი გამოიყენება სწორედ ამ შიზნებისათვის. იგივე შეიძლება ითვეას საერთაშორისო მორალთან და კავშირებით: სახელმწიფო თავის მთავარ დანიშნულებად მიიჩნევს არა იმას, რომ აკონტროლოს საკუთარი ქცევა, არამედ იმას, რომ იყოს ძალოვანი იარაღი პოტენციური თუ რეალური მტრების ნინააღმდეგ.“

ამგვარად, პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ კანონზომიერებებს ნარმოადგენენ: უპირობო და პრიორიტეტული როლი სახელმწიფოსი, როგორც მთავარი და რეალურად ერთადერთი აქტორისა საერთაშორისო ურთიერთობებში; სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განპირობება ნაციონალური ინტერესებით; ძალა (პირველ რიგში სამხედრო), როგორც ამიმიზნების მიღწევის მთვარი იარაღი; დიდ სახელმწიფოთა ნარმმართველი როლი მსოფლიო პოლიტიკიაში; ძალთა ძალანის, როგორც საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნების საშუალება და საერთაშორისო ნესრიგის მთავარი რეგულატორი.

რეალიზმის საკვანძო კონცეფციები

ანარქია: ნიშნავს არა ქაოსს, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების არარსებობას.

ანარქიული სისტემა: საერთაშორისო პოლიტიკის „მომანესრიგებელი პრინციპი“, რომლითაც განისაზღვრება მისი სტრუქტურა.

ძალთა ბალანსი: სახელმწიფოთა შორის ძალთა გათანასწორება. „ისტორიკული“ რეალისტები მას მიიჩნევენ დიპლომატიის პროდუქტიად, „სტრუქტურალისტი“ რეალისტები კი მასში ხედავენ ბუნებრივი გათანასწორებისაკენ მიმართულ ტენდენციას.

ჰეგემონია: ძალოვანი სახელმწიფოს უნარი საკუთარი სისტემის ორბიტაში მოაქციოს სხვა სახელმწიფოები და მისი გავლენა გავრცელდეს ლიდერობიდან დომინირებამდე.

საერთაშორისო სისტემა: სხვადასხვაურთიერთკავშირში მყოფი ნანილების ერთობა, რომელსაც კონკრეტული ფორმა აქვს მიღებული. სისტემებს გააჩნიათ დამახასიათებელი პრინციპები, როგორიცაა იერარქია (საშინაო პოლიტიკაში) და ანარქია (საერთაშორისო პოლიტიკაში).

ნაციონალური ინტერესის: სახელმწიფოთა ლიდერების მიერ იმის განსაზღვრა, თუ რა არის კვლევაზე მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის.

ნეოლიბერალუბის თვალსაზრისით, ეს კანონზომიერებანი არასოდეს ყოფილა ეჭვეგარებე და უკანასკნელმა ათწლეულებმა კიდევ უფრო დააკენია მათი ტექნიკური დონე. როგორც ჯ. ნაი თვლის, დღეს საერთა-შორისო ურთიერთობების მრავალ სფეროში კერძო სუბიქტებსა და არც-თუ ისე დიდ სახელმწიფოებს გააჩნიათ გაცილებით უფრო დიდი შესაძლებლობები, ვიდრე ადრე. იმავდროულად მცირდება დიდ სახელმწიფოთა უნარი გამოიყენონ ტრადიციული ძალოვანი პოტენციალი საკუთარი მიზნების მისაღწევად. ძალის გამოყენება სულ უფრო იშვიათად ხდება, ძალა კინა კულებად მნიშვნელოვანი. ბ. ბადი (B. Badic) მიიჩნევს, რომ 90-იანი ნლების მსოფლიო ექებს ურთიერთობათა ახალ ფორმებსა და ახალ სუბიექტებს. ნაციონალური ინტერესის კანონზომიერება კარგავს თავის ადრინდელ მნიშვნელობას. თანამედროვე ძალის მრავალი მნიშვნელოვანი ელემენტი გამოდის სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლიდან და სახელმწიფოთაშორის სისტემას უტოვებს მეტად მნირ საშუალებებს მიმდინარე მოვლენებზე ეფექტური გავლენის მოსახდენად. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები სულ უფრო ნაკლებ საბაბს იძლევა იმისათვის, რომ განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა, ვინაიდან დღეს მიმდინარეობს არსებითი და, ალბათ, გარდაუვალი ცვლილებები მსოფლიოს გადანანილების ხერხებში, მის ფუნქციონირებაში. ამოსავალი დებულებები, რომლებზედაც საუკუნეთა მანძილზე იყო ჩამოყალიბებული საერთაშორისო წესრიგის ისტორიული ტიპები, როგორიცაა „უსაფრთხოება“, „ტერიტორიული ხელშეუხებლობა“, „სახელმწიფო სუვერენიტეტი“, „ხელისუფლების ლოიალურობა“, ან იცლება თავის არსისაგან, ან იძენს სრულიად ახალ მნიშვნელობას.

საერთაშორისო ურთიერთობებში ყველა ამ ახალი ტენდენციის საფუძველს წარმოადგენს მსოფლიოს მზარდი ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერება მიეროელექტრონულ, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის სფეროებში და კომუნიკაციების რევოლუციების გავლენით. ამის შედეგი ხდება მსოფლიო პოლიტიკის სფეროში ახალი, არატრადიციული აქტორების შექრა – არასამთავრობო ორგანიზა-

ციების, ფინანსური კომპანიების, მულტინაციონალური კორპორაციების, კერძო ჯგუფების, დემოგრაფიული ნაკადის, მაფიოზური სტრუქტურებისა და რიგითი ინდივიდების სახით. სახელმწიფოებს უკვე აღარ შეუძლიათ, როგორც ადრე, აკონტროლონ მათი მოღვაწეობა, რომელიც სულ უფრო ხშირად ხორციელდება სახელმწიფო სუვერენიტეტის გვერდის ავლითა და მისი არსებობის მიუხედავადაც. ამ მიზნით სახელმწიფოს მონაპოლია საერთაშორისო ურთიერთობებში ენინდება, თუმცა იგი კვლავ აცხადებს ამაზე პრეტენზიას. გეოსტრატეგიული პრიორიტეტები კარგავს მნიშვნელობას. შიდა და საგარეო პოლიტიკა სულ უფრო ურთიერთგამჭვირვალე ხდება, მათ შორის საზღვარი თანდათანობით იშლება. საერთაშორისო ურთიერთობები კი სულ უფრო ტრანსნაციონალურ და ნაკლებად მართულ ხასიათს იძენს. სწორედ ზემოთქმულზეა ჩამოყალიბებული მ. ნიკოლსონის (M. Nicolson), „მონანილების პარადოქსი“: მისი არსია ის, რომ რამდენადაც ნაკლებია საერთაშორისო ურთიერთქმედების მონანილეთა რიცხვი და ამ ურთიერთობათა მრავალგვარობა, მით უფრო მონესრიგებულია საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა და პროგნოზირებადია ცალკეულ მონანილეთა ქმედებები და მათი შედეგები. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობები ივსება ახალი მონანილებით, პროგნოზირება და შესაბამისად სათანადო ეფექტური ღონისძიებების გატარება სულ უფრო რთული ხდება.

ლიბერალიზმის საკვანძო კონცეფციები

კოლექტიური უსაფრთხოება: სისტემის შიგნით მყოფი ნებისმიერი სახელმწიფო ეთანხმება იმ აზრს, რომ ერთის უსაფრთხოება ეხება ყველას და მზად არის შეურთდეს კოლექტიურ ძალებს აგრესიასთან დასაპირისპირებლად.

დემოკრატიის კოსმოპოლიტური მოდელი: რეგიონული პარლამენტების შექმნა და ამგვარი რეგიონული ორგანიზაციების (მაგალითად, ევროკავშირი) სულ უფრო მეტი ძალაუფლებით აღჭურვა. აღამიანის უფლებათა შესახებ არსებული კონვენციები მიღებულ უნდა იქნეს ნაციონალური პარლამენტების მიერ და მათ დაცვაზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ; გაერო უნდა შეიცვალოს ჭეშმარიტად დემოკრატიული და ანგარიშვალდებული გლობალური პარლამენტით.

დემოკრატიული მშვიდობა: ომი ნარმოუდგენელია დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის.

ინტეგრაცია: სახელმწიფოთა მჭიდრო დაკავშირების პროცესი რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტში.

ლიბერალიზმი: იდეოლოგია, რომლის ქვაკუთხედსაც ნარმოად-

გენს ინდივიდის თავისუფლება. ლიბერალთა უმრავლესობისათვის სახელმწიფოს შექმნა აუცილებელია ინდივიდის თავისუფლების შესანარჩუნებლად, რასაც შეიძლება დაემუქრონ სხვა ინდივიდები და სახელმწიფოები. მაგრამ სახელმწიფო ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს კოლექტიური ნების და არა ძალაუფლების მქონე სუბიექტის მსახური.

პლურალიზმი: ზოგადი ტერმინი, გავრცელებული ამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებაში. იყენებენ საერთაშორისო ურთიერთობათა ის თეორეტიკოსები, რომლებიც უარყოფენ სახელმწიფოს უპირველესობის რეალისტურ მრნამსს.

მსოფლიო მთავრობა: ასოცირებულია უპირველესად იმ იდეალისტებთან, რომლებიც მიიჩნევენ რომ მშვიდობა ვერასოდეს მიიღწევა სეპარატულ სახელმწიფოებად დანაწევრებულ მსოფლიოში. მშვიდობის უპირველესი გარანტია უნდა გახდეს საყოველთაო მსოფლიო მთავრობის შექმნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობუბის ურთიერთდამოკიდებულება და ტრანსნაციონალიზაცია; სახელმწიფოს მიერ ადრინდელი „მოდის კანონმდებლის“ როლის დაკარგვა მსოფლიო არენაზე ურთიერთქმედებისას; ძალისა და შესაბამისად ძალთა ბალანსის, როგორც ამ ურთიერთქმედებათა რეგულატორის, მნიშვნელობის შემცირება; „სუვერენიტეტის მიღმა მყოფი აქტორების“ რიცხვისა და მნიშვნელობის გაზრდა და ამით განპირობებული „მონაბილეობის პარადოქსი“. საზღვრების ნაშლა შიდა და საერთაშორისო პოლიტიკას შორის – ამგვარია „ტრანსნაციონალიზმის“ იდეური შესატანი საერთაშორისო ურთიერთობათა კანონზომიერებების შეცნობაში.

რაც შეეხება ნეომარქისიზმს, ანუ მსოფლიო სისტემის თეორიას, საერთაშორისო ურთიერთობათა კანონზომიერებების შესწავლისას მისი ამოსავალი წერტილია გლობალური კაპიტალისტური მსოფლიოსისტემის ჩარჩოებში არსებული ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, მსოფლიო მეურნეობის პერიფერიის დამოკიდებულება მის ცენტრზე. მსოფლიო-ეკონომიკის გლობალიზაცია, რომელსაც თან ახლავს ყველაზე მდიდარი ქვეყნებისა და ხალხების სიმდიდრის ზრდა, ინვესტიციების განვითარებისა და უმართავ დემოგრაფიულ ნახტომებს და მსოფლიო მასშტაბით აღმავალ პოლარიზაციას მდიდრებსა და ლარიბებს შორის. არსებობს იმის აღბათობა, რომ ამ პროცესების განვითარებისა და გამძაფრების პირობებში ყველაზე უპოვარი ჯგუფები შეძლებენ თავიანთი ძალისხმევის კოორდინირებას, რათა შეამსუბუქონ ამგვარი პროცესების არასასურველი შედეგები. ამგვარი კოორდინაციის შედეგი შეიძლება გახდეს სრულიად ახალი ტიპის სა-

ზოგადოებების, სახელმწიფოებისა და მსოფლიო წესრიგის ეტაპობრივი მშენებლობა.

ნეომარქესისტები ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტურ მსოფლიო-სისტემაში გაბატონებული ჰიპერლიბერალიზმის იდეოლოგია ცვლის ნაციონალური სუვერენიტეტის როლს. სახელმწიფოს როლი მათ მიერ განიხილება, პირველ რიგში, საბაზო ძალების დამხმარეს სახით და იგი კარგავს მოსახლეობის სოციალური დამცველის როლს. ლარიბი რეგიონების სასარგებლობა გადანანილება განიხილება ზემოაღნიშნული იდეოლოგიის ჩარჩოებში, როგორც „პროტექციონისტული ჩარევა“, რომელიც ენინააღმდეგება ბაზრის ლოგიკას. ამის გამო რეგიონები სულ უფრო ნაკლებად უკავშირებენ საკუთარ ინტერესებს ცენტრს. მდიდრებს აღარ უნდათ ლარიბებისათვის მატერიალური დოკუმენტის განანილება, ლარიბები კი თვლიან, რომ გამოყოფა ყველა პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა იქნება.

საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციას მივყავართ პოლიტიკური პროცესის მანიპულირებისაკენ მათი მხრიდან, ვისაც ხელენიფერი მისი დაფინანსება და ვინც ფლობს ნაციონალური და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისათვის აუცილებელ რთულ ტექნოლოგიებს. ასევე მივყავართ განვითარებული ქეყნების სამომხმარებლო მოდელების სტანდარტიზაციასა და იმიტაციისაკენ. მაგრამ იმავდროულად იგი ინვესტ დივერსიფიკაციასაც, იგი აფართოებს საერთაშორისო ურთიერთობებითა ახალი სუბიექტების გამოჩენის და მათ მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობებს, აძლიერებს კულტურის უნიფიკაციისაგან თავის არიდების სურვილს.

ამგვარად, ნეომარქესისტული მიმდინარეობის მთავარი დედაარსია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი ტენდენციების, როგორიცაა გლობალიზაცია, ურთიერთდამკიდებულების გაზრდა და დემოკრატიზაცია, სახელმწიფოს სუვერენიტეტის როლის შეცვლა, ნინააღმდეგობრივი ხასიათის მტკიცება.

ნეომარქესიზმის მაგალითზე (რომელიც ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური მიმდინარეობაა საერთაშორისო მეცნიერების დარგში) მკაფიოდ ჩანს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის პროცესში პოლიტიკური მეცნიერება ამოღის იმის აღიარებიდან, რომ არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების საერთო და ყველას მიერ გაზიარებული კანონზომიერებანი. შევეცდებით მათ რეზიუმირებას:

ერთ-ერთი ასეთი კანონზომიერებაა თანამედროვე მსოფლიოში ურთიერთდამკიდებულების ხარისხის გაზრდა, რომელიც გამოიხატება ეკონომიკური და ფინანსური პროცესების გლობალიზაციის,

ეკოლოგიური საფრთხის გაზრდის, საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის არაერთმნიშვნელოვანი და ნინააღმდეგობრივი მოვლენებით. ეს ურთიერთდამოკიდებულება სხვა-დასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული სხვადასხვა თეორიული ტრადიციებისა და თეორიების მიმდევართა მიერ. მაგრამ ის ფაქტი, რომ მოხდა მისი აღიარება, კერძოდ, პოლიტიკური რეალიზმის ისეთი თავ-გადაეცელი მომხრეების მიერ, როგორებიც სუკნენ გ. მორგენთაუ და რ. არონი (R. Aron), იმაზე მიუთითებს, რომ ახალი რეალობების გავლენით (პირველ რიგში, ლაპარაკია ბირთვულ იარაღზე) მსოფლიო განვითარებაში, ისინი მივიღნენ მის აღიარებამდე, რასაც ადრე უაპელაციოდ უარყოფნენ, კერძოდ, ატომურ ეპოქაში სრული უსაფრთხოება სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს თვისაც კი შეუძლებელია. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩნდება ახალი, საერთო ინტერესები, რომელთა განხორციელება შეიძლება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით.

ამასთან დაკავშირებულია მეორე კანონზომიერება, რომელსაც განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ტრანსნაციონალისტები და რომელსაც აღიარებენ არა მხოლოდ ნეომარქისტები, არამედ რეალისტებიც. მისი არსი შემდეგი სახისაა: სახელმწიფოები უკვე აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობათა ერთადერთ მონანილებს და ახალ აქტორთა (ტრანსნაციონალური კორპორაციები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები და ა.შ) მიმართ პოლიტიკა აღარ შეიძლება აიგოს საგარეო პოლიტიკის ტრადიციული გავების ჩარჩოებში. ამის გამო წარმოდგენა საერთაშორისო პოლიტიკაზე, როგორც შეჯიბრსა და მეტოქეობაზე სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, უნდა კორექტირებულ იქნეს და გასათვალისწინებელია განიარაღებისა და კოლექტიური უსაფრთხოების ფორმირების პროცესები. თავის მხრივ, ტრანსნაციონალისტები ხაზს უსვამენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზის ფუნდამენტად რჩება ძალაუფლების ცნება. ისინი მიიჩნევენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკასა და სახელმწიფოთა ქცევაზე, მაგრამ ხელისუფლებათა ქცევაც ასევე ახდენს გავლენას ურთიერთდამოკიდებულების მოდელებზე. სხვა სიტყვებით, საერთაშორისო ურთიერთებების მონანილეთა მრავალსახეობა, სახელმწიფო სუვერენიტეტის „შემსუბუქება“ და უსაფრთხოების შინაარსის შეცვლა არ იწვევს სახელმწიფოს გამოდევნას მსოფლიო პოლიტიკის არენიდან, იგი მხოლოდ ცვლის და ართულებს მის როლს სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში.

კიდევ ერთი კანონზმიერება ეხება საერთაშორისო სამართლის სფეროს. ცნობილია, რომ ნეოლიბერალთა თვალსაზრისით, საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარი რეგულატორები უნივერსალური

ზნეობრივი ნორმები, რომელთა კოდიფიცირებაც ხდება და ისინი იქცევიან სამართლებრივ იმპერატივებად. სწორედ ამ ნორმებზეა დაფუძნებული საერთაშორისო ინსტიტუტები. დაახლოებით მსგავსი პოზიცია უკავიათ ტრანსაციონალისტებს, რომლებიც თვლიან, რომ საერთაშორისო წესრიგის დამყარებისა და შენარჩუნების საფუძველი და საშუალება უნდა იყოს არანაციონალური ან თუნდაც ზენაციონალური ხასიათის ნორმები, სტრუქტურები, ინსტიტუტები და პროცედურები. თუკი ლიბერალები განმარტავენ საერთაშორისო სამართლს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთ ლეგიტიმურ რეგულატორს, პოლიტიკური რეალისტები და ნეომარქესიტები (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად სხვადასხვა მიზნებით) მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება საერთაშორისო სამართლის აბსოლუტიზაცია. ვინაიდან იგი შეიძლება ენინააღმდეგებოდეს ეროვნულ ინტერესებს ან არასამართლიანი იყოს ხალხებს შორის ურთიერთობისას.

თუმცა ყველა თეორიის ნარმომადგენელი აღიარებს, რომ საერთაშორისო სამართლში არსებული თანამედროვე ტენდენციები საერთაშორისო პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირის დემონსტრირებას ახდენს და ამ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება. საერთაშორისო სამართლი XIX ს-ში და უზრო ადრეულ საუკუნეებშიც ბატონობდა ყველა სუვერენულ სახელმწიფოზე და მის ამოცანას შეადგენდა არა ომის საფრთხის მოსპობა, არამედ მისი შეზღუდვა დროში, სიკრცეში, ნარმოების მეთოდებში და, შესაბამისად, მიზნად ჰქონდა ძალათა თანაფარდობის, ბალანსის დამყარება. XX ს-ის საერთაშორისო სამართლი კი მიზნად ისახავს ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნას სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. ზნეობრივი უნივერსალიებისა და საერთო-სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება არ არის ერთმნიშვნელოვანი პროცესი. კონფლიქტის შედეგი გლობალურ სოლიდარობასა და კონკრეტული სახელმწიფოს ინტერესების, კონკრეტული კულტურისა და ეთნონაციონალური ჯგუფის მხარდაჭერას შორის არ არის გარკვეული. ამდენად, არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ საერთაშორისო „საზოგადოება“ გახდება უნივერსალური ფასეულობებისა და ნორმების „საზოგადოება“, რომელიც შეცვლის და ისტორიას ჩააბარებს სახელმწიფოს, ეთნოსებისა და კულტურების ფასეულობებსა და ნორმებს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირების მცდელობები უნივერსალური ფასეულობებისა და ყველასათვის სავალდებულო ნორმების საფუძველზე, სულაც არ არის განწირული ნარუმატებლობისათვის, ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკაში, როგორც ამას ხაზს უსვამს გ. შვარცენბერგერი, არსებობს არა მხოლოდ ძალის კანონი, არამედ ურთიერთქმედების კანონი და კოორდინირებისა და ურთიერთშეთანხმების კანონიც კი.

შემდეგი კანონზომიერება ეხება საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირებას (თუმცა როგორც სისტემების ხასიათი, ისე მათი ფუნქციონირების კანონები შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული). სამიერ თეორიის ნარმომადგენლები აღიარებენ, რომ საერთაშორისო სისტემაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს ეკონომიკა, თუმცა ეს მათ სხვადასხვაგვარად ესმით: ნეორეალისტები ეკონომიკას განიხილავენ, როგორც ძალაუფლების რესურსს, ნეოლიბერალებისათვის ეს არის სახელმწიფოს აყვავებისა და სიმდიდრის ფაქტორი. მიიჩნევა, რომ ყველა საერთაშორისო სისტემის საერთო მახასიათებელია ის, რომ მასში მიმდინარე პროცესები განპირობებულია ყველაზე ძლიერი სახელმწიფოებითა და მათ შორის ურთიერთობებით. დაშვებულია საერთაშორისო სისტემებისა და მათი კლასიფიცირების კრიტერიუმების სხვადასხვა ტიპის არსებობა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებთ, რომ სწორედ პილიტიკურმა რეალიზმმა შემოიტანა ხმარებაში ისეთი ცნებები, როგორიცა ბიპოლარიზმი, მრავალპოლარიზმი. როგორც ცნობილია, ბიპოლარულ სისტემაში გაბატონებულია ორი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. თუკი მათ სიძლიერით გაუტოლდებიან სხვა სახელმწიფოები, მაშინ მსოფლიო მრავალპოლუსიანი ხდება. ძალთა თანაფარდობის დაცულ სისტემაში, რამდენიმე ზემდლავრი სახელმწიფო ინარჩუნებს დაახლოებით თანაბარ გავლენას მოვლენათა განვითარებაზე, დაბოლოს, იმპერიულ საერთაშორისო სისტემაში გაბატონებულია ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელიც თავის ძალით დიდად უსწრებს ყველა დანარჩენს. ამ სიძლიერის გამოხატულება შეიარაღების დონე, ეკონომიკური პოტენციალი, ბუნებრივი რესურსების მარაგი, ტერიტორიული სიდიდე და ა.შ.

ერთ-ერთი მთავარი იდეა, რომელზედაც დაფუძნებულია საერთაშორისო სისტემის კონცეფცია, ეს არის იდეა მისი კანონების შეცნობაში სტრუქტურის გადამზყვეტი როლის შესახებ. ამ იდეას იზიარებს მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა. მისი არსი შემდეგი სახისაა: სუვერენულ სახელმწიფოთა არაკოორდინირებული მოქმედება, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკუთარი ინტერესებით, აყალიბებს საერთაშორისო სისტემას, რომლის მთავარი მახასიათებელია ყველაზე ძლიერ სახელმწიფოთა შეზღუდული რაოდენობის დომინირება, მისი სტრუქტურა კი განსაზღვრავს ყველა საერთაშორისო აქტორის ქცევას. როგორც კ. უოლცი ნერს, ნებისმიერი სახელმწიფო იძულებულია გასწიოს სამხედრო ხარჯები, თუმცა ეს რესურსების არაგონივრული ხარჯვაა. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ასევე თავს ახვევს ყველა ქვეყანას ქცევის იმგვარ მიმართულებას ეკონომიკის ანდა ეკოლოგიის სფეროში, რომელიც შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს მის ინტერესებს. სტრუქტურა საშუალებას იძლევა გავიგოთ და

წინასწარ განვსაზღვროთ მსოფლიო არენაზე სახელმწიფოთა ქმედება, რომლებსაც ერთიდა იგივე წონა არ გააჩნიათ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში. იმის მსგავსად, როგორც ბაზრის მდგომარეობა განისაზღვრება რამდენიმე მსხვილი კომპანიის მიერ (რომლებიც ქმნიან ოლიგოპოლიტიკურ სტრუქტურას), ასევე საერთაშორისო-პოლიტიკური სტრუქტურა განისაზღვრება დიდი სახელმწიფოების ზეგავლენით, მათი ძალების თანაფარდობის კონფიგურაციით. ამ ძალების თანაფარდობაში ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის შეცვლა, მაგრამ საკუთრივ ამ სისტემის ბუნება, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა შეზღუდული რაოდენობის არსებობა არათანმთხვევევი ინტერესებით, შეცვლელი რჩება.

საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის მდგომარეობა წარმოადგენს მისი სიმყარისა და ცვალებადობის, თანამშრომლობისა და კონფლიქტურობის მაჩვენებელს. სწორედ მასში გამოიხატება სისტემის ფუნქციონირებისა და ტრანსფორმაციის კანონები.

რ. არონმა გამოყო საერთაშორისო სისტემის სამი განზომილება: ძალთა თანაფარდობის კონფიგურაცია, აქტორთა იერარქია, შემაღენლობის ჰომოგენურობა ან ჰეტეროგენურობა. პოლიტიკური რეალიზმის ტრადიციების სრული დაცვით, ის უმთავრეს განზომილებად მიიჩნევდა ძალთა თანაფარდობის კონფიგურაციას, რომელიც ასახავს „ძალაუფლების ცენტრებს“ საერთაშორისო სისტემაში და გავლენას ახდენს მის უმთავრეს ელემენტებს – სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებაზე. როგორც აღინიშნა, ამგვარი კონფიგურაციის ორი ტიპი არსებობს: ბიპოლარული და მრავალპოლუსიანი.

აქტორების იერარქია ასახავს მათ ფაქტობრივ არათანასწორობას სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, რესურსების, სოციო-კულტურული, იდეოლოგიური თუ სხვა საშუალებებით გავლენის თვალსაზრისით საერთაშორისო სისტემაზე.

საერთაშორისო სისტემის ჰეგემონური ან ჰეტეროგენული ხასიათი გამოხატავს თანხმობის ხარისხს, რომელიც მიღწეულია აქტორებს შორის ამა თუ იმ პრინციპთან დაკავშირებით (მაგ., პოლიტიკური ლეგიტიმურობის პრინციპთან) ან ფასეულობასთან (მაგ., საბაზრო ეკონომიკასთან, პლურალისტულ დემოკრატიასთან). რაც უფრო მაღალ დონეზე ეს თანხმობა, მით უფრო ჰომოგენურია სისტემა. სისტემის მეტ ჰომოგენურობაში კი უფრო მეტი ზომიერება და თანხმობაა. ჰომოგენურ სისტემაში სახელმწიფოები შეიძლება მეტოქები იყვნენ, მაგრამ არა პოლიტიკური მოწინააღმდეგები. საპირისპიროდ, ჰეტეროგენული სისტემა, რომელიც იხლიჩება ფასეულობითი და

იდეოლოგიური ანტიგონიზმებით, ქაოტური, არასტაბილური და კონფლიქტურია.

საერთაშორისო სისტემის კიდევ ერთი მახასიათებელია მისი „რეჟიმი“ (რეჟიმების შესახებ იხ. თავი V) ანუ საერთაშორისო მარეგულირებელი ფორმალური თუ არაფორმალური პრინციპების, ნორმების, შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების ერთობლიობა. ეს არის, მაგალითად, საერთაშორისო ეკონომიკურ გაცვლებში გაბატონებული პრინციპები, რომელიც 1945 წლის შემდეგ ლიბერალურ კონცეფციად ჩამოყალიბდა. მან დასაბამი დაუდო ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტების არსებობას, როგორიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.

ამგვარად, აქტორთა ქცევის დამოკიდებულება სისტემის სტრუქტურულ მახასიათებლებზე მიიჩნევა ყველაზე ზოგად მახასიათებლად.

საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის სისტემური მიდგომის ევრისტიკული ხასიათი არინვევს ეჭვს. იგი, კერძოდ, ვლინდება იმ თვალსაზრისით, რომ საკუთრივ მათი არსებობის იდეა სისტემურ კანონზომიერებებში შესაძლებლობას იძლევა ისინი გახსილულ იქნეს როგორც შედეგი მიღებული მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ მიღწეული გარევეული პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სტატუსკვოს შესახებ საერთაშორისო არენაზე, საერთოპლანეტარულ, რეგიონალურ ანდა სუბრეგიონალურ დონეზე. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი საერთაშორისო სისტემა ნარმოადგენს ძალთა თანაფარდობის არაფორმალურ ინსტიტუციონალიზაციას სახელმწიფოთა შორის შესაბამის სივრცობრივ და დროით კონტექსტში. იმავდროულად მიამიტური იქნებოდა გვეფიქრა, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირებისა და ტრანსფორმაციის შესახებ არსებული კანონზომიერებანი აღჭურვილი არიან სიმკაცრის იმ ხარისხით, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მათ საფუძველზე გაგვეკეთებინა უტყუარი პროგნოზები. საქმე ის არის, რომ რამდენადაც ღრმა არ უნდა იყოს ჩერიცოდნა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის შესახებ, ის მაინც არასრული რჩება – ვერ „მისდევს“ ობიექტურ რეალობის ევროლუციას.

ნათქვამი ეხება ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობათა კანონზომიერებებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები მეტად რთულ და მრავალნახნაგვან სისტემას ნარმოადგენს. აქ შესაძლებელია დავუშვათ გარკვეული ანალოგია ქაოსის თეორიასთან, რომელიც იმის გაცნობიერების შედეგი გახდა, თუ რაოდენ ძნელია რთული სისტემების ახსნა და მათი განვითარების პროგნოზირება. მაგალითისათვის, მეტეოროლოგებმა პირველად სცადეს გამოეყენებინათ კომპიუტერები ამინდის პროგნოზირებისათვის, მაგრამ საკმოდსწრაფად დარწმუნდნენ, რომ ამ სფეროში პროგნოზირება სამ დღეზე

მეტით, შეუძლებელია. გრძელვადიანი პროგნოზების სირთულეს წარმოადგენს ის, რომ მათი შედეგი დამოკიდებულია საწყის მონაცემებში უმნიშვნელო გადახრებზე. აღმოჩნდა, რომ იგივე მოვლენა შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვა სფეროებშიც. რთულ სისტემებს გააჩნიათ ის თავისებურება, რომ სისტემის ცალკეულ ნაწილზე კონტროლი არ უზრუნველყოფს მთლიანად სისტემაზე კონტროლს. ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ხორციელდება ამგვარი სისტემის ჩარჩოებში, გააჩნია ისეთი შედეგები, რომელთა არათუ პროგნოზირება, არამედ თვალთახედვის არეში დატოვებაც კი მეტად რთულია. კ. კეგლიმ (C. Kegley) აღნიშნა, რომ დასავლური კულტურის ტრადიცია საგნებისა და მოვლენების მექანიკურად აღქმაა. ეს ტრადიციები კი ყოველთვის არ ითვალისწინებს, რომ გარევეული საზღვრის შემდეგ სისტემები იღებს ხასიათს, რომელიც ხარისხობრივად განხსვავდება მისი შემადგენელი ნანილების ჯამისაგან. მართლაც, თუკი გავითვალისწინებთ 6 მილიარდი ადამიანის სხვადასხვა შეხედულებებს, 200-მდე მთავრობის არსებობას, რომელიც მათ მართავენ, თვითმართველობის აურაცხელ ორგანოებს, ათასობით არასამთავრობო ორგანიზაციას, ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ბანკებს, რელიგიური მიმდინარეობებისა და ეთნიკური ერთობების მრავალსახეობას, ინტერნაციონალიზებულ მსოფლიო ეკონომიკას, ტელესაკომუნიკაციონ სისტემების განვირცობას, ინფორმაციის რაოდენობის ზრდასა და მისი ხასიათის შეცვლას, ნათელი გახდება, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სფერო ყველაზე რთული სისტემაა, რომელიც შეიძლება მოინახოს ცოცხალი ბუნების გარეთ, და თუნდაც რომ დაშვებული არ იყოს შეცდომა ამ სისტემის ცალკეული შემადგენელი ნანილების ანალიზისას, მაშინ მათი ანალიზის მცდელობა ერთმანეთისაგან გამოცალევებულად მაინც არასწორ შედეგებს იწვევს. ამ მიზეზით, შესაძლებელია, საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ მთავარ კანონზომიერებას, რომელიც უნდა გაითვალისწინონ როგორც პოლიტიკოსებმა, ისე მკვლევრებმა, წარმოადგენს მისი მუდმივი ეკოლოგია, მემკვიდრეობით გადასვლა და ცვლილება. ყოველივე ამის კვლევისათვის საჭიროა გამოსვლა საგარეო-პოლიტიკური მოქმედების ვინწრო სტერეოტიპული ჩარჩოებიდან, ამ სფეროში დაგროვილი მთლიანი ცოდნის გამოყენება და, რა თქმა უნდა, მათი განვითარება.

საკვანძო საკითხები

- პოლიტიკური რეალისტების შეხედულებით, თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია დიდი სახელმწიფოების მუდმივი სწრაფვა შეინარჩუნონ საერთაშორისო არენაზე არსებული სტატუს-კვო, თუკი იგი მისაღებია მათი ინტერესებისათვის, ან მოინდომონ მისი შეცვ-

ლა, თუ ეს მათ ინტერესებში შედის.

- ნეოლიბერალების თვალსაზრისით, დღეს საერთაშორისო ურთიერთობების მრავალ სფეროში კერძო სუბიექტებსა და არც-თუ ისე დიდ სახელმწიფოებს გააჩინიათ გაცილებით უფრო დიდი შესაძლებლობები, ვიდრე ადრე.
- ნეომარქესისტები სახელმწიფოს როლს განიხილავენ, პირველ რიგში, საბაზრო ძალების დამხმარეს სახით. შესაბამისად, შემცირებულია სახელმწიფოს, როგორც მოსახლეობის სოციალური დამცველის, ფუნქცია.
- საერთაშორისო სისტემის „რეჟიმი“ არის საერთაშორისო მარეგულირებელი ფორმალური თუ არაფორმალური პრინციპების, ნორმების, შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების ერთობლიობა.

კითხვები და დავალებები:

1. რას მიიჩნევენ პოლიტიკური რეალიზმის თეორიის მომხრენი საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ კანონზომიერებად?
2. ნეოლიბერალთა თვალსაზრისით რამგანაპირობა ძალის მნიშვნელობის დაკინიხება?
3. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის რა განზომილებანი გამოყოფილია?
4. რა არის საერთაშორისო ურთიერთობათა „რეჟიმი“?
5. რას ნარმოდღენს „მონანილეობის პარადოქსი“?
6. რა საერთო კანონზომიერებებს აღიარებენ საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა თეორიის მიმდევრები?

ლიტერატურა:

- Idwin (ed.), Neorealism and Neoliberalism: The Contemporary Debate (New York: Columbia Univ. Press), 1993).
- Booth & M. Zalewski (eds.), International Theory: Positivism and Beyond (Cambridge: Cambridge University Press, 1996).
- S. Burchill & A. Linklater et al., Theories of International Relations (Basingstoke: Macmillan, 1996).
- C. Kegley (ed.), Controversies in International Relation: Realism and the Neoliberal Challenge (New York: St. Martin's, 1995).
- M. Frost, Ethics in International Relations: A Constitutive Theory (Cambridge: Cambridge University Press, 1996).

III. მსოფლიო კოლეგიას გლობალიზაცია

შესავალი: გლობალიზებული მსოფლიო

ახალი ტერმინის პოპულარობას ხშირად ის განაპირობებს, თუ რამდენად ზუსტად გამოხატავს იგი მსოფლიოში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს. ახალი იდეა უპირველესად ახალი სიტუაციის აღნერი-სათვისაა საჭირო. მაგ., როდესაც ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთონმა (J. Bentham) დანერგა ტერმინ „ინტერნაციონალურის“ გამოყენება, იგი გამოხატავდა თანადონულ ახალ რეალობას, კერძოდ, ნაციონალური სახელმწიფოების ნარმოქმნასა და მათ შორის არსებულ ურთიერთობებს. ამ ხანებამდე არ იყო საუბარი „საერთაშორისო ურთიერთობათა“ შესახებ, ვინაიდან საზოგადოებები არ იყო ორგანიზებული ეროვნულ (ნაციონალურ) საზოგადოებებად, რომლებიც იმართებოდნენ გარკვეული ტერიტორიული საზღვრების მქონე სახელმწიფოებით.

ორი საუკუნის შემდეგ, XX ს-ის 80-იან წლებში გახშირდა საუბარი „გლობალიზაციის“ შესახებ. ტერმინმა სწრაფად მოიპოვა ადგილი სტანდარტულ ლექსიკაში – არა მხოლოდ აკადემიურ წრეებში, არამედ ურნალისტთა, პოლიტიკოსთა, ბანკირთა, საქმოსანთა და ა.შ. შორისაც. მრავალ ენაში შეიქმნა მისი ეკვივალენტური ტერმინები. ჩვეულებრივი გახდა მსჯელობა გლობალურ ბაზრებზე, გლობალურ კომუნიკაციებზე, გლობალურ კონფერენციებზე, გლობალურ საფრთხეებზე და სხვ. 80-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობებისა და სხვა დისკიპლინების შემსწავლელებმა დაინტერეს მსჯელობა გლობალურ (როგორც ინტერნაციონალურისაგან განსხვავებულ) მმართველობაზე, გარემოს გლობალურ ცვლილებებზე, გლობალურ გენდერულ ურთიერთობებზე, გლობალურ პოლიტიკურ ეკონომიკაზე.

აქვე აღვინიშნავთ, რომ „გლობალური იდეები“ არსებობდა 80-იან წლებამდეც. ინგლისურად მოლაპარაკე ხალხებმა XIX ს-ის მინურულს დაინტერეს ზედასართავ „გლობალურის“ გამოყენება „მთლიანად მსოფლიოს აღსანიშნავად“. მანამდე ეს ტერმინი ნიშნავდა მხოლოდ „სფერულს“. ტერმინები „გლობალიზება“ და „გლობალიზმი“ ლიტერატურაში 1944 წელს გაჩნდა. 1961 წელს კი ვებსტერის ლექსიკონში შეიტანეს ტერმინი „გლობალიზაცია“, მაგრამ იგი ყოველდღიური ლექსიკის ნანილად მხოლოდ 80-იანი წლებიდან იქცა.

გლობალიზაცია: განსაზღვრება

თუკი ჩავთვლით, რომ გლობალიზაცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ისეთივე ლრმა ცვლილებების გამომხატველი ტერმინია, როგორც „საერთაშორისო“, მაშინ როგორ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მისი ზუსტი არსი? გლობალიზაციის კრიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ ტერმინი ხშირად მეტად ფართო და ბუნდოვანი მნიშვნელობით გამოიყიდა.

ენება. ამასთანავე, ხშირია ტერმინების „გლობალიზაციისა“ და „ინტერ-ნაციონალიზაციის“ სინონიმებად ხმარებაც. ასევე არ არის იშვიათი „გლობალური ურთიერთობებისა“ და „საერთაშორისო ურთიერთობების“ თანმთხვევები მნიშვნელობით გამოყენებაც.

1 უპირველესად კი ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ტერმინი „გლობალიზაცია“ უნდა ვიხმაროთ იმ პროცესების არსის გადმოსაცემად, რომელიც მიმდინარეობდა მსოფლიოში უკანასკნელი 40 წლის მანძილზე და განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 80-იანი წლებიდან. ამ შემთხვევაში იგი გამოხატავს იმ პროცესებს, რომელთა შედეგადაც საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესში თანდათანობით მცირდება მანძილისა და საზღვრების არსებობის მნიშვნელობა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, როდესაც ადამიანები მრავალფეროვანი და კომპლექსური გზებით არიან ურთიერთ კავშირში და ურთიერთ ქმედებენ, სულ უფრო მეტად ხდება განპირობებული და ორგანიზებული პლანტარული ერთობის მიერ. ამ ნიშნით, ქვეყნების ადგილმდებარეობა და, კერძოდ, მათ შორის საზღვრები, მიუხედავად მნიშვნელობის შენარჩუნებისა, უმეტესწილად მეორე პლანზე გადადის ჩვენი ცხოვრებისა და ძოლვანებისათვის. იგი იმ ტენდენციის გამოხატულებაა, რომლის შედეგადაც მსოფლიოში სულ უფრო მცირდება საზღვრების ჩაკეტილობა სახელმწიფოთა შორის.

ამ თვალსაზრისით, გლობალიზაცია უნდა განვასხვაოთ ინტერნაციონალიზაციისაგან. როგორც ამ უკანასკნელი ტერმინის კონსტრუქცია მიუთითებს, იგი გამოხატავს კავშირების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დომენებს შორის. ქვეყნებმა ერთმანეთზე მრავალმხრივი და ღრმა გავლენა შეიძლება მოახდინონ, მაგრამ მათ გამოცალკევებული და ურთიერთობამიჯნული ადგილები უკავიათ. საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესში სახელმწიფოები ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან მკაფიო საზღვრებით და ასევე იმ დროით, რომელიც ზოგადად საჭიროა მათ შორის არსებული მანძილების დასაფარავად. ამ განსხვავების არსის ნარმოსაჩენად საჭიროა ითქვას, რომ საერთაშორისო სფერო სხვადასხვა სახელმწიფოებისაგან შემდგარი ერთობაა, მაშინ, როცა გლობალური სფერო არის კავშირების „აბლაბუდა“, „ქსელი“, რომელშიც საზღვრების მნიშვნელობა უკიდურესად შემცირებულია. თუკი საერთაშორისო კავშირებისათვის, მაგ., ყავით ვაჭრობისათვის, ამ საქმესთან დაკავშირებულმა ადამიანებმა უნდა გადალახონ მნიშვნელოვანი მანძილი დროის გარკვეულ შუალედში, გლობალური კავშირებისათვის (მაგ., სატელიტური კავშირისათვის) არ არსებობს დისტანციები და ეს კავშირები, დროის თვალსაზრისით, პირდაპირია. გლობალური ფენომენი ერთდროულად შეიძლება გავრცელდეს მთელ მსოფლიოში და მისთვის გადაადგილებისათვის საჭირო დრო შესაძლე-

ბელია არაფერს ნიშნავდეს. „ინტერნაციონალური“ ურთიერთდამოკიდებულების პირობები კი უმეტესწილად მსოფლიოს ნაციონალურ სახელმწიფოებად დაყოფის შედეგია. „გლობალური“ ურთიერთება უშირის ხაზები იშვიათად ემთხვევა ტერიტორიული საზღვრების ჩარჩოებს. ამასთანავე, საერთაშორისო და გლობალური ურთიერთობები, რა თქმა უნდა, შეიძლება თანაარსებობდნენ. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიო ერთდროულად ინტერნაციონალიზებული და გლობალიზებულია.

გლობალიზაცია: სხვადასხვა დეფინიციები

„გლობალიზაცია აღნიშნავს ყველა იმ პროცესს, რომლებითაც მსოფლიოს ხალხები გაერთიანებულნი არიან ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში, გლობალურ საზოგადოებაში“. .

Martin Albrow

„გლობალიზაცია... შეიძლება განისაზღვროს, როგორც მსოფლიოს მომცველი საზოგადოებრივი ურთიერთობების ინტენსიფიკაცია, რომელიც იმგვარად უკავშირებს ერთმანეთს ურთიერთდაშორებულ ადგილებს, რომ ლოკალურ მოვლენებზე ზეგავლენას ახდენს ათასობით მილის დამორებით მომხდარი მოვლენები.“

Anthony Giddens

„გლობალიზაციის ტენდენციის მახასიათებლებში შედის პროდუქციის ინტერნაციონალიზაცია, შრომის ახალი საერთაშორისო დაყოფა, მიგრაციული მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, შეჯიბრის ახალი გარემოს შექმნა, რომელიც აჩქარებს ამ პროცესებს და სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაცია... რაც სახელმწიფოებს გლობალიზებული მსოფლიოს აგენტებად აქცევს.“

Robert Cox

„მსოფლიო ხდება გლობალური სავაჭრო სკივრი, რომელშიც იდეები და საქონელი ხელმისაწვდომია ერთდროულად ნებისმიერ ადგილას.“

Rosabeth Moss Kanter

„გლობალიზაცია არის ის, რასაც საუკუნეების მანძილზე მესამე სამყაროში ვუნიდებდით კოლონიზაციას.“

Martin Khor

გლობალიზაციის ასპექტები

გლობალური ურთიერთობების სპეციფიკის ნარმოსაჩენად, ალბათ, უპრინანია მოკლედ მიმოვისილოთ მისი უმთავრესი მახასიათებლები. მაგალითისათვის, კომუნიკაციების სფეროში გლობალიზაცია გამოიხატა კომპიუტერული კავშირების, ტელეფონის, ელექტრონული მასმედიის და სხვ. გზით. ამგვარი ტექნოლოგიები ადამიანებს საშუალებას

აძლევს ერთმანეთთან პირდაპირი კონტაქტები დაამყარონ მათი ტერიტორიული დაშორებისა და სახელმწიფოების საზღვრების მიუხედავად. ფაქსმა ოკეანის გაღმა ისევე სწრაფად შეიძლება მიაღწიოს, როგორც გამგზავნმა საკუთარი საძინებელი ოთახის კარებს, რომ არაფერი ითქვას ელექტრონულ ფოსტაზე.

ორგანიზაციების თვალსაზრისით, გლობალიზაცია გამოიხატება კომპანიების, ასოციაციების, სააგენტოების შექმნითა და მათი რიცხვის გაზრდით, რომელთა დაკავშირებაშიც ტერიტორიული საზღვრები აღარ ახდენენ გავლენას. იმგვარი ორგანიზაციები, როგორიცაა „ნისანის“ კორპორაცია, „საერთაშორისო ამნისტია“, „ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია“, საკუთარ სამოქმედო ასპარეზად მთელ მსოფლიოს მიმჩნევენ და მთელ კაცობრიობას თვლიან საკუთარ ამაგიმინდელ ან პოტენციურ კლიენტად.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, გლობალიზაცია დაკავშირებულია ისეთ ფენომენებთან, როგორიცაა კლიმატის პლანეტარული ცვლილება (ან „გლობალური დათბობა“), ოზონის ხვრელი, ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის ამონტურვის პრობლემა, მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება. გარემოს დაცვაზე შეუძლებელია იზრუნოს ცალკეულმა ქვეყანამ სხვებისაგან დამოუკიდებლად, ვინაიდან ამ შემთხვევაში მსოფლიო ერთიან ორგანიზმს წარმოადგვნს.

პროდუქციის თვალსაზრისით, „გლობალური ფაქტორი“ განსაკუთრებით თვალისაცემია, მაგ., ავტომობილებისა და მიკროელექტრონიკის წარმოების სფეროში. წარმოების სხვადასხვა სტადიები (კვლევა და ინოვაცია, ნაწილების დამზადება, აწყობა, ხარისხის კონტროლი და ა.შ.) არ არის ჩაკეტილი ნაციონალურ ეკონომიკაში, არამედ მოდებულია მრავალ ქვეყანაში, როგორც წარმოების ერთიანი ხაზი.

სამხედრო სფეროში ჩანს, რომ იწყება გლობალური იარაღის ხანა. ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტები, მზვერავი სატელიტები გარკვეული და მსოფლიოს ერთიან სტრატეგიულ სფეროდ აქციები. მაგალითისათვის, 1991 წლის სპარსეთის ყურის ოში ერთდროულად ჩართული იყო სატელიტური დაზვერვა, ზებგერითი დაბომბვები, ელექტრონული გადახდები საზღვრებს გარეშე ოპერაციის დასაფინანსებლად, პროპაგანდა მასმედიაში, და მსოფლიო „მთავრობის“ – გაეროს მეშვეობით შექმნილი ფართო კოალიცია ბალდადის წინააღმდეგ.

გლობალიზაციამ ასევე მოიცვა მრავალი წორმა, რომლებითაც იმართება ჩვენი ცხოვრება, რაშიც შედის ათასობით ტექნიკური სტანდარტი და ნაგულისხმევია (სამწუხაროდ, მხოლოდ თეორიულად) ადამიანის საყოველთაო უფლებები. ეს და სხვა მრავალი წესები ზეტერიტორიულ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე ქვეყნისათვის სპეციფიკურს.

ბოლოს კი, გლობალიზაცია მეაფიო გახდა ყოველდღიურ აზროვნებაში. საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები ადრინდელ თაობებზე გაცილებით უფრო მეტად აღიქვამენ მსოფლიოს ერთიანად. ალბათ, გარკვეული როლი ამ ცნობიერების ჩამოყალიბებაში შეასრულა 1966 წელს კოსმოსიდან პირველად გადაღებულმა დედამიწის ფოტოებმა.

ყოველივე ზემოთ ქმული რომ შევაჯამოთ, ნათელია, რომ გლობალიზაციას უაღრესად ფართო სპექტრი გააჩნია. ეს პროცესი გარკვეულ-ნილად შეეხმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ნებისმიერ სფეროს. ზემოთ ჩამოთვლილი იყო მისი იმგვარი გამოხატულებანი, რომლებიც ჩვენი მშობლების ახალგაზრდობაში წარმოუდგენელიც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩვენ გარკვეულნილად ერთიანი მსოფლიოს მოქალაქეებიც ვართ.

ისტორიული ფესვები

საკმაოდ რთულია იმ სპეციფიკური მომენტის მოძიება, როდესაც გლობალიზაციამ სტარტი აიღო. პერიოდიზაცია ყოველთვის საეჭვო და ბუნდოვანია, შეცვლისა და განვითარების დაფიქსირება კი უკი-დურესად რთული. მეცვლევრები სხვადასხვა დროით ათარიღებენ გლობალიზაციის დასაწყისს, კერძოდ: ახალი ისტორიის ეპოქის დასაწყისიდან (Modestki 1988); XIX საუკუნის შუა ხანებიდან (Robertson 1992); XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან (Rosenau 1990); ანდა 70-იანი წლებიდან (Harvey 1989). ამასთანავე, თუკი გლობალიზაციაში ვიგულისხმებთ ზეტერიტორიულობის პრინციპის აღზევებას, მისი დათარიღება შეიძლება მოხდეს რობერტსონისა და როზენაუს პოზიციების შეჯერებით.¹

რობერტსონი მართალია, რომ გლობალიზაციის ნიშნები ჩნდება XIX ს. შუა ხანებიდან, მაგრამ, ამასთანავე, ეს იყო მეტად შეზღუდული და ნელი პროცესი. მაგალითად, სატელეგრაფო კომუნიკაციები დაიწყო XIX ს-ის 40-იანი წლებიდან. მრავალი გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობა (მაგალითად, ფემინიზმი) და მარეგულირებელი კავშირები (მაგ., საყოველთაო საფოსტო კავშირი) XIX ს-ის მიწურულს წარმოიშვა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ძალას იკრებს საკონტინეტთაშორისო მოქალაქეებისათვის რადიომაუნიყებლობა.

მეორე მხრივ, გლობალიზაცია XX საუკუნის 60-იან წლებამდე არ იყო განვითარებადი, ხელშესახები, ინტენსიური და შედეგების სწრაფად მომტანი, რომელსაც გავლენა ექნებოდა კაცობრიობის ცხოვრებაზე. შესაბამისად, გლობალიზაციის მკაფიოდ გამოხატულ შედეგებზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ XX ს-ის II ნახევრიდან. პირდაპირი სატელეფონო კავშირი ვითარდება 80-იანი წლებიდან; 60-იან წლებიდან გავრცელებას იწყებს ტელევიზორები, რომელთა რიცხვი 90-იანი წლებ-

ის მინურულს 8330 მლნ-ს უტოლდება; შექმნილია 40 ათასი ტრანსნაციონალური კორპორაცია, ყოველდღიურად მთელ მსოფლიოში ხდება 1,230 მლრდ. აშშ დოლარის სავაჭრო და ფინანსური ოპერაცია, კომერციულ მგზავრთა რიცხვი საპარავო ხაზებზე ყოველწლიურად მილიარდს აჭარბებს, არსებობს სხვადასხვა გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და გლობალური სოფლის მეტაფორურები. მთელი სისრულით გამოხატული გლობალიზაცია სრულიად ახალი მოვლენაა.

კვალიფიკაციები

რადგან დავადგინეთ, რომ გლობალიზაცია უმნიშვნელოვანესი და შედარებით ახალი შემობრუნების ნერტილია მსოფლიო ისტორიაში, უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შეხედულებები მისი შინაარსის, სიღრმის, მიზეზებისა და შედეგების შესახებ. სამწუხაოდ, მსჯელობები გლობალიზაციის შესახებ გამარტივებული, გადაჭარბებული ან პირიქით, მისი მნიშვნელობის დამაკინებელია. ქვემოთ მოყვანილი ხუთი კვალიფიკაცია მიზნად ისახავს პასუხი გაეცეს მის მიმართ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნას და ჩამოყალიბდეს უფრო განვითარებული და მეცნიერული განსაზღვრება პროცესის გასაგებად.

პირველი, გლობალიზაცია ყველგან ერთი და იმავე მოცულობის არ არის. მაგალითისათვის, დისტანციის როლის შემცირება და ზეტერიტორიულობის პრინციპი გაცილებით უფრო თვალსაჩინოა ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, წყნარი კერანის რეგიონში, ვიდრე აფრიკასა თუ ცენტრალურ აზიაში. გლობალური კომპანიებისა და ელექტრონული ფოსტის მსგავსი ფენომენები ძირითადად კონცენტრირებულია ე.წ. ჩრდილოეთში. დამატებით, გლობალიზაცია უფრო მეტად შეეხო ქალაქების მცხოვრებთ, პროფესიონალებს, ახალგაზრდობას, ვიდრე სხვა ჯგუფებს (თუმცა პროცესის შედეგებს, კარგად თუ ავად, მეტ-ნაკლებად ყველა იმკის). გლობალიზაციაზე მსჯელობისას ხაზი უნდა გავუსვათ მის უმთავრეს მახასიათებელს: იგი უპირველესად აღნიშნავს იმას, რომ მრავალი მოვლენა თანამედროვე მსოფლიოში სცდება ტერიტორიულ საზღვრებს და მანძილიამ მოვლენებისათვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას.

მეორე, გლობალიზაცია, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს, არ არის პომოგენიზაციის პირდაპირი და მარტივი პროცესი. მართალია, ტერიტორიული გეოგრაფიის გამჭვირვალებობა ელექტრონული მედიისა თუ სხვა საშუალებებით ხელს უწყობს საგნების, იდეების, სტანდარტებისა და ჩვეულებების ერთიანი ღირებულებების შექმნას, მაგრამ გლობალიზაცია სულაც არ ნიშნავს კულტურული მრავალგვარობის დასასრულს. მაგ., სხვადასხვა აუდიტორია გლობალურ ფილმს სხვადასხვა გვარად აღიქვამს და გლობალური პროდუქტი სხვადასხვა გვარად შეიძლება იქნეს გამოყენებული სპეციფიკური ლოკალური მოთხოვნებისა

და ჩეეულებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, იდენტურობის დაკარგვის შიშმა გლობალიზაციის საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია და შესაძლოა ეს წინააღმდეგობა არნახული სიძლიერისაა. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ნაციონალური, ეთნიკური, და რელიგიური რევაივალისტური მოძრაობების წინ ნამონევას XX ს-ის 60-იანი წლებიდან. ამგვარად, გლობალიზაცია მოიცავს ურთიერთშეჯიბრში მყოფი ელემენტების კომპლექსს, რომელთაგან ერთი ტენდენცია კულტურული ერთიანობისაკენა მიმართული, ხოლო მეორე უფრო აშკარას ხდის საზოგადოებებს შორის სხვაობებს.

მესამე, გლობალიზაციამ არ მოსპო ადგილის, მანძილის, ტერიტორიული საზღვრების მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში. მართალია, პროცესმა დამატებითი განზომილება შესძინა გეოგრაფიას საზოგადოებრივ ურთიერთობებში კიბერსივრცის შექმნით, ელექტრომაგნიტური ტალღებით კომუნიკაციით და ა.შ., მაგრამ ეს არ წიშნავს, რომ ალარ არსებობს გრძელისა თუ განედის ძეველი გეოგრაფიული ცნებები. მაგ., ტერიტორია კვლავაც ინარჩუნებს მნიშვნელობას ბუნებრივი რესურსების ადგილმდებარეობის, ეროვნული იდენტურობის გამოხატვის და ა.შ. გამო. მანძილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს, როდესაც საქმე ეხება ისეთ მოვლენებს, როგორიცაა მოგზაურობა ან ვაჭრობა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საზღვრები აკავებენ მიგრაციას და იცავენ საზღვრებს, თუნდაც რომ საზღვრების დაცვამ ვერ უზრუნველყოს თავდაცვა სარაეტო დარტყმებისა და ელექტრონული ფულის ტრანსფერებისაგან. ამგვარად, გლობალიზაცია სულაც არ წიშნავს „გეოგრაფიის დასასრულს“, არამედ იგი ქმნის ახალ ზეტერიტორიულ სივრცეს, რომელიც არსებობს და კავშირშია ძველ ტერიტორიულ გეოგრაფიისათან. მსოფლიოს საქმეთა „რუკა“ ამგვარად გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე.

მეოთხე, გლობალიზაცია არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ცალკე არსებული მამოძრავებელი ძალა. პროცესი არ შეიძლება შემოისაზღვროს, მაგ., მხოლოდ ამერიკითა და დასავლეთ ევროპით, განისაზღვროს კაპიტალიზმის აუცილებელ შედეგად, ან ინდუსტრიული რევოლუციის წინასწარ განსაზღვრულ პროდუქტად, ან უნივერსალური ჭეშმარიტების თანამედროვე სეკულარულ ძიებად. ალბათ, მასში არსებობს ყველა ამ ზემოთ მოყვანილ არგუმენტთა და სხვების ნაწილი, მაგრამ ცალკე აღებული, ისინი ვერ ასახავენ მის არსა. გლობალიზაციის სრულყოფილი ახსნა მოითხოვს ურთიერთეკავშირში მყოფი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური და ფინანსურული ძალების კომპლექსურ ერთობლივ განხილვას, რომელთაგან ზოგიერთი მას აძლიერებს, ზოგიერთი კი ენინააღმდეგება.

მეხუთე, და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, გლობალიზაცია არ

ნარმოადგენს პანაცეას. ზოგიერთმა ლიბერალმა თეორეტიკოსმა საზე-იმოდ განაცხადა „საზღვრებს გარეშე მსოფლიოს“ ეპოქის დასაწყისი, როგორც საყოველთაო უთანასწორობის მოსპობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და თავისუფლების გამოხატულება (Ohmae 1990). სამზუხაროდ, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის გამოცდილება საპირისპიროზე მეტყველებს. ადამიანებს, რომლებიც დამოკიდებული არიან საჟუთარ სქესზე, კლასობრივ ნარმომავლობაზე, რასაზე, ეროვნებაზე, რელიგიასა და სხვა სოციალურ კატეგორიებზე, ხშირად გლობალიზაციის პროცესში არათანაბარი ხმა და არათანაბარი სარგებელი გაწინათ. სილარიბე ისევ სახიფათო მასშტაბებისაა გლობალიზებულ მსოფლიოში. ეკოლოგიური დეგრადაცია არასოდეს ყოფილა ესოდენ საგრძნობი. იზრდება შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვი. გლობალიზაცია არ არის ფორმულა დემოკრატიზაციისათვის. არ არსებობს აეტომატური კავშირი გლობალიზაციასა და ემანსიპაციას შორის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ შეიძლება არც იმის თქმა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში გლობალიზაციის შედეგად არაფერი შეცვლილა და არც მისი საყოველთაო და ყველასათვის მისაწვდომი შედეგების არსებობის მტკიცებაა მიზანშენონილი.

საკვანძო საკითხები:

- გლობალიზაცია ასახავს პროცესს, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს და რომლის საშუალებითაც მსოფლიო სულ უფრო ერთიანი ხდება.
- გლობალიზაცია მეტ-ნაკლებად შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს.
- მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პირველი ნიშნები გამოჩნდა XIX ს-ის შუა ხანებში, ამ პროცესის სრულფასოვნების მესახებ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ XX ს-ის 60-იანი ნლებიდან.

გლობალიზაცია და სახელმწიფოთა სისტემა

დისკუსიები გლობალიზაციის შესახებ ხშირად გულისხმობს ისტორიულ ცვლილებათა შესაწავლას. მკვლევრები სვამენ კითხვას – როდის გახდა მსოფლიო ერთიანი და, ამასთანავე, რა პირობებში მოხდა ეს ფუნდამენტური ცვლილება. მაგალითად, შეუძლია თუ არა მოიტანოს მანძილისა და ტერიტორიული საზღვრების მნიშვნელობის შემცირებამ პროდუქციის ნარმოების არსებული ფორმების ცვლილება? შეუძლია გლობალიზაციის შეცვალოს ის გზა, რომლითაც ხალხი აყალიბებს საჟუთარი იდენტურობის გრძნობასა და საზოგადოებას? ყოველივე ამის შედეგად ისინი უფრო მეტად თუ უფრო ნაკლებად ნაციონალისტური ხდებიან? შეუძლია პროცესს შეცვალოს ურთიერთობა ადამიანსა და

ბუნებრივ გარემოს შორის? შეუძლია გლობალიზაციას შეცვალოს ის გზა, რომლითაც ადამიანები იქმნიან ნარმოდენას სამყაროს შესახებ? შეუძლია მას ხელი შეუწყოს რელიგიურ რევაივალიზმს? შეუძლია გლობალიზაციას გარდაქმნას მმართველობის სტრუქტურები?

ამ კითხვებზე საპასუხოდ, სხვადასხვა მკვლევრები გლობალიზაციას უკავშირებენ საინფორმაციო საზოგადოების ნარმოშობას, გვიანდელი კაპიტალიზმის დასაწყისს, პოსტ-მოდერნიზმის ტრიუმფს, კომუნიზმის კრახს, ისტორიის დასასრულს. ამ თვალსაზრისებით, გლობალიზაცია აღინირება გარდამავალ ფაზად ისტორიულ ეპოქებს შორის. განვიხილავთ გლობალიზაციის შედეგებს სახელმწიფოთა სისტემისათვის და შემდგომ შევეხებით მმართველობის უფრო ფართო ნიმუშებს.

ვესტიულიის სისტემა

რამდენიმე ათწლეულის ნინ, ინტენსიური გლობალიზაციის დაწყებამდე, მსოფლიო პოლიტიკა უმთავრესად ორგანიზებული იყო ე. ნ. ვესტიულიის სისტემის საფუძველზე. სახელწოდება მოდის ვესტიულიის ზავიდან (1648წ.), რომელიც ნარმოადგენს იმ უმთავრესი პრინციპების ადრეულ ოფიციალურ გამოხატულებას, რომელიც დომინირებდა მსოფლიოში სამი საუკუნის მანძილზე. ვესტიულიის სისტემა სახელმწიფოთა სისტემა იყო. XIX—XX სს-ში სახელმწიფოებმა თანდათანობით მიიღეს ეროვნული სახელმწიფოების ფორმა, დაიწყო ტერმინების „საერთაშორისოსა“ და „სახელმწიფოთაშორისოს“ გამოყენება და ვესტიულიის სისტემა ხშირად აღინირებოდა, როგორც „საერთაშორისო სისტემა“.

ვესტიულიის სისტემა ნარმოადგენდა მმართველობის ჩარჩოს. ეს იყო გზა გარკვეული სოციალური წესრიგის დამყარების, გაძლიერებისა და მისთვის თვალყურის დევნისათვის. მის საფუძველს ნარმოადგენდა სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის პრინციპი. სახელმწიფოებრიობა ნიშნავდა, რომ მსოფლიო დაყოფილი იყო ტერიტორიულ ნაწილებად, რომელთაგან თითოეულს მართავდა დამოუკიდებელი ხელისუფლება. ეს მოდერნისტული სახელმწიფო იყო ცენტრალიზებული, ფორმალურად ორგანიზებული საზოგადოებრივი სახელისუფლო აპარატი, რომელიც იყენებდა ლეგალურ მონოპოლიას შეიარაღებული ძალის სახით თავისი იურისდიკციის საზღვრებში. ვესტიულიის სისტემა, ამასთანავე, სუვერენული იყო. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ახორციელებდა ყოვლისმომცველ, უზენაეს, შეუზღუდავ და ექსელუზიურ კონტროლს განსაზღვრული ტერიტორიის ჩარჩოებში. ყოვლისმომცველი მმართველობა ნიშნავს, რომ პრინციპში სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია იურისდიკცია საკუთარ ქვეყანაში ნებისმიერ საქმიანობაზე. უზენაესი მმართველობა ნიშნავს, რომ არ არსებობს მასზე ზემოთ

მდგომი ხელისუფლება და სუვერენულ სახელმწიფოს ეკუთვნის საპოლოო სიტყვა მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. შეუზღუდავი მმართველობა ნიშნავს, მიუხედავად ამისა, რომ ვესტიალიის სისტემის ეპიქაში ზოგჯერ იყო დებატები ჰუმანიტარული ჩარევის მოვალეობის შესახებ, მაგრამ სახელმწიფოთა უფლება ტოტალურ იურისდიქციაზე საკუთარ საზღვრებში მიიჩნეოდა შეუვალად სხვა სახელმწიფოთათვის. დაბოლოს, ექსკლუზიური მმართველობა ნიშნავს, რომ სახელმწიფო შინაურ საქმეებში არავის უნანილებდა თავის კომპეტენციას. სახელმწიფოთა შორის არ არსებობდა „საზიარო სუვერენიტეტი“.

საზიუნდა გაესვას, რომ ვესტიალიის სისტემა ისტორიული ფენომენი იყო. სხვა სიტყვებით, სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა მმართველობის განსაკუთრებულ ჩარჩოს ქმნიდა, რომელიც ყალიბდებოდა კონკრეტულ დროში არსებული სპეციფიკური პირობების შედეგად. სუვერენიტეტზე დამყარებული სახელმწიფოებრიობა არ არის დროისაგან დამოუკიდებელი ბუნებრივი ფენომენი: პოლიტიკა წარმოებდა ამ პრინციპისათვის უპირველესობის მინიჭების გარეშე XVII საუკუნის ჩათვლით და არ არსებობს იმის მიზეზი, რომ მსოფლიოს ისტორიამ არსებობა არ განაგრძოს სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის უარყოფის შემდეგაც.

სუვერენიტეტის დასასრული

რეალურად, ვესტიალიის სისტემა უკვე ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო აპარატი კვლავაც აგრძელებს არსებობას და ზოგიერთი თვალსაზრისით, იგი უფრო ფართო და ძლიერია – იმდენად ზემოქმედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, როგორც არასდროს. თუმცა, ვესტიალიის სისტემის სუვერენიტეტის ნორმა ალარარის ქმედითი და ალარც შეიძლება აღდგეს მთელი სისრულით ამჟამინდელ გლობალიზებულ მსოფლიოში. სუვერენიტეტის კონცეფცია კვლავაც მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ხალხებისათვის, რომლებისთვისაც გლობალიზაციის შედეგები არცთუ ისე შესამჩნევია და რომელთა ეროვნული თვითგამორკვევის პროცესსაც იგი გარეკეულნილად ხელს უშლის. მიუხედავად ამისა, როგორც იურიდიული, ისე პრაქტიკიული თვალსაზრისით, სახელმწიფოს მარეგულირებელი ძალა ალარ ეყრდნობა იმდაგვარად სუვერენიტეტს, როგორც ადრე.

სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს მსოფლიოს ტერიტორიულ დაყოფას. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ განახორციელოს ექსკლუზიური ძალაუფლება მოცემულ დომენზე, მოვლენები უნდა ხდებოდეს ფიქსირებულ ადგილებზე, რომლებზეც უნდა ვრცელდებოდეს იურისდიქცია. გლობალიზაციის პირობებში კი საზოგადოებრივი ურთიერთობები მკაფიოდ გამოხატულ ზეტერიტორიულ ხასიათს იძენს და

საზღვრები უპრობლემოდ გადაილახება ელქტრონული თუ სხვა გზებით. ამდენად, სუვერენიტეტის ეფექტურად განხორციელების საშუალება მცირდება.

მატერიალურ-ტექნიკურმა განვითარებამ, ერთი მხრივ, შეამცირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი. თანამედროვე სახელმწიფო პრაქტიკულად უძლურია მარტი გააკონტროლოს, მაგ., გლობალური კომპანიები, სატელიტური კავშირები, გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, გლობალური ვაჭრობა.

ამგვარ ცვლილებებთან ერთად გლობალიზაციამ ასევე მოიტანა სუვერენიტეტის ზოგიერთი ფუძემდებლური კულტურული და ფინანსურული მახასიათებლის მნიშვნელობის შემცირება. მაგ., საზღვრების გარეთ დამაკავშირებელი საშუალებების შექმნით ადამიანებმა შეისისხლეორცეს მრავალი ისეთი თვისება, რომელიც ემატება და ხშირად ამცირებს ეროვნული გრძნობებისა და სოლიდარობის როლს, რაც ადრე სახელმწიფო სუვერენიტეტს ლეგიტიმურობას ანიჭებდა. გლობალური კონფერენციების, გლობალური ტელეკომუნიკაციების და ა.შ. წყალობით მნიშვნელოვანი ზეტერიტორიული კავშირები გამოიხატა ქალების, სექსუალური უმცირესობების, ინვალიდების მოძრაობების, კომპიტერულ-მედია კომპანიების სახით. მრავალი ხალხი თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში სულ უფრო მეტად ამჟღავნებს მზადყოფნას, რომ უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს ეკონომიკურ ნინისვლას, ადამიანის უფლებებსა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ვიდრე სახელმწიფო სუვერენიტეტსა და მასთან ასოცირებულ ეროვნული თვითგამორკვევის ნორმას. თუმცა, როგორც აღინიშნა, გლობალიზაცია ასევე იწვევს ეროვნული გრძნობების გაღვივებასაც.

სახელმწიფოები ირჩევენ სუვერენიტეტის ნაწილის დათმობის გზასა და დონეს გლობალიზაციის პირობებში, მაგრამ ისინი არ იბრძვიან მის შესაჩერებლად. მაგალითად, ჩინეთის ხელისუფლებამ, რომელიც განსაკუთრებულად ხაზს უსვამს სუვერენიტეტზე დამყარებული მსოფლიოს არსებობის აუცილებლობასა და მარადიულობას, 90-იანი წლების ათწლიან ეკონომიკურ პროგრამაში ცენტრალური ადგილი მიანიჭა „გლობალურ ურთიერთდამოკიდებულებას“. ბუნებრივია, საკუთრივ ვესტფალიის სისტემაშიც არ ხდებოდა სუვერენიტეტის დაცვა, მაგრამ იგი პიპოთეტურად მაინც განხორციელებადად ითვლებოდა. სახელმწიფოს შეეძლო, ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების გაძლიერებით, მიეღწია უბრალო ლეგალური სუვერენიტეტიდან ეფექტური სუვერენიტეტისათვის. საპირისისპიროდ, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მმართველობა, უზენაესი და ექსკურსიური სახელმწიფო ტერიტორიული ხელისუფლების სახით, მეტად არაპრაქტიკული გახდა. ამასთან ერთად, მრავალ პოსტკოლონიურ სახელმწი-

ფოს, რომელიც გლობალიზაციის ხანებში შეიქმნა, არასოდეს გააჩნდა სუვერენობა.

სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა

თუ ეკი გარკვეულნილად გლობალიზაციამ სუვერენიტეტის დაქნინება გამოიწვია, სულაც არ მომხდარა სახელმწიფოების მოსპობა. საპირისპიროდ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ., სომალისა და ავღანეთში) უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერებული ჩანს, კომუნისტური მმართველობის კოლაფის შედეგად შექმნილმა ბუნდოვანებამაც მხოლოდ მცირედით თუ შეცვალა სახელმწიფო საზღვრები. როგორც მმართველობის სტრუქტურა, სახელმწიფო რჩება უცვლელად აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე.

ამასთან ერთად, მრავალმა მთავრობამ შეძლო გლობალიზაციის პერიოდში გაეძლიერებინა გადამხდელუნარიანობა, ბიუჯეტი, მოქმედების არეალი და ზედამხედველობის შესაძლებლობანი. ამჟამად მცირე ნიშნებია იმისა, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს ცენტრალიზებულ სუვერენიტეტზე დამყარებულ მსოფლიო მმართველობის სისტემაზე დომინირებად ტენდენციას, რასაც ლიბერალი უნივერსალისტები წინასწარმეტყველებდნენ და არც ლოკალური საზოგადოებების გზით მსოფლიოს მომცველი ანარქიული მმართველობაა, როგორც ამას ეკოლოგისტი რადიკალები ქადაგებდნენ. შესაბამისად, გლობალისტური პროგნოზი სახელმწიფოს მოსპობის შესახებ მცდარი გამოიდგა. არც ისინი და არც სახელმწიფოსათვის ცენტრალური როლის მიმნიჭებული რეალისტები მართლები არ აღმოჩნდნენ. გლობალიზაციამ არ გამოიწვია სახელმწიფოების დაშლა, მაგრამ იმის თქმაც არ შეიძლება, რომ იგი სახელმწიფოებს არ შეეხო. პოლიტიკის შემსწავლელი სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად ცვლის თანამედროვე ისტორიაში ზეტერიტორიული სოციალური სივრცის წარმოქმნა სახელმწიფოს მოღვაწეობასა და როლს. შეიძლება გამოყენოთ ორი ზოგადი ცვლილება:

1) გლობალიზაციის გავლენით სახელმწიფოს ზემოქმედების სფერო იცვლება. სუვერენული სახელმწიფო ჩვეულებრივ ახორციელებდა საშინაო ინტერესებს და მოქმედებდა, როგორც დამცავი ბარიერი გარეგანი საფრთხისაგან. საწინააღმდეგოდ, პოსტსუვერენული სახელმწიფო ისევე ცდილობს გლობალური მიზნების განხორციელებას, როგორც ეროვნული ინტერესებისაც. მაგ., ირანული სახელმწიფო 80-იან წლებში დიდ მხარდაჭერას იჩენდა მსოფლიო ისლამიზის მიმართ. უფრო ზოგადად, თანამედროვე სახელმწიფოები ხშირად ემსახურებიან გლობალური კაპიტალის ინტერესებს (ზოგჯერ წაციონალური კაპიტალის საზიანოდაც კი).

2) არსებობს თვალსაზრისი, რომ გლობალიზაციამ შეამცირა

სახელმწიფოთა შორის ომის დაწყების საფრთხე. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობა წარმოადგენს შიდა ამბოხს არსებული ხელისუფლების ნინააღმდეგ და არა შეიარაღებულ კონფლიქტს სახელმწიფოებს შორის. მაგრამ საბოლოო დასევნების გაეცემა ჯერჯერობით წაადგრევია. თუმცა გლობალური ინტერესების წარმოქმნამ მნიშვნელოვანად შეამცირა სახელმწიფოთა სურვილი ტერიტორიული დაპყრობებისა. სახელმწიფოთაშორისო დაპირისპირება მეტად მავნეა გლობალური კაპიტალიზმისათვის, გარემოს გლობალურ დაცვაზე ზრუნვისათვის, გლობალური ტურიზმისათვის და ა.შ.

საკვანძო საკითხები

- გლობალიზაცია დაკავშირებულია მრავალ პოტენციურად შორსმიმავალ ცვლილებასთან მსოფლიო წესრიგში.
- გლობალიზაცია წარმოადგენს ვესტაფალიის სახელმწიფოთა სისტემისა და მისი ქვაკუთხედის – სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპის ფუნდამენტურ ცვლილებას.
- მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციამ დააკნინა სუვერენიტეტი, ეს არ ნიშნავს, რომ მან გამოინვია სახელმწიფოთა დაშლა.
- პოსტსუვერენული სახელმწიფო შეიძლება მნიშვნელოვანად განსხვავდებოდეს თავისი ვესტაფალიის ნინამორბედისაგან.

პოსტსუვერენული მმართველობა

თუკი პოლიტიკა არცთუ ისე დიდი ხნის წინ ემყარებოდა სუვერენული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლურ პრინციპს, როგორ მოქმედებს მმართველობა თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში? ზემოთ ხაზგასმული იყო, რომ სახელმწიფოს ისევ მნიშვნელოვანი ძალა გააჩნია, მაგრამ, ამასთანავე, მისი შემძლეობა, ორიენტაციები და მოღვაწეობის სფეროები იცვლება სუვერენიტეტის დაკნინებასთან ერთად. იმავდროულად სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელმა აქტორებმა ასევე მოიპოვეს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო მმართველობის პროცესში. მათი მცდელობა, განსაზღვრონ წესები და ნორმები, ხშირად ავსებს სახელმწიფოთა მოღვაწეობას, მაგრამ სხვა შემთხვევებში ისინი შეიძლება დაუპირისპირდნენ წაციონალური მთავრობების ინიციატივებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მსოფლიო მმართველობა დღეს შორს დგას იმისგან, რომ შეამციროს სახელმწიფოთა სისტემის როლი.

სუბსახელმწიფოებრივი გლობალური მმართველობა

თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია პირდაპირი, საზღვრების გარეშე კავშირების განვითარება

სუბსახელმწიფოებრივ ხელისუფლებათა შორის, რასაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივები შემოაქვს ცენტრალურ ხელისუფლებათა გვერდის ავლით. მაგ., მრავალ კანადურ და ჩინურ პროგნოსიას, აგრეთვე ამერიკის ზოგიერთ ფედერალურ შტატს ამჟამად გააჩნია საკუთარი „დიპლომატიური“ მისიები, რომლებიც შედარებით დამოუკიდებლად მოქმედებენ მათი შესაბამისი ნაციონალური საელჩოებისაგან. ევროპაში ორმოცდაათამდე რეგიონულ მთავრობას ჩვიდმეტი ქვეყნიდან აქვს პირდაპირი კონტაქტები ევროპულ რეგიონთა ასამბლეის, რეგიონთა ევროპის კავშირის კომიტეტისა და 70-იანი წლებიდან შექმნილი სხვა მსგავსი ორგანიზაციების საშუალებით.

მუნიციპალურ დონეზე ასევე განვითარდა სხვადასხვა სახის „ტრანსსუვერენული“ პოლიტიკა ლოკალურ ხელისუფლებათა მიერ იმგვარ სფეროებში, როგორიცაა გარემოს დაბინძურების კონტროლი, განიარღება, დანაშაულის ნინააღმდეგ პრევენტიული ზომები და თანამშრომლობა განვითარებისათვის. ამგვარი ტენდენციები შესაძლოა ალოგიურიც იყოს, განსაკუთრებით ცენტრალური მეტროპოლიების თვალთახედვიდან. გლობალური კაპიტალის ნაკადები, საპარო დერეფნები და ტელეკომუნიკაციების ქსელი ხშირად ერთმანეთს აკავშირებს მსოფლიოს ქალაქებს, მაგ., სინგაპურსა და ფრანკფურტს უფრო მეტად, ვიდრე მათ შესაბამის ნაციონალურ რეგიონებს.

ზესახელმწიფოებრივი გლობალური მმართველობა

იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ინიციატივა მსოფლიო პოლიტიკის სფეროში „დაკონკრეტებას“ მოითხოვს „პროვინციულ და მუნიციპალურ ხელისუფლებამდე, სხვა ინიციატივები იწვევს „გაფართოებას“ და იმართება ზესახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ. სამთავრობათშორისო მარეგულირებელი ჩარჩოები თითქმის არაფერს ნიშნავდა XX ს-ის II ნახევრამდე, მაგრამ მათი რიცხვი, განზომილება და მნიშვნელობა დიდად გაიზარდა გლობალიზაციასთან ერთად.

ერთი მხრივ, რეგიონულ დონეზე სამთავრობო შეთანხმებების რიცხვი მთელ მსოფლიოში უკიდურესად იზრდება. 1945 წლიდან ათასამდე სხვადასხვა სახის შეთანხმება მიღწეული. შედარებით გვიან შექმნილმა რეგიონულმა ორგანიზაციამ, ევროპის კავშირმა, უკვე მიიღო 20 ათასამდე მარეგულირებელი გადაწყვეტილება.

იმადროულად ახალი და უკვე არსებული (მაგ., გაერო) ორგანიზაციები ჩანს, რომ აფართოებენ თავიანთ ამოცანებს. მათი მზარდი გავლენისა და ინიციატივებიდან გამომდინარე, ზოგჯერ უპრიანია მათ არა „საერთაშორისო ორგანიზაციები“, არამედ „გლობალური მმართველობის სააგენტოები“ უწნოდოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი დანიშნულება საგრძნობლად სცილდება სამთავრობათშორისო კონ-

სულტანციებსა და მოქმედების კოორდინაციას, რისთვისაც თავის დროზე შეიქმნა ეს ორგანიზაციები.

ზესახელმწიფოებრივი რეგულირების ზრდა მეტად ფართო სპექტრს მოიცავს, რომლის მხოლოდ ნაწილზე გავამახვილებთ ყურადღებას. მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 60-იანი ნლებიდან იძლევა მეტად გავლენიან დირექტივებს სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ხარჯების შემცირება, სამუშაო ადგილების შექმნა, ტრანსნაციონალური კორპორაციების მოღვაწეობის კოდექსი. 1979 ნლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გააძლიერეს თავიანთი ძალისხმევა შორსმიმავალი სტაბილიზაციის პოლიტიკის შესაძლებლად და სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამების ხელშესაწყობად თითქმის 100 ქვეყანაში. მრავალ შემთხვევაში ისინი ფაქტობრივად აკონტროლებენ და კურირებას უნივერსაციონალურ ფინანსთა სამინისტროებს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), რომელიც 1995 წელს შეიქმნა, მოღვაწეობის გაცილებით უფრო ფართო სფეროს მოიცავს დიდ სახელმწიფოებთან კავშირში, ვიდრე მისი ნინამორბედი – ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმება. იმავდროულად საერთაშორისო ანგარიშსნორების ბანკი, 70-იანი ნლების შეუძლებელი ბანკიდან თავის თავზე იღებს ვალდებულებას, გარკვეულწილად თვალი ადევნოს გლობალურ ფინანსურ ბაზრებს. კონფლიქტების მოგვარების სფეროში განსაკუთრებით გამოირჩევიან ზესახელმწიფოებრივი სააგენტოები, მაგალითად, გაერო, აფრიკული ერთობანობის ორგანიზაცია, ეუთო. ზესახელმწიფოებრივი მმართველობა ასევე აქტიურია აღამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რაც 90-იან ნლებში გამოიხატა არაერთი უპრეცედენტო ჟუმანიტარული ჩარევით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა იდეას საუკუნეების ისტორია აქვს, ამ საკითხზე გლობალური კანონდებლობა მხოლოდ 60-იანი ნლებიდან ყალიბდება. 1972 წელს გაერო-ს მიერ ორგანიზებული გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი კონფერენციიდან დაწყებული, ტარდება გლობალური შეხვედრები, იქმნება ლეგალური ინსტრუმენტები და ინსტიტუტები მთელ მსოფლიოში ეკოლოგიური დეგრადაციის შედეგების უვნებელსაყოფად. რაც შეეხება ელექტრონულ მედიას, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის სახელმძღვანელო ტექნიკური სტანდარტების შესახებ ცხრამეტ ათას გვერდს აჭარბებს. მოყვანილი მაგალითები მიუთითებს, რომ როგორც მმართველები, ისე მოქალაქეები, სულ უფრო აცნობიერებენ, სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ტერიტორიული მმართველობა არ უზრუნველყოფს ზეტერიტორიული ფენომენების ადეკვატურ მოწესრიგებას,

რაც უკავშირდება თანამედროვე ინფორმაციის, კომუნიკაციებისა და იარაღის ტექნოლოგიებს, გლობალურ ეკოლოგიურ ცვლილებებს, გლობალურ ბაზრებს და ა.შ.

ბუნებრივია, ზესახელმწიფოებრივი მმართველობისათვის არსებობს მნიშვნელოვანი შეზღუდვები. ოფიციალური გლობალური რეგულირება ჯერ კიდევ ნაკლებად ხეხბა ისეთ სფეროებს, როგორიცაა შრომის სტანდარტები, შეიარაღების კონტროლი და ა.შ. ამასთანავე, გლობალური მმართველობის მრავალი ინსტიტუტი არაა დეკვატურად არის დაკომპლექტებული და ქრონიკულად განიცდის ფინანსების ნაკლებობას. სააგენტოებს შორის მეტად მცირე დონის კოორდინაციამ და ეფექტური გამაძლიერებელი მექანიზმების მუდმივმა ნაკლებობამ დააკინინა გლობალური სამართლის რეპუტაციაც. მიუხედავად ზემოთქმულისა, ზესახელმწიფოებრივი რეგულირება საკმაოდ ფართო და ეფექტური ხდება, რამდენადაც იგი ქმნის მმართველობის მნიშვნელოვან ფორმას დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში.

ბაზარზე ორიენტირებული გლობალური მმართველობა

დღევანდელი მსოფლიო მმართველობის ეს წარდგინება არასრული იქნება, თუ იგი შეეხება მხოლოდ ოფიციალურ სააგენტოებს სუბსახელმწიფოებრივ, სახელმწიფოებრივ და ზესახელმწიფოებრივ დონეზე. გლობალიზებულ მსოფლიოში ყველა წესი XX საუკუნის მინურულს მარტომდენ საზოგადოებრივი სექტორიდან როდი მომდინარეობს. ბაზრები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური რეგულირების პროცესში, ხშირად ერთვის იმ სფეროებში, რასაც სახელმწიფოები და გლობალური მამრთველობის სააგენტოები უყურადღებოდ ტოვებენ.

კერძო სექტორის მიერ ნეხების ჩამოყალიბება და დანერგვა, ალბათ, გაცილებით უფრო შორს წავიდა გლობალური ფინანსური ბაზრების წყალობით, როდესაც ამ მხრივ ოფიციალურმა მმართველობამ ბევრი რამ ეფექტური ვერ გააკეთა. მაგ., რაც შეეხება გლობალურ საფონდო ბაზრებს, ქცევისა და მოლვანეობის კოდექსი ძირითადად ჩამოყალიბდა საფონდო ბირჟების საერთაშორისო ფედერაციის (დაარს. 1961 წ.), ბაზრის უსაფრთხოების საერთაშორის ასოციაციისა (დაარს. 1969 წ.) და ნახევრად ოფიციალური უსაფრთხოების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (დაარს. 1984 წ.) საშუალებით. გარდა ამისა, კომერციული ბანკები მნიშვნელოვან ინიციატივას იჩენენ ისეთი ოფიციალური სააგენტოების, როგორიცაა მსოფლიო სავალუტო ფონდი, მოლვანეობის მონესრიგებისათვის (ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ პირიქით – არევისათვის) ხშირი ფინანსური კრიზისებისა და ვალების მქონე ქვეყნებში 1982 წლიდან.

კერძო სექტორის გლობალური ინიციატივები ასევე მოიცავს ფინანსურ ბაზრებს. მაგ., 1971 წელს დაარსებული მსოფლიო ეკონომიკური

ფორუმი აერთიანებს 900 უმსხვილეს კომპანიას. მის მრავალ ინიციატივას შორის არის განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების მონესრიგებაზე, მათ შორის ისრაელ-არაბული ქვეყნების დაპირისპირებაზე. ფორუმმა ასევე ფასდაუდებელი როლი შეასრულა მსოფლიო ვაჭრობის შესახებ ურუგვაის მოლაპარაკებების დროს, რისი შედეგიც გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა. კერძო ფონდების როლი ასევე გაიზარდა გლობალური პოლიტიკის პროცესში. ორი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ფონდის ფონდი, რომელიც განსაკუთრებით გავლენიანია განვითარებისათვის დახმარების სფეროში 60-იანი წლებიდან და სოროსის ფონდი, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ყოფილი საბჭოთა ბლოკის ლიბერალიზაციაში. ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ გლობალური მმართველობა არ ნარმოადგენს მხოლოდ საზოგადოებრივი სექტორის საქმეს.

გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობები

საბაზრო ინსტიტუტები არ არიან ერთადერთი აქტორები საზოგადოებრივი სექტორის მიღმა, რომლებიც ხელს უწყობენ მმართველობის ახალი ფორმების ნარმოქმნას თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში. მრავალი ინიციატივა ასევე მოდის გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობებიდან. აქ სახალხო მოთხოვნები და პროტესტი მობილიზებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სტანდარტების შეცვლის მიმართულებით (მაგალითად, მილიტარიზმი და კაპიტალიზმი). ასოციაციები გლობალურია), ერთი მხრივ, იმ თვალსაზრისით, რომ ეხება საერთო მსოფლიო პრობლემებს და, მეორე მხრივ, იყენებს გლობალიზაციის შედეგად შექმნილ საშუალებებს (საჰაერო მოგზაურობა, კომპიუტერული ქსელები, გლობალური კანონები და სხვ.). როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამინდელი საზოგადოებრივი მოძრაობების მსგავსი წინამორბედი მოძრაობები ინყება XIX საუკუნიდან. იმავდროულად, მათ ამჟამინდელ მოღვაწეობაში ჩართულია ადამიანთა არნაბული რაოდენობა, უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციონალური რესურსები და მათ უზარმაზარი ზეგავლენა აქვთ.

გლობალურ საზოგადოებრივ მოძრაობებს ახასიათებს უკიდურესი მრავალფეროვნება, ისინი მიმართულია სრულიად სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტისაკენ – აბორიგენების უფლებებიდან შიდსის საკითხებიდან და ისინი ასევე ამჟღავნებენ მეტად მრავალფეროვან ხედვას იმ სამყაროს შესახებ რომლის შექმნაც მათ სურს, შთაგონების წყაროდ იღებენ იდეებს ხან ანარქიზმიდან, ხან ნეოფაშიზმიდან, ტრადიციული და ახლად შექმნილი რელიგიებიდან და მათი ნაზავიდან და ა.შ. ზოგიერთი ამ მოძრაობიდან გლობალურია იმ თვალსაზრისით, რომ მათ მიერ

გაბმული ქსელი მთელ მსოფლიოს მოიცავს, მაგ., განვითარების ისეთი ალტერნატივები, რომლებსაც გამოხატავს „ქალები ახალი ნაციი-სათვის“ (DAWN). სანინაალმდეგოდ, სხვები „აზროვნებენ გლობალურად და მოქმედებენ ლოკალურად“. ზოგიერთი ჯგუფი კამპანიას მართავს იზოლირებულად, როდესაც სხვები მიზნების განსახორციელებლად ერთიანდებიან დიდ კულტურული ციიგბში. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ, პესტიციდების სანინაალმდეგო აქციის ქსელი აერთიანებს 350 ჯგუფს 50-მდე ქვეყნიდან. საზოგადოებრივ მოძრაობებში ჩართული არიან როგორც შემთხვევითი „მოყვარულები“ (როგორიცაა მრავალრიცხოვანი სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები), ასევე დიდი ხნის პროფესიონალები და ინსტიტუციონალიზებული პროგრამები (გრინფი-სი ანდა Christian Aid). საბოლოო ჯამში, გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობები იყენებენ მრავალი სახის სტრატეგიას. ზოგიერთი აქტივისტი თანამშრომლობს მთავრობებთან, გლობალური მმართველობის სააგენტოებთან, ბიზნესის ასოციაციებთან, მაშინ, როცა სხვებს კოლაბორაცია „ისტებლიშმენტთან“ საკუთარი პრინციპებისათვის მიუღებელ კომპრომისად მიაჩინათ.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ საზოგადოებრივი მოძრაობები ხშირად განიცდიან სახსრების ნაკლებობას და ახასიათებთ შიდადაპირისპირებანი, ისინი მაინც შესამჩნევ გავლენას ახდენენ თანამედროვე მსოფლიოს მმართველობაზე. მრავალ ქმედებას შორის უნდა აღინიშნოს, რომ მათი ძალები კონცენტრირებულია პოლიტიკის ინოვაციისათვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკოლოგიური მდგრადობა, ადამიანის უფლებების დაცვა, სტიქიური უბედურებები, სანოვაგის ნაკლებობა და საზოგადოების სრულყოფა. 1990 წლიდან მრავალმა ადამიანმა გლობალური მმართველობის სააგენტოში შექმნა ოფისები ამიერიდან არასამთავრობო ორგანიზაციებად ნოდებულ საზოგადოებრივ მოძრაობებტთან კავშირისათვის. მრავალი ამგვარი ასოციაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ოფიციალური ინსტიტუტებისათვის მრჩეველთა რანგში, ისე მათი პოლიტიკის გატარებისათვის დახმარებაში. ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და გაერო-ს უმაღლესი კომისრის თვისი ლტოლვილთათვის ზოგჯერ თითქმის მთლიანად დამოკიდებული ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებაში. ათასობით სამოქალაქო ჯგუფი მონანილეობას იღებდა გაერო-ს სპონსორიზებულ გლობალური პრობლემების შესახებ კონფერენციებზე 70-იანი წლებიდან, სადაც ისინი ახდენდნენ ოფიციალური სტრუქტურის ლობირებას, გავლენა ჰქონდათ მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი პროგრამების მიღებაზე. ამგვარი სცენარები ახალი პოლიტიკის გამომხატველი გახდა XX ს-ის უკანასკნელ ათწლეულებში, რომელთა შედეგადაც საზოგადოებრივმა

მოძრაობებმა ძალისხმევა მიმართეს ნაციონალური და ლოკალური ხელისუფლების კონტროლისაგან თავის გამოთავისუფლებისაკენ ზესახელმწიფოებრივი მარეგულირებელი სააგენტოების საშუალებით.

ამ და სხვა გზებით, გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობების მრავალი აქტივისტი მიზნად ისახავდა და ზოგჯერ ახორციელებდა კიდეც არა მარტო პოლიტიკის შეცვლას, არამედ საკუთრივ პოლიტიკის არსის გარდაქმნას. მათი ინიციატივები ხშირად ცვლიდა პოლიტიკური ქმედების დომინირებად კონცეფციებს, პროცედურებსა და ტაქტიკას. მაგალითად, მრავალმა ამგვარმა ასოციაციამ აირჩია გადაწყვეტილებათა მიღების არაიერარქიული მოდელები და ზოგადად, მათ საქმიანობაში გაცილებით უფრო ფართო ჩართოდ ჩართეს ქალები, ვიდრე ეს არის ოფიციალურ და კომერციულ სტრუქტურებში. როგორც გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობების შედეგი. სახალხო ჩართვა მსოფლიო პოლიტიკაში გახდა უფრო პირდაპირი და ექსტენსიური, ვიდრე ვესტფალიის სისტემის დროს, როდესაც მოქალაქეების პოლიტიკაში ჩართვა გამოიხატებოდა მხოლოდ ნაციონალურ არჩევნებში მონაწილეობით იმის განსასაზღვრავად, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას უნდა განეხორციელებინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

საკვანძო საკითხები

- გლობალიზაციამ ხელი შეუწყო პირდაპირ საზღვრებს გარეშე კავშირების დამყარებასა და თანამშრომლობას პროვინციულ და მუნიციპალურ მთავრობებს შორის.
- გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ზესახელმწიფოებრივი რეგულირების დონე გლობალური მმართველობის სააგენტოების მიერ.
- ეროვნული აქტიურ როლს ასრულებს თანამედროვე გლობალურ მმართველობაში ზედამხედველობის სააგენტოების, ფონდების, სამეთვალყურეო საბჭოების საშუალებით.
- ორგანიზაციული ფორმების, მიზნებისა და ტაქტიკის არნახული მრავალფეროვნებით, გლობალურ საზოგადოებრივ მოძრაობებს შემოაქვთ დინამიზმი და ინოვაციები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

გლობალური დემოკრატიის პერსპექტივები

ცხადია, რომ გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მმართველობის სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას სუვერენიტეტზე ფოკუსირებულ სახელმწიფოთა სისტემიდან ურთიერთქმედების მრავალმხრივი, კომპლექსური ნესების შექმნისაკენ – იმ თვალსაზრისით, რომ იქმნება ისეთი გარემო, რომელშიც არც ერთი ლოკალური ადგილი არ შეიძლება იყოს სრულფასოვნად სუ-

ვერენული. ამჟამად, პოლიტიკია მოკლებულია ხელმძღვანელობისა და კონტროლის ცენტრს განსხვავებით ვესტალიის სისტემისაგან. გარდა ამისა, ინიციატივების გამოჩენისა და ქცევის წორმების შექმნის თვალსაზრისით, საზოგადოებრივ სექტორთან ერთად, ანგარიშგასასანევ როლს ასრულებენ ბაზრის აგენტები თუ საზოგადოებრივი მოძრაობები.

დემოკრატია – ხალხის მმართველობა – ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისით, ნარმოადგენს თანამედროვე მმართველობისათვის ლეგიტიმურობის მიმნიჭებელ გადამცვეტ ნორმას. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის დეფინიციები მნიშვნელოვნად ვარირებს ქვეყნებისა და დროის მონაკვეთის მიხედვით, არსებობს ფართო და საკმაოდ მყარი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე მსოფლიოში კარგი მმართველობა ნიშნავს დემოკრატიულ მმართველობას. ბუნებრივად ისმის კითხვა – რა ელის დემოკრატიას თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში?

ერთი შეხედვით ჩანს, რომ გლობალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიის შესაძლებლობების განვრცობას. როგორც ზემოთ დავინახეთ, გლობალიზაციამ საკმაოდ დააქნინა სახელმწიფოთა სუვერენიტეტი – სუვერენიტეტსა და დემოკრატიას შორის კი გარეუეული შეუთავსებლობა ყოველთვის არსებობდა. სუვერენიტეტი გულისხმობს ყოველისმომცველ, უზენაეს, ძეუზღუდვა და ექსკლუზიურ ძალაუფლებას, მაშინ, როცა დემოკრატია ზოგადად ეფუძნება შეზღუდულ, დანაწევრებულ, პირობით და კოლეგიურ ძალაუფლებას. მაინც კი, როდესაც ხელისუფლება ხალხის მიერ აირჩევა, მაინც არსებობს ძალაუფლების კონცენტრირების პოტენციური საფრთხე სახელმწიფოში. ამ თვალსაზრისით, სუვერენიტეტის შემცირება უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნის დემოკრატიის განვითარებისათვის.

ზემოთემულის მიუხედავად, სამწუხაროდ, გლობალიზაცია ყოველთვის არ არის ამგვარი გარდაქმნების მომასწავებელი. თანამედროვე პოსტსუვერენული მმარველობა დაქსაქსულია დემოკრატიის დეფიციტის გამო. სახელმწიფო, გლობალური მმართველობის სააგენტოები, საზოგადოებრივი მოძრაობები ყოველთვის განიცდიან ფართო მასების მონაწილეობის, კონსულტაციებისა და დებატების, ნარმომადგენლობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობას.

გლობალიზაცია და დემოკრატიული სახელმწიფო

ზოგიერთი ენთუზიასტი ირწმუნება, რომ გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია უნდა იყოს ერთი მედლის ორი მხარე. ამ პერსპექტივის თანახმად, ლიბერალისტები ზეიმობდნენ მსოფლიოს მომცველი დემოკრატიული ცვლილებების ქარის დაბერვას XX საუკუნის დასასრულს აპარატების, კომუნიზმისა და სხვა ერთპარტიული სისტემების კოლაფსის ფონზე. მიუხედავად ამისა, მრავალპარტიულობა არ არის ფართო სახალხო მონაწილეობისა

და სახელმწიფოს კონტროლის შესუსტების გარანტი. ანგარიშვალდებულებას მოკლებული მთავრობები ჩვეულებისამებრ აგრძელებენ ადამიანის უფლებათა დარღვევას გლობალიზაციის ხანაშიც. ის ქვეყნებიც კი, რომლებიც ამ სფეროში „ემნესტი ინტერნეიტენალისაგან“ ყველაზე მაღალ შეფასებებს იღებენ, იშვიათად ბჭობენ საკუთარ მოსახლეობასთან გლობალური პოლიტიკის შესახებ. მაგალითად, მოქალაქეებს მეტად იშვიათად გააჩნიათ გავლენიანი ხმა, როდესაც სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას დაეთანხმოს თუ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებულ სტრუქტურული გარდაქმნის ამა თუ იმ პროგრამას. სახელმწიფო არ სთავაზობს საკუთარ მოქალაქეებს გლობალური კაპიტალის, გლობალური ეკოლოგიური პრობლემებისაგან თავდაცის საშუალებებს. დემოკრატიულად მოქმედი ხელისუფლება ხმირად შევსებულია, შესაძლოა, შეცვლილია კიდეც, სხვა ინსტრუმენტებისა და ინსტიტუტებს მიერ.

გლობალური მმართველობის სააგენტოები და დემოკრატია

სამწუხაროდ, გლობალური მმართველობის სააგენტოები დღეს არ ნარმოადგენს აუცილებელ გარანტიას დემოკრატიისათვის. დავიწყოთ იმით, რომ მეტად მცირეა სახალხო მონანილეობის დონე ამ ინსტიტუტებში. მსოფლიო ბანკის მმართველ საბჭოს, ევროპის მინისტრთა საბჭოს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს და სხვა მსგავსი გადაწყვეტილების მიღების საშუალების მქონე ორგანიზაციების შეხვედრები, ძირითადად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. ეს ორგანიზაციები უმეტესნილად ნარმოადგენენ „ტექნოპოლიტიკოსთა“ სფეროს, რომელშიც ეკონომისტები, ბუღალტრები, მენეჯერები, ინჟინრები, ქიმიკოსები, კანონმდებლები თუ სხვა „ექსპერტები“ პრაქტიკიულად თავისუფალნი არიან დემოკრატიული არჩევითობისაგან. როდესაც მათ პოლიტიკას არასასურველი შედეგები მოჰყვება, როგორც იმ სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამების შემთხვევაში, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის შემცირებას იწვევს, ამგვარი სააგენტოები, არც კანონის თვალსაზრისით და არც საზოგადოებრივად, არავის წინაშე არ არიან პასუხისმგებელნი.

ზოგიერთი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ გლობალური მმართველობის სააგენტოები არაპირდაპირ არიან ნარმომადგენლობითი, იმგვარად, რომ სხვადასხვა დელეგაციებს აქვთ უფლება ილაპარაკონ მსოფლიოს სხვადასხვა ნაციონალური მოსახლეობის სახელით. ხაზგასასმელია, რომ მრავალ ქვეყანას გააჩნია მეტად საეჭვო დემოკრატიული მანდატები. ამასთან ერთად, მრავალ გლობალურ იორგანიზაციაში მიღებული წესი ერთი სახელმწიფო – ერთი ხმა, ფორმალურად მაინც ნიშნავს, რომ ანდორასა და ინდოეთს თანასწორი ხმები აქვთ. გარდა ამისა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთი წევრისათვის მუდმივი ადგილის შენარჩუნება და მათთვის ვეტოს უფლების მინიჭება დემოკრატიულობის თვალსაზრისით აშკარა ნონსენსია. ამგვარადვე, კვოტებზეა დამყარებული ხმის უფლე-

ბა საერთაშორისო სავალუტო ფონდში და მსოფლიო ბანკში – წევრთა ერთი მეოთხედი აკონტროლებს ხმათა სამ მეოთხედს.

გლობალური მმართველობის სააგენტოების არადემოკრატიული ხასიათის გაცნობიერება თანდათანობით ხდება. ევროკავშირის შემთხვევაში, გარკვეული (შეზღუდული) ნაბიჯები ამ მიმართულებით 70-იანი წლების მინურულიდან გადაიდგა, რათა მომხდარიყო ხალხის პირდაპირი მონაწილეობის უზრუნველყოფაზე სახელმწიფოებრივ მმართველობაში. ამგვარ ორგანიზაციათა უმრავლესობა უფრო ღია გახდა საზოგადოებისათვის საკუთარი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის მინოდების თვალსაზრისით. თუმცა, ამგვარი რეფორმები მეტად მცირეა და სანახევრო ხასიათს ატარებს.

გლობალური საბაზრო დემოკრატია?

დემოკრატიის დაღმასვლის სხვა, მეტად სახიფათო მაჩვენებელი მომდინარეობს მმართველობის ზემოთ აღნერილი მარკეტიზაციისაგან. მართალია, *Laissez faire* პრინციპის მომხრენი მიიჩნევენ, რომ ბაზარი ზრდის სახალხო მონაწილეობასა და კონტროლს. მათი შეხედულებით, გლობალური დემოკრატია იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც მომხმარებლები და კაპიტალისტები თავიათი საფულეებით (უფრო მეტად, ვიდრე საარჩევნო ბიულეტენებით) ხმას მიცემენ ფულის საუკეთესო ფასს (უფრო მეტად ვიდრე ადამიანური პოტენციალის მაქსიმიზაციას) გლობალურ ბაზარზე (უფრო მეტად, ვიდრე ტერიტორიულ სახელმწიფოში).

ამდენად, ამგვარი შეხედულება გულისხმობს, რომ ფული და მატერიალური სარგებელი არის ყველაფრის მომცველი და ყველაფრის ბოლო პოლიტიკაში. ტრადიციული დემოკრატიული პრინციპები ადამიანის ღირსებისა და თანასწორი შესაძლებლობების შესახებ ექვემდებარება სამენეჯერო ეფექტურობისაა და პროდუქციის ხარისხის მოთხოვნებს. საბაზრო დემოკრატიაში ანგარიშვალდებულება ნიშნავს დირექტორთა საბჭოსა და კომპანიის პასუხისმგებლობას მომხმარებლის წინაშე. მაგრამ პრაქტიკაში ჯერჯერობით აქციონერები იშვიათად ახდენენ გავლენას კორპორატიულ პოლიტიკაზე და მომხმარებლები ხშირად ოლიგოპოლიის ტყვენი არიან. უფრო შემამთოთებელი, ბუნებრივია, ის არის, რომ მონაწილეობა საბაზრო მმართველობაში განპირობებულია უპირველსად სიმდიდრითა და შემოსავლით. მეტად მცირე რაოდენობის ადამიანები იღებენ მონევევას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და მსგავსი ორგანიზაციების შეხვედრებზე მონაწილებისათვის.

გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობები და დემოკრატია

ბაზრის მომხმარეთაგან სანინააღმდეგოდ, სხვა მკერდევრები გლობალურ საზოგადოებრივ მოძრაობებს მიიჩნევენ დემოკრატიის გადარჩენის საშუალებად თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში. უკანასკნელ

ათწლეულებში თვალსაჩინოა გლობალური სამოქალაქო აქტივიზმი. კერძოდ, გლობალიზაციამ მეტი შესაძლებლობები შექმნა ქალებისათვის, ინვალიდებისათვის, სექსუალური უმცირესობებისათვის, იმ ადგილობრივი ხალხებისათვის, რომელსაც თვითგამოხატვის ნაკლები საშუალებები ეძლეოდათ ვესტფალიის სისტემის არსებობის პირობებში.

მიუხედავად ამისა, დემოკრატიის ეს მონაგარი საჭიროა განიხილებოდეს გრძელვადიან პერსპექტივაში და უნდა ხაზი გაესვას თანამედროვე გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობების მეტად ღრმა არადემოკრატიულ ხასიათს. პირველ რიგში უნდა აღნიშნოს, რომ ადამიანთა მეტად მცირე რაოდნენობაა ჩაბმული ამ მოძრაობებში. კაცობრიობის უმრავლესობა მოკლებულია ფონდებს, ინტერნეტის ქსელსა და სხვა საშუალებებს, რაზეც დამოკიდებულია ამ მოძრაობების გავლენა. ამ მოძრაობათა აქტივიზმი შემოიფარგლება ძირითადად საშუალო კლასის თეთრი მოსახლეობით, რომელთაგან უმრავლესობა ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში ცხოვრობს. გაერთსთან კონსულტატიური უფლების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების 15%-ზე ნაკლებია ე.წ. სამხრეთიდან. ამასთანავე, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობების ნევრები, ძირითადად, თვითარჩეულნი არიან და მისდევენ იმ ფორმალურ პროცედურებსა და იცავენ თავიანთი ოპერაციების გამჭვირვალეობას, ანგარიშვალდებულნი არიან მათ ნინაშე, ვის ინტერესებსაც იცავენ.

საერთო ჯამში, დემოკრატიის უკავია საკმოდ არამყარი პოზიცია თანამედროვე მმართველობის ნებისმიერ სფეროში. დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში, ნესების ჩამოყალიბება და დანერგვა უპირველესად ხდება ელიტების ურთიერთშეჯიბრის საფუძველზე და ნაკლებად ნარმომადგენლობითი დემოკრატიის გზით. ამჟამად ბუნდოვანია როდის და როგორ მოხდება დემოკრატიის სრული რეალიზება სულ უფრო გლობალიზებულ მსოფლიოში.

საკვანძო საკითხები

- გლობალიზაცია შეუძლებელს ხდის დემოკრატიის მიღწევას მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საშუალებით.
- გლობალური მმართველობის სააგენტოებს ახასიათებთ დემოკრატიულობის გარევეული დეფიციტი.
- გლობალურ მმართველობაში საბაზრო ნესები ინვევს ღრმა არათანასნორობასა და დემოკრატიულობის დონის დაკინებას.
- გლობალურ საზოგადოებრივ მოძრაობებს ზოგადად ახასიათებთ არამყარი დემოკრატიული მანდატი.

დასკვნები

გლობალიზაციამ შეცვალა მსოფლიო პოლიტიკის ბუნება და კულა-
ვაც შეაქვს მასში ცვლილებები. ამ ცვლილებათა სიღრმე და ხასიათი
დაუსრულებელი დებატების საგანს ნარმოადგენს მეცნიერები ერთმა-
ნეთს ენინაალმდეგებიან გლობალიზაციის დეფინიციების, მოცულო-
ბის, ახსნის, პროგნოზებისა და მორალური მხარის განსაზღვრისას.
გლობალიზაციამ მსოფლიო პოლიტიკას ახალი სიკრონიზრი განზომ-
ილება მიანიჭა. ძევლი გეოგრაფიული ადგილების, მანძილების,
საზღვრების დამატებით დღეს არსებობს გლობალური განზომილება,
რომელშიც ზოგიერთი მოვლენა გარეკეულ ტერიტორიულ ფარგლებ-
ში არ თავსდება (ე.ი. შეიძლება ხდებოდეს ნებისმიერ ადგილზე) და მან-
ძილს მნიშვნელობა ეკარგება (შეიძლება გადაიკვეთოს პლანეტა დროის
ნებისმიერ, მოცემულ მონაკვეთში) და საზღვრებს გარეშე (შეიძლება
იმოძრაოს ქვეყნებს შორის საზღვრებისათვის ანგარიშის განევის
გარეშე). გლობალური ფენომენის არნაული სისწრაფე XX ს-ის შუა
ხანებიდან ინვესტიციების მნიშვნელოვან ცვლილებებს მართველობის
ფორმებში. ერთი მხრივ, გლობალიზაციამ დააწინა სუვერენიტეტის
ძველი პრინციპი, თუმცა სახელმწიფოები კვლავაც აგრძელებენ არსე-
ბობას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ცხ-
ოვრების რეგულირებაში. მეორე მხრივ, გლობალიზაციამ ხელი შეუწ-
ყო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ასპექტების ნინ ნამონე-
ვას მსოფლიო პოლიტიკაში, რაშიც შედის საზღვრებს გარეშე სუბსახ-
ელმნიფორმებრივი ურთიერთობები, ზესახელმწიფოებრივი კანონები,
საბაზო ინსტიტუტების მარეგულირებელი ინიციატივები, გლობალ-
ური საზოგადოებრივი მოძრაობების კამპანიები.

კითხვები და დავალებები:

1. რით განსხვავდება გლობალიზაცია ინტერნაციონალიზაციისაგან?
2. რამდენად ახალი ფენომენია გლობალიზაცია?
3. დაასახელეთ ის მცდარი მოსაზრებები, რომლებიც ჩვეულებრივ ასო-
ცირებულია გლობალიზაციის იდეასთან.
4. დაახასიათეთ გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალები.
5. რას ნიშნავს სახელმწიფოს სუვერენიტეტი?
6. რატომ განაკრძობენ არსებობას სახელმწიფოები გლობალიზაციის
ეპოქაში?
7. განმარტეთ, თუ როგორ ახდენს გაფლენას კერძო სექტორი გლობალ-
ურ მმართველობაზე.
8. რას ნარმოადგენს გლობალური საზოგადოებრივი მოძრაობები და
როგორ მონანილეობენ ისინი მსოფლიო პოლიტიკაში?
9. რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია დემოკრატიაზე?

எனதீர்வாதினா:

- M. Albrow, Introduction in M. Albrow and E. King (eds.), *Globalization, Knowledge and Society*, (London: Sage, 1990)
- M. Beisheim, G. Walter, "Globalisierung" – Kinderrankheit eines Konzeptes? in: ZfIB, 1997, 1, (4), 153-180.
- I. Carlsson et al., Our Global Neighbouring (Oxford: Univ. Press, 1995).
- A. Giddens, *The Consequences of Modernity: Self and Society in the Late Modern Age* (Cambridge: Polity Press 1990).
- R. Cox, United States Foreign Policy Since the End of the Cold War (London: Pinter and the Royal Institute of International Affairs, 1995)
- D. Harvey, *The Condition of Postmodernity: An Enquiry into the Conditions of Cultural Change*, (Oxford: Balakwell, 1989).
- P. Hirst & G. Thompson, *Globalization in Question: The International Economy and the Possibilities of Governance* (Cambridge: Polity Press 1996).
- M. Featherstone (ed.), *Global Culture: Nationalism, Globalization and Modernity* (London: Sage 1990).
- E. Kofman & G. Youngs (eds.), *Globalization: Theory and Practice* (London: Pinter, 1996).
- G. Modeski, *Sea Power in Global Politics*, (Seattle, Univ. of Washington Press, 1988).
- K. Ohmae, *The Borderless Word: Power and Strategy in the Inter-linked Economy* (London: Fontana, 1990)
- R. Robertson, *Globalization: Social Theory and global Culture*, (London: Sage, 1992).
- J.N. Rosenau, *Turbulence in World Politics* (Princeton: Univ. Pres, 1990).
- J.N. Rosenau & E.O. Czempiel (eds.), *Governance without Government: Order and Change in World Politics* (Cambridge: Univ. Press, 1992).
- J.A. Scholte, *Globalization: A Critical Introduction* (London: Macmillan, 1997).
- M. Waters, *Globalization* (London: Rouledge 1995).

IV. საერთაშორისო უსაფრთხოება ცივი მოის შეგდგომა პერიოდში

რა იგულისხმება „უსაფრთხოების“ კონცეფციაში?

მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოება „სადაც კონცეფციაა“. მიუხედავად კონსენსუსის მიღწევისა მიმის შესახებ, რომ მასში შედის ძირითად ფასეულობათა (როგორც ინდივიდების, ისე ჯგუფების) დაცვის გარანტიები, მაინც არ არსებობს საერთო აზრი იმის თაობაზე, თუ რაზე უნდა მოხდეს უპირველესად ფორუსირება – „ინდივიდუალურ“, „ნაციონალურ“ თუ „საერთაშორისო“ უსაფრთხოებაზე. ცევი ომის პერიოდში ამ საკითხთან დაკავშირებული გამოკვლევების უმრავლესობაში დომინირებდა ნაციონალური უსაფრთხოების თემა. როგორც აკადემიური, ისე პოლიტიკური წრეების ინტერესები ძირითადად კონცენტრირებული იყო საკუთარი ქვეყნების სამხედრო ძალაზე, რომელიც ქმნიდა გარეგანი საფრთხის უკუგდების შესაძლებლობას. უფრო გვიან, უსაფრთხოების ეს იდეა გაკრიტიკებულ იქნა, როგორც ეთნოცენტრული და მეტად ვიწრო არტახებში მოქცეული. დღეს მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების კონცეფცია უნდა გამოვიდეს ნაციონალური უსაფრთხოების შეზღუდული ჩარჩოებიდან და მოიცვას სხვა სფეროებიც. ბარი ბუზანი, მაგალითად, მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების ცნებაში შედის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური უსაფრთხოება, გარემოს დაცვაზე ზრუნვაც და ყოველივე ამას, სამხედრო უსაფრთხოებასთან ერთად, საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. ზემოთქმული აიძულებს სახელმწიფოებს იფიქრონ არა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაზე, არამედ საკუთარი მეზობლების უსაფრთხოების ინტერესებზეც (B. Buzan 1983: 214-42).

სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციისა და ფრაგმენტაციის ორმხრივ პროცესებში უმთავრესი ყურადღება უნდა გამახვილდეს „სოციოტეალურ უსაფრთხოებაზე“. ამ თვალსაზრისის თანახმად, სხვადასხვა რეგიონში, მაგ., ევროპაში, მიმდინარე ინტეგრაციის პროცესები საძირკველს უთხრის ეროვნულ სახელმწიფოებზე დამყარებულ კლასიკურ პოლიტიკურ ნესრიგს და ერებს საშუალებას აძლევს იცხოვრონ და იმოღვანეონ გაცილებით უფრო ფართო საზღვრებში (ევროკავშირი). იმავედროულად, მრავალი ქვეყნის ფრაგმენტაციამ, მსგავსად საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავისა, შექმნა საზღვრების, უმცირესობებისა და ორგანიზებული იდეოლოგიების საკითხებთან დაკავშირებული ახალი პრობლემები, რაც რეგიონული არასტაბილურობის გაზრდის მიზეზი გახდა. ყოველივე ამას მივყავართ იმ არგუმენტამდე, რომ ეთ-

ნონაციონალური ჯგუფები, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე სახელმწიფოები, შეიძლება მოექცეს უსაფრთხოების ანალიტიკოსთა ყურადღების ცენტრში.

იმავდროულად სხვა მკერდიულები თვლიან, რომ ყურადღების გამახვილება ნაციონალურ და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ნაკლებად გამოსადეგია 90-იან წლებში გლობალური საზოგადოების ემპირიონის ნარმოქმნის მიზეზით. „სოციოეტალური უსაფრთხოების“ თეორეტიკოსთა მსგავსად, ისინი ყურადღებას აქცევენ ეროვნული სახელმწიფოს ფრაგმენტაციას, მაგრამ მიიჩნევენ, რომ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს არა საზოგადოება ეთნონაციონალურ დონეზე, არამედ გლობალური საზოგადოება. ამ ავტორთა შეხედულებით, XX ს-ის მიწურულის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესი. ისინი არ უარყოფენ, რომ ეს პროცესი ნარმოქმნის ახალ რისკებსა და საშიშროებებს. ამგვარი საშიშროებებია საერთაშორისო სავალუტო სისტემის არამდგრადობა, გლობალური დათბობა, ბირთვული ინციდენტების საფრთხე. მიიჩნევა, რომ უსაფრთხოების ეს ხელისშემძლელი ფაქტორები, პლანეტარულ დონეზე, დიდად სცილდება ეროვნული სახელმწიფოების კონტროლის არეალს. მათ სწამთ, რომ ამ საფრთხეების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ გლობალური საზოგადოების განვითარებით.

„უსაფრთხოების შემთხვევაში, დისკუსია მიმდინარეობს მშვიდობის დაცვის შესახებ მისი დარღვევის საშიშროებისაგან. როდესაც ეს დისკუსია ნარმოებს საერთაშორისო კონტექსტში, „უსაფრთხოება შეეხება სახელმწიფოთა და საზოგადოებათა უნარს, შეინარჩუნონ თავიანთი დამოუკიდებელი იდენტურობა და ფუნქციონალური ინტეგრაციონი.“

Barry Buzan

„სტაბილური უსაფრთხოება შეიძლება მიღწეულ იქნეს ხალხებისა და ჯგუფების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი არ ქმნიან საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს სხვათა უსაფრთხოების დაკინების ხარჯზე; ამის მიღწეულა კი შესაძლებელია მხოლოდ უსაფრთხოების ემანსიპაციის პროცესად გააზრების შემთხვევაში.“

Booth and Wheeler

ტრადიციული მიღგომები ნაციონალური უსაფრთხოებისადმი

1648 წელს ვესტფალიის ზავის შემდეგ, ნინა პლაზიე გამოსული სახელმწიფოები განიხილებოდა, როგორც საერთაშორისო სისტემის ყველაზე ძლიერმოსილი აქტორები. ისინი ნარმოადგენდნენ „პოლიტიკური ლეგიტიმურობის უნივერსალურ სტანდარტს“ და მათ ზემოთ არ არსებობდა არანაირი უზენაასი ხელისუფლება, რომელიც დაარეგულირებდა მათ

შორის ურთიერთობებს. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ უსაფრთხოება განიხილებოდა სახელმწიფოთა მთავრობების პრიორიტეტულ მოვალეობად.

ისტორიულ დებატებში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული ნაციონალური უსაფრთხოება, ისეთი ავტორები, როგორიცაა პობსი, მაკაველი თუ რუსო, ხატავდნენ მეტად პესიმისტურ სურათს სახელმწიფოს სუვერენიტეტში ჩარცეს თაობაზე. საერთაშორისო სისტემა განიხილებოდა ძირითადად ძალადობის არენად, რომელზეც სახელმწიფოები ცდილობდნენ საკუთარი უსაფრთხოების მიღწევას თავიანთი მეზობლების უსაფრთხოების დაკანინების ხარჯზე! სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები მიიჩნეოდა ძალაუფლებისათვის პრძოლად, რომლის დროსაც სახელმწიფოები გამუდმებით ცდილობდნენ სარგებელი მიელოთ სხვათა ხარჯზე. ამ თვალსაზრისის მიხედვით პერმანენტული მშვიდობის მიღწევა სულაც არ იყო სასურველი. ამ სისტემის ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანი იყო ძალაუფლების იმგვარად გადანანილება, რომ არ დამყარებულიყო ვინმეს ბატონობა სხვებზე. ამგვარ თვალსაზრისს ავრცელებდნენ ისეთი ავტორები, როგორიცაა ე.ჸ. კარ (E.H. Carr) და ჸ. მორგენთაუ (H. Morgenthau), სწორედ მათ შეიმუშავეს ის ძირითადი პრინციპები, რაც რეალისტურ სკოლას დაედო საფუძვლად მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

ეს პესიმისტური შეხედულება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ გაზიარებულია მრავალი თანამედროვე ავტორის, მაგ., კ. უოლცისა და ჟ. მერშაიმერი მიერ. ეს პესიმიზმი ნეორეალიზმის მრავალი საკვანძო მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს.

საკვანძო ნეორეალისტური მოსაზრებები

— საერთაშორისო სისტემა ანარქიულ ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ქაოტურია. ანარქია ნიშნავს, რომ არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ძალუბს აკონტროლოს სახელმწიფოთა ქცევა.

— სახელმწიფოთა სუვერენიტეტის განვითარება აუცილებლად იწვევს სამხედრო ძალის განვითარებას თავდასაცავად და საკუთარი ძალაუფლების გასავრცობად, ვინაიდან თითოეული სახელმწიფო პოტენციურად სახიათო ხდება სხვისათვის.

— დაურნმუნებლობა და ეჭვი, რაც ინვეს ნდობის დეფიციტს, მემკვიდრეობითია საერთაშორისო სისტემაში. სახელმწიფოები არასოდეს არიან დარნმუნებულნი თავიანთი მეზობლების კეთილ განზრახვებში და, აქედან გამომდინარე, ყოველთვის მზად არიან საფრთხის უზრუნველყოფისათვის.

— სახელმწიფოებს სურთ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი და როგორც ამის შედეგი, გადარჩენაზე ზრუნვა უნდა იყოს მათი ქცევის ყველაზე მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნეორეალისტები მიიჩნევენ, რომ ყოველივე ეს სახელმწიფოებს უბიძებს აგრესიული მოქმედებისაკენ ერთმანეთის მიმართ.

ამ თვალსაზრისის მიხედვით, ნაციონალური უსაფრთხოება ან დაუცველობა უმეტესნილად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის შედეგია. (სწორედ ამიტომ ამ მოსაზრების დამცველებს ხშირად „სტრუქტურულ რეალისტებს“ უწოდებენ). ანარქიის სტრუქტურა მათთვის უკიდურესად მყარია. ყოველივე ამის შედეგად საერთაშორისო პოლიტიკა მომავალში ისევე ძალადობრივი იქნება, როგორც ნარსულში. 1990 წელს გამოქვეყნებულ გახმაურებულ სტატიაში „დაბრუნება მომავალში“, ჯ. მერშაიმერი ამტკიცებს, რომ ცივი ომის დასასრული ფაქტობრივად ნიშნავს ნარსულში არსებული ძალთა ბალანსის ჭრადიციული მრავალპოლუსიანი პოლიტიკისადმი შემობრუნებას, რომელშიც ექსტრემისტული ნაციონალიზმი და ეთნიკური ქიშპი გამოიწვევს საერთო არასტაბილურობასა და მრავალ კონფლიქტს. მერშაიმერი ცივ ომს მიიჩნევს სტაბილურობისა და მშვიდობის პერიოდად, რაც განაპირობა ძალაუფლების ბიპოლარულმა სტრუქტურამ. ამ სისტემის კოლაფსთან ერთად დაიწყება მეტოქეობა სახელმწიფოთა შორის, რაც ახასიათებდა საერთაშორისო ურთიერთობებს XVII საუკუნიდან მოყოლებული.

ნეორეალისტთა შეხედულებით, საერთაშორისო პოლიტიკისათვის შესაძლოა არ იყოს დამახასიათებელი მუდმივი ომები, მაგრამ იმ მიზეზით, რომ იარსებებს ურთიერთსანინაალმდეგო ინტერესები, ყოველთვის იქნება ომის შესაძლებლობა. ისინი აღიარებენ, რომ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა შესაძლებელია და აუცილებელიც, მაგრამ მიაჩინიათ, რომ თანამშრომლობასაც გარკვეული საზღვრები გააჩინია. მარადიული მშვიდობა – ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც სახელმწიფოები აღარ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ძალაუფლებისათვის, პრაქტიკულად მიუღწეველია.

უსაფრთხოების „დილემა“

შეხედულება, რომ ომი არის საერთაშორისო პოლიტიკის მუდმივი თანმდევი თვისება და ასევე გაგრძელდება მომავალშიც, ემყარება ცნებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს უხდებათ არსებობა ე.ნ. უსაფრთხოების დილემის პირობებში, რომლიდანაც თავის დაღნევა პრაქტიკულად შეუძლებელია. უსაფრთხოების დილემის იდეა პირველად მეაფიოდ გამოხატა ჯონ ჰერცმა (J. Herz). მისი შეხედულებით, ეს არის „სტრუქტურული ცნება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოთა მცდელობები, დაიკმაყოფილონ საკუთარი უსაფრთხოების მოთხოვნილებანი, შეიძლება მიჩნეულ იქნეს საფრთხის შექმნის გაზრავად სხვათათვის, რამდენადაც თითოეულს შეუძლია საკუთარი მოქმედება“

თავდაცვითად მონათლოს, ხოლო სხვათა ღონისძიებანი მისთვის პოტენციურად საფრთხის შემქმნელად მიიჩნიოს" (Herz, 1950: 157). საერთო ჯამში, უსაფრთხოების დილემის კონცეფციის თანახმად, ერთი სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების მყარი გარანტიების შექმნა ამცირებს სხვა სახელმწიფოს უსაფრთხოების დონეს.

სირთულეები სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისათვის

ნეორეალისტთა უმრავლესობისათვის არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა უსაფრთხოების არსში ცივი ომის შემდგომ პერიოდში. უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის დამადასტურებლად ისინი იხსენებენ ყურის ომს, კონფლიქტებს ყოფილი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე. სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა სასურველია, მაგრამ ამის მიღწევა საკმაოდ რთულია და მაღალ დონეზე შენარჩუნება – კიდევ უფრო რთული. არსებობს ორი უმთავრესი ფაქტორი, რომლებიც ხელს უძლიან თანამშრომლობას 1989 წლის ცვლილებების შემდეგაც: პირველი არის უნდობლობა; ხოლო მეორე რელატიური, არათანაბარი, შედარებითი სარგებელი.

შესაძლებლობები სახელმწიფოთა თანამშრომლობისათვის

"კონტინგენტური" რეალიზმი

უოლცისა და მერშაიმერის მსგავსი „პესიმისტი“, ნეორეალისტები-საგან განსხვავებით, სხვა ნეორეალისტები უფრო მეტ ოპტიმიზმს იჩენენ. ჩარლზ გლასერი (Ch. Glasser) სტრუქტურული რეალიზმის ბევრ მოსაზრებასა და ანალიზს ეთანხმება, მაგრამ მიიჩნევს, რომ მრავალი პირობაა იმისათვის, რომლებითაც დაპირისპირებულ მხარეებს გაცილებით უკეთ შეუძლიათ მიაღწიონ საკუთარ უსაფრთხოებას თანამშრომლობაზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავების გზით, ვიდრე მეტოქეობით. ამ პირობებში სახელმწიფოები ქიმპს თანამშრომლობას ამჯობინებენ. სახელმწიფოთა შორის შეჯიბრი ყოველთვის არ ინვევს ომს და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოები აცნობიერებენ, რომ თანამშრომლობა მათთვის გაცილებით უფრო მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე დაპირისპირება. შესაბამისად, არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი ცივი ომის შემდგომ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის. ამგვარი მიღების მხარდამჭერებს „კონტინგენტურ“ რეალისტებს უნდობენ.

მომწიფებული ანარქია

შეხედულება, რომ შესაძლებელია უსაფრთხოების დილემის უკანა პლანზე გადაწევა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაფართოების გზით, ასევე განიხილება სხვა მქონე ვრების მიერ, რომლებიც

საკუთარ თავს „ნეორეალისტებად“ ან „სტრუქტურულ რეალისტებად“ ნათლავენ. ბარი ბუზანი მიიჩნევს, რომ 80-90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მახსიათებელი არის „მომნიფებული ანარქიის“ წარმოქმნა, რომელშიც სახელმწიფოები აცნობიერებენ იმ ინტერნაციურ საფრთხეებს, რომელსაც იწვევს აგრესიული ქიშპი ბირთვულ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ბუზანი აღიარებს სახელმწიფოებში არსებულ საკუთარ ვინრო ლოკალური უსაფრთხოების ინტერესებზე ფოკუსირების ტენდენციას, იმავდროულად მიიჩნევს, რომ უფრო „მომნიფებულ“ სახელმწიფოებს გაცნობიერებული აქვთ მათვის „სასარგებლო მიზეზების“ არსებობა, რის გამოც საკუთარი პოლიტიკის გატარებისას ისინი ითვალისწინებენ მეზობელთა ინტერესებსაც. ამის მაგალითად იგი თვლის ჩრდილოეთის სახელმწიფოებს, რომელებმაც „მომნიფების პროცესში“ სამხედრო მეტოქეობიდან მიაღწიეს „უსაფრთხოების საზოგადოების“ შექმნას. ბუნებრივია, ეს პროცესი საკმაოდ ნელი და რთულია. ამასთანავე, ბუზანის თვალსაზრისით, ნაციონალური უსაფრთხოებიდან ზრუნვის თანდათანობითი გადანაცვლება საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ზრუნვისაკენ, არა მარტო შესაძლებელი, არამედ უეჭველად სასურველი პროცესია.

ამგვარი ცვლილების ყველაზე მკაფიო მაგალითი დასავლეთ ევროპაა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე. საფრანგეთსა და გერმანიას, ასევე ამ რეგიონის სხვა ევროპულ ქვეყნებს შორის საუკუნოვანი დაპირისპირების შემდეგ, შეიქმნა „საზოგადოების“ ახალი ცნება, რომელმაც ძველი მტრები უახლოეს მოკავშირეებად გადააქცია. ევროკავშირში დღესაც არსებობს უთანხმოებანი, მაგრამ ისინი ყოველთვის წყდება მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით. „მომნიფებული ანარქიის“ კონცეფციის მომხრენი მიიჩნევენ, რომ დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ეს პროცესი შეიძლება განივრცოს და გახდეს უფრო ფართო „უსაფრთხოების საზოგადოების“ შექმნის საფუძველი, მოიცავას სხვა რეგიონები, რომლებთანაც ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს.

საკვანძო კონცეფციები

„უსაფრთხოების საზოგადოება არის ხალხის ჯგუფი, რომელიც „ინტეგრირებული“ ხდება. ინტეგრაციაში იგულისხმება გარევეული ტერიტორიის საზღვრებში „ერთიანი საზოგადოების გრძნობის“ ჩამოყალიბება, რომლის საფუძველიც ხდება რწმენა იმისა, რომ საერთო სოციალური პრობლემები შეიძლება და საჭიროა გადაწყდეს, „მშვიდობიანი ცვლილების“ პროცესებით.“

(Karl Deutsch)

„უსაფრთხოების რეჟიმები იქმნება, როდესაც სახელმწიფოთა

ჯგუფი თანამშრომლობს უთანხმოებების გადასაწყვეტად და თავს არიდებს ომს. ისინი უსაფრთხოების დილემას გადალახავენ როგორც საკუთარი მოქმედებებით, ისე ერთიანი მოსაზრებების ჩამოყალიბებით სხვათა ქცევაზე.“

(Robert Jervis)

„კომპლექსური უსაფრთხოება მოიცავს სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელთა პირველადი უსაფრთხოება მეტად მჭიდრო ურთიერთკავშირშია და თითოეული მათგანის ნაციონალური უსაფრთხოება სხვებისაგან გამოცალეკევებით სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს.“

(Barry Buzan)

„საერთო უსაფრთხოებაზე თანხმობა არის ორგანიზაციული პრინციპი ომის რისკის შემცირების, შეიარაღებათა ლიმიტირებისა და განიარაღების პირობების შექმნისაკენ მიმართული ძალისხმევისათვის. მის დედარსს ნარმოადგენს ის, რომ ინტერესთა კონფლიქტების გადაწყვეტისას თანამშრომლობა ცვლის კონფრონტაციას. ეს არ ნიშნავს, რომ განსხვავებები ხალხებს შორის უნდა მოისპოს ანდა გაქრეს... ამოცანას მხოლოდ და მხოლოდ შეადგენს იმის გარანტიების შექმნა, რომ კონფლიქტები არ გადაიზრდება ომში ან საომარ მზადებაში. ეს ნიშნავს, რომ ერებმა უნდა გააცნობიერონ, მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებას უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ვიდრე მათი საკუთარი იდეოლოგიური თუ პოლიტიკური პოზიციების გამყარების მოთხოვნებს.“

(Palme Report 1992)

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი

საერთაშორისო უსაფრთხოებისადმი სტანდარტული ნეორეალისტური მიდგომის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია იმის რწმენა, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები არ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ომისაგან თავის არიდების საქმეში. ეს ინსტიტუტები მიჩნეულია სახელმწიფოთა ინტერესების პროცესტად და საერთაშორისო სისტემისათვის იძულებით თავსმოხვეულად. სწორედ ეს ინტერესები განაპირობებს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას ან დაპირისპირებას და არა ის ორგანიზაციები, რომლებშიც გაერთიანებულია ეს სახელმწიფოები.

ამგვარი შეხედულებები მრავალი სახელმწიფო მოღვაწისა თუ საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტისათვის ეჭვის ქვეშ დადგაცივი ომის დასრულების შემდეგ. მაგალითად, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის დაგლას ჰერდის (D. Hurd) აზრით, საერთაშორისო ინსტიტუტები ასრულებდნენ და ამჟამად უფრო მეტად ას-

რულებენ გადამწყვეტი როლს უსაფრთხოების გარანტიების შექმნაში, უპირველესად ევროპაში. მას მიაჩინა, რომ დასავლეთმა იმგვარი საერთაშორისო ინსტიტუტები შექმნა, რომელსაც შესწევთ უნარი გადამყვიტონ საერთო პრობლემები. ცივი ომის შემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამგვარი ინსტიტუტების ადაპტირება ახალი პირობებისადმი.

ეს შეხედულება ასახავს იმ რჩმენას, რომელსაც მრავალი იზიარებს დასავლეთში და რომლის თანახმადაც იმგვარი ორგანიზაციების, როგორიცაა ევროკავშირი, ნატო, ეუთო, განვითარება და შემდგომი სრულყოფა შექმნის ევროპული უსაფრთხოების უფრო მყარ და სტაბილურ პირობებს. ამგვარ მიდგომას ასევე შეუძლია უსაფრთხოების პირობების შექმნა მსოფლიოს სხვა რეგიონებში. მაგ., ასეან-ი ხშირად მიიჩნევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სტაბილურობის შექმნის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ასევე აფრიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი კონტინენტზე არსებული კონფლიქტების მოგვარებაში.

ამგვარი შეხედულებები 80-90-იანი წლებიდან გამოდის წინა პლანზე. ამ თვალსაზრისის მომხრე მკვლევრები მხარს უჭირენ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოთა შორის ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობა ქმნის არნახულ შესაძლებლობებს მომავალში საერთაშორისო უსაფრთხოების მყარი გარანტიების მიღწევისათვის. XX საუკუნის მიწურულს საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის მკეთრი შეცვლა ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის ტრადიციული ქიშპის მოსპობას.

ეს მიდგომა, რომელიც ცნობილია ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ახლოს დგას რეალისტურ შეხედულებეთან, სტრუქტურული რეალისტებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ როლს ანიჭებს თანამშრომლობის საერთაშორისო ინსტიტუტებს გარემოსა და სტაბილურობის მიღწევის საქმეში. „ინსტიტუტებს შეუძლიათ შექმნან ინფორმაცია, შეამცირონ ტრანსაქციის ლირებულება, შეთანხმებები უფრო ქმედითუნარიანი გახადონ და ზოგადად, ხელი შეუწყონ თანამშრომლობას ურთიერთნდობის საფუძველზე“ (Keohane and Martin, 1995: 42). ამ თვალსაზრისის მომხრენი ხაზს უსვამენ ევროპული ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების მნიშვნელობას ევროპულ სახელმწიფოთა ტრადიციული ქიშპის მოსპობის საქმეში. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ისეთ ორგანიზაციების, როგორიცაა ევროკავშირი თუ ნატო, სახელმწიფოები, მნიშვნელოვანი ინვესტირებით, მეტიონდ აჩვენებენ, რომ სწავლა ამ ინსტიტუტების ქმედითუნარიანობისა და სარგებლიანობის. ამავე შეხედულებით, თუკი სახელმწიფოები ზრუნავენ მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების

გაზრდასა და დაცვაზე, მაშინ ამგვარი ორგანიზაციები თავისთავად დაიშლებოდა ცივი ომის დასრულების შემდეგ. რეალურად კი საპირისპირო რამ მოხდა. ორივე ამ ორგანიზაციამ შეინარჩუნა ძალა და კიდევ უფრო გაიზარდა რაოდენობრივად და ხარისხობრივად საუკუნის მიწურულს. ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარ ორგანიზაციებს შეუძლიათ მთლიანად მოსპონ მოის საფრთხე, მაგრამ მათ ძალუებთ თანამშრომლობის გზით გამომუშავებული საერთო პოლიტიკის შედეგად, შეამცირონ კონფლიქტების საფრთხე.

საკვანძო საკითხები:

- ნეორეალისტები უარყოფენ საერთაშორისო ინსტიტუტების მნიშვნელობას მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიების შექმნის საქმეში.
- ლიბერალი ინსტიტუციონალისტები რეალიზმის მრავალ თვალსაზრისს იზიარებენ, მათ შორის სამხედრო ძალის მნიშვნელობის შენარჩუნების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები ქმნიან ჩარჩოს თანამშრომლობისათვის, რომელიც წარმოშობს უსაფრთხოების პირობებსა და ამცირებს სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებას.

დემოკრატიული მშვიდობის თეორია

მეორე ლიბერალური მიდგომის მთავარი არგუმენტია ის, რომ დემოკრატიული ქვეყნები არასოდეს იწყებენ ერთმანეთს შორის ომს. აქედან გამომდინარე, დემოკრატია წარმოადგენს მშვიდობისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს. ისევე, როგორც „ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი“, ეს თვალსაზრისიც ფართო მხარდაჭერით სარგებლობს დასავლეთის აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში. 1994 წელს, ამერიკის მოსახლეობისადმი მიმართვაში, ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ხაზი გაუსვა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ომის შეუძლებლობა წარმოადგენს აშშ-ის პოლიტიკის გამართლებას დემოკრატიის გავრცელების საქმეში.

„დემოკრატიული მშვიდობის“ თეორია უპირველესად დაკავშირებულია მ. დოილისა (M. Doyle) და პ. რასეტის (B. Russet) ნაშრომებთან. დოილი ამ თვალსაზრისით ხაზს უსვამს 1795 წელს გამოქვეყნებულ ე. კანტის ესსეს „მარადიული მშვიდობა“ მნიშვნელობას. დოილი მიიჩნევს, რომ დემოკრატიული წარმომადგენლობა, ადამიანის უფლებათა დაცვის იდეოლოგიური ვალდებულება და ტრანსნაციონალური ურთიერთდამოკიდებულება ხსნის დემოკრატიულ სახელმწიფოებში „მშვიდობის ქადაგების“ ტენდენციებს. ამგვარი შიდა ფასეულობებით ძალის ლოგიკა იცვლება ლიბერალური შეთანხმების ლოგიკით.

დემოკრატიული მშვიდობის იდეის, როგორც ცივი მოის შემდგომი ეპოქის საერთაშორისო უსაფრთხოების შექმნის მთავარი საშუალების, მომხრენი არა მხოლოდ ამტკიცებენ, რომ ომი დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის შეუძლებელია, არამედ იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ამ ქვეყნებს ძალუბთ ინტერესთა კონფლიქტები გადაწყვიტონ სახელმწიფო ძალის გამოყენების საფრთხის შექმნის გარეშე.

საკვანძო საკითხები:

- დემოკრატიული მშვიდობის თეორია ჩამოყალიბდა XX ს-ის 80-იან წლებში. მის უმთავრეს არგუმენტს ნარმოადგენს ის, რომ დემოკრატიის გავრცელება ქმნის საერთაშორისო უსაფრთხოების უფრო ფართო გარანტიებს.
- დემოკრატიული მშვიდობის თეორია ემყარება კანტისეულ ლოგიკას, რომელიც სამ ძირითად ელემენტს შეიცავს: რესპუბლიკურ დემოკრატიულ ნარმომადგენლობას; ადამიანთა უფლებების დაცვის იდეოლოგიურ ვალდებულებას; ტრანსნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებას.
- დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მომხრენი არ უარყოფენ მთლიანად რეალიზმს, მაგრამ უარყოფენ „ვულგარულ რეალიზმს“, რომლის დედაარსია ყველას ომი ყველას წინააღმდეგ.

კოლექტიური უსაფრთხოების იდეები

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მიღებიც არსებობს. ამ მიღების თანახმად, realpolitik-ასა და ძალის როლთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია საშინაო პოლიტიკის, რჩმენა-შეხედულებების, ქცევის ნორმების გავლენა სახელმწიფოთა მოღვაწეობაზე საერთაშორისო არენაზე. ერთ-ერთი ამგვარი მიღებიცა ასოცირდება „კოლექტიური უსაფრთხოების“ იდეებთან. ამ შეხედულების მიმდევრების თვალსაზრისით, თუმცა სამხედრო ძალა კვლავაც რჩება საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვან მახასიათებლად, მაინც არსებობს რეალიზმის მკაცრი ჩარჩოების, რომლის თანახმადაც თითოეული სახელმწიფო მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს, გადალახვის საშუალება, განსაკუთრებით ცივი ომის დასრულების შემდეგ. ისინი უარყოფენ იდეას, რომ სახელმწიფოთა ქცევა მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის პროდუქტია. მათი შეხედულებით, იდეებს ასევე გააჩინათ მნიშვნელობა.

ჩარლზ და კლიფორდ კაპჩენების (Ch. and C. Kupchan) შეხედულებით, კოლექტიური უსაფრთხოების პირობებში, სახელმწიფოები თანხმდებინა გარკვეული ნორმებისა და წესების შესრულებაზე სტაბილურობის შესანარჩუნებლად, და როდესაც საჭიროა, ძალისხმევის გაერ-

თანაბაზე აგრესორის უკუსაგდებლად. კოლექტიური უსაფრთხოება მოითხოვს სახელმწიფოთაგან თავიანთი უსაფრთხოების გარანტიის მისაღწევად სამი უმთავრესი პრინციპის დაცვას სახელმწიფოთა-შორისო ურთიერთობებში.

- პირველი, მათ უარი უნდა თქვან სამხედრო ძალის გამოყენებაზე და დათანხმდნენ, რომ ნებისმიერი დავა მათ შორის უნდა გადანყდეს მშვიდობიანი გზით. საერთაშორისო ურთიერთობებში ცვლილებების მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მოლაპარაკებათა გზით და არა ძალის გამოყენებით.
- მეორე, მათ უნდა „ჩადომ“ ნაციონალური ინტერესის კონცეფციაში საერთაშორისო საზოგადოების საერთო ინტერესები. ეს ნიშნავს, რომ თუკი სისტემაში გამოჩნდება ნესრიგის დამრღვევი, ყველა პასუხიმგებელი სახელმწიფო ავტომატურად და კოლექტიურად დაუპირისპირდება აგრესორს სამხედრო ძალის გამოყენებითაც კი.
- მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებმა უნდა გადალახონ შიში, რომელიც დომინირებს მსოფლიო პოლიტიკაში და ისწავლონ ერთმანეთის ურთიერთობა.

კოლექტიური უსაფრთხოება მის მიმდევრებს ყველაზე ეფექტურ მექანიზმად მიაჩინიათ აგრესორის გასანეიტრალიზაცია. ეს ასევე ითვლება უფრო ქმედით და ყველასათვის სასარგებლო საერთაშორისო სისტემის შექმნის მნიშვნელოვან ხელშემწყობად. მათი აზრით, ცივი ომის შემდგომ, წარსულისაგან განსხვავებით, არსებობს ყველა პირობა, რათა სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბონ ერთიანი ფასეულობები და გაუჩინდეთ თანმთხვევი ინტერესები. ამ თვალსაზრისის მომხრენი 1991 წლის ყურის ომს მიიჩნევენ კოლექტიური უსაფრთხოების ეფექტურ გამოვლენის მკაფიო მაგალითად ცივი ომის შემდგომ პერიოდში.

კოლექტიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები

1. სახელმწიფოებისათვის ხშირად რთულია, შეუძლებელიც კი, განასხვაონ საერთაშორისო კონფლიქტების დროს „აგრესორი“ და „მსხვერპლი“.
2. კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის თანახმად, ნებისმიერი სახის აგრესია დაუშვებელია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაპყრობა ქმნის უსაფრთხოების გარანტიას აგრესიული მეზობლის ნინაალმდევ.
3. რადგანაც ზოგიერთი ქვეყანა განსაკუთრებით ახლოს დგას ერთმანეთთან ისტორიული ან იდეოლოგიური მახასიათებლებით, ისინი შეუძლებლად ჩათვლიან შეუერთდნენ კოალიციებს თავი-ანთი „მეგობრების“ ნინაალმდევ.

4. სახელმწიფოთა შორის ისტორიულმა ქიშპმა შეიძლება წინაღობა შეუქმნას კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე მუშაობისას ეფექტის მიღწევას.

5. იმის გამო, რომ სახელმწიფოებს ახასიათებთ ტენდენცია აგრესის შემთხვევაში სხვაზე გადაიტანონ პასუხისმგებლობა, ძნელია პასუხისმგებლობის თანაბარი გადანაწილება.

6. სირთულეები წარმოიქმნება აგრესისათვის სწრაფი პასუხის გაცემის აუცილებლობისას, ვინაიდან არ არსებობს საერთო ნება, რომ ყველა ჩატარების მოვარებაში წინაკრიზისულ პერიოდში.

7. სახელმწიფოები ხშირად ერიდებიან შეუერთდნენ კოალიციებს, ვინაიდან კოლექტიური ქმედება ნიშნავს ლოკალური კონფლიქტის გარდაქმნას საერთაშორისო კონფლიქტად.

8. სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპის დაცვიდან გამომდინარე, დემოკრატიული სახელმწიფოები ხშირად თავს იკავებენ ავტომატურად შეუერთდნენ კოლექტიურ ქმედებას,

9. კოლექტიური უსაფრთხოება ასევე შეიცავს წინააღმდეგობას სამხედრო ძალის შეფასების თვალსაზრისით. ის მიუღებლად მიიჩნევა, მაგრამ, ამასთანავე, სახელმწიფოებმა შეიძლება გამოავლინონ მისი გამოყენების ნება აგრესორის წინააღმდეგ.

J. Mearsheimer, *The False Promise of International Institutions, International Security*, 19 (3), 1994-5.

„კონსტრუქტივისტული“ კრიტიკული თეორია

თვალსაზრისს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები განპირობებულია არა მხოლოდ ძალის პოლიტიკით, არამედ იდებითაც, იზიარებენ ასევე მკვლევრები, რომელიც საკუთარ თავს „კრიტიკულ თეორეტიკოსებად“ განსაზღვრავენ. ამასთანავე, კრიტიკული თეორია სულაც არ არის ერთიანი თეორია, იგი უფრო თეორიათა „ოჯახია“, რომელთაგან ბევრს მრავალი განმასხვავებელი ნიშან-თვისება გააჩნია, მაგრამ აქვს შეხების ნერტილებიც. ამგვარად, საერთოა ის, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ფუძემდებლური სტრუქტურები უფრო მეტად სოციალურია, ვიდრე მატერიალური. მეორეა ის, რომ ჩვენი აზროვნების ცვლილება საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ შესაძლებელია გახდეს უზარმაზარი ნაბიჯი უფრო მყარი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის შექმნის გზაზე.

კრიტიკული თეორეტიკოსების ერთი ჯგუფი საკუთარ თავს უწოდებს „კონსტრუქტივისტებს“. ერთი მხრივ, ისინი იზიარებენ უმთავრეს რეალისტურ შეხედულებებს საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ. ისინი აღიარებენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკა ანარქი-

ულია; რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ თავდასხმის უნარი; რომ სახელმწიფოები არასოდეს არიან სრულად დარწმუნებული სხვა სახელმწიფოთა ზრახვებში; რომ სახელმწიფოებს სურთ გადარჩნენ; და რომ სახელმწიფოები ცდილობენ რაციონალურად იმოქმედონ. ამასთანავე, ისინი საკუთარ თავს მიიჩნევენ „სტრუქტურალისტებადაც“. ეს ნიშნავს იმის რწმენას, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა ინტერესები უმეტეს წილად ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის გავლენით.

მიუხედავად ამისა, კონსტრუქტივისტები საერთაშორისო პოლიტიკას მაინც წეორეალისტებისაგან განსხვავებით აღიქვამენ. ამ უკანასკნელთა აზრით, სტრუქტურა შექმნილია მხოლოდ მატერიალური შესაძლებლობების გადანაწილებით. კონსტრუქტივისტები კი ფიქრობენ, რომ სტრუქტურა არის სოციალურ ურთიერთობათა შედეგი. სოციალური სტრუქტურები, მათი მტკიცებით, შექმნილია იმგვარი ელემენტებისაგან, როგორიცაა ცოდნის, მატერიალური რესურსებისა და პრაქტიკების გადანაწილება, ურთიერთგაზიარება. ამის მაგალითად ა. უენდტი (A. Wendt) ამტკიცებს, რომ უსაფრთხოების დილემა ის არსია, რომ სოციალური სტრუქტურა ემყარება ინტერსუბიექტურ ალემას – სახელმწიფოები იმდენად უნდობლობით გამოირჩევიან ერთმანეთის განზრახვათა მიმართ, რომ ამის შედეგად განსაზღვავენ ინტერესებს „მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვის“ ტერმინოლოგიით. საპირისპიროდ, „უსაფრთხოების საზოგადოება“ განსხვავებულ სოციალურ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც გადანაწილებული, ურთიერთგაზიარებული ცოდნისაგან შედგება და რომელშიც სახელმწიფოები წარმოშობილ პრობლემებს ომის გარეშე წყვეტენ.

ურთიერთგაზიარებული ცოდნის სტრუქტურაზე აქცენტის გაკეთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „კონსტრუქტივისტულ“ აზროვნებაში. სოციალური სტრუქტურები მოიცავს მატერიალურ საგნებს, მაგალითად, ტანკებს ან ეკონომიკურ რესურსებს, მაგრამ ისინი მხოლოდ იძენენ მნიშვნელობას ურთიერთგაზიარებული ცოდნის სტრუქტურით, რომელშიც ისინი არიან მოქცეული. ისინი აღიარებენ, რომ ძალის პოლიტიკის ანუ realpolitik-ის იდეა საერთაშორისო პოლიტიკის საბაზისო წესია. მაგრამ კონსტრუქტივისტები ასევე მიიჩნევენ, რომ ძალის პოლიტიკა არის იდეა, რომელიც ეხება სახელმწიფოთა ქცევას, მაგრამ არ აღნერს ყველანაირ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს. სახელმწიფოებზე სხვა იდეებიც ახდენენ ზეგავლენას, როგორიცაა კანონის მმართველობა და ინსტიტუციონალური თანამშრომლობისა და ურთიერთობების მნიშვნელობა. ა. უენდტი მიიჩნევს, რომ „ნდობის ლოგიკა“ გულისხმობს ძალის შესახებ ცოდნის გადანაწილებასა და შეთანხმებულ მოქმედებას. იგი ამტკიცებს, რომ დარწმუნების პოლიტიკამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ურთიერთგაზიარებუ-

ლი ცოდნის სტრუქტურის გაძლიერებას და დაეხმაროს სახელმწიფოებს უფრო მშვიდობიანი „უსაფრთხოების საზოგადოების მიღწევაში.“

ამასთან ერთად, კონსტრუქტივისტები განსხვადოებიან უსაფრთხოების დილემის თავიდან აცილების გზების განსაზღვრის თვალსაზრისით. ზოგიერთისათვის ის ფაქტი, რომ სტრუქტურები სოციალურად არის შექმნილი, აუცილებლად არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია მათი შეცვლა. იგივე უენდტი მიიჩნევს, ზოგჯერ სოციალური სტრუქტურები იმდენად მყარია, რომ მათი ტრასფორმირების სტრატეგიების შემუშავება შეუძლებელია. მრავალი კონსტრუქტივისტი ავტორი, მიუხედავად ამისა, უფრო მეტ პეტიმიზმს იჩენს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც პატიმისტების, ისე პესიმისტების თვალსაზრისით, ცივი ომი მართლაც დასრულდა. პატიმისტების შეხედულებით, სოციალური სტრუქტურის გადამწყვეტი როლის გაცნობიერება უმნიშვნელოვანესია განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და ურთიერთქმედებათა პროცესებში, რამაც უნდა შექმნას თანამშრომლობის გარემო და უკონფლიქტო მსოფლიო.

საკვანძო საკითხები

- კონსტრუქტივისტი მოაზროვნების შეხედულებები ორ უმთავრეს იდეას ემყარება: ა) საერთაშორისო პოლიტიკის ფუძემდებლური სტრუქტურები სოციალურად არის შექმნილი; ბ) საერთაშორისო ურთიერთობათა ცვლილების შესახებ განსჯა უფრო მყარი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.
- კონსტრუქტივისტები იზიარებენ ნეორეალიზმის მრავალ დებულებას, მაგრამ უარყოფენ თვალსაზრისს, რომ „სტრუქტურა“ წარმოადგენს მხოლოდ მატერიალურ საშუალებებს. ისინი ყურადღებას ამახვილებენ სოციალური სტრუქტურის იმ დეფინიციის მნიშვნელობაზე, რომლის თანახმადაც იგი ისევე განისაზღვრება ურთიერთგაზიარებული ცოდნითა და პრაქტიკებით, როგორც მატერიალური შესაძლებლობებით.
- კონსტრუქტივისტები შეიძლება იყვნენ პესიმისტები ან პეტიმისტები საერთაშორისო ურთიერთობათა ცვლილებისა და უფრო მყარი საერთაშორისო უსაფრთხოების მიღწევის შესახებ მსჯელობისას.

პოსტმოდერნისტული შეხედულება საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ

უკანასკნელ ხანებში პოპულარული გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ პოსტმოდერნისტული მიდგომა, რომელიც

გარკვეული ილად განსხვავებულ პერსპექტივას აყალიბებს საერთაშორისო უსაფრთხოების თაობაზე. პოსტმოდერნისტები აღიარებენ იდეათა განსაკუთრებულ როლს, მაგრამ ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნიენ იმასაც, თუ როგორ ლაპარაკობს და აღიქვამს მოსახლეობა საერთაშორისო პოლიტიკასა და უსაფრთხოების პრობლემებს. სწორედ ეს მიაჩნიათ პოსტმოდერნისტებს სახელმწიფოთა ქცევის განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორად. ისეთი ავტორისათვის, როგორიცაა რიჩარდ ეშლი (R. Ashley), რეალისტური მიდგომა საფრთხეს ქმნის საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს იმ მიზეზით ხდება, რომ რეალიზმი წარმოადგენს შეხედულებას ძალისა და მმართველობის შესახებ, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში წარსულში დომინირებდა და რაც ხელს უწყობდა სახელმწიფოთა და პირისპირებას, ვინაიდან თითოეული სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების გარანტიების შექმნით ამცირებდა სხვათა უსაფრთხოებას. ჯონ ვასკესის (J. Vasquez) შეხედულებით, ძალის პოლიტიკა ეს იმ მსოფლიოს სახეა, რომელშიც სახელმწიფოები თავიანთი მოქმედებით ქმნიან ომის შესაძლებლობებს. ამგვარი მიდგომის თანახმად, ძალთა ბალანსი ომების გამომწვევია. წარსულში სახელმწიფოთა ალიანსები იწვევდა არა მშვიდობას, არამედ ომებს. პოსტმოდერნისტები რეალისტურ მიდგომას ცვლიან „კომუნიტარული მიდგომით“, რომელიც, მათი შეხედულებით, მშვიდობისა და ჰარმონიის გამომხატველია. თუკი დამყარდება კომუნიტარული წორმები, ინდივიდები, სახელმწიფოები და რეგიონები ისწავლიან ერთმანეთთან თანამშრომლობას და გლობალური პოლიტიკაც უფრო მშვიდობიანი გახდება.

ერთ-ერთი მთავარი განსხვავება რეალიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის არის მათი მეტად განსხვავებული ეპისტემოლოგია (იდეები ცოდნის შესახებ). ჯონ მერშამიერი აღნიშნავს, რომ იქ, სადაც რეალისტები ხედავთ ჩამოყალიბებულ და შეცნობად მსოფლიოს, პოსტმოდერნისტებისათვის ჩანს შესაძლებლობა „დაუსრულებელი ინტერპრეტაციებისა ჩვენს გარშემო არსებული სამყაროსი... არ არსებობს მარადიული, ჩამოყალიბებული მნიშვნელობები, მყარი საფუძვლები, ღრმა საიდუმლოებანი, ისტორიის საბოლოო სტრუქტურები ან საზღვრები... არსებობს მხოლოდ ინტერპრეტაცია... ისტორია თავისთავად ხდება ინტერპრეტაციების სერია, რომელთაც ზემოდან ედება ახალი ინტერპრეტაციები – არა მთავარი, ძირითადი, არამედ ყველა თვითნებური, დაუსაბუთებელი“ (Mearsheimer 1994: 42-3). ცოდნის ბაზისზე ამ უფრო სუბიექტურ, ვიდრე ობიექტურ მსჯელობას, პოსტმოდერნისტები მიჰყავს ნორმატიული ფასეულობების მნიშვნელობის წინ წამოწვამდე. მათი შეხედულებით, ადამიანთა ქცევის უზარმაზარი კომპლექსურობა და მრავალფეროვნება, მათი კულტურული, რელიგიური, ისტორიული თუ ლინგვისტური ვარიაციების სახით, ნიშავს, რომ შეუძლებელია გლობალური რეალობის ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტირება.

საკუანძო საკითხები

- პოსტმოდერნისტები ხაზს უსვამენ იდეათა როლს საერთა-შორისო უსაფრთხოების გარანტიების შექმნის საქმეში.
- პოსტმოდერნისტები რეალისტურ მიდგომას ცვლიან კომუნიტარული მიდგომით.
- რეალისტებისა და პოსტმოდერნისტების ეპისტემოლოგია დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

→ გლობალისტური შეხედულებები საერთაშორისო უსაფრთხოების შესახებ

სწავლულთა ერთი ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ახალ ტენდენციებზე, რომლებიც უკვე მკაფიოდ გამოვლინდა მსოფლიო პოლიტიკაში. თუკი წარსულში სახელმწიფოებს ცენტრალური ადგილი ეკავათ საერთაშორისო ურთიერთობების განხილვისას, უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომის პოზიციები საკმაოდ შეირყა. „გლობალური საზოგადოების“ სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ XX ს-ის მინურულს გლობალიზაციის პროცესი (რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნეა მიმდინარეობს) იმდენად დაჩიქარდა, რომ ამჟამად „გამოკვეთილია გლობალური საზოგადოების მკაფიო კონტურები“. გლობალური ეკონომიკის, გლობალური კომუნიკაციების, გლობალური კულტურის ელემენტების წარმოქმნამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო ქსელის შექმნას, რაც გამჭვირვალეს ხდის სახელმწიფოთა საზღვრებს და ეხება ეკუთხლივი მნიშვნელოვან წარმომადგენლების წინაშე მთელი სიმწვავით წამოიქრება გარემოსთან, სიღარიბესთან, მასობრივ იარაღთან დაკავშირებული ახალი საფრთხეები, იმავდროულად კი ეროვნული სახელმწიფო კრიზისს განიცდის.

„გლობალური საზოგადოების“ სკოლის მიმდევრები აღიარებენ, რომ გლობალიზაცია არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი პროცესია. ცივი ომის დასრულების მახასიათებელი გახდა მრავალი საზოგადოებრივი მოძრაობის წარმოქმნა-განვითარება, მაგრამ ასევე სახელმწიფოთა ფრაგმენტაცია (უპირველესად, ყოფილ კომუნისტურ ბლოკი). სხვა შინაარსის, მაგრამ ასევე მეტად სახიფათო პროცესები მიმდინარეობს დასავლურ დემორატიულ საზოგადოებებში. მარტინ შოუ (M. Shaw) მას უწოდებს „დასავლური სამოქალაქო საზოგადოების კრიზისს“. დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირების დასრულებასან ერთად „დასავლური სამოქალაქო საზოგადოების დუღაბი დაიშალა... ყოველივე ამის შედეგად, ინდივიდთა საერთო კეთილდღეობის ფონზე, სა-

ზოგადოებების არსებობა – სოფლებისა და ქალაქების, ეთნიკური ჯგუფების ცხოვრების წესით, სოციალური ორგანიზაციის ტრადიციებითა და ფორმებით, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა" (M. Shaw 1994: 170-2).

ამ „სახელმწიფოებრიობის დაკინობის“ შედეგი გახდა კონფლიქტური გარემოს გადანაცვლება დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირებიდან საფრთხეთა ახალ ფორმებზე, რასაც ნარმოადგენს ნაციონალისტური, ეთნიკური, რელიგიური ქიშპი სახელმწიფოთა შიგნით და სახელმწიფოთა საზღვრებთან დაკავშირებით. ყოველივე ეს გამოიხატა სისხლიანი სამოქალაქო ომების სახით ბოსნიაში, რუსეთში, საქართველოში, სომალიში, რუანდაში, იემენსა თუ ალჟირში 90-იანი წლების განხავლობაში. ამგვარი კონფლიქტები, რომლებიც ზოგჯერ გენოციდამდე და ეთნიკურ წმენდამდეც მიდის, მეტად ერიტიკულ პრობლემას ქმნის საერთაშორისო საზოგადოებისათვის – როდის არის დასაშვები და აუცილებელი სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევა (ამ საკითხის შესახებ იხ. VII თავი). ეს დილემა, გლობალური საზოგადოების თეორეტიკოსთა თანახმად, ასახავს კაცობრიობის ისტორიულ ტრანსფორმაციას, რასაც ადგილი ჰქონდა XX ს-ის მინურულს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები აგრძელებენ არსებობას, გლობალისტები მიიჩნევენ, რომ ამჟამად უკვე არსებულ გლობალურ საზოგადოებაში უპირველესად საჭიროა ფიქრი ინდივიდთა და ჯგუფების უსაფრთხოებაზე. ტრადიციული ფოკუსირება ნაციონალურ ან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე (და სუვერენიტეტზე) უკვე ალარ შეესატყვისება მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს. არსებულ ვითარებაში აუცილებელია გლობალური პასუხისმგებლობის ახალი პოლიტიკის შემუშავება, რომელმაც, ერთ მხრივ, უნდა გადანყვიტოს გლობალური უთანასწორობის, სილარიბის, გარემოს დაბინძურების პრობლემები, მეორე მხრივ კი, უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა, დემოკრატიის, ინდივიდუალური და ჯგუფური უსაფრთხოების დაცვა, რაც არა ცალკეული სახელმწიფოს, არამედ მთელი მსოფლიოს საქმედ უნდა იქცეს.

უსაფრთხოებისადმი გლობალისტური მიდგომა ემყარება იმ თვალსაზრისს, რასაც ენტონი გიდენსი უწოდებს უტოპიურ რეალიზმს. ამ შეხედულების მიხედვით, „რეალისტურია“ საუკუნეების მანძილზე არსებული საერთაშორისო პოლიტიკის რადიკალური ტრასფორმაციის აღიარება და ისიც, რომ ეს პროცესი დღეს მიმდინარეობს. გლობალიზაციის ტენდენციების განვითარების შედეგად, რეალისტური ხდება რეგიონული „უსაფრთხოების საზოგადოებების“ შექმნა და განვრცხბა, მათი უფრო ფართო კავშირებში გადაზრდა. მ. შოუ ამტკიცებს, რომ უკვე შეიძლება დავინახოთ ჩრდილოეთის გიგანტური „უსაფრთხოების საზოგადოების“ კონტურები, რომელმაც, ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის გარდა, უნდა მოიცვას აღმოსავლეთ ევროპის სახ-

ელმნიფონებისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა, იაპონია, აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოები და ავსტრალია. ამ „უსაფრთხოების საზოგადოებას“ ასევე უნდა შეუერთდნენ სხვა რეგიონული დაჯგუფებები ჩინეთისა თუ ინდოეთის, ეგვიპტისა თუ სამხრეთ აფრიკის მეთაურობით. ყოველივე ამის საშუალებას წარმოადგენს გლობალური კომუნიკაციები, რაც იძლევა ახალი კონსენსუსის, ნორმებისა და მრნამსის შექმნის საშუალებას, რასაც, თავის მხრივ, შეუძლია გარდაქმნას გლობალური უსაფრთხოების ბუნება.

საკვანძო საკითხები

- „გლობალური საზოგადოების“ სკოლის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ XX ს-ის მინურულს აშკარა გახდა გლობალიზაციის პროცესის აქსელერაცია.
- სახელმწიფოებრივის დაკინებამ გამოიწვია ახალი ტიპის კონფლიქტების წარმოქმნა უფრო მეტად სახელმწიფოთა შიგნით, ვიდრე სახელმწიფოთა შორის, რის ნინაშეც სახელმწიფოთა სისტემა პრაქტიკულად უძლურია. ეს ხელს უწყობს გლობალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შექმნას.
- გლობალიზმი ასევე ხელს უწყობს რეგიონული „უსაფრთხოების საზოგადოებების“ შექმნას, ნორმებისა და მრნმასის შესახებ კონსენსუსის მიღწევასა და განვითარებას.

დასკვნები

XXI საუკუნეში სტრატეგიული გათვლები და ძალა კვლავაც დარჩება სახელმწიფოთა ქცევის მნიშვნელოვან მახასიათებლად, მაგრამ იმგვარადვე, როგორც არსებობდა წარსულში თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდები, XX ს-ის უკანასკნელი ნლების საერთაშორისო ანარქიამ შექმნა თანამშრომლობისა და მისი განვითარების სასურველი გარემო მომავლისათვის. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, გამოხატული უპირველესად მატერიალური ან სოციალური ტერმინოლოგით, კვლავაც გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში, უპირველესად, იმის თვალსაზრისით, თუ როგორ აფასებენ ისინი საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოების ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებს ყოველთვის ვიწრო ჩარჩოებში აქცევენ. არც ერთი მათგანი ხელს არ უშლის მნიშვნელოვან ცვლილებებს საერთაშორისო უსაფრთხოებაში იდეების სახით თუ გლობალური განვითარებით, რაც უეჭველად ხდება; არც ურთიერთებულებათა პროცესების მოდიფიცირებას, რაც ახასიათებს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას.

დემოკრატიული სახელმწიფოების რიცხვების გაზრდა და დემოკრატიულ ფასეულობათა გავრცელება, იმ რნმენასთან ერთად (უპირველესად დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეების), რომ ლიბერალურ ინსტიტუტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის თამაში ტრადიციული უსაფრთხოების დილემის ზომიერ ჩარჩოებში მოქცევაში, დაეხმარა უფრო მომწიფებული ანარქიის მიღწევას 90-იან წლებში. თანამშრომლობის ან საერთო უსაფრთხოების იდეები (რომლის თანახმადაც სახელმწიფოები ანგარიშს უწვენ მათი მეზობლების უსაფრთხოების ინტერესებს), ინუებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ევროპაში და მსოფლიოს სხვა მხარეებშიც უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში. სწორედ თანამშრომლობითი უსაფრთხოების ძალისხმევით ვთავარდება „უსაფრთხოების საზოგადოებები“ და „უსაფრთხოების რეჟიმები“. ეს მკაფიოდ ჩანს იმ განვითარების მაგალითზე, რაც ხდება ევროკავშირში, ეუთო-სა თუ ნატო-ში, ასევე ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ასეან-ის წევრ სახელმწიფოებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. უსაფრთხოების რეჟიმები მსგავსი ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის ხელშეკრულებისა 1968 წელს (რომელსაც 1995 წელს ახალი სახელმწიფოებიც შეუერთდნენ) ასახავს იმ გზას, რომელსაც სახელმწიფოები ხშირად იჩივევნ ქცევის ნორმებისა და წესების პარმონიზაციის მისაღწევად, რაც ხელს უწყობს დაპირისპირების საშიმროების შემცირებას.

კითხვები და დავალებები:

1. რატომ არის უსაფრთხოება „სადაცო კონცეფცია“?
2. რატომ ახდენენ ტრადიციული რეალისტი მკვლევრები ფორუსირებას ნაციონალურ უსაფრთხოებაზე?
3. რას გულისხმობენ ნეორეალისტები ცნებაში „სტრუქტურა“?
4. რას ნიმუშს „უსაფრთხოების დილემა“?
5. დაახასიათეთ ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი.
6. რატომ ითვლება დემოკრატიული ქვეყნები უფრო მშვიდობისმოყვარედ?
7. რითი განსხვავდება „კონსტრუქტივისტთა“ შეხედულება საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ნეორეალისტურისაგან?
8. რა პრობლემებია დაკავშირებული კოლექტიურ უსაფრთხოებასთან?
9. რა არის „გლობალური საზოგადოების“ სკოლის ძირითადი პრინციპები?

எனது நாட்டுரூபா:

- B. Buzan, People's States and Fear (London: Harvester, 1983).
- M. W. Doyle, On the Democratic Peace, *International Security*, 19 (4), 1995.
- A. Giddens, The Consequences of Modernity: Self and Society in the Late Modern Age (Cambridge: Polity Press 1990).
- J. Herz, Idealist Internationalism and the Security Dilemma, *World Politics*, 2 (2), 1950.
- R. Keorane and G. Martin, The Promise of Institutional Theory, *International Security*, 20 (1), 1995.
- Ch. and C. Kuphan, Concerts, Collective Security and the Future of Europe, *International Security*, 16 (1), 1991.
- J. Mearsheimer, Back to the Future: Instability After the Cold War, *International Security*, 15 (1), 1990
- J. Mearsheimer, The False Promise of International Institutions, *International Security*, 19 (3), 1994-5.
- B. Russet, The Democratic Peace, *International Security*, 19 (4), 1995.
- M. Shaw, Global Society and International Relations (Cambridge: Polity Press, 1994).
- M. J. Smith, Realist Thought from Weber to Kissinger (Baton Rouge: Louisiana State Univ. Press, 1986).
- A. Wendt, Anarchy is What States Make of it: The Social Construction of Power Politics, *International Organization*, 46:2 (1992).
- M. Zürn, Regierung jenseits des nationalstaates, (Fr.a.M: 1998).

V. საერთაშორისო რეჟიმები

გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახდა მსოფლიოს მომცველი რეჟიმების შექმნა საერთაშორისო სისტემის შიგნით. ამგვარი რეჟიმების უმთავრესი დანიშნულებაა სახელმწიფოთა მოქმედების შეთანხმება და პარმონიზაცია საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროში. რეჟიმები, მიუხედავად მათი არსებობისა გასულ საუკუნეებში, მხოლოდ XX საუკუნეში გარდაიქნა გლობალურ ფენომენად. სახელმწიფოები ნებით თუ უნდღიერთ თანხმდებიან სულ უფრო კომპლექსური ნესებისა და ინსტიტუტების მოთხოვნების შესრულებაზე, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ცხოვრებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამჟამად არ არსებობს რეჟიმებისაგან თავისუფალი არც ერთი სფერო, რომელშიც სახელმწიფოთა უმრავლესობა ამ თუმციმ დონეზე არ იღებდეს მონანილეობას საყოველთაოდ მიღებული ნესებისადმი დამორჩილების საფუძველზე. რეჟიმების მარტივ, თვალსაჩინო გამოხატულებაზე თუ ვიმსჯელებთ, ეს არის ფოსტის მუშაობა მთელ მსოფლიოში, როდესაც გავზარილი ნერილი ნებისმიერ ადგილზე უნდა მივიდეს – ალიასკიდან ანტარქტიდამდე, ანდა მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში თვითმფრინავით გადაფრენის შესაძლებლობა. თუმცა ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც – ნერილი ხშირად იყარგება, ხოლო თვითმფრინავის მგზავრები სხვადასხვა ინციდენტების მსხვერპლი შეიძლება გახდნენ (მაგ., 1983 წელს საბჭოთა სამხედრო ძალებმა ჩამოაგდეს კორეის სამგზავრო თვითმფრინავი, რის შედეგადაც 269 ადამიანი დაიღუპა). მაგრამ მთავარია ის, რომ ამ სახის ინციდენტების მიუხედავად, დღეს საკუთრივ სახელმწიფოთა ინტერესში შედის რთული და კომპლექსური რეჟიმების შექმნა მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

ერთი შეხედვით თითქოს შეუმჩნეველია კიდეც, რომ სახელმწიფოებმა სწორედ იმ მიზნით შექმნეს რეჟიმები, რათა ნერილის სასურველ ადგილამდე მისვლისა და საპარაზო დაუბრკოლებელი მიმოსვლის გარანტიები ჰქონიდათ. ამგვარი რეჟიმების სარგებლობა იმდენად აშკარაა, რომ გაცილებით უფრო თვალშისაცემი იქნებოდა მათი არარსებობა. ამასთანავე, ასეთი რეჟიმების ქმედითუნარიანობა საოცარია კიდეც, თუ გავითვალისწინებთ რეჟიმების შექმნის თანმხლებ და მათი მოქმედებისას წარმოშობილ პრობლემებს, ანდა იმას, თუ რაოდენ ხშირია ნარუმატებლობა რეჟიმების შექმნის მცდელობისას. რეჟიმების გამოყენება ხდება ნებისმიერ სფეროში წინსვლისათვის – იარაღზე კონტროლის დაწესებიდან საყოველთაო კონტრიკური კეთილდღეობის მიღწევისათვის გადადგმულ ნაბიჯებამდე. თავისთავად ნათელია, რომ რეჟიმების არსებობა ყოველმხრივ მომგებიანია, ამიტომაც მათ არსებობასთან დაკავშირებული სიძნელეები ახსნას მოითხოვს. მოკლედ

რომ ითქვას, ამ საკითხზე ყველას მიერ გაზიარებული პასუხი არ არსებობს. ამასთანავე, თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ რეუიმები თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს თეორეტიკოსები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ საკითხზე მსჯელობისას, თუ როგორ და რატომ იქმნება და არსებობს საერთაშორისო რეუიმები.

რეუიმის კონცეფცია შედარებით ახალია და მის შესახებ დებატები 70-იანი წლებიდან დაიწყო. მაგრამ თანამედროვე რეუიმების განხილვისათვის აუცილებელია ექსკურსი ევროპის ისტორიაში. ხშირად მიიჩნევენ, რომ რეუიმების ათვლის ნერტილად აღებული უნდა იყოს ჰოლანდიელი იურისტის ჰუგო გრაციუსის (1583-1645წ.) მოღვანეობა, რომელიც ზოგჯერ მოიხსენიება „საერთაშორისო სამართლის“ მამამთავრად. მიუხედავად ამისა, საკუთრივ იურისპუდენციის ჩარჩოებში საერთაშორისო სამართლის სტატუსი დიდი ხნის მანძილზე ეჭვევეშ იდგა. გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომ ლეგალური სისტემა შეიძლება დამყარდეს და განმტკიცდეს მხოლოდ სახელმწიფოების მიერ შექმნილი ცენტრალიზებული სტრუქტურების შექმნით. არ იყო გამოკვეთილი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სამართლის ფორმულირება და შენარჩუნება საერთაშორისო სისტემის ანარქიული ან დეცენტრალიზებული სტრუქტურების შიგნით. ამასთანავე, ზოგჯერ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საერთაშორისო სისტემა არსებითად ანომიკური იყო, მოკლებული შეთანხმებულ წესებსა და ნორმებს. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა ანარქიის ზოგადი ასოცირება უნესრიგობასთან.

ანარქიული საერთაშორისო სისტემის პრობლემატური სტატუსი გადაისინჯა 1919 წლიდან, როდესაც დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუციონალიზებული სამეცნიერო შესწავლა. პირველი მსოფლიო ომის დროს მიღებულმა უმძიმესმა ტრავმამ შექმნა იმის იმედი, რომ სახელმწიფოები აღარ გაიმეორებდნენ მსგავს შეცდომებს და მსოფლიოში წესრიგის დამყარების კეთილ წებას გამოავლენენ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. თუმცა, ყურადღების მიღმა დარჩათ ის ფაქტი, რომ ამგვარი ოპტიმიზმისათვის არ არსებობდა არავითარი თეორიული საფუძველი. ეს იმედი 30-იან წლებში დასამართა, როდესაც საერთაშორისო სამართლის პრინციპები ძალადობრივი ფორმით დაირღვა. ამგვარმა მიღვიმამ თითქოს უტოპიურ-იდეალისტური ხასიათი შეიძინა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ შემცირდა იმ ოპტიმისტთა რაოდენობა, რომლებსაც სჯეროდათ, რომ საერთაშორისო სისტემაში წესრიგი შეიძლებოდა დამყარებულიყო საერთაშორისო სამართალზე. ამასთან ერთად, ანალიტიკოსები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ატომურ ხანაში მრავალპოლუსიანი სისტემის ბიპოლარულით

შეცვლის შედეგების კვლევით.

მაგრამ 70-იანი წლებიდან გლობალური განვითარების პროცესების გამოაშეარავებამ ხელი შეინყო თეორეტიკოსებს დაბრუნებოდნენ იმ მივინებულ თეორიულ მსჯელობას, რომელიც ეხება ნესების როლს საერთაშორისო სისტემაში. საერთაშორისო ურთიერთობებმა, როგორც სოციალურმა მეცნიერებამ, უპირველესად ამერიკაში დაინტყო განვითარება, დაინტერა მრავალი ნაშრომი. კვლევების ულუფრო კო-პრეცესურ და მრავალფეროვან ხასიათს იძენდა.

საერთაშორისო რეჟიმების თეორეტიკოსები ძირითადად და-ჯგუფდნენ ლიბერალიზმისა და რეალიზმის სკოლებში. მათ შორის დავა ართულებს ორივე სკოლის მიერ ურთიერთშეთანხმებული შეფასებების მიღწევას. მიიჩნეოდა, რომ წარსულში რეალიზმი სკეპტიკური იყოან ინტერესს არ ამჟღავნებდა საერთაშორისო სამართლის მიმართ. რე-ჟიმების თეორეტიკოსები ლიბერალური ბანაკიდან, რომელთაც ლიბერალ ინსტიტუციონალისტებს უნოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეთ-ანხმებიან ნეორეალისტების საკვანძო მოსაზრებებს, რეჟიმებს მათგან განსხვავებულად აფასებენ და ყურადღებას ამახვილებენ იმ გზაზე, რომლითაც რეჟიმები სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს გადალახონ ნინაღობები კოლაბორაციისათვის, რასაც მათ უქმნის საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურა. რეალისტები, საპირისპიროდ, მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოები იყენებენ თავიანთ ძალოვან შესაძლებლობებს იმ სიტუაციებში, რომლებიც მოითხოვს კოორდინაციას, რათა გავლენა მოახდინონ რეჟიმთა ბუნებასა და იმ ხერხებზე, რომლითაც გადანაწილებულია რეჟიმთან დაკავშირებული ხარჯები და მათგან მიღებული სარგებელი. კოლაბორაცია და კოორდინაცია თანამშრომლობისადმი ორი სხვადასხვა მიღვიმაა.

რატომ დაინტერეს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორეტიკოსებმა რეჟიმების ფორმირებაზე ყურადღების გამახვილება 70-იანი წლებიდან? ერთი ფაქტორია ის, რომ ყოველ შემთხვევაში დასავლეთის კონტექსტში მაინც, შეერთებული შტატები ასრულებდნენ პეგემონის როლს მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში და მის შემდეგაც. ტერმინი ბერძნულია, ნიმძავს ლიდერს და მიიჩნეოდა, რომ შეერთებულ შტატებს შესწორდა უნარი და ძალა პეგემონის ფუნქცია ეკისრა საერთაშორისო სისტემაში ძალის უპირველესი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამ პერიოდის განმავლობაში, შეერთებული შტატები, მისი პეგემონური პოზიციის გამო, შემძლე იყო დაემყარებინა და შეენარჩუნებინა ეკონომიკური რეჟიმების კომპლექსური სიმრავლე დასავლეთში. რეჟიმებმა სასიცოცხლო როლი შეასრულეს კეთილდღეობის გაზრდის პროცესში, რასაც ადგილი პერიოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამასთანავე, 70-იანი წლებიდან, ნანიღობრივ ევროპისა და იაპონიის

ეკონომიკური წარმატებების შედეგად, ნაწილობრივ კი წარუმატებელი პოლიტიკის გამო ვიტინამში, ეჭვქვეშ დადგა შეერთებული შტატების უნარი შეენარჩუნებინა საკუთარი ჰეგემონური სტატუსი. არ არსი გასაკვირი, რომ რეუიმებისადმი ინტერესის გამოლვიძება ემთხვევა შექმნილ ვითარებას.

რეუიმების ლიბერალ-ინსტიტუციონალური და რეალისტური ანალიზი

საერთო შეხედულებები

1. სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში.
2. სახელმწიფოები წარმოადგენენ რაციონალურ და ერთიან აქტორებს.
3. სახელმწიფოები არიან არსებულ რეუიმებზე პასუხისმგებელი ერთობები.
4. რეუიმები შექმნილია საერთაშორისო სისტემაში თანამშრომლობის საფუძველზე.
5. რეუიმები ხელს უწყობს საერთაშორისო წესრიგს.

განსხვავებები

ლიბერალი ინსტიტუციონალისტები

1. რეუიმები ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის კოლაბორაციას.
2. რეუიმები ქმნის საერთო სარგებელს.
3. რეუიმები მოქმედებს უკეთ, როდესაც ხელშეწყობილია და შენარჩუნებული „რბილი“ ჰეგემონის მიერ.
4. რეუიმები ხელს უწყობს გლობალიზაციასა და და ლიბერალურ მსოფლიო წესრიგს.

რეალისტები

1. რეუიმები ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის მოქმედებათა კოორდინაციას.
2. რეუიმებისაგან სახელმწიფოები განსხვავებული დონის სარგებელს იღებენ.
3. ძალაუფლება წარმოადგენს რეუიმების შექმნისა და არსებობის მთავარ მახასიათებელს.
4. მსოფლიო წესრიგის არსი დამოკიდებულია რეუიმებში „ჩადებულ“ პრინციპებსა და ნორმებზე.

როგორც ლიბერალმა ინსტიტუციონალისტებმა, ისე რეალისტებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს შექმნილ ვითარების მიმართ. მაგრამ

საკითხის გასარკვევად მათ სხვადასხვა გზები აირჩიეს. ლიბერალები ხაზს უსვამენ, რომ იმ დროს, როდესაც რეუიმების საჭიროება სულ უფრო აუცილებელი და გადაუდებელი საქმე ხდება, შეერთებული შტატების მიერ ჰეგემონის სტატუსის დაკარგვა სულ უფრო გაართულებს ამგვარი რეუიმების დამყარებას. რეალისტები ამტკიცებენ, რომ პირიქით, თუკი შეერთებული შტატები დაკარგავს ჰეგემონის სტატუსს, შეიქმნება ძალთა ბალანსის დამყარების საშუალება და შეერთებული შტატების მიერ ჩამოყალიბებული რეუიმების ლიბერალური მართვის პრინციპები დაინტებს შეცვლას მესამე სამყაროს ქვეყნების მიერ ახალი ტიპის რეუიმების შექმნის სურვილით, რომლებიც შეიქმნება სხვადასხვა ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალები და რეალისტები აქცენტს აკეთებენ სხვადასხვა მიმართულებაზე, ორივე მათგანს გაცნობიერებული აქვს რეუიმის უფრო ღრმა თეორიული გაგების აუცილებლობა.

საკვანძო საკითხები

- რეუიმები ნარმოადგენენ გლობალიზაციის მნიშვნელოვან მახასიათებელს.
- გლობალური რეუიმების სულ უფრო მეტი რაოდენობა იქმნება.
- სოციალური მცნიერების მიდგომის თანახმად, რეუიმი ახალი ფენომენია, მაგრამ იგი ემყარება საერთაშორისო სისტემის შესახებ განსჯის ხანგრძლივ ტრადიციას. .
- ლიბერალი ინსტიტუციონალისტები და რეალისტები რეუიმების ანალიზისას სხვადასხვაგვარ მიდგომებს ქმნიან.

რეუიმების ბუნება

ლიბერალი ინსტიტუციონალისტებისა და რეალისტების მიერ შექმნილი საერთაშორისო რეუიმის საერთო კონცეპტუალიზაციის სრულფასოვანი სურათის ნარმოსადგენად აუცილებელია მსოფლიო პოლიტიკის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სფეროს განხილვა, რომლებიც ამჟამად რეუიმებით რეგულირდება.

რეუიმების კონცეპტუალიზაცია

მას შემდეგ, რაც განისაზღვრა, რომ რეუიმები საერთაშორისო არენაზე სხვადასხვა აქტორის მოღვაწეობის მართვის წესია, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსებმა დაინტებს ფიქრი მის უფრო კომპლექსურ კონცეპტუალიზაციაზე. ამგვარი კონცეპტუალიზაცია შესაძლოა განხორციელდეს რეუიმების დეფინიციითა და მათი ტიპოლოგიით.

რეუიმების დეფინიცია

რეუიმების მრავალი დეფინიცია არსებობს. მათი ხშირ შემთხვევაში თითქმის იდენტური შინაარსის მიუხედავად, ყველაზე მიღებულად ითვლება სტივენ კრასნერის (S. Krasner) მიერ 80-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული განსაზღვრება, რომელიც ყველაზე სრულყოფილად ასახავს ამ ფენომენის კომპლექსურობას.

რეუიმები წარმოადგენს „ფარული ან ლია პრინციპების, ნორმების, ნესებისა და გადაწყვეტილებათა მიღების ერთობლიობას, რომელითაც აქტორთა ნება ემთხვევა საერთაშორისო ურთიერთობათა მოცემულ სფეროში.“

ს. კრასნერი

რეუიმის მაგალითი

ზემოთ მოყვამილი განსაზღვრება საკმაოდ კომპლექსურია და საჭიროა მისი განმარტება. ამის მაგალითად შეიძლება ავილოთ ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმება (გატტ). 1947 წელს გატტ-ის შექმნა განპირობებული იყო მისი ხელისმომწერთა რჩმენით იმგვარი ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ, რომელიც იყიდის პასუხისმგებლობას მსოფლიო ვაჭრობის რეგულირებაზე. მაგრამ რეალურად იმ დროს ამგვარი ქმედით-უნარიანი ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელია იყო და გატტ-ი საკმაოდ შეზღუდულად მოქმედებდა. მას გააჩნდა სამდივნო და გენერალური დირექტორი, რომელთა მოვალეობაც იყო ჩატარებინათ მოსამზადებელი სამუშაო რიგი კონფერენციების მოსაგვარებლად, გატტ-ის წევრები ერთმანეთს ხვდებოდნენ და აღნევდნენ შეთანხმებებს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით. 1994 წელს, მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ უკვე დადგა გატტ-ის ვინრი ჩარჩოებიდან გამოსვლისა და ფორმალური მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის დრო, როგორც ეს თავიდანვე იყო ჩაფიქრებული.

კრასნერის განსაზღვრება მიუთითებს, რომ რეუიმი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ნესების ერთობლიობა. იგი მოითხოვს ინსტიტუციონალიზმის საკმაოდ მაღალ დონეს. რეუიმის მკელევრები მიიჩნევენ, რომ რეუიმის თეორიამ შეიძლება მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ ისინი, ამასთანავე, ხაზს უსვამენ, რომ მათი მიდგომა მოიცავს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე კონკრეტულად ორგანიზაციებს. რეუიმის პარამეტრების თეორია შეიძლება ნაჩვენები იყოს რეუიმთა მარტივი ტიპოლოგიის საშუალებით.

რეუიმთა კლასიფიცირება

ერთი მარტივი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი კლასიფიცირებით, განსაზღვრულია რეუიმის ორი განზომილება (Levy 1995): ვერტიკალური განზომილება ნათელს ფენს რეუიმის ფორმალურობას. რეუიმი შეიძლება დაკავშირებული იყოს მაღალ დონეზე ფორმალურ შეთანხმებასთან ან თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასთან. მაგრამ, მეორე მხრივ, პორიზონტალური განზომილებით, რეუიმი შესაძლოა არსებობდეს ნებისმიერი ფორმალური შეთანხმების გარეშეც. ისტორიულად არაფორმალური შეთანხმებები სახელმწიფოთა შორის მყარდება პრეცედენტის საფუძველზე. პორიზონტალური განზომილება, ამდენად, ფორმირებას ახდენს იმ დონეზე, რომელზეც სახელმწიფოები თანხმობას აცხადებენ დამორჩილდნენ საერთო ფარულ ან ლია შეთანხმებებს.

თუკი სახეზე არ არის ფორმალური შეთანხმებები და თანხმობა წესების მიღებაზე, მაშინ ნათელი ხდება, რომ არანაირი რეუიმი არ არსებობს. მეორე მხრივ, ფორმალური წესების არასრებობის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია იყოს იმაზე თანხმობა, რომ დაცულ იქნეს არაფორმალური წესები, რაც გულისხმობს ტაციტური რეუიმების (tacit regimes) არსებობას (რეუიმები, რომლებიც არ არის ფორმალიზებული, მაგრამ მათი არსებობა იგულისხმება). საპირისპიროდ, იმგვარი სიტუაციების გამოცალეებებაც არის შესაძლებელი, რომ ფორმალური წესები არსებობს, მაგრამ მათ დაცუაზე დიდად არ ზრუნავენ. ეს მიუთითებს, რომ რეუიმი არ გამოიყენება, მაგრამ არც კანონითა გაუქმებული (dead-letter regimes). დაბოლოს, არსებობს სრულყოფილი რეუიმები (full-blown regimes), როდესაც ჩამოყალიბებულია საერთო აზრი იმის თაობაზე, რომ არსებული ფორმალური წესები დაცულ უნდა იქნეს.

რეუიმების განმსაზღვრელი ოთხი ელემენტი

1. პრინციპები გამოიხატება თეორიული წარმოდგენების შეთანხმებული ერთობლიობით იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარებს მოღვაწეობა მსოფლიოს მასშტაბით. გატტ-ი მოქმედებს ლიბერალური პრინციპების საფუძველზე, რომლის თანახმადაც გლობალური კეთილდღეობის ზრდა შესაძლებელია მოხდეს თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზე.

2. ნორმები განსაზღვრავს ქცევის საერთო სტანდარტებს, ახდენს სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობების იდენტიფიკაციას. ამგვარად, გატტ-ის შემთხვევაში, საბაზისო ნორმა არის ის, რომ ტარიფებთან დაკავშირებული და არატარიფული ბარიერები საჭიროა შემცირდეს და თანდათანობით გაქრეს. ერთად, ნორმები და პრინციპები განსაზღვრავენ რეუიმის უმთავრეს

ზასიათს და ისინი არ შეიძლება შეიცვალოს რეჟიმის ბუხების ტრანსფორმაციის გარეშე.

3. წესები მოქმედებს პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობის უფრო დაბალ დონეზე, თა ხშირად მათ დანიშნულებას წარმოადგენს კონფლიქტების დარღვეულირება, რაც არსებობს პრინციპებსა და ნორმებს შორის. მაგალითად, მესამე სამყაროს ქვეყნებს სურთ იმგვარი ნესების შემოღება, რომელიც მოახდენს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირებას.

4. გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურები განსაზღვრავს ქცევის, საარჩევნო სისტემისა და ა.შ. სპეციული ურ მინერილობებს, რომლებიც მუდმივად იცვლება რეჟიმის კონსოლიდირებისა და გაფართოების პირობებში. გატე-ში არსებული ნესები და პროცედურები მაგალითად, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა. სწორედ აქედან მომდინარეობს კონფერენციების მუდმივი ჩატარების აუცილებლობა, რომლებსაც კორექტივები შეაქვთ ნესებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებში.

S. Krasner 1985: 4-5

გლობალიზაცია და საერთაშორისო რეჟიმები

XIX და XX საუკუნეების განმავლობაში ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახდა ადამიანებისათვის სულ უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მსოფლიოს მომცველი კომუნიკაციები ამჟამად მყისეულია კაცობრიობის მოღვაწეობის მრავალ სფეროში. მაგრამ გლობალიზაციის ნებისმიერი ასპექტი როდის სარგებლის მომტანი. ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ადამიანებს უცეირონ და უსმინონ დედამინის ყველაზე დაშორებულ შხარებში მიმდინარე მოვლენებს, მიიღონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მაგრამ იმგვარი იარაღის შექმნის შესაძლებლობაც არსებობს, რომელსაც პოტენციურად მთელი დედამინის განადგურება შეუძლია, ატმოსფერო კი გაივსო ქიმიური ნარჩენებით, რომელთაგანაც ზოგიერთს უკიდურესად მძიმე გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ჩვენი მოქმედება იმ სამყაროში, რომელშიც ვხოვრობთ, ერთდოულად მიმზიდველი და სახიფათოა. მაგრამ იმისათვის, რომ გლობალიზაციის შედეგებით უფრო მეტად ვისარგებლოთ, ვიდრე ზიანი მივიღოთ, საჭიროა პროცესის მონესრიგება. არავინ ფიქრობს, რომ ეს ამოცანა ადვილია. მაგრამ, მეორე მხრივ, რეჟიმის თეორეტიკოსები ხედავენ ოპტიმიზმის საფუძველს. მათ სწამთ, რომ ნინის ულა დამოკიდებულია ჩვენს უნარზე, მოვახდინოთ გლობალური მოღვაწეობის რეგულირება რეჟიმების სა-

შუალებით და სახელმწიფოებს შეუძლით ჩამოაყალიბონ რეჟიმები ფართო ურთიერთქმედებათა საფუძველზე.

უსაფრთხოების რეჟიმები

მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმები უპირველესად XX საუკუნის ფეხომენებია, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს თავი აარიდონ უსაფრთხოების დილემას, შესაძლებელია მისი უფრო ადრინდელი მაგალითების იდენტიფიცირებაც. ევროპის კონცერტი, მაგალითად, ნაპოლეონის შემდგომი ეპოქის ევროპის კონსერვატულმა ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს, რათა შეექმნათ ნინალობა მომავალი რევოლუციებისა და კონფლიქტებისათვის. იმავდროულად, ატლანტიკის მეორე მხარეს, 1817 წელს ამერიკელები და ბრიტანელები შეთანხმდენ დიდი ტებების რეგიონის დემილიტარიზაციაზე. მაგრამ, როდესაც ევროპაში თანდათანობით დაიწყო ამგვარი ტაციტური რეჟიმის დაკინება, სრულყოფილი ორმხრივი რეჟიმი გამტკიცდა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც თანდათანობით მოხდა აშშ-სა და კანადას შორის არსებული გრძელი საზღვრის სრული დემილიტარიზაცია.

მიუხედავად ამისა, რეგულარული მცდელობები, შექმნილიყო უსაფრთხოების სრულყოფილი რეჟიმები, დაიწყო მხოლოდ XX საუკუნიდან. მაგრამ ამგვარი მცდელობების ეფექტურობა ხშირად საეჭვო იყო. რ. ჯერვაისი (R. Jervis) მიიჩნევს, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი რეჟიმი, მაგალითად, სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის პირველი (1972წ.) და მეორე (1979წ.) ხელშეკრულებები მიზნად ისახავდა კონტროლის ქვეშ მოქმედი შეიარაღებათა შეჯიბრი აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, ნარმოადგენდა ე.ნ. dead-letter რეჟიმის მექანიზმის გამოხატულებას. ხანგძლივი მოლაპარაკებებისა და დეტალური შეთანხმების მიუხედავად, რომლებსაც შეიარაღების წარმოება კონტროლისათვის უნდა დაექვემდებარებინა, არც ერთ ზესახელმწიფოს არ შეეძლო მეორისათვის ხელი შეეშალა ახალი იარაღების ტექნოლოგიების განვითარებაში.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ არსებობს რამდენიმე შეთანხმება შეარაღებათა კონტროლის სფეროში, რომლებიც გარკვეულწილად მდგრად რეჟიმებს ქმნის (იხ. თავი VII).

გარემოს დაცვის რეჟიმები

დღეს სულ უფრო აქტუალური ხდება გარემოს დაცვის ქმედითი რეჟიმების ჩამოყალიბება. ნავთობის წვის შედეგად გამოწვეული ატ-მოსფეროს დაბინძურება, გლობალური დათბობა, ოზონის ხვრელი სულ უფრო დიდ შემფრთხებას ინვერს მსოფლიოს საზოგადოებაში. მიუხედავად მრავალფეროვანი შეთანხმებებისა გარემოს დაცვის სფეროში, ძელია იმაზე ლაპარაკი, რომ არსებობს სრულყოფილი რეჟიმები. პერმა-

ნენტული საფრთხის არსებობის პირობებში, ისინი უფრო dead-letter რეჟიმების სახეს იღებენ. ეს იმის მაგალითია, რომ საყოველთაო შეთანხმებაც კი არ შეიძლება გახდეს პრობლემის სრული გადაწყვეტის საფუძველი. მაგალითისათვის ავილებთ ოზონის ხვრელთან დაკავშირებულ პრობლემას. ჯერ კიდევ 1977 წელს გაერო-ს გარემოს დაცვის კომიტეტმა შექმნა საკონფლინაციო კომიტეტი ოზონის ხვრელის პრობლემის გადაწყვეტისათვის. საფრთხის გაზრდასთან ერთად, 1989 წელს მრავალმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მონიტორინგის ოზონის ხვრელის საფრთხის ლიკვიდაციისათვის აუცილებელ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ. ამგვარი მცდელობების მიუხედავად, საუკუნის ბოლოს მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ პრობლემა არათუ გადაწყდა, არამედ საფრთხემ კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. თავდაპირველი ღონისძიებები საკამარისი არ არის და ნათელია, რომ უნდა მოხდეს დამატებითი შეთანხმება რეჟიმის სრულყოფის თაობაზე, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოებმა იყისრონ ვალდებულება უპირობოდ შეასრულონ მიღებული გადაწყვეტილებები. იგივე შეიძლება ითქვას გლობალური დათბობის პრობლემასთან დაკავშირებით.

კომუნიკაციების რეჟიმები

XIX საუკუნეში საერთაშორისო კომუნიკაციების ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც რეგულირდებოდა რეჟიმებით, საზღვაო მიმოსვლისა და საფოსტო რეჟიმები იყო. შემდგომში, ტექნიკური განვითარების შედეგად, რეჟიმთა საჭიროება გაჩნდა სპეციალისტთა მიმოსვლისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში. ერთობლივად, რეჟიმების ჩამოყალიბებული ქსელი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უმნიშვნელოვანესი ნაწილი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების საყრდენისა. ამ ინფრასტრუქტურის გარეშე, საერთაშორისო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები და მსოფლიოს მომცველი სავალუტო სისტემის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა.

XIX და XX საუკუნეების განმავლობაში შეიქმნა მთელი რიგი ორგანიზაციები იმ რეჟიმების მოწესრიგებისა და გამყარებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო კომუნიკაციებს. 1863 წელს მთავარმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ერთობლივად შექმნეს საფოსტო კომუნიკაციების სტანდარტიზებული სისტემა, რომლის ფორმალიზებაც მოხდა 1874 წელს საყოველთაო საფოსტო კავშირის შექმნით. 1865 წელს სატელეგრაფო კომუნიკაციების რეგულირების მიზნით ჩამოყალიბდა საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირი. სულ უფრო კომპლექსური ტექნიკური განვითარების შედეგად კომუნიკაციების სფეროში იგი 1932 წელს გარდაიქმნა საერთაშორისო საკომუნიკაციო კავშირად. ბოლოს კი უნდა ვახსენოთ ორგანიზაციები, რომლებიც ხელს

უნცობენ რეჟიმების შენარჩუნებას საზღვაო და საპაერო მიმოსვლის სფეროებში. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენს გაერო-ს სპეციალურებულ სააგენტოებს. მათი ეგიდით ხელმონერილია არაერთი კონვენცია, რომლებიც აძლიერებენ რეჟიმებს საერთაშორისო ტრანსპორტის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროებში.

ეკონომიკური რეჟიმები

ხშირად ამტკიცებენ, რომ რეჟიმები ეკონომიკის სფეროში ყველაზე მყარი პოზიციების მქონეა. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო ეკონომიკას არ შეეძლია ფუნქციონირება საკომუნიკაციო რეჟიმების მიერ შექმნილი ინფრასტუქტურის არსებობის გარეშე. რეჟიმების ეს ორი სახეობა განუყოფლად არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული. დამატებით, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკა სულ უფრო იმყარებდა პოზიციებს, ეკონომიკური რეჟიმების ლიბერალური პრინციპები შეიქრა საკომუნიკაციო რეჟიმების სფეროში. ამგვარი განვითარება ასახავს სულ უფრო მზარდ კონკურენციას საფოსტო მომსახურების, ტელეკომუნიკაციების სფეროში, ნაციონალურ საპაერო კომპანიებს შორის. ყოველივე ეს იწვევს ამ რეჟიმების საბაზისო პრინციპის მოდიფიკაციას, რომლის თანახმადაც რეჟიმების არსებობას ყოველთვის განაპირობებდნენ სახელმწიფოები, რომლებიც მათი მოღვაწეობის მარეგულირებელ წესებს ქმნიდნენ (Zacher and Sutton 1996).

შეეძლებელია იმ რეჟიმების მთელი კომპლექსურობის მოკლედ ახსნა, რომლებიც დამყარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას, რომ ისინი ასახავენ, პირველ რიგში, შეერთებული შტატების მცდელობას, ნებისმიერი რეჟიმი ჩამოყალიბდეს და მოქმედებდეს ლიბერალური პრინციპების საფუძველზე. კერძოდ, შეერთებულ შტატებს სურდა შექმნილიყო სავაჭრო რეჟიმი, რომელიც დაეფუძნებოდა თავისი უფალი ვაჭრობის პრინციპებს. როგორც ზემოთ ავლინიშნეთ, სწორედ ეს იყო გატა-ის შექმნის მიზანი. ამასთანავე, შეერთებული შტატები ასევე აღიარებს, რომ ვაჭრობის განვითარება მოითხოვს სტაბილურ საშინაო ეკონომიკასა და სტაბილურ სავალუტო სისტემას. მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, შეიქმნა 1945 წლის შემდეგ, იმგვარი გარემოს შექმნის ხელშეწყობისათვის, რომელშიც ვაჭრობა განვითარდებოდა. იმ შიშის არსებობის მიუხედავად, რომ შეერთებული შტატების მიერ დამყარებულ ეკონომიკურ რეჟიმებს კოლაფსი ელოდა 60-იანი წლების მიწურულს საკუთრივ შტატების ეკონომიკაში შექმნი-

ლი მძიმე პრობლემების გამო, 1945 წლის შემდეგ ეკონომიკურმა რე-უიმებმა დაამტკიცეს, რომ მათ ძალის სწრაფად აღდგენის უნარიც შესწ-ევთ.

საკვანძო საკითხები

- რეუიმის თეორიის ნარმოქმნა უკავშირდება 70-იან წლებში სო-ციალური სფეროს მეცნიერთა მცდელობას, გამოევლინათ წესე-ბით მართული ქცევის არსებობა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში.
- რეუიმები განისაზღვრება პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების საფუძველზე.
- რეუიმების კლასიფიცირება შესაძლებელია მოხდეს მათი არსე-ბობის განმაპირობებელი შეთანხმებების და ამ შეთანხმებათა შეს-რულების დონის საფუძველზე. განასხვავებენ ტაციტურ (acit), dead-letter და სრულყოფილ (full-blowen) რეუიმებს.
- რეუიმების საშუალებით შესაძლებელია საერთაშორისო ურთ-იერთობათა მრავალი სფეროს რეგულირება.

დასკვნები

როგორც ლიბერალი ინსტიტუციონალისტები, ისე რეალისტები ალიარებენ, რომ რეუიმები ნარმოადგენს საერთაშორისო სისტემის მნიშვნელოვან მახასიათებელს. მაგრამ ამ პრობლემის ანალიზისას, რეუიმების შექმნის მიზეზებზე მსჯელობის დროს ისინი სხვადასხვა დასკვნამდე მიღიან. ლიბერალი ინსტიტუციონალისტებისათვის რე-უიმები იქმნება იმის გამო, რომ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ყოველთვის არსებულმა ურთიერთშეჯიბრში მყოფმა სტრატეგიებმა შეიძლება გადაძალოს თანამშრომლობითი სტრატეგიები. აქედან გა-მომდინარე, მათი ანალიზი ფოკუსირებულია იმ გზებზე, რომლითაც შესაძლებელია ურთიერთშეჯიბრში მყოფი სტრატეგიების შეკავება. ეს სტრატეგიები კი უპირველესად რაციონალური პასუხია ანარქიულად სტრუქტურებული სისტემის არსებობაზე. საპირისპიროდ და პარა-დოქსულად, რეალისტები თანამშრომლობის აუცილებლობით გან-პირობებული რეუიმების ნარმოქმნის მიზეზად მიიჩნევენ იმგვარი სიტუაციის არსებობას, როდესაც ზედმეტი ანარქიულობისაგან თავის ასარიდებლად საჭირო ხდება მოქმედების კოორდინირება. ლიბერალი ინსტიტუციონალისტებისაგან განსხვავებით, რეალისტები ასევე ამტ-კიცებენ, რომ არ არსებობს ერთხელ დამყარებული კოორდინაციის მოსპობის სტიმული.

ორი მიღვომა ასევე სხვადასხვაგვრად გამოხატავს ძალაუფლების კონცეფციას. ლიბერალი ინსტიტუციონალისტებისათვის, ძალაუფლე-

ბა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰეგემონის მიერ სხვა სახელმწიფოებზე ზენოლისათვის კოლაბორაციისა და რეუიმისადმი დამორჩილების მიზნით. მაგრამ ასევე დაიშვება, რომ სახელმწიფოებმა შეიძლება შექმნან და შეინარჩუნონ რეუიმები ჰეგემონური ძალის არარსებობის პირობებშიც. ამასთანავე, ეჭვიც არ არის, რომ „ლიდერი“ ქვეყნები იმ პერსპექტივით ქმნიან რეუიმებს, რომ მათ სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ.

მეორე მხრივ, რეალისტებისათვის ძალაუფლება გადამწყვეტ როლს ასრულებს იმისათვის, რომ განისაზღვროს რეუიმის ჩარჩოები, რომლის შეგნითაც სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ თავიათ მოქმედებათა კოორდინირება. რეალისტებისათვის ეკონომიკური რეუიმები ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ როლს, რასაც ასრულებს ძალა რეუიმის ჩამოყალიბების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჩრდილოეთის მდიდარმა ქვეყნებმა განსაზღვრეს ამ ეკონომიკური რეუიმების სახეები. მესამე სამყაროს ქვეყნებს არა აქვთ აღტერნატივა იმის გარდა, რომ გაიზიარონ ამ რეუიმების პრინციპები, თუკი სურთ ჩაერთონ მათთვის მომგებიან მსოფლიო ვაჭრობაში. საპირისპიროდ, არსებობს ადამიანთა უფლებების რეუიმების მასობრივი დარღვევები მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ეს dead-letter რეუიმები ვერ გადაიქცა სრულყოფილ რეუიმებად, რეალისტების შეხედულებით, ეს იმ მიზეზით მოხდა, რომ არ არსებობდა მოქმედების კოორდინაცია. სახელმწიფოებს შეუძლიათ ცალმხრივად დაარღვიონ ადამიანის უფლებათა დაცვის რეუიმები, ყოველგვარი სანქციის გარეშე, რაც არ დაიშვება რეუიმის ჩარჩოებში კოორდინირებული მოქმედების არსებობის პირობებში.

კითხვები და დავალებები:

- დაახასიათეთ რეუიმების განმსაზღვრული ელემენტები.
- რითო განსხავდება რეუიმი ორგანიზაციისაგან?
- რა მიზეზით დაიწყო რეუიმების შესწავლა 70-იანი ნლებიდან?
- დაახასიათეთ რეუიმების ანალიზის ლიბერალური და რეალისტური მიღებები.
- რა უმთავრესი რეუიმები არსებობს გლობალიზაციის ეპოქაში?

ლიტერატურა:

R. O. Keohane, After Hegemony: Co-operation and Discord in the World Politics (Princeton: Princeton Univ. Press, 1984).

S. D. Krasner, (ed.), International Regimes, (Ithaca NY: Cornell Univ. Press, 1983).

- S. D. Krasner, *Structural Conflict: The Third World Against Global Liberalism* (Berkeley: Univ. of California Press, 1985).
- M. A. Levy, O. R. Young and M. Zurn, *The Study of International Regimes, European Journal of International Relations*, 1 (3): 267-330
- K.A. Oye (ed.), *Co-operation under Anarchy* (Princeton: Princeton Univ. Press, 1986).
- V. Rittberger, (ed.), *Regime Theory and International Relations* (Oxford: Clarendon Press, 1993).
- M.W. Zacher and B.A. Sutton, *Governing Global Networks: International Regimes for Transportation and Communications* (Cambridge: Cambridge Univ. Press, 1996).

VI. საერთაშორისო ორგანიზაციები თანამდებობა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში

საერთაშორისო ორგანიზაციები ნარმობადგენტ საერთაშორისო ცხოვრების მონესრიგების ყველაზე განვითარებულ და მრავალმხრივ მექანიზმებს. თანამდებროვე მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია საერთაშორისო ორგანიზაციათა რაოდენობისა და აქტიურობის მკვეთრი ზრდა. 1998 წლისათვის არსებობდა 6000-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია და მათი რიცხვი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა.

როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. საერთაშორისო (სამთავრობათაშორისო) ორგანიზაციები ფუძნდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ; ამ ორგანიზაციათა ჩარჩოებში ხორციელდება წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთქმედება და მათი ფუნქციონირება დაფუძნებულია გარკვეულ საერთო გადაწყვეტილების მიღწევაზე წევრ-სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელებიც შედის შესაბამისი ორგანიზაციის მოღვაწეობის სფეროში.
2. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები იქმნება არა სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანების გზით, რომელთა მოღვაწეობაც ხორციელდება სახელმწიფოთა ოფიციალური საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებს გარეთ.

საკვანძო კონცეფციები:

საერთაშორისო ორგანიზაცია: ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია პროცედურებისა და წევრობის დადგენილი ფორმალური წესები და რომელშიც წარმოდგენილია სამი ან მეტი ქვეყანა. სამი სახელმწიფო მინიმუმად იმ მიზეზითაა აღებული, რომ მრავალმხრივ ურთიერთობებს გაცილებით უფრო მეტი კომპლექსურობა ახასიათებს, ვიდრე ორმხრივს.

სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია: საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც სრულფასოვანი ლეგალური წევრობა სახელმწიფოთა პრეროგატივას წარმოადგენს და გადაწყვეტილებათა მიღების ძალაუფლება მინიჭებული აქვთ სახელმწიფოს წარმომადგენლებს. თუმცა, რეალურად, ამგვარ ორგანიზაციებში ასევე შედის ზოგიერთი კოლონიური ტერიტორია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია: საერთა-შორისო ორგანიზაცია, რომლის წევრებსაც შეუძლიათ გახდენ ტრანსნაციონალური აქტორები. უმთავრესი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები აერთიანებენ მრავალ ანალოგიურ ორგანიზაციებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამის მაგალითია „საერთა-შორისო ამნისტიკა“. ამგვარ ორგანიზაციათა წევრები შეიძლება იყვნენ კომპანიები და პარტიები, ასევე კერძო პირებიც.

ნათელია, რომ სახელმწიფოების მიერ შექმნილი ორგანიზაციები გაცილებით უფრო თვალსაჩინო გავლენას ახდენენ მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესების დროს, როდესაც საერთაშორისო არენაზე მთავარი მოქმედი პირები სახელმწიფოები არიან. იმავდროულად, საერთა-შორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფოების მიერ შექმნილი ორგანიზაციებისა და უკანასკნელ წლებში საკმაოდ მყარია მათი რიცხვის კიდევ უფრო გაზრდის ტენდენცია. თუ კი 1968 წლისათვის იყო სულ 1899 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, 1978 წელს – 2420, 1987 წელს – 435, 1998 წელს უკვე – 5766. ამ თვალსაზრისით პოვებს საკუთარ გამოხატულებას მსოფლიო სისტემის მზარდი გლობალიზაცია, რომელსაც მრავალფეროვანი ტრანსნაციონალური ურთიერთქმედების მოცულობის ზრდა ახასიათებს.

პრინციპში, ამგვარ განვითარებაში შეიძლება დავინახოთ საერთა-შორისო ურთიერთობათა სისტემის რადიკალური ტრანსფორმაციისა და გლობალური მსოფლიო თანამეგობრობის ფორმირების ნინაპირობა. თვისებრივად ახალ სიტუაციაში საზოგადოებრივი პროცესების თვითორგანიზაცია და რეგულირება განხორციელდება არა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გზით, არამედ უშუალოდ პირდაპირი კავშირებისა და ურთიერთზემოქმედების საშუალებით. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება განვიხილოთ როგორც ფორმირების პროცესში მყოფი გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი ამ ტენდენციის განსაზღვრის თაობაზე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სულ უფრო მეტი არასახელმწიფოებრივი აქტორების გამოჩენა, რომლებიც საერთა-შორისო ასპარეზზე მოქმედებენ სახელმწიფოთა პარალელურად და გარკვეული თვალსაზრისით ეჭვეჭვეშ აყენებენ სახელმწიფოთა მონოპოლიას ამ სფეროში, ხდება მეტად ანგარიშგასანევი ფენომენი გლობალიზაციის ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება წამოჭრან საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს მთავრობათა მოქმედება, შეაგროვონ

ინფორმაცია საერთაშორისო პრობლემებზე; შეიმუშაონ მათი გადან-
ყვეტისათვის კონკრეტული მიდგომები და აიძულონ მთავრობები შე-
საბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერა; თვალყური ადვენონ მთავრო-
ბათა მოღვაწეობას საერთაშორისო ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში და
სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას; მოახ-
დინონ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია და ხელი შეუწყონ „რიგ-
ით ადამიანში“ იმ რჩმენის განმტკიცებას, რომ მას უშუალოდ ეხება
მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები.

თუმცა სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების როლი საერთა-
შორისო ცხოვრების რეგულირების საქმეში მაინც გაცილებით უფრო
დიდია. ამ თვალსაზრისით ისინი საკუთარ თავს ორი სახით ავლენენ: ერთი მხრივ, ქმნიან კოოპერატიულ ან კონფლიქტურ ველს წევრ-სახ-
ელმწიფოთა შორის, მეორე მხრივ კი, გამოდიან საერთაშორისო
არენაზე სპეციფიკური მოქმედი პირების სახით და, ამგვარად ახდენენ
დამოუკიდებელ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობათა განვი-
თარების დინამიკაზე.

ამასთანავე, ამგვარი დამოუკიდებლობის ხარისხიც საკმაოდ სადა-
ვო საკითხია და ტრადიციულად ანალიტიკოსთა დებატების საგანს წარ-
მოადგენს. „რეალისტური“ მიდგომის მომხრენი მიიჩნევენ, რომ სახელმ-
წიფოთაშორისო ორგანიზაციები „ქმნიან“ მარტო იმას, რასაც „დებენ“
მათში წევრი სახელმწიფოები და მათ ამ სახელმწიფოთა საგარეო
პოლიტიკის ჩარჩოებს გარეთ არსებული წებისმიერი იმპულსის გენერ-
ირების უნარი არ გააჩნიათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწი-
ფოთაშორისო ორგანიზაციები განიხილება მხოლოდ როგორც მუდმივი
დიპლომატიური ფორმი, რომელშიც მეღავნდება მონაბანილების აზრ-
თა თანმთხვევა თუ დაპირისპირება. მეორე მხრივ, „იდეალისტური“
მიდგომის მომხრენი ხაზს უსვამენ, რომ სახელმწიფოთაშორისო ორგა-
ნიზაციების მოღვაწეობის შედეგად იქმნება ხარისხობრივად ახალი
სიტუაცია, რომლის დაყვანა არ შეიძლება მხოლოდ წევრ-სახელმწიფო-
თა საგარეო-პოლიტიკური იმპულსების ჯამზე. მათ მიაჩნიათ, რომ
სწორედ ამ გზით მოხდება საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი
სისტემის გარდაქმნა, მისი ტრანსფორმაცია ინტერესთა ბალანსის დამ-
ყარების არენიდან კაცობრიობის გლობალური პრობლემების გამოვ-
ლენისა და გადაწყვეტის მექანიზმად.

როგორც ჩანს, პირველი მიდგომა უფრო კარგად გამოხატავს საქ-
მის რეალურ ვითარებას საერთაშორისო არენაზე. მაგრამ წებისმიერ
შემთხვევაში ხაზგასასმელია სამი გარემოება:

1. თუნდაც რომ სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები განვიხ-
ილოთ მეორეულ, საერთაშორისო სამართლის მიერ შექმნილ სუბ-
იექტებად, ისინი ჩაბმული არიან (და ზოგჯერ მეტად აქტიურა-

დაც) საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ფორმირებასა და განხორციელებაში. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთა ეფექტურობა სულ უფრო მეტად არის განპირობებული იმით, თუ რამდენად არ ან ისინი სანქცირებულნი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. ამორგანიზაციათა მოღვაწეობა მეტად შთამბეჭდავად ახდენს გავლენას მასში მონანილე სახელმწიფოების საერთაშორისო-პოლიტიკურ ქცევაზე იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც საქმე არ ეხება ზოგიერთი სამართლებრივი ნორმის ფორმირებას, რომელთა შესრულებაც აუცილებელია. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ სახელმწიფოთა მონანილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში მათი საერთაშორისო სოციალიზაციის ფაქტორი ხდება.

3. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები წარმოადგენენ საერთაშორისო არენაზე მთავარ მოქმედ პირებს, სახელმწიფოთა-შორისო ორგანიზაციების რაოდენობა სახელმწიფოთა რიცხვს აჭარბებს და ისინი ერთობლივად ქმნიან მეტად ვრცელ ქსელს, რომელიც მოიცავს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თითქმის ყველა სეგმენტს.

1998 წლისათვის არსებობდა 254 სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებინ მონანილეთა წრით (უნივერსალურები და რეგიონული), ფუნქციონალური დანიშნულებით (საერთო და სპეციფიკური კომპეტენცია), ახალი ნევრების მიღების წესით (ლია და დახურული), უფლებამოსილებათა ხასიათით (რომელიც დაფუძნებულია წევრ-სახელმწიფოთა პოზიციების დაახლოების პრინციპზე და რომელიც ზენაციონალური ელემენტებს შეიცავს).

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების განვითარების საერთო ტენდენციებად შეიძლება ჩაითვალოს: 1. მათი მოღვაწეობის რეგიონული ასპექტების შედარებითი გაძლიერება, რომელიც საშუალებას იძლევა ფოკუსირება მოხდეს უფრო კონკრეტულ საკითხებზე. 2. სოციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაციათა რიცხვის მკვეთრი გაზრდა საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციფიკური სფეროების რეგულირებისათვის. 3. სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების უფრო ხშირი და ფართო აღჭურვა ზენაციონალური უფლებამოსილებით.

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების მასშტაბი, ხასიათი და გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაზე მეტად ფართო საზღვრებში ვარირებს. ზოგიერთი ამგვარი ორგანიზაციის მოღვაწეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლისათვის და აუცილებელია მათი გამოცალკევებით განხილვა.

საკვანძო კონცეფციები

ანგარიშვალდებულება: სახელმწიფო ვალდებული ხდება ახსნას და გაამართლოს თავის ქმედება ან ქმედებანი სხვა სახელმწიფოს მიმართ.

კომპეტენცია: ქმედების უფლება მოცემულ გარემოში. ამგვარი უფლება შეიძლება გაცემულ იქნეს მთავრობის მიერ გარეულ საერთაშორისო ორგანიზაციაზე, მაგრამ ეს ოროდინიშნავს, რომ ხდება მთლიანად პასუხისმგებლობის გადაცემა, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციას ეძლევა უფლება იმოქმედოს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ფონდები და პროგრამები: ინსტიტუტები, რომლების მოღვაწეობასაც თვალყურს ადევნებს გაერო-ს გენერალური ასამბლეა და რომელთაც ნებაყოფლობით აფინანსებენ სახელმწიფოები და სხვა დონორები.

ინტერვენცია: როდესაც ხდება პირდაპირი ჩარევა სახელმწიფოს საქმეებში გარე აქტორის მიერ გარეული მიზნების მისაღწევად მოცემული სახელმწიფოს პოზიციის გათვალისწინების გარეშე.

ჩარევა: როდესაც გარეშე ძალა, მაგ., საერთაშორისო ორგანიზაციის სახით, მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით სახელმწიფოს თანხმობით ან მისი თანხმობის გარეშე.

ნესრიგი: როდესაც ურთიერთობებიაქტორებს შორის, როგორებიცაა სახელმწიფოები, არის სტაბილური, პროგნოზირებადი, კონტროლირებადი და არ ხასიათდება ძალადობით, დაბაძულობითა და ქაოსით.

აღიარება: აქტი, რომლებსაც მთავრობები ახორციელებენ ცალკალკუ ან ერთობლივად, რომლითაც აღიარებენ სხვა ერთობის ლეგალურ სტატუსს და, ამდენად, საშუალებას აძლევენ მას გახდეს საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი – დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები, გახსნას საელჩოები, გახდეს გაერო-ს წევრი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია^{*}

გაერო-ს არა მხოლოდ ცენტრალური ადგილი უკავია სახელმწიფო-თაშორისო ორგანიზაციების სისტემაში, არამედ ასევე ასრულებს განსაკუთრებულ როლს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ განვითარებაში. 1945 წელს შექმნილი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა ერთა ლიგის შეცდომები და მისი არასრულფასოვნება, მიზანია მშვიდობისა და საერთა-

* ამ თავში განიხილება მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ნატო-ალიანსის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი. ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე ორგანიზაცია ისლამური კონფერენციის შესახებ საუბარი მომდევნო თავებში იქნება.

შორისო უსაფრთხოების გარანტიების შექმნის ხელშეწყობა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარება.

გაერო არის ყველაზე ნარმომადგენლობითი ფორუმი სახელმწიფოთა შორის დისკუსიებისათვის საერთაშორისო განვითარების აქტუალურ პრობლემებზე.

გაერო-ს წესდება ნარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძველს, სახელმწიფოთა ქცევისა და მათ შორის ურთიერთობის თავისებურ საყოველთაოდ მიღებული კოდექსს. სწორედ მის სულისკვეთებას უსადაგებენ სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს.

გაერო-ს ჩარჩოებში ხელმოწერილია ასობით საერთაშორისო კონვენცია და ხელშეკრულება, რომლებიც არეგულირებენ საქმეთა ვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებში.

გაერო-ს სტრუქტურის პრინციპებში (უპირველეს ყოვლისა, უშიშროების საბჭოს მუდმივი ნევრებისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაში) აისახა საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ობიექტური რეალიები, მათი შეცვლა კი მთავარი სტიმული გახდა ამ ორგანიზაციის რეფორმირებისათვის მიმდინარე მუშაობისათვის.

გაერო-სთან არსებობს მრავალი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ცხოვრებას მათი ფუნქციური დანიშნულების ჩარჩოებში.

გაერო-ს გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია გადაწყვიტოს ომისა და მშვიდობის საკითხები, მათ შორის შეიარაღებული ძალის გამოყენებითაც.

განერალურ ასამბლეაში თითოეულ ქვეყანას ერთი ხმა აქვს. უშიშროების საბჭოში 15 ქვეყანაა, მათ შორის 5 მუდმივი. გადაწყვეტილება მიიღება 9 ხმით 15-დან, ამასთანავე, უნდა დაემთხვას მუდმივი ნევრების ხმები. საერთაშორისო მშვიდობისათვის მუქარის საკითხის განხილვისას, უშიშროების საბჭოს განსაკუთრებული უფლებამოსილება გააჩნია.

განერალური კრების ორგანიზაციის სტრუქტურა	ფენტრალური სისტემა ფონდები და პროგრამები	სპეციალიზებული სააგენტოები
უშიშროების საბჭო 15 ნევრით	გაერო-ს განეითარების პროგრამა (UNDP)	მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია (WHO)
ეკონომიკური და სოციალური საბჭო 54 ნევრით	გაერო-ს ბავშვთა პროგრამა (UNICEF)	საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანი-

წევრ-სახელმწიფოთა ნარმომადგენლებისაგან შემდგარი გენერალური ასამბლეა გაერო-ს სამდივნო გენე- რალური მდივნის მეთა- ურობით	გაერო-ს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითა- რების შესახებ (UNSTD)	ზაცია (FAO) შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) გაერო-ს საგანმანათ- ლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანი- ზაცია (UNESCO) და სხვა მრავალი
--	---	--

მას შეუძლია შემოიღოს ეკონომიკური სანქციები და მიიღოს გადა-
წყვეტილება შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

გაერო-ს უმნიშვნელოვანეს ორგანოებს ნარმოადგენენ აგრეთვე
ეკონომიკური და სოციალური საბჭო, პააგაში არსებული საერთაშორისო
სასამართლო. გაერო-ს „ოჯახში“ შედის ასევე 14 სპეციალიზებული
სააგენტო, რომელთაც სპეციალური ფუნქციური დანიშნულება გააჩნიათ.
ზოგიერთი მათგანი გაერო-ს შექმნამდე ჩამოყალიბდა. მოლვანეობის
მასშტაბურობის თვალსაზრისითა და ზეგავლენით თანამედროვე საერ-
თაშორისო ურთიერთობებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთა-
შორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერ-
თაშორისო ბანკი, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ წევრ-
სახელმწიფოთა სავალუტო-ფინანსური პოლიტიკის კოორდინაციის
საქმეში. ასევე მნიშვნელოვანია ატომური ენერგიის საერთაშორისო
სააგენტო (მაგატე), რომელიც სპეციალური ფუნქციებითა აღჭურვილი
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის კონტროლის საქმეში.

ბიპოლარული დაპირისპირების პირობებში, საერთაშორისო არენაზე
გაერო-ს მოლვანეობას ხშირ შემთხვევაში ეფუქტურობა აკლდა. ორი
ზესახელმწიფოს პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური კონკურენ-
ცია არცთუ იშვიათად ახდენდა გაერო-ს უმთავრესი სტრუქტურებისა და
ინსტიტუტების პარალიზებას. ცივი ომის დასრულების შემდეგ გააჩნდა
ძლიერი იმპულსი გაერო-ს გააქტიურებისა და მისი საერთაშორისო ცხ-
ოვრების ქმედით ორგანიზმად გადაქცევისათვის.

საკუთანო კონცეფცია:

სპეციალიზებული სააგენტო: საერთაშორისო ორგანო, რომელ-
საც განსაკუთრებული კავშირი აქვს გაერო-ს ცენტრალურ სისტე-
მასთან, მაგრამ, რომლისგანაც იგი სამართლებრივად დამოუკიდე-
ბელია, გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, აღმასრულებელი ხელმძღვ-
ანელობა, წევრ-სახელმწიფოთა ნარმომადგენლების საბჭო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გაერო-ს ძალისხმევაშ მშვიდობის მხარდაჭერის საქმეში. თუკი თავის არსებობის პირველი ოთხი ათწლეულის მანძილზე გაერო-მ სულ განახორციელა 14 სხვა-დასხვა მისია და ოპერაცია კონფლიქტების რაიონებში დამკვირვებლების, შუამავლებისა და სამხედრო პერსონალის გაგზავნით, 1988 წლიდან განხორციელდა 33 სამშვიდობო აქცია. ამ აქტივობის პიკი მოდის 1995 წელზე, როდესაც გაერო-ს სამშვიდობო მოღვაწეობაში ჩართულმა პერსონალის რიცხვმის 70 ათასს მიაღწია (მათ შორის 31 ათასი სამხედრო მოსამსახურე) 70-ზე მეტი ქვეყნიდან. მნიშვნელოვნად განვითარდა გაერო-ს ხაზით პრევენტიული დიპლომატია (მისია ფაქტების დასადგენად, დაზავებაზე თვალყურის დევნის ორგანიზება, შუამავლობა და ა.შ.), კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის ხელშეწყობა. ამა თუ იმ ფორმით განვლილ ათწლეულში გაერო ჩაბმული იყო „ცხელ წერტილთა“ უმრავლესობაში კონფლიქტების მონესრიგების საქმეში – სომალი, მოზამბიკი, კაბოვჯა, ავღანეთი, ცენტრალური ამერიკა, პაიტი, ყოფილი იუგოსლავია, ახლო და შუა აღმოსავლეთი, რუანდა, დასავლეთ საპარა, ტაჯიკიეთი, საქართველო. იმავდროულად უსაფრთხოების საბჭო იყენებდა ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა საანქციები (ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, ფინანსური და სხვა იძულებითი ღონისძიებანი, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამხედრო ძალის გამოყენებასთან) და იძულებითი განიარაღება (ერაყთან მიმართებაში).

გაერო-ს მოღვაწეობის ამსახველი ზოგიერთი მომენტი ეკონომიკური და სოციალური ორგანიზაციების როლის გაზრდა A/32/197 (1977 წ. დეკემბერი) გენერალური ასამბლეის პირველი მნიშვნელოვანი რეზოლუცია ეკონომიკური და სოციალური ორგანიზაციების რეფორმის შესახებ.

A/48/162 (1993 წ. დეკემბერი) გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური ორგანიზაციის, ერძოდ, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეფორმირებისაკენ გადაგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი.

გაერო-ს როლის გაზრდა მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში

SC Res 678 (1990 წ. ნოემბერი) სამხედრო ძალის გამოყენების საწესირება სადამ პუსეინის ნინააღმდეგ.

SC Res 743 (1992 წ. თებერვალი) ხორვატიაში გაერო-ს მშვიდობის მყოფელთა ძალების (UNPROFOR) შესვლის გადაწყვეტილება.

SC Res 770 (1992 წ. 13 აგვისტო) ბოსნიაში გაერო-ს მშვიდობის მყოფელთა ძალების (UNPROFOR-2) შესვლის გადაწყვეტილება.

SC Res 816 (1993 წ. აპრილი) ბოსნიის არასაფრენ ზონად გამოცხ-

ადება, რამაც საშუალება მისცა ნატო-ს ძალებს განეხორციელებინათ დარტყმები სერბიის ავიაციაზე.

გაერო-ს ჰუმანიტარული მოღვაწეობა

SC Res 688 (1991 წ. აპრილი) ყურის ომის მიწურულს ერაყში ინტერვენციის სანქცირება ჩრდილოეთ ერაყში ქურთებისა და სამხრეთში შიგნით მუსლიმების დაცვის მიზნით.

SC Res 733 (1992 წ. 23 იანვარი) სომალიში ინტერვენციის პირველი სანქცია.

SC Res 808 (1993 წ. ივლისი) ყოფილი იუგოსლავის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებებისათვის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა.

მაგრამ ცივი ომის დასრულებამ არა მარტო ახალი შესაძლებლობები შექმნა გაერო-სათვის, არამედ რელიეფურად გამოკვეთა მისი ადრეუსილავი ნაკლოვანებანიც. ერთი მხრივ, საქმე ეხება გაერო-ს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატის არსებობას, მის მოუქნელობასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის არაეფექტურობას, ორგანიზაციის გადატვირთვას მრავალრიცხოვანი და ხშირ შემთხვევაში პარალელური ფუნქციების მქონე სტრუქტურებით. მეორე მხრივ, დადგა საკითხი გაერო-ს ადაპტირების აუცილებლობის შესახებ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკურ ლანდშტატში. დაბოლოს, გაურკვეველი რჩება გაერო-ს მოღვაწეობის მრავალი კონცეპტუალური საკითხი: როგორი უნდა იყოს მისი პრიორიტეტების სისტემა? რა პირობებში უნდა მოხდეს მისი ფუნქციების დელეგირება რეგიონულ ორგანიზაციებზე ანდა სახელმწიფოთა კოალიციებზე? როგორია გაერო-ს ჩარევის პირობები და საზღვრები სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში? როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს დემოკრატიზმისა და ოპერატიულობის შერწყმა გაერო-ს ფუნქციონირებაში? როგორ უნდა მოხდეს მისი უნივერსალურობის შეთავსება უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ-სახელმწიფოთა სტატუსთან.

სწორედ ეს უკანასკნელი მოექცა ყურადღების ცენტრში დისკუსიების დროს გაერო-ს რეფორმირების შესახებ. არსებობს მეტ-ნაკლებად ფართო კონსენსუსი უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ, რათა მისი შემადგენლობა უფრო რეპრეზენტაციაბელური გახდეს. ყველაზე მიღებული კანდიდატები არიან გერმანია და იაპონია, მაგრამ იმავდროულად ანალოგიურ სტატუსზე პრეტენზიები გააჩნიათ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებს, მაგალითად, ინდოეთს, ბრაზილიას, მექსიკას. ამასთანავე, ვეტოს უფლების მქონე ქვეყნების რაოდენობის გაზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს უშიშროების საბჭოს მუშაობის პარალიზება. ვეტოს საკითხს კი ერთ-ერთი ცენტრალური აღგილი უჭირავს. თუმცა ამ ინსტიტუტის გაუქმება

(ქვეყნების უფლებრივი გათანასწორების მოტივით) პრაქტიკულად არარეალურია, მასში გარკვეული კორექტივების შეტანა სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, ბლოკირებისათვის ერთის მაგივრად ორი ხმის აუცილებლობის შემოღებაა ან იმ საკითხების ნრის შეზღუდვა, რომლებისთვისაც გამოიყენება ვეტოს უფლება.

საერთო ჯამში, გაერო-ს რადიკალური ტრანსფორმაციის პერსპექტივები ამჟამად არცთუ ისე აშკარაა, ერთი მხრივ, წევრ-სახელმწიფო-თა თვალსაზრისების არდამთხვევის მიზეზით (ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია სურვილი მოხდეს რადიკალური ცვლილებები), მეორე მხრივ კი, აუცილებელი ფინანსურირესურსების არარსებობის გამო (ამ მიზეზით გაერო იძულებულია უკვე დღეს შეამციროს სამშვიდობო მოღვაწეობა). თუმცა გაერო-ს ადაპტირება შეცვლილ ვითარებასთან აუცილებელია. სხვა შემთხვევაში ორგანიზაციის არსებობაში შესაძლოა აზრიც კი დაკარგოს.

თანდათანობით იკვეთება სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების ტენდენცია გაერო-ს სანქციების გარეშე. რისი უპირველესი მაგალითია კოსოვოს ოპერაცია (იხ. ქვემოთ).

საკვანძო საკითხები

- გაერო შეიქმნა სახელმწიფოთა შორის მშეიდობის შენარჩუნების მიზნით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.
- გაერო ჩართულ იქნა მმართველობის მრავალმხრივ სისტემაში და ზოგჯერ მოღვაწეობა უხდება სახელმწიფოებთან ერთად, ზოგჯერ მათ გვერდით და მათ გარეშეც.
- გაერო-ს ოპერაციათა უმრავლესობა გამართლებული იყო ტრადიციული გზით: არსებობდა საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)

ნატო ამჟამად აერთიანებს 15 ქვეყანას და უზრუნველყოფს მათ ურთიერთკავშირს სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში. როგორც სამხედრო კავშირი, იგი უპირობოდ ყველაზე განვითარებულ და სრულყოფილ სტრუქტურას წარმოადგენს. არსებობს მექანიზების მთელი სისტემა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება წევრ-სახელმწიფო-თა ერთობლივი მოქმედება, დაწყებული შეთანხმებული პოლიტიკიდან, რომელსაც ატარებენ ნატო-ს წევრები საერთაშორისო არენაზე, დამთავრებული საომარი მოქმედებების ორგანიზების განსაზღვრით ომის შემთხვევაში.

ნატო-ს უმაღლეს პოლიტიკურ ინსტანციას წარმოადგენს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო. რაც შეეხება კავშირის სამხედრო ორგანიზაციის,

მისი ბირთვი ინტეგრირებული სამეთაურო სტრუქტურაა, რომელიც უზრუნველყოფს წევრ-სახელმწიფოთა ჯარების ურთიერთებულებასა და მათ მზადყოფნას კოლექტიური თავდაცვისათვის კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში.

ცივი ომის დასრულებასთან ერთად ფართომასშტაბიანი შეჯახების საფრთხე ფაქტობრივად მოიხსნა. გარკვეულწლილად სამხედრო ალიანსის არსებობამ მიზანიც კი დაკარგა. ამ პირობებში წინ წამოინია ადაპტირების პროცესის და ის კონფლიქტურ საკითხებში წატო-ს როლის განსაზღვრამ, რომლებიც პოსტკონფრონტაციულ პერიოდს ახასიათებს. შემუშავდა წატო-სატრატეგიის ახალი კონცეფციები. ალიანსის გარდა ქმნა ძირითადად შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობს:

ხდება სამხედრო აქტივობის გარკვეული შემცირება წატო-ს ჩარჩოებში. შედარებით შემცირდა შეიარაღებული ძალების რაოდენობაც.

წატო-ს გარდაქმნის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ალიანსის არასამხედრო ფუნქციების გაძლიერებაზე. 1991 წელს ალიანსის რომის სესიაზე მონონებულ იქნა „ახალი სტრატეგიული კონცეფცია“, რომელიც აქცენტი გაკეთდა უსაფრთხოების გარანტირების პოლიტიკურ ასპექტებზე დიალოგისა და თანამშრომლობის გზით. 1994 წელს ბრიუსელის სამიტზე ასევე ხაზი გაესვა წატო-ს პოლიტიკურ როლს ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტიების შექმნის საქმეში და მისი ურთიერთებულების მნიშვნელობას კონტინეტზე არსებულ სხვა სტრუქტურებთან.

წატო-ს ამჟამინდელი სტრატეგიით წინ წამონეულია აშშ-ის სტრატეგიული როლი ევროპის საქმეებში და იმავდროულად უზრუნველყოფილია ალიანსის ევროპელ წევრთა უფრო დიდი დამოუკიდებლობა. 1994 წელს ოფიციალურად მონონებულ იქნა წატო-ს ჩარჩოებში „უსაფრთხოების სფეროში ევროპის იდენტურობის“ ფორმირების (European Security and Defence Identity – ESDI) კურსი. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ალიანსის სამხედრო შესაძლებლობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დასავლეთ ევროპის კავშირის ოპერაციებისათვის.

აღებულია კურსი ალიანსში არშემვალ ქვეყნებთან ფართო კონტაქტებსა და კოოპერატიული ურთიერთებულების აქტიურ განვითარებაზე. 1991 წელს შეიქმნა საკონსულტაციო ფორუმი, რომელშიც წატო-ს წევრ ქვეყნებთან ერთად შევიდნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიც. შემდგომში წატო-ს პარტნიორი გახდა ზოგიერთი წეიტრალური ქვეყანაც და პარტნიორთა რიცხვმა 44-ს მიაღწია. 1994 წლიდან მოქმედებს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელიც მონვეულია ეუთო-ს ყველა წევრი ქვეყანა ინდივიდუალური პროექტების საფუძველზე იმგვარ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სამხედრო დაგეგმარებისა და სამხედრო ხარჯების გამჭვირვალეობის დაცვა, შე-

იარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის შემოღება, ერთობლივი დაგეგმვა და, სამხედრო შენაერთების სწავლება და მომზადება სამშვიდობო მისიებისა და ჰუმანიტარული ოპერაციების განსახორციელებლად. ამ პროგრამაში აქტიურად მონაწილეობს საქართველო.

1993 წლიდან დისკუსიებში ცენტრალური ადგილი დაიკავა ნატო-ს მომავალი ნევრების საკითხმა. 1999 წელს ალიანსის სრულფულებიანი ნევრები გახდნენ პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი. რუსეთი აქტიურად ენინაალმდეგებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მას უკვე აღარ ჰქონდა ძალა, რომ შეეკავებინა ყოფილი მოქავშირეების აღმოჩენა იმ ბანაკში, რომელსაც კვლავაც საკუთარ პოტენციურ მონინაალმდეგებედ აღიქვამდა.

შემდგომში თანდათანობით მთავარი ყურადღება გამახვილდა ალიანსის ახალ მისიებზე. ამასთანავე, ხაზი გაესვა კავშირის ორიენტირებას კრიზისული რეგულირებისა და სამშვიდობო მისიების შესრულებაზე, შესაბამისად, სამხედრო მომზადების შეცვლასა და შეიალებული ძალების სისწრაფისა და მობილურობის უზრუნველყოფას. 1999 წელს „ნატო-სტრატეგიულ კონცეფციაში“ შესაძლებელ ამოცანათა შორის პირველად დასახელდა „ოპერაციების ჩატარება ერთი ზისული სიტუაციების მოსანერივებლად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კაშინებონის შეთანხმების მე-5 პუნქტით“ (ანუარარიან და კავშირებულნი გარე აგრესისაგან კოლექტიურ თავდაცვასთან). პირველი პრაქტიკული ოპერაცია ამ მხრივ გახდა საპარო დარტყმების უგოსლავიაზე 1999 წელს კოსოვოს კრიზისის დროს, რამაც რუსეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და სწორედ მისი და ჩინეთის პოზიციაში შეუძლა ხელი გაერო-ს ჩაბმულიყო ამ ოპერაციაში. ამდენად, ნატო-მ ამ შემთხვევაში უკვე გაერო-ს როლი იტვირთა.

საკვანძო საკითხები

- ნატო უპირობოდ ყველაზე განვითარებულ და სრულყოფილ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს ნარმოადგენს.
- ცივი ომის დასრულების შემდეგ, ნატო-ს გარდაქმნის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ალიანსის არასამხედრო ფუნქციების გაძლიერებაზე.
- 1994 წლიდან მოქმედებს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელშიც სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს ჩართვა ინდივიდუალური პროექტების საფუძველზე ხორციელდება.
- კოსოვოს ოპერაციის დროს ნატო-მ პრაქტიკულად გაერო-ს მისია იტვირთა.

კითხვები და დავალებები:

1. რა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციები არსებობს?
2. რატომი ზრდება არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი საერთაშორისო ურთიერთობებში?
3. სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების განვითარების რა ზოგადი ტენდენციები შეიძლება გამოყოფა?
4. რა მიზნით შეიქმნა გაერო?
5. დაახასიათეთ გაერო-ს სტრუქტურა.
6. რა როლს ასრულებს დღეს საერთაშორისო ურთიერთობებში გაერო?
7. რატომ ითვლება ნატო ყველაზე ძლიერ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად?
8. რა მიზეზებმა განაპირობეს ნატო-ს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის როლის გაზრდა?
9. დაახასიათეთ პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“.

ლიტერატურა:

- C. Archer, *International Organizations*, 2nd edn. (London: Routledge, 1992).
- O. Höffe, Für und wider einer Weltrepublik, in: Ch. Chwarsza, M. Kersting (Hrsg.), *Politische Philosophie der internationalen Beziehungen*, (Fr.a. M., 1998).
- A. Roberts & B. Kingsbury (eds.), *United Nations, Divided World: The UN's Roles in International Relations*, 2nd edn. (Oxford: Clarendon Press, 1993).
- A. James, *Peacekeeping in International Politics* (Basingstoke: Macmillan, 1990).
- P. Taylor, *International Organization in the Modern World*, (London: Pinter, 1995).
- D. Williams, *The Specialised Agencies and the United Nations: the System in Crisis* (London: Hurst, 1987).

VII. ტრანსენაციონალური აპტორის გლობალურ პოლიტიკაში

შესავალი

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დღეს გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში, სახელმწიფოების გარდა, აქტიურად მონაწილეობენ სხვა-დასხვა სახის კომპანიები და არასამთავრობო ორგანიზაციები. თუკი ამჟამად დაახლოებით 200-მდე სახელმწიფო არსებობს, მათ გვერდით ასევე ფუნქციონირებს:

- დაახლოებით 38 500 მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანია (ტნკ), როგორიცაა: მაგ., შელი, კოკა-კოლა, ფორდი, მაიკროსოფტი, ნესტლე, რომელთაც მთელ მსოფლიოში 250 ათასამდე ფილიალი აქვთ.
- 10 ათასამდე ერთი კონკრეტული ქვეყნის ნარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO), როგორიცაა: მშვიდობის სახლი (Freedom House, აშშ), ექიმებისაზღვრებს გარეშე (Médicins sans frontiers, საფრანგეთი), სიერა კლუბი (Sierra Club, აშშ), წყლით დახმარება (Water Aid, დიდი ბრიტანეთი), რომლებიც საერთაშორისო არენაზე თვალსაჩინო აქტიურობას იჩინენ.
- 300 სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია (IGO), როგორიცაა: გაერო, ნატო, ევროკავშირი ან ყავის საერთაშორისო ორგანიზაცია,
- 4700 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია (INGO), როგორიცაა: საერთაშორისო ამნისტია (Amnesty International), მსოფლიო ბაპტისტური ალიანსი (The Baptist World Alliance), თევზჭერის საერთაშორისო პალატა (The International Chamber of Shipping), საერთაშორისო წითელი ჯვარი (International Red Cross).

ყველა ეს ორგანიზაცია რეგულარულად მონაწილეობს გლობალურ პოლიტიკაში და ურთიერთქმედებს სახელმწიფოთა მთავრობებთან. ამასთანავე, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ არიან მიჩნეული სისტემის ლეგიტიმურ წევრებად, მათ გარკვეული გავლენა აქვთ პოლიტიკურ პროცესებზე. ამგვარია, მაგალითად, სხვადასხვა პარტიზანული მოძრაობები და კრიმინალური დაჯგუფებები. მრავალი კომპანია და არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს მხოლოდ ერთ ქვეყანაში, მაგრამ მათ გააჩნიათ საკუთარი მოღვაწეობის სხვა ქვეყნებზე განვირცობისათვის საკმარისი პოტენციალი.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს „არასახელმწიფოებრივ მსოფლიოს“ და უპრიანია თუ არა მისი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებისაგან გამოცალეევებული ანალიზი? ერთი მხრივ, შესაძ-

ლებელია საერთაშორისო ურთიერთობების განსაზღვრა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებად. ამგვარი დამოკიდებულება ინოდება სახელმწიფო-ცენტრისტულ მიდგომად და რეალისტური სკოლისათვის არის დამახასიათებელი. პლურალისტული მიდგომის თანახმად კი, საერთაშორისო არენაზე ნებისმიერი ტიპის აქტორის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს საერთაშორისო შედეგები. ნეორეალისტებისათვის ასევე დამახასიათებელია პოზიცია, რომლის თანახმადაც „არასახელმწიფობრივი აქტორების როლის გათვალისწინება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა შორის მიმდინარე პროცესებზე“ (James 1993:270). ამგვარი პოზიცია გამართლებულია ისეთი სუბიექტების შესწავლისას, როგორიცაა, მაგალითად, გაერო-ს მშვიდობისმყოფელები. მაგრამ არამართებულია მისი მისადაგება ნებისმიერი სუბიექტისადმი. მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კომპანიები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ურთიერთქმედებენ. ამ ურთიერთქმედების შედეგები კი სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

ტერმინების მნიშვნელობა: არასახელმწიფოებრივი აქტორებიდან ტრანსნაციონალურ აქტორებამდე

აუცილებელია რამდენიმე კომენტარის გაკეთება საერთაშორისო ურთიერთობების ლექსიკონთან დაკავშირებით. თავისთავად ტერმინი „არასახელმწიფოებრივი აქტორები“ მიუთითებს, რომ სახელმწიფოები პირველადი, ხოლო სხვა აქტორები მეორეული არიან. ზოგადად კი საქმაოდ ბუნდოვანი ტერმინია, ვინაიდან ხშირად ერთ კატეგორიაში ექცევა აქტორები, რომლებსაც გააჩნიათ სრულიად განსხვავებული სტრუქტურები, რესურსები და პოლიტიკაზე სხვადასხვა გზით ახდენენ გავლენას. ამ მიზეზით, თანდათანობით ხმარებიდან გამოდის ტერმინი – „არასახელმწიფოებრივი“.

ალტერნატიული ტერმინი – „ტრანსნაციონალური“ აკადემიური წრეების მეცანიერობით დამკვიდრდა იმის მეაფიოდ გამოსახატავად, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებით. თუმცა, დიპლომატები ხშირად ტერმინ „ტრანსნაციონალურს“ გამოიყენებენ მხოლოდ კომპანიების ალსანიშნავად და ჯგუფებს, რომლებიც მაგალითისათვის მიზნად არ ისახავენ ფინანსურ მოგებას ან ძალადობის წინააღმდეგ იძრძვიან. არასამთავრობო ორგანიზაციებს უწოდებენ. ყოველივე ეს კი გარევეულ სირთულეებს წარმოქმნის.

საკუვანდო კონცეფციები

სახელმწიფო: ამ ერთი სიტყვით სამი განსხვავებული კონცეფცია გამოიხატება:

1. საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს არსებობა აღიარებულია მაშინ, როდესაც არსებობს ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს საზოგადოებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე.
2. საერთაშორისო ურთიერთობათა შესავლისას ნებისმიერი სახელმწიფო ქვეყანაა. ის ნარმოდგენს ინდივიდთა მიერ შექმნილ საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს ერთიან პოლიტიკურ გარემოში და რომლის ნევრებსაც გააჩნიათ გარკვეული საერთო ფასეულობები.
3. ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში სახელმწიფოს გამოხატულებას ნარმოადგენს სახელისუფლო აპარატი, რომელიც მოიცავს აღმასრულებელ, სასამართლო, საკანონმდებლო ხელისუფლებას, ადმინისტრაციას, პოლიციას, შეიარაღებულ ძალებს.

სუვერენიტეტი: სახელმწიფოს მდგომარეობა, როდესაც ის თავისუფალია ნებისმიერი გარეგანი ზემდგომი იურიდიული ხელისუფლებისაგან. ეს გარკვეულწილად დაკავშირებულია, მაგრამ იმავდროულად განსხვავებულია სახელმწიფოს მდგომარეობისაგან, როდესაც იგი თავისუფალია ნებისმიერი გარეგანი ძალის მხრიდან იძულებისა და ზენოლისაგან. ამ თვალსაზრისით, ცივი ომის პერიოდში მრავალი პატრა ქვეყანა სუვერენული იყო, მაგრამ მათი მთავრობები არ იყვნენ პოლიტიკურად დამოუკიდებელნი.

არასახელმწიფოებრივი აქტორი: ეს ტერმინი გამოიყენება ფართო მნიშვნელობით ყველა იმ აქტორის აღსანიშნავად, რომლებიც არ ნარმოადგენ ხელისუფლებას. ხშირად ბუნდოვანია ამ ტერმინის გამოყენება, მაგ., გაერო-ს მიმართ. ეს ორაზროვნება შეიძლება გადაილახოს ამ ტიპის აქტორთა ორ კატეგორიად დანაწევრებით – ტრანსნაციონალურ აქტორებად და საერთაშორისო ორგანიზაციებად.

ეროვნული სახელმწიფო: ასეთი სახელმწიფო შეიძლება არსებობდეს, თუკი ერთი ერთს თითქმის ყველა ნარმომადგენელი გაერთიანებულია ერთ სახელმწიფოში, რომელშიც არ არის სხვა ეროვნული თემები. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ფართოდ გამოიყენება, ამგვარი სახელმწიფოები პრაქტიკულად არ არსებობს.

ტრანსნაციონალური აქტორი: ნებისმიერი არასამთავრობო აქტორი ერთი ქვეყნიდან, რომელსაც ურთიერთობა აქვს ნებისმიერ აქტორთან სხვა ქვეყნიდან ან საერთაშორისო ორგანიზაციისთან.

სახელმწიფო-ცენტრისტულ მიდგომასთან დაკავშირებული პრობლემები

სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომის სიმარტივესა და შესაბამისად მის უპირატესობას ნარმოადგენს ის, რომ მსოფლიო პოლიტიკის უაღრესად რთულად განსასაზღვრა კომპლექსურობა დაყვანილია ორასამდე მსგავსი ნარმონაქმნის – სახელმწიფოს ურთიერთქმედებამდე. მიუხედავად ამისა, არსებობს ოთხი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რაც საეჭვოს ხდის ამგვარი გამარტივების სარგებლიანობასა და ლირებულებას:

1. სახელმწიფოს სხვადასხვა მნიშვნელობა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სიტყვა სახელმწიფო სამი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება.

იურიდიული და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კონცეფციებით,

• სამოქალაქო საზოგადოება ნარმოადგენს სახელმწიფოს ნაწილს, მაშინ როდესაც ფილოსოფოსებისა და სოციოლოგებისათვის, რომლებიც ფოკუსირებას ახდენენ სახელმწიფოზე, როგორც მთავრობაზე, სამოქალაქო საზოგადოება გამოცალეებულია სახელმწიფოსაგან. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც სახელმწიფო მთლიანად ქვეყნას ნიშნავს, მეტად მცირე შესაძლებლობა რჩება განსხვავებული ტრანსნაციონალური აქტორების არსებობის აღიარებისათვის. საპირისპიროდ, როდესაც სახელმწიფო ნიშნავს მთავრობას და არ მოიცავს საზოგადოებას, ჩვენ შეგვიძლია ვიკელიოთ როგორც სამთავრობათა-შორისო ურთიერთობები, ისე ტრანსნაციონალური აქტორების საზოგადოებათაშორისო ურთიერთობები.

2. მსგავსების ნაკლებობა სახელმწიფოთა შორის. მეორე პრობლემას ნარმოადგენს ნებისმიერი „სახელმწიფოს“ ერთი და იმავე გზით განსაზღვრა და მათთვის ერთნაირი იურიდიული სტატუსის მინიჭება, რაც გულისხმობს, რომ ისინი არსებითად ერთნაირი ნარმონაქმნებია. მაგრამ, ალბათ, ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ მსოფლიოში სახელმწიფოებს შორის დიდი განსხვავებები არსებობს. არავინ უარყოფს განსხვავებას „ზესახელმწიფოებს“, საშუალო და პატარა სახელმწიფოებს შორის. მაგრამ, ამასთანავე, თვალსაჩინოა სახელმწიფოთა შეუსაბამობა ეკონომიკური თავალსაზრისით (მაგალითად, შვეიცარია და საქართველო), მოსახლეობის რაოდენობით, მშართველობის ფორმებით (დემოკრატიები, ფეოდალური რეჟიმები, ეთნიკური და ეკონომიკური ოლიგარქები, პოპულისტური რეჟიმები, სამხედრო დიქტატურები, სხვადასხვა იდიოსინკრეტული კომბინაციები). ერთადერთი, რაც სახელმწიფოებს საერთო აქვთ, არის საყოველთაოდ აღიარებული უფლება, გააჩნდეთ საკუთარი ხელისუფლება. იურიდიულად ისინი თანასწორი არიან, მაგრამ პოლიტიკურად მეტად განსხვავებულნი.

განსხვავებების ასევე თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ დღეს მსხვილი ტრანსაციონალური აქტორების როლი გაცილებით აღემატება მრავალი სახელმწიფოს როლს გლობალურ პოლიტიკაში. 50 ყველაზე დიდი ტრანსაციონალური კომპანიის ნლიური შემოსავალი უფრო მეტია გაერო-ს 131 წევრი ქვეყნის ანალოგიურ ერთობლივ მაჩვენებელზე. თუ კი რაოდენობრივ მხარეზე გავამახვილებთ ყურადღებას, მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, კერძოდ, პროფესიული, მოძრაობები ადამიანის, ქალთა უფლებების, გარემოს დაცვისათვის მრავალ მილიონ ადამიანს აერთიანებს. გაერო-ს წევრი 37 სახელმწიფოს მოსახლეობა კი მილიონზე ნაკლებია.

3. ჰოლიზმის პრობლემა. მესამე მეცაფიო შეუსაბამობას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოები „მოთავსებულნი“ არიან ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. როდესაც სახელმწიფოში იგულისხმება იურიდიული წარმონაქმნი, იგი განიხილება ჰოლისტურ რეალობად — მიიჩნევა ისეთ მყარ ერთობად, რომელიც მოქმედებს მეცაფიოდ ჩამოყალიბებული ერთიანი მიზნით და თავისი არსით გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნანილების (ინდივიდების) ჯამი. იმავდროულად სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომის მრავალი მომხრე უარყოფს ჰოლისტური რეალობების არსებობის შესაძლებლობას გლობალურ დონეზე. ტერმინი „საერთაშორისო სისტემა“ იხმარება მხოლოდ „სახელმწიფოთა“ საკმაოდ ბუნდოვანი ერთობის გამოსახატავად. სისტემა არ გამოიყენება ტერმინის სრული ტექნიკური მნიშვნელობით, როდესაც მისი შემადგენელი ნანილები (სახელმწიფოები) კარგავენ თავიანთი დამოუკიდებლობის ნანილს. სახელმწიფოთა გადაჭარბებული შეფასების შედეგია როგორც ტრანსაციონალური ურთიერთობების, ისე სამთავრობათაშორისო ურთიერთობების არასრულყოფილი აღქმა.

საკვანძო კონცეფცია

ჰოლისტური წარმონაქმნი: ის არსებობს, როდესაც მთელი რიგი ელემენტები ქმნიან სისტემას, რომელსაც გააჩნია განსხვავებული თვისებები კოლექტურ დონეზე. მის არსად ხშირად მიიჩნევა, რომ „მთლიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნანილების ჯამი.“ ამის ნათელი მაგალითია ჩევნი სხეული, რომელიც ქმნის ცოცხალი ინდივიდის თვისებებს. მსგავსად, ადამიანები ქმნიან სოციალურ ჯგუფებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებებსა და ერებს. ინდივიდები ერთიანდებიან საზოგადოებაში, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ქცევასა და თვისებებზე.

4. განსხვავება სახელმწიფოსა და ერს შორის. არსებობს თვალსაზრისი, რომ ჰოლიტიკა „სახელმწიფოთა“ შიგნით მკეთრად განსხვავდება ჰოლიტიკისაგან სახელმწიფოთა შორის. ის ემყარება იდეას, რომლის თანახმადაც ხალხის ლოიალურობა ერის მიმართ გაცილებით

უფრო ძლიერია სხვა ნებისმიერი სახის ლოიალურობაზე. ბუნებრივია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ნაციონალიზმი და ნაციონალური იდენტურობა მრავალ ადამიანში ძლიერ ემოციებს ინვევს, მაგრამ სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს მათი პოლიტიკური მრნამსი.

საზოგადოებრივი იდენტურობებით იქმნება იერარქია ლოკალური იდენტურობიდან ერამდე და იდენტურობის უფრო ფართო ფორმებამდე. ამგვარად, ლოკალური საზოგადოებები და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროკავშირი, შეიძლება გახდეს ინდივიდის ლოიალურობის წყარო.

სადაც ეროვნული იდენტურობის ფოკუსირება მხოლოდ „ეროვნულ სახელმწიფოზ“ — რეალურად, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას, მაგალითად, ისლანდიას, იაპონიას, პოლონეთს ან სომხეთს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა მართლაც ერთი ერის ნარმომადგენლები არიან, მაგრამ ამ ქვეყნებშიც კი ცხოვრობენ სხვა ერების მცირე ჯგუფები. არსებობს მრავალი მულტიეთნიკური სახელმწიფო და მრავალი ეროვნული ჯგუფი ნარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნებში. ეროვნული ლოიალურობა დღეს მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნისადმი ლოიალურობისაგან. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, ეროვნული კულტურული ჯგუფები, ეროვნული უმცირესობები, რომელთაც გააჩნიათ პოლიტიკური მოთხოვნები, ტრანსნაციონალურ აქტორებად შეიძლება ჩაითვალოს.

საკვანძო საკითხები

- სახელმწიფოს კონცეფციას გააჩნია სამი განსხვავებული მნიშვნელობა: იურიდიული პირი, პოლიტიკური საზოგადოება და ხელისუფლება.
- ქვეყნები და მთავრობები მსოფლიოში შეიძლება იყვნენ თანასწორნი იურიდიულად, მაგრამ მეტად მცირე პოლიტიკური მსგავსება გააჩნდეთ. მრავალი მთავრობა გაცილებით უფრო მცირე რესურსებს აკონტროლებს, ვიდრე ზოგიერთი ტრანსნაციონალური აქტორი.
- ეროვნული ლოიალურობა არ ემთხვევა სახელმწიფოს საზღვრებს.
- „არასახელმწიფოებრივი აქტორების“ ლექსიკის გამოყენებლობის შემთხვევაში, გლობალურ პოლიტიკაში მრავალი აქტორის იდენტიფიცირების საშუალება იქმნება. მთავრობის, საზოგადოებისაგან, ერის ქვეყნისაგან გამოცალევებით, შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ როგორ არიან ჩართულნი თითოეული ქვეყნიდან კერძო ჯგუფები, კომპანიები, ეროვნული უმცირესობები ტრანსნაციონალურ ურთიერთობებში.

ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც პოლიტიკური აქტორები

ნებისმიერი კომპანია, რომელიც ანარმობს იმპორტს ან ექსპორტს, ჩაბმულია ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ მოღვაწეობაში. ხშირად ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტების შეცვლა, კომუნიკაციების საშუალებათა რეგულირება ან უცხოეთის მთავრობა-თა ეკონომიკური პოლიტიკა გავლენას ახდენს მათი ვაჭრობის უნარზე. თუ ეს პოლიტიკა კომპანიებისათვის მომგებიანია, აუცილებელი არ არის, რომ ისინი ცვლილებებს გამოეხმაურონ, მაგრამ თუკი მათთვის ცვლილებები ფინანსურ დანაკარგს ინკვეს, მათ შეიძლება გადაწყვიტონ უცხოეთის მთავრობების ლობირება. ეს შეიძლება განხორციელდეს ოთხი გზით:

- არაპირდაპირი გზით კომპანიის მიერ, რომელიც სთხოვს საკუთარ ხელისუფლებას ზენოლა მოახდინოს უცხო ქვეყნის ხელისუფლებაზე;
- არაპირდაპირი გზით საერთო პოლიტიკის შემუშავების საკითხის ნამოქრით რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში;
- პირდაპირი გზით საკუთარ ქვეყანაში დიპლომატიური საელჩოსადმი მიმართვით;
- პირდაპირი გზით სხვა ქვეყანაში მთავრობის მინისტრების დახმარებით.

ზენოლის გასაძლიერებლად მრავალი გზა არსებობს, კერძოდ, როგორიცაა საგაფრო ასოციაციების შექმნა ან უფრო რთული არაპირდაპირი გზები. აქედან გამომდინარე, თუნდაც რომ კომპანია ბაზირებული იყოს ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, ის მაინც შეიძლება ნარმოადგენდეს ანგარიშგასასანევ პოლიტიკურ აქტორს.

პირველი კომპანიები, რომლებმაც გადალახეს საკუთარი ქვეყნების საზღვრებიდა გადაიქცნენ ტრანსნაციონალურ კომპანიებად, იყო ევროპული იმპერიებისა და შეერთებული შტატების კომპანიები. ამის კლასიური მაგალითებია აგრარული, სამთამადინო ან ნავთობმომპევებელი კომპანიები. დეკოლონიზაციის შემდეგ ამ კომპანიების ზოგიერთი განსტორება „გამოყოფილ“ იურიდიულ პირად იქცა, მაგრამ სათავო ოფისის ცენტრალიზებული კონტროლის ქვეშ. 60-იანი წლებიდან დაიწყო მსხვილი კომპანიების მასიური ექსპანსია, მათი ფილიალები იხსნებოდა მრავალ ქვეყანაში. კოლონიების განვითარების შედეგად კი მრავალი ბანები ტრანსნაციონალურ „იმპერიად“ გადაიქცა. 70-იანი წლებიდან კი სამომხმარებლო სფეროს უმრავლესობამ, როგორიცაა რეკლამა, ბაზრის კვლევა, აუდიტი, კომპიუტერიზაცია, ახალი ოპერაციები ნამოინყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით და შექმნა გლობალური სტრუქტურები გაერთიანებისა და სხვა კომპანიების შესყიდვის საფუძვლზე. ამჟამად ტრანსნაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ იმოქმედონ

ნებისმიერ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორში იმ პროდუქციის გამოკლებით, რომელიც სპეციფიკურია კონკრეტული კულტური-სათვის. კომპანიები გაიზარდა ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისითაც. იმგვარი ინდუსტრიული ქვეყნები, როგორიცაა კანადა ან შვეცია, რომელიც არასოდეს ყოფილან იმპერიები და განვითარებადი ქვეყნების ზოგიერთი კომპანია ტრანსნაციონალური ხდება.

კომპანიების გლობალიზაციასთან ერთად იცვლება ტრანსნაციონალური კომპანიების ბუნებაც. თავდაპირველად არსებობდა მეაფიო გამიჯვნა იმ პროდუქციის, რომელიც იქმნებოდა ცენტრში და დამხმარე განშტოებების მეორეხარისხოვან მოღვაწეობას შორის. ამ თვალსაზრისით, ისეთი ტნე, როგორიცაა IBM, უნდა განიხილებოდეს, როგორც ამერიკული კომპანია მრავალი უცხოური ფილიალით. ამჟამად კომპანიები მართლაც გლობალური ხდებიან, სათავო ოფისები კი ასრულებენ ცენტრის ფუნქციას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

კომპანიისათვის არსებობს მრავალი ინდიკატორი, რომელიც მულტინაციონალური ფედერაციიდან გარდაიქმნება ერთიან გლობალურ კომპანიად. ნანარმის შექმნა შეიძლება დივერსიფიცირებულ იქნეს, ვინაიდან პროდუქციის ნარმოების სხვადასხვა ეტაპი მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში. მარკეტინგის საშუალებით შეიძლება შეიქმნას ერთსახოვანი სავაჭრო ნიშნის იმიჯი ნებისმიერ ქვეყანაში. მენეჯმენტის პერსონალს კარიერის გაკეთება შეუძლია მთელი კომპანიის მასშტაბით. სრული გლობალიზაცია სახეზეა, როდესაც მენეჯმენტი მოიცავს ადამიანებს სხვადასხვა ქვეყნიდან, არც ერთი ქვეყანა არ დომინირებს და როდესაც ყველა მენეჯერი ლაპარაკობს ერთ ენაზე, ჩვეულებრივ ინგლისურად.

ტნე-თა რიცხვის გაზრდას, მათი მოღვაწეობის განვითარებასა და მათ ტრანსნაციათა კომპლექსურობას მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს. დღეს ტრანსნაციონალურ კომპანიებს გააჩნიათ უნარი თავი აარიდონ მთავრობათა მცდელობებს გააკონტროლონ ფინანსური ნაკადები, დაანესონ სავაჭრო სანქციები ან ეცადონ პროდუქციის ნარმოების რეგულირებას. ტნე-ები სამთავრობათაშორისო ურთიერთობებს უფრო რთულს ხდის. მრავალი მთავრობის სუვერენიტეტი მნიშვნელოვნად შემცირებულია.

საკვანძო კონცეფცია

ტრანსნაციონალური კომპანია: ყველაზე ფართო მნიშვნელობით ნებისმიერი კომპანია, რომელიც ბაზირებულია ერთ ქვეყანაში და აქვს სავაჭრო ურთიერთობა სხვა ქვეყნის მთავრობასთან ან საზოგადოებასთან. თუმცა ტერმინი ტრანსნაციონალური კომპანია (ტნე) ჩვეულებრივ გამოიყენება იმ კომპანიების ალსანიშნავად, რომელსაც ფილიალები გააჩნიათ სხვადასხვა ქვეყანაში.

ფინანსური ნაკადები და სუვერენიტეტის დაკინონება

უმსხვილესი კომპანიების მზარდ ტრანსნაციონალიზაციას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება. არცთუ ისე დიდი ხნის წინ შესაძლებელი იყო იმის მტკიცება, რომ ნებისმიერ ქვეყანას გააჩნდა საკუთარი დამოუკიდებელი ეკონომიკა. სუვერენიტეტის ორი ფუძემდებლური ატრიბუტი, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ვალუტის კონტროლი და უცხოეთთან ვაჭრობის კონტროლი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ ორი ფაქტორის კომბინირების შედეგად მთავრობებმა დაკარგეს კონტროლის უნარი ფინანსურ ნაკადებზე. ვალუტის შემთხვევაში, 80-იანი წლების დასანისიდან დოლარის, გირვანქა სტერლინგის, ფრანკისათვის იენის ერთზისმა მეაფიოდ გამოავლინა, რომ მთავრობები, თუნდაც უზარმაზარი ფინანსური რესურსებით, ხშირად უძლურნი არიან ტრანსნაციონალური ბანკებისა თუ საბირუო სპეციულანტების წინაშე.

როდესაც საქონელი მოძრაობს სახელმწიფოთა საზღვრებს შორის, ეს ჩევეულებრივ მიიჩნევა ვაჭრობად შესაბამის ქვეყნებს შორის, მაგრამ ის ასევე შეიძლება იყოს ინტრაფირმული ვაჭრობა. არსებობს მონაცემები, რომ ინტრაფირმული ვაჭრობა შეადგენს მსოფლიოს საერთო ვაჭრობის ერთ მესამედს, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში კი ეს მაჩვენებელი ნახევარს აღნევს. ვინაიდან ინტრაფირმული ვაჭრობის ლოგიკა საქმაოდ განსხვავდება სახელმწიფოთა შორის ვაჭრობისაგან, მთავრობებს ხშირად უჭირთ მეაფიო ნარმოდებენის შექმნა ტნე-ების ფინანსურ და ფისკალურ პოლიტიკაზე.

სატრანსფერო ფასი ინტრაფირმული ვაჭრობისათვის

მარტივი მაგალითით შეგვიძლია ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება ინტრაფირმული ვაჭრობის დროს გადასახადებისაგან თავის არიდება. წარმოვიდგინოთ კომპანია ინდუსტრიული ქვეყნიდან, რომელიც ნახევრად დამთავრებული პროდუქტის ექსპორტს ახდენს განვითარებად ქვეყანაში, სადაც ხორციელდება მისთვის საბოლოო სახის მიცემა და გაყიდვა. აქ კი გადასახადი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმ ქვეყანაში, საიდანაც ნარმოებს ნახევარფაპრიკის ექსპორტი.

სატრანსფერო ფასი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპანიის მიერ თითოეული განშტოების მოგების განსასაზღვრად სატრანსფერო ფასის გაზრდით და საკუთარი მოგების დეკლარირებით დაბალი გადასახადების მქონე ინდუსტრიულ ქვეყანაში.

ტნე-ებს შეუძლიათ გამოიყენონ ხელოვნური სატრანსფერო ფასები, ვინაიდან მთავრობამ არ იცის, თუ როგორია პროდუქციის ზუსტი ფასი ან თუნდაც იმიტომ, რომ არასწორადა მითითებული საქონლის ხარისხი და რაოდენობა.

ვაჭრობის ტრიანგულაცია და სუვერენიტეტის დაკნინება

მთავრობებისათვის მეტად რთულია საერთაშორისო ტრანსაქციურ-ბის რეგულირება. თუკი ერთი კონკრეტული ქვეყნის მთავრობა დაპირ-ისპირებულია მეორე ქვეყნის მთავრობასთან, მისთვის მაინც შეუძლე-ბელია ტოტალურად გააკონტროლოს ინფორმაციის გაცვლა და ხალხ-ის გადაადგილება ბიზნესის წარმოებისათვის. იგივე „ზესახელმწიფო“ აშშ-ს არ ყოფილა ძალა აეკრძალა თავისი მოქალაქეებისათვის კუბის ვიზიტი ცივი ომის პერიოდში. შეიძლება საქონლის პირდაპირი იმპორ-ტის ან ექსპორტის აკრძალვა, მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ ვაჭრობა ქვეყნებს შორის არ იწარმოება არაპირდაპირი გზით. მხოლოდ გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციას შეუძლია აიძულოს ყვე-ლა ქვეყნის მთავრობა განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინონ ტრან-საციონალური კომპანიების მიმართ. მაგრამ ამ შემთხვევაში პირობებს კარნაბობს უსაფრთხოების საბჭო და არა კონკრეტული ქვეყნის მთავრობა.

საკვანძო კონცეფცია

ვაჭრობის ტრიანგულაცია: ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის წარ-მოებს არაპირდაპირი გზით, მესამე ქვეყნის საშუალებით.

მარეგულირებელი არბიტრაჟი და სუვერენიტეტის დაკნინება

მთავრობებისათვის რთულია მოახდინონ კომპანიების კომერციუ-ლი აქტიურობის რეგულირება ქვეყნების შიგნითაც, ვინაიდან კო-მპანიებმა შეიძლება გამოიყენონ მარეგულირებელი არბიტრაჟი. თუკი კომპანია უქმაყოფილობა მთავრობის პოლიტიკით, მან შეიძლება გადა-წყვიტოს ადგილობრივი საწარმოების დახურვა ან შემცირება და ძირი-თადი საქმიანობის გადატანა სხვა ქვეყნებში. მთავრობა, რომელიც აყ-ენებს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოს დაცვის მცირე მოთხ. ოვნებს, უპირატესობას უქმნის ნაკლები სოციალური პასუხისმგებლო-ბის მქონე კომპანიებს. აქედან გამომდინარე, მეტად რთულია ნების-მიერი მთავრობისათვის მაღალი სტანდარტების დაწესება. საბანკი საქმეში დაუდევვრობის ან კრიმინალური მოქმედების შედეგად ბანკებ-ის კოლაციისაგან გამომავალი პოლიტიკური საფრთხე იმდენად დიდ-ია, რომ ყველაზე მდიდარი სახელმწიფოების მთავრობებმა შეიმუშავეს კაპიტალის საერთო სტანდარტები. ასევე ევროკავშირში იმის აუცილე-ბლობამ, რომ არ მომხდარიყო ბაზრების რეგულირების გარეშე და-ტოვება, ხელი შეუწყო მოღვაწეობის გააქტიურებას სტანდარტების ჰარმონიზაციისა და ერთიანი სოციალური პოლიტიკის შემუშავები-სათვის. თუმცა კონტროლის დანესება სულაც არ ნიშნავს კომპანიებზე სუვერენიტეტის დამყარებას.

საკუთანძო კონცეფცია

მარეგულირებელი არბიტრაჟი: საბანკო საქმეში აღნიშნავს ფონდების ან საქმიანი მოლვანეობის გადატანას ერთი ქვეყნიდან მეორეში იმისათვის, რომ მიიღონ მოგება კონკრეტული მთავრობის კონტროლისაგან თავის დაღწევით, ანალოგიათ ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი კომპანიის მიერ ეკონომიკური მოლვანეობის ადგილის შეცვლით მთავრობის მოქმედების საპასუხოდ.

ექსტრატერიტორიულობა და სუვერენიტეტი

ტრანსნაციონალური კომპანიები ასევე იწვევენ სხვადასხვა მთავრობებს შორის დაპირისპირებას სუვერენიტეტის განხორციელების თვალსაზრისით. მაგალითისათვის ავილოთ კომპანია, რომლის სათავო ოფისი შეერთებულ შტატებშია, ხოლო ფილიალები – დიდ ბრიტანეთში. შეერთებული შტატების მთავრობას შეუძლია გააკონტროლოს მთავარი ოფისი, ხოლო დიდი ბრიტანეთისას – ფილიალები. ორივე ეს პროცესი წარმოადგენს მთავრობის სტანდარტული სუვერენიტეტის განხორციელებას საშინაო საქმეებში. ორივე მთავრობა, ამასთანავე, უნდა დათანხმდეს, რომ ტნკ-ს შეუძლია გარკვეულ საზღვრებში აკონტროლოს საკუთარი პოლიტიკა წარმოებისა და გაყიდვის საფუძველზე. ჩვეულებრივ ვითარებაში ეს საში „ხელისუფლება“ ერთობლივად და პარმონიულად მოქმედებს. მაგრამ, როდესაც შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილება ეხება ტნკ-ს გლობალურ იპერაციებს, ეს იწვევს „სუვერენიტეტთა დაჯახებას“, კერძოდ კი, – უნდა დაემორჩილოს ფილიალი დიდი ბრიტანეთის მთავრობას თუ შეერთებული შტატების მთავრობის ბრძანებებს, რომლებიც მოდის სათავო ოფისის გზით? ეს ექსტრატერიტორიულობის პრობლემა დამახასიათებელია ნებისმიერი ტნკ-ს სტრუქტურისათვის.

საკუთანძო კონცეფცია

ექსტრატერიტორიულობა: წარმოიქმნება, როდესაც ერთი მთავრობა ცდილობს საკუთარი იურიდიული ხელისუფლება განახორციელოს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგალითისათვის, ხმირად შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობა ცდილობს გამოიყენოს ადგილობრივი კანონები ტნკ-თა გლობალური მოლვანეობის კონტროლისათვის.

საკუთხმო საკითხები

- ტნე-თა უნარი, შეცვალონ სატრანსფერო ფასები ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ თავი აარიდონ გადასახადებს ან სამთავრობო კონტროლს მათ მიერ განხორციელებული საერთაშორისო ფინანსური ტრანსაქციების დროს.
- ტნე-თა უნარი, გამოიყენონ ტრიანგულაცია ნიშნავს, რომ მთავრობებს არ შეუძლიათ მათი ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლი.
- ტნე-თა უნარი გამოიყენონ მარეგულირებელი არბიტრაჟი ერთი ქვეყნიდან წარმოების მეორეში გადატანით, ნიშნავს, რომ მთავრობები წარუმატებლობას განიცდიან კომპანიების მოღვაწეობის რეგულირებისას მათი მაღალი დონის სოციალური პასუხისმგებლობის მისაღწევად.
- ტნე-ების მოღვაწეობის კონტროლისას მთავრობებს შორის პოტენციური კონფლიქტის წყაროდ შეიძლება იქცეს ერთი მთავრობის მიერ ექსტრატერიტორიულობის განხორციება, რაც სხვა მთავრობის სუვერენიტეტის შელახვას წარმოადგენს.

არალეგიტიმური ჯგუფები და განთავისუფლების მოძრაობები, როგორც პოლიტიკური აქტორები

არაერთი ჯგუფი იყენებს ძალადობის სხვადასხვა ფორმას ან ენევა კრიმინალურ მოღვაწეობას ტრანსნაციონალურ საფუძველზე. ხშირად ასხვავებენ წმინდა კრიმინალურ ქმედებასა (მაგ., ძარცვა, ფინანსური მაქინაციები, ძალადობა ან ნარკონიტების კონტრაბანდა) და იმგვარ მოღვაწეობას, რომელში ჩაბმულნიც საკუთარი მოქმედების ლეგიტიმაციას პოლიტიკური მოტივებით ცდილობენ. თუმცა, რეალურად განსხვავება შეიძლება მეტად ბუნდოვანი იყოს: ხშირად კრიმინალური აყენებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს, ხოლო პოლიტიკური ჯგუფები ჩადიან იმგვარ დანაშაულებრივ ქმედებებს, როგორიცაა ადამიანთა წამება ან სხვადასხვა სახის ტერორისტული აქტები. ბუნებრივია, ამგვარი სახის მოღვაწეობას ნებისმიერი სახელმწიფო ერძალავს საკუთარი იურის-დიქციის საზღვრებში.

ტრანსნაციონალური კრიმინალური ჯგუფები და მათი პოლიტიკური როლი

პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვან კრიმინალურ ინდუსტრიას წარმოადგენს იარაღითა და ნარკოტიკებით არა-კანონიერი ვაჭრობა. გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ ზოგადად არსებობს

ორი სახის საქონელი საერთაშორისო კრიმინალურ ვაჭრობაში: მოპარული საქონლით ვაჭრობა, ძირითადად, შემოიფარგლება მაღალი ფასისა და ადვილად ტრანსპორტირებადი საქონლით, როგორიცაა, მაგ., ძეირფასი ქები ან კომპიუტერის ჩიპები. მეორე მხრივ კი, არსებობს ინტელექტუალური საკუთრების მეკობრეობა, უპირველესად, აუდიო და ვიდეოჩანანერების, კომპიუტერული პროგრამების. ფალსიფიცირებული საქონლით ვაჭრობა და სავაჭრო ნიშნის უკანონო გამოყენება საერთოდ ფართოდ არის გავრცელებული.

როგორც ტნკ-ებთან დაკავშირებით, კრიმინალური მოღვაწეობის შემთხვევაშიც წამოიჭრება სუვერენიტეტთან დაეკავშირებული ოთხი პრობლემა, მაგრავ ამ შემთხვევაში მათ განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნიათ. პირველი, კრიმინალური ფინანსური წაკადები შეიძლება იყოს მასიური და არაპროგნოზირებადი. ფულის გათეთრების მეტად რთულად აღსაკვეთი დამატებითი პრობლემა საფრთხეს უქმნის საბაზო და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ინტეგრაციულობას. მეორე კრიმინალური ვაჭრობა იმდენად მრავალგვარი გახდა ტრიანგულაციის საშუალებით, რომ არც ერთ მთავრობას არ შეუძლია დამაჯერებლას. განაცხადოს, რომ მათი ქვეყანა არ წარმოადგენს სატრანზიტო გზას. წარკოტიკების გადაზიდვისათვის. იარაღით ვაჭრობის სფეროში ფართოდ არის გავრცელებული საბოლოო მიმღების სერთიფიკატების ფალ სიფიცირება. მესამე, კანონის გამოყენება კრიმინალების წინააღმდეგ ასევე იწვევს ტნკ-ების მიერ მარეგულირებელი არბიტრაჟის მსგავსი პროცესების განვითარებას. კარგად ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ადვილად შეუძლიათ თავიანთი მოღვაწეობის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანა. მეოთხე, ექსტრატერიტორიულობა უნდა განხორციელდეს კრიმინალური მოღვაწეობის შესახებ იურისდიქციის პატივისცემით. სხვადასხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორიცაა, მაგ., ომის დამნაშავეების, თვითმფრინავების გამტაცებლებისა და ა.შ. დაკავება და გასამართლება, ეს პროცედურები შეიძლება განახორციელოს იმ ქვეყნამაც, რომელსაც პირდაპირ არ ეხება დამნაშავეთა მოქმედება. წარკოტიკებით ვაჭრობა, ფულის გათეთრება და ტერორიზმი იწვევს იმგვარ ტრანსნაციონალურ აქტიურობას, რაც სხვა სფეროებში წარმოუდგენელია. კრიმინალებზე ექსტრატერიტორიული იურისდიქცია მხარდაჭერილია უმრავლესი ქვეყნების მთავრობათა მიერ და ხორციელებულია მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და გაერო-ს რეზოლუციებით.

ტრანსნაციონალური მებრძოლი ჯგუფები და ლეგიტიმურობის
მიღწევა

პოლიტიკური ძალადობა შეიძლება გამოყენებული იყოს სრულიად სხ-
ვადასხვა მიზნების მქონე ჯგუფების მიერ. ამ ჯგუფების მიმართ უარყოფი-
თი დამოკიდებულების შემთხვევაში, ისინი მოიხსენიება ტერორისტულ
ჯგუფებად, შედარებით ნეიტრალურობის შენარჩუნების შემთხვევაში პარ-
ტიზანულ¹. მოძრაობებად, ხოლო მხარდაჭერთა მიერ ამგვარი მოძრაობე-
ბი ინიციება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებად. საერთოდ,
ნაციონალისტები ხშირად ილებენ გარე დახმარებას სხვა ქვეყნებში მცხო-
ვრებითანამედამულებისაგან, მთავრობებისაგან, რომლებიც დაპირისპირე-
ბულნი არიან იმ ქვეყნის მთავრობასთან, სადაც ეს მოძრაობა არსებობს ან
სხვა აქტორებისაგან, რომლებიც ნაციონალიზმის ამა თუ იმ კონკრეტულ
გამოვლინებას ლეგიტიმურად მიიჩნევენ. ციუიომის პერიოდში როგორც კო-
მუნისტები, ისე ანტიკომუნისტები მხარს უჭერდნენ შეიარაღებულ
ჯგუფებს და თავიანთ მხარეზე აქცევდნენ იდეოლოგიურ დაპირისპირე-
ბის პირობებში, მაგრამ მოძარაობის გაცილებით უფრო ძლიერი საყრდენი
ექმნება მაშინ, როდესაც იდეოლოგია უკავშირდება ნაციონალიზმს. ზოგი-
ერთმა შეიარაღებულმა ჯგუფმა შეიძლება მოიპოვოს მხარდაჭერა სხვა
ქვეყნებში არსებულ მსგავს ჯგუფებთან ალიანსის შექმნითაც.

ტრანსნაციონალური ჯგუფების მიერ ძალადობის გამოყენების შემთხ-
ვევაში მთავრობებს მეტად უჭირთ ლიად დაუჭირონ მხარი ამგვარ ჯგუფებს,
თუნდაც რომ მათი მოქმედება პასუხობდეს ამ კონკრეტული სახელნიფოს
ხელისუფლების ინტერესებს. თვითმფრინავების გატაცება, მძევლების აყ-
ვანა, სამოქალაქო ობიექტებისა და ადამიანების განურჩეველი განადგურე-
ბა იმდენად შეუსაბამოა სამთავრობათაშორისო მსოფლიოს ლეგიტიმურო-
ბისთან, რომ შეუძლებელია მთავრობებმა გაამართონ ამგვარი აქტები,
თუნდაც, რომ აქტიურ დახმარებას უწევდნენ ტერორისტებს. მიუხედავად
ამისა, ზოგიერთი ჯგუფი თანდათანობით ინაცვლებს (ცუდი) ტერორისტუ-
ლი სტატუსიდან (კარგი) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
სტატუსამდე. ძალადობის გამოყენების ლეგიტიმიზაცია ხდება ოთხივ ზით
ა) როდესაც ჯგუფი სარგებლობს ფართო მხარდაჭერით ამირმჩეველების
მხრიდან; ბ) როდესაც წების მიერი პოლიტიკური არხი მათოვის გადაკეტილ-
ია; გ) როდესაც მიზანში ამოღებული ხელისუფლება არასამართლიანია და
არღვევს ადამიანის, ეროვნული უმცირესობებისათვის სხვა სახის უფლებებს;
დ) როდესაც ძალადობის ობიექტი სამხედრო სფეროა და მას არ მოჰყვება
სამოქალაქო მსხვერპლი. ზოგიერთმა ამგვარმა ჯგუფმა უკვე შეიძინა
გაერო-ში ოფიციალური დამკვირებლის სტატუსი (მაგ., პალესტინის გათ-
ავისუფლების ორგანიზაციამ).

¹ ამ ტიპის მოძრაობების აღსანიშნავად ძირითადად გამოიყენება ესპანური ტერ-
მინი ტერილია.

კრიმინალური და მებრძოლი ჯგუფების მნიშვნელობა

არსებობს თვალსაზრისი, რომ ზემოაღნიშნული ტიპის ჯგუფების მოქმედება საფრთხეს არ უქმნის ორთოდოქსული სახელმწიფო-ცენტრისტულ მიდგომის სიმყარეს. ერთი მხრივ, ნარკობარონები, კონტრაბანდისტები, რელიგიური სექტები, სხვადასხვა უმცირესობები მარგინაზე ბულებად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ისინი არ ნარმოადგენენ ლეგიტიმურ ჯგუფებს და გარიყულნი არიან ნორმალური საერთაშორისო ტრანსაქციებიდან. მეორე მხრივ კი ჯგუფები, რომლებიც იყენებენ ძალადობას და გააჩნიათ სამხედრო, პოლიტიკური და დიპლომატიური სტატუსი ტრანსაციონალურ საფუძველზე, უპირველესად ნაციონალისტური ჯგუფები არიან. ამგვარი ჯგუფების მიზანს კი ნარმოადგენს საკუთარი ხელისუფლების დამყარება კონკრეტულ ტერიტორიაზე. ყოველივე ზემოთქმული შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომის საბაზისო პრინციპის ჩარჩობში.

საკუთანო საკითხები

- ტრანსნაციონალური კრიმინალური ჯგუფების ნინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტური შედეგების მიღწევა იმავე მიზეზებითაა რთული, რითაც ტნკ-ების კონტროლი.
 - ყველაზე სახითაო კრიმინალების უკრებელსაყოფად სახელმწიფოები თანხმობას აცხადებენ ექსტრატერიტორიულობასა და სუვერენიტეტის დარღვევაზე.

— ჯგუფები, რომლებიც ძალადობრივ მეთოდებს იყენებენ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ჩვეულებრივ ვერ აღნევენ ლეგიტიმურობის აღიარებას, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში მათ შეიძლება მიიღონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტატუსი და ჩაერთონ დიპლომატიურ ურთიერთობებში.

არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც პოლიტიკური აქტორები

ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკის არსში ჩანვდომა შეუძლებელია იმის გაგების გარეშე, თუ რომელი ჯგუფები ახდენენ ხელისუფლების ლობირებასა და რა სახის დებატები მიმდინარეობს მასმედიაში. მსგავსად, საერთაშორისო დიპლომატია არ ფუნქციონირებს გამოცალკევებულად, მოწყვეტილი გლობალური სამოქალაქო საზოგადოებისაგან. ბრიტანული პოლიტიკის ანალიტიკოსები ორ ტერმინს იყენებენ: ინტერესთა ჯგუფით გამოხატული იდეა უფრო კომპანიის ან პროფესიონირის ტიპის ჯგუფებს გამოხატავს, რომელთა მიზანიცაა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა. დანოლის ჯგუფი კი უფრო ზოგადად აღნიშნავს ყველა იმ ჯგუფს, კისაც გააჩნია საკუთარი ფასეულობები. შეერთებულ შტატებში გამოიყენება ტერმინები ლობის ჯგუფი, საზოგადოებრივი ინტერესის ჯგუფიდა ეკრძო ნებაყოფლობითი ორგანიზაცია ზემოაღნიშნული ტიპის ჯგუფების აღსანიშნავად. ვინაიდან დიპლომატებს გააჩნიათ პრეტენზია, რომ ისინი ახორციელებენ მთლიანად საზოგადოების „ნაციონალურ ინტერესებს“, ისინი არ აღიარებენ ურთიერთობას ინტერესთა ან დანოლის ჯგუფებთან და ამჯობინებენ უფრო ბუნდოვანი ტერმინის – არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ხაზიუნდა გაესვას, რომ არსებული დიპლომატიური უარგონი არ ფარავს ყველა ტრანსნაციონალურ აქტორს, მაგალითად, კომპანიები, კრიმინალური და პარტიზანული ჯგუფები არ შეიძლება ჩაითვალოს არასამთავრობო ორგანიზაციებად.

კონსულტატივური სტატუსი გაერო-ში არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის

არასამთავრობო ორგანიზაციების, უპირველესად ამერიკული ჯგუფების მეცადინეობით, გაერო-ს წესდების X თავს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) მოღვაწეობის შესახებ დაემატა მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მის კომპეტენციაში შე-

მავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.“ ხუთნლიანი დებატების შედეგად საბჭომ მიიღო ორგანიზაცია, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციები სამ კატეგორიად დაიყო: 1) მაღალი სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების მცირე ჯგუფი, რომელთა მოღვაწეობაც შეეხება საბჭოს მუშაობის დიდ ნანილს. 2) სპეციალური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც მოქმედების შეზღუდული სფეროები გააჩნიათ, მაგრამ რომელთა ავტორიტეტიც საყოველთაოდაა აღიარებული ამ სფეროებში. 3) სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ურცელი სია, რომელთაც დროგა-მოშვებით წვლილი შეაქვთ საბჭოს მუშაობაში. ამიერიდან ტერმინი – არასამთავრობო ორგანიზაცია დიპლომატებისათვის იმ ჯგუფის აღმნიშვნელი გახდა, რომელსაც ენიჭება ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში კონსულტატიური სტატუსი.

გაერო-სათვის მისალები არასამთავრობო ორგანიზაციის დეფინიცია

ამგვარი დეფინიცია ექვს პრინციპს ემყარება:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია მხარს უნდა უჭერდეს გაეროს მიზნებსა და მოღვაწეობას. ამ მხრივ დაშვებულია მინიმალური აკრძალვები გაერო-ს პროგრამების კრიტიკისას. ამის შედეგად ზოგიერთ ორგანიზაციას (მაგ., აბორტების წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფს) კონსულტატიური სტატუსი ჩამოყერთვა.
2. არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ჩამოყალიბებული სახის წარმომადგენლობითი სათავო ოფისი და ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია დემოკრატიული გზით პოლიტიკის განხორციელების პროცესზე. მაგრამ რეალურად, ყველაზე მაღალი პრესტიუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებიც, მაგალითად, მწვანეთა მოძრაობა (Green Peace), არ იცავენ შიდა დემოკრატიულ პროცედურებს. ისინი უფრო მეტად ზოგადად საზოგადოების წინაშე არიან პასუხისმგებელნი, ვიდრე საკუთარი ორგანიზაციის წევრების წინაშე.
3. არასამთავრობო ორგანიზაცია მიზნად არ უნდა ისახავდეს ფინანსურ მოგებას. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ფორმალური კონსულტატიური სტატუსი, ეს მათ არ რიყავს გაერო-ს სისტემიდან. საერთაშორისო სავაჭრო ფედერაციებს პრობლემები არ უჩინდებათ არასამთავრობო ორგანიზაციებად აღიარებისათვის.
4. არასამთავრობო ორგანიზაციამ არ შეიძლება გამოიყენოს ან გაამართლოს ძალადობა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მეტად მცირე მებრძოლ ჯგუფებს ენიჭებათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობების სტატუსი, მაგრამ ესეც მკვეთრად განსხვავდება არასამთავრობო ორგანიზაციად აღიარების მაღალი სტატუსისა-გა.

5. ნებისმიერმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პატივი უნდა სცეს „სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაუკრევლობის პრინ-ციპს“. ეს ნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია არ შეიძლე-ბა იყოს პოლიტიკური პარტია. თუმცა, კომპანიების მსგავსად, პარ-ტიებმაც შეიძლება შექმნან საერთაშორისო ფედერაცია, რომ-ლებიც მიიღებენ კონსულტატიურ სტატუსს. ხაზი უნდა გაესვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახ-ავენ ადამიანის უფლებების დაცვას, არ უნდა შემოიფარგლონ თა-ვიანთ მოღვაწეობაში კერძო ჯგუფით, ერთა თუ ქვეყნით (გამონაკლისია ანტიაპარტიელული ჯგუფები).

6. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია არ იქმნება სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს, სახელმწიფო ორგანიზაციების ნევრობას საერ-თაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზა-ციების ექსპანსია

კომპლექსური გლობალური ეკონომიკის შექმნამ მეტად ეფექტური ცვლილები გამოიწვია საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში. კომპანიებისა და მოსამსახურეთა უმრავლესობამ, მოლ-ვანეობის ნებისმიერ სფეროში, შექმნა ორგანიზაციები კომუნიკაციე-ბის გასაადვილებლად, სტანდარტების პარმონიზაციისა და კომპლექ-სური ცვლილებისადმი ადაპტირებისათვის. მაგალითად, საპარტო, საზღვაო, საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტი, საბანკო საქმე, ტელე-კომუნიკაციები, მასშედია, კომპიუტერების სფერო შეუძლებელია ფუნ-ქციონირებდეს ტრანსნაციონალური სახით აუცილებელი შესაბამ-ისი ინფრასტრუქტურის გარეშე. ეს კი უპირველესად გულისხმობს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებას. სულაც არ არის საჭირო სხვა კომპანი-ასთან კოოპერაცია, მაგრამ საქმიანობის გასაადვილებლად და უფრო მაღალი ეფექტის მისაღწევად აუცილებელია საერთო სტანდარტებისა და პროცედურების ჩამოყალიბება. ამგვარადვე, მოსამსახურებს ერთი და იგივე პრობლემები აქვთ სხვადასხვა ქვეყანაში და პროფესიული კავ-შირები შესაბამისად აყალიბებენ და ავითარებენ საერთაშორისო ურთ-იერთკავშირების არხებს. ინდუსტრიის რომელიმე სფეროში საერთა-შორისო რეჟიმის პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის გამოყენებულ ნებისმიერი ფორმა, მოხდება ეს არასამთავარობო ან სამთავრობათ.

შორისო გზით, ხელს უწყობს ამ პოლიტიკასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირების გამყარებას.

კომუნიკაციების გლობალიზაცია

XX საუკუნის ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გაზარდა კომუნიკაციების სისწრაფე და შეამცირა მათი ფასი. ამ ცვლილებებთან დაკავშირებულ-მა პოლიტიკურმა რევოლუციამ სწრაფი გლობალური კომუნიკაციები ადამიანთა უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომი გახდა, ღარიბების ჩათვლითაც კი, თუკი ისინი მოისურვებენ ერთობლივად გამოხატონ საკუთარი მიზნები ან მიღლონ მედიისაგან ახალი ინფორმაცია.

XX ს-ის 40-იანი წლებიდან სათავეს იღებს გლობალურ რადიომაუნიებლობა, 50-იანი წლებიდან კი გამოჩნდა მცირე ზომის პორტატიული რადიომიმღებები. 60-იანი წლების დასაწყისიდან საჰაერო მომსახურებამ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა მოიცვა. 70-იანი წლებიდან კი გავრცელდა ტრანსნაციონალური სატელეფონო კავშირები. 80-იანი წლებიდან ხელმისაწვდომი გახდა სატელეფონო ხაზებიდან ფაქსის გაგზვა. 90-იან წლებში სატელიტებით შესაძლებელი გახდა ყველაზე მსხვილი ტელეკომპანიების, როგორიცაა, მაგ., CNN ან BBC, პირდაპირი სატელევიზიო გადაცემებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებიდან რეპორტაჟების თვალყურის დევნა. დაბოლოს, 90-იანი წლების შუახანებიდან განვითარებას იწყებს ინტერნეტი, რაც უზარმაზარი ინფორმაციის უსწრაფესი მიწოდებისა და გაცვლის საშუალებას იძლევა.

კომუნიკაციების სფეროში ამ ცვლილებების ერთობლიობა იწვევს ფუნდამენტურ ძერებს მსოფლიო პოლიტიკის სტრუქტურაში. ხელისუფლება ველარ აკონტროლებს საკუთარი მოქალაქეების ტრანსნაციონალურ ურთიერთობებს. ხელისუფლებას შეუძლია არჩევანი გააკეთოს ამი შესაძლებელი ვარიანტიდან:

1. დაუშვას კომუნიკაციების გაადვილება, რის შედეგადაც იკარგება ტრანსნაციონალური ტრანსაქციების კონტროლის ნებისმიერი საშუალება.
2. გაიღოს უზარმაზარი სახსრები უსაფრთხოების აპარატის შესანარჩუნებლად კომუნიკაციების კონტროლისა და მონიტორინგისათვის, რაც კომუნიკაციების სწრაფი განვითარების პირობებში მხოლოდ მცირე ნარმატების მომტანია.
3. მთავრობამ შეიძლება ნარმატებას მიაღწიოს არარეგულარული და შემთხვევითი ეკონომიკური ტრანსანქციების კონტროლის საქმეში, მაგრამ ნარმუმატებლობას განიცდის ტრანსნაციონალური აქტორების მიზანმიმართული და ჩამოყალიბებული ნინაალმდეგობის შემთხვევაში.

საზღვრები არასოდეს ყოფილა მთლიანად დახურული, მაგრამ ამჟამად მთავრობებს შეუძლიათ აკონტროლონ კომუნიკაციათა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა და ისიც მეტ-ნაკლები წარმატებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორც გლობალ-იზაციის აგენტები

არჩევანი, რომელსაც აქეთებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოვლენების გაშუქებისას, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოებში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. ზოგჯერ მასმედია თავადვე იღებს ინიციატივას, ზოგჯერ კი მას მოქმედებისაკენ უბიძგებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კომპანიები ან მთავრობები, მაგრამ მათი გადაწყვეტილებები ყოველთვის მნიშვნელოვანია, უპირველსად, ეს ეხება ტრანსნაციონალურ საინფორმაციო საააგენტოებსა და სატელიტურ სატელევიზიო არხებს. იდეების მოძრაობა არა მარტო დღის წესრიგზე ახდენეს გავლენას, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგებიც მოაქვთ. არ არის გასაკვირი, რომ ადამიანთა, ასევე ქალთა უფლებები, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, მონეტარიზმი, საპრივატიზაციო პოლიტიკა მრავალ ქვეყანაში ერთი და იმავე დროს პოვებს გამოძახილს. თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნავთ, რომ ჩერნობილის ინციდენტმა გამოიწვია ბირთვულ ენერგიასთან დაკავშირებული პოლიტიკის ცვლილებები მთელ მსოფლიოში, მეორე მხრივ, კი საბჭოთა სისტემისა და აპარტეიდის კოლაფსმა გააძლიერა დემოკრატიზაციის გლობალური პროცესი. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყველა სახელმწიფოს პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სისტემა ტოტალურად გადახლართულია ერთმანეთში, მაგრამ ნებისმიერი ქვეყანა წარმოადგენს ქვესისტემას გლობალური პოლიტიკური სისტემის შიგნით.

არასამთავრობო ორგანიზაციების გარდაქმნა ლოკალურიდან გლობალურად

კომუნიკაციათა გლობალიზაციის ერთ-ერთ ეფექტს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული პროცესი ფიზიკურად და ფინანსურად შესაძლებელს ხდის ადამიანთა მცირე ჯგუფების კოოპერირებას, თუნდაც რომ ისინი მრავალი კილომეტრით იყვნენ ურთიერთდაშორებულნი. აქედან გამომდინარე, მეტად მარტივი ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ტრანსნაციონალური მოღვანეობა, მაგრამ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია როდი აკეთებს ასეთ არჩევანს. მათი წარმოადგენს გარირებს მცირე ორგანიზაციებიდან, რომლებიც მხოლოდ ერთ პატარა ქალაქში მოქმედებენ, უზარმაზარ ბიუროებაზე მომდინარეობენ, რომლებსაც მრავალ ქვეყანაში აქვთ წარმომადგენს გლობალური პოლიტიკური სისტემის შიგნით.

გენლობები. უმთავრესი ფაქტორი არასამთავრობო ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ხასიათის დასადგენად, არის მისი მიზნები:

— თუკი მისი უპირველესი დანიშნულებაა საკუთარი წევრების დახმარება, ქველმოქმედება ლოკალურ დონეზე ან კამპანია კონკურეტული კანონის შესაცვლელად, მაშინ ათეულობით წელია საჭიროა, სანამ წამოიქრება ტრანსნაციონალური კავშირების დამყარების აუცილებლობა. ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი ხნის მანძილზე მოქმედებენ ცალკეულ ქვეყნებში, სანამ გადაწყვეტენ მყარი ფედერაციის სახით საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამის მაგალითებია პროფესიონალური კალების ორგანიზაციები, ბავშვებზე ზრუნვისა თუ ოჯახის დაგეგმარების ორგანიზაციები.

— ერთ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციის კამპანიის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ კონკურეტული ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის სურვილი, მაგრამ ტაქტიკური მიზეზებით შეიძლება მათ მიიღონ დახმარება უცხო ქვეყნების მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან. მაგალითად, გარემოს დაცვის მიზნით შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები განვითარებად ქვეყნებში დიდი დახმარებას იღებენ ტრანსნაციონალური არხებით. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში არსებულ სხვადასხვა ტიპის მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციაზე.

— ზოგჯერ კამპანიის დაწყებისას არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მათი მოღვაწეობა უფრო ეფექტური იქნება ტრანსნაციონალური ორგანიზაციის სახით და ერთდროულად ქმნიან სექციებს მრავალ ქვეყანაში. მაგ., საერთაშორისო ამნისტიამ, რომელიც თავდაპირველად აშშ-ში შეიქმნა, თითქმის მაშინვე მრავალი სექცია გახსნა სხვადასხვა ქვეყანაში.

— არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება ბაზირებულ იქნეს ერთ ქვეყანაში, მაგრამ მისი მიზნები ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებდეს.

— თუ რეგიონულ ან გლობალურ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონა გააჩინათ, არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ გავლენის მოხდენას მათ მოღვაწეობაზე. ისინი იყენებენ საერთაშორისო სამდივნოსა და გადაწყვეტილებათა მიღების ორგანოებში შეღწევის საშუალებას, როგორც არაპირდაპირ გზას ცალკეულ მთავრობებზე გავლენის მოსახდენად. ამის შედეგად, ქალაქები, სადაც განთავსებულია მნიშვნელოვანი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები შე-

საბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების ცენტრებიც ხდება.

არასამთავრობო ორგანიზაციები მრავალგვარია მათი მიზნებისა და გამოყენებული ტაქტიკის მიხედვით, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი კი მხოლოდ მიუთითებს, თუ როგორ ხორციელდება მათი გადასვლა ლოკალური დონიდან გლობალური პოლიტიკის დონეზე.

საკვანძო საკითხები

- მრავალმა ტრანსნაციონალურმა აქტორმა შეიძლება მიაღწიოს არასამთავრობო ორგანიზაციად აღიარებას გაერო-ს მხრიდან, თუკი ისინი არ წარმოადგენენ კომპანიებს, კრიმინალურ ჯგუფებს, არ იყენებენ ძალადობას და ლიად არ უპირისპირდებიან არსებულ აღიარებულ ხელისუფლებას.
- გლობალური ეკონომიკის შექმნა ინვესტ კავშირების, კომერციული ორგანიზაციების, პროფესიული მისამართისო არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალიზაციას, რომელიც ჩართული არიან შესაბამის საერთაშორისო რეჟიმებში.
- ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მოახდინა კომუნიკაციების გლობალიზაცია როგორც ინდივიდუებისათვის, ისე საინფორმაციო მედიისათვის. ყოველივე ამან გამოიწვია პოლიტიკური რევოლუცია. მთავრობათა უმრავლესობას აღარ აქვს უნარი გააკონტროლოს ინფორმაციის ნაკადის შექრა საკუთარი ქვეყნის საზღვრებში. მცირეოდენმა ავტორიტარულმა რეჟიმებმა შეიძლება დააწესონ ზოგიერთი აკრძალვა, რაც მათთვის მეტად ნამგებიანია პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.
- კომუნიკაციების განვითარება არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას უქმნის საკუთარ მოღვაწეობას მარტივად და მცირე დანახარჯებით მიანიჭონ ტრანსნაციონალური ხასიათი.

კითხვები და დავალებები:

1. ჩამოაყალიბეთ სახელმწიფოს სამი განსაზღვრება და განმარტეთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა ტრანსნაციონალური აქტორების შესწავლისათვის.
2. როგორ ახდენენ გავლენას ტრანსნაციონალური აქტორები მთავრობათა სუერენიტეტზე?
3. დაახასიათეთ ტრანსნაციონალური კომპანია.
4. როგორ ახდენენ გავლენას კრიმინალური ჯგუფები გლობალურ პოლიტიკაზე?
5. რა ტიპისი არასამთავრობო ორგანიზაციები იღებენ კონსულტატიურ სტატუსს გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში?
6. ახსენით არასამთავრობო ორგანიზაციების ტრანსნაციონალურ საქმიანობაში ჩართვის მიზეზები.

ლიტერატურა:

- A. James, System or Society? *Review of International Studies*, 19, 3, 1993.
- R.O. Keohane and J.S. Nye (eds.), *Transnational Relations and World Politics* (Cambridge, Mass.: Harvard Univ. Press, 1972).
- T. Risse-Kappen (ed.), *Bringing Transnational Relations Back In* (Cambridge: Cambridge Univ. Press, 1995).
- J.N. Rosenau, *The Study of Global Interdependence: Essays on the Transnationalisation of World Affairs* (London: Pinter, 1980).
- P. Willetts (ed.), *Pressure Groups in the Global System; The Transnational Relations of Issue-Orientated Non-Governmental Organizations* (London: Pinter, 1982).
- P. Willetts (ed.), 'The Conscience of the World'. *The Influence of Non-Governmental Organizations in the UN System* (London: Hurst and Co., 1996).

VIII. სახელმიწოდებული სუვერენიტეტის გადამცნობის მიზანი

თუკი იმ აზრს გავიზიარებთ, რომ მსოფლიო პოლიტიკაში დღეს ძირეული თვისებრივი ცვლილებები მიმდინარეობს, მაშინ ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ ყოველივე ეს ინვევს არანაკლებ მნიშვნელოვან ცვლილებებს იმ წესებში, რომლებიც არეგულირებს პოლიტიკური ურთიერთქმედების მონანილეთა ქცევას და ქმნის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების განსაზღვრულ სამართლებრივ-პოლიტიკური რეჟიმს.

ვესტიულის სისტემის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა დისკუსია საერთაშორისო სამართლის ეფექტურობისა და ზოგადად არსებობის მიზანშენონილობის შესახებ. მკელევართა ერთი ნანილი მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო სამართალს უნდა შეესრულებინა საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა ქცევის განმსაზღვრელი როლი, მეორე ნანილის აზრით კი ეს იყო მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი აქციის ლეგალისტური არგუმენტი.

არცთუ ისე იშვიათად, საერთაშორისო სამართალს ადარებენ საგზაო მოძრაობის წესებს, რომელსაც აღიარებს ამ მოძრაობის ყველა მონანილე საერთო უსაფრთხოების გარანტიების შესაქმნელად. სახელმწიფო სამართალში ეს ნორმები დაცულია სახელმწიფოს, როგორც „საერთო საგზაო ინსპექტორის“ არსებობის წყალობით. საკმაოდ მაღლია წესების დამორჩილების ხარისხი საერთაშორისო კერძო სამართალში, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს არასახელმწიფო ტრანსნაციონალური ურთიერთობების მონანილეთა შორის – ცალკეულ მოქალაქეთა, კომპანიებს, ორგანიზაციებს და ა.შ. ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, კავშირებამულობა, ტურიზმი. აქ ეფექტურობა უზრუნველყოფილია წესების დამრღვევის საერთაშორისო ურთიერთობებიდან გარიყვის საკმაოდ დიდი აღბათობით, რასაც მოცყვება შესაბამისი უარყოფითი ეკონომიკური თუ სხვა სახის შედეგები კომპანიებისათვის, იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის.

რაც შეეხება საერთაშორისო საჯარო სამართალს, რომლის გამოყენების სფეროსაც საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენს, იგი ხასიათდება შესრულების უფრო წაკლები აღბათობით. უმეტესნილად ეს იხსნება ზესახელმწიფოებრივი „უზენაესი მსაჯულისა და აღმასრულებლის“ არარსებობით. საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პირთვს წარმოადგენს არსებული ხელშეკრულებები, რომელთა დანიშნულებაცაა სახელმწიფოთა შორის სამხედრო დაპირისპირების გამორიცხვა. მიუხედავად ამისა, სისტემატური საომარი კონფლიქტები და მსხვილმასშტაბიანი ომები საერთაშორისო ურთიერთო-

ბათა ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც სახელმწიფო-თა მშვიდობიანი თანაარსებობის პერიოდები. ზოგადად, საერთა-შორისო საჯარო სამართლის მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ სკეპ-ტიური, ზოგჯერ ცინიურიც კი იყო.

ინარჩუნებდა რა უცვლელად გარკვეულ პრინციპებს, საერთა-შორისო სამართალი ვითარდებოდა და ახდენდა ადაპტირებას საერთა-შორისო ურთიერთობების კონკრეტული ეტაპების სპეციფიკისადმი. უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ინყება მთელი რიგი საბაზისო ნესების გადასინჯვა, რომლებმაც უნდა მოახდინონ საერთაშორისო ცხოვრების რეგულირება ახალ პირობებში. სულ უფრო მეტი სანაცვლული ეყრდნობა რა მსოფლიო პოლიტიკაში არსებულ გლობალიზაციის ტენდენციას, რომელშიც გარკვეულად მცირდება სახელმწიფოთაშორისო ურთიერთიერთობების ხვედრითი ნილ არასახელმწიფოებრივი სუბიექტების როლის გაზრდის ხარჯზე, მოითხოვს ახალი მიღებების შემუშავებას. ისინი მართლზომიერად მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სამართლის ტრადიციული სფერო განხილულ იქნეს მსოფლიო პოლიტიკის „რეჟიმების“ უფრო ფართო კონტექსტში. რეჟიმებში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იგულისხმება იმ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპების, ნორმების, ნესებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელთა გარშემოც ხდება საერთაშორისო ურთიერთობების კონკრეტულ მონანილეთა ყურადღებისა და ძალების კონცენტრირება. მათი თვალსაზრისით, ამ რეჟიმთა ერთობლიობა მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში შეადგენს „მსოფლიო მენეჯმენტის“ საკმაოდ ამორფულ ორგანიზმს.

უპირველესად უნდა ვიმსჯელოთ „მსოფლიო მენეჯმენტის“ ფორმირების პროცესში მყოფ უფრო ვინწრო წრეზე – უსაფრთხოების მნვანე პრობლემებზე, კერძოდ, სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა-არჩარევის საკითხების, მისია და მშევიდობის შესახებ, რომლებიც უმეტესად განაპირობებენ საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივ რეჟიმს, ყოველ შემთხვევაში სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების დონეზე მაინც. ამ სფეროს აქტუალობა და მნიშვნელობა მკაფიოდ გამოავლინა ბალკანეთის უკანასკნელმა კონფლიქტმა. ამასთანავე, ხაზს გავუსვამთ, რომ არსებული პრობლემა განიხილება არა იურისპრუდენციის სფეროს მკაცრ ჩარჩოებში, არამედ პოლიტიკის, სამართლისა და მორალის ურთიერთქმედების უფრო ფართო კონტექსტში.

სუვერენიტეტის პრინციპს, ანუ სახელმწიფოს არდამორჩილებას რაიმე გარეგანი ხელისუფლებისადმი, ტრადიციულად ფუძემდებლური მნიშვნელობა გააჩნდა საერთაშორისო საჯარო სამართალში. საერთა-

შორისო სამართლის მოქმედების არეალი სრულდებოდა სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებთან, რომლის შიგნითაც ყველა ემორჩილებოდა მხოლოდ სახელმწიფოს იურისდიქციას. სუვერენიტეტის უზენაესი პრინციპიდან გამომდინარეობდა ჩაურევლობის პრინციპი, როგორც სხვა სუბიექტების ვალდებულება – არ ჩარეულიყვნენ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. რა თქმა უნდა, აბსოლუტური სუვერენიტეტი არ არსებულა. სახელმწიფო, რომელიც ხელს მოაწერდა საერთაშორისო ხელშეკრულებას ან ხელმძღვანელობდა გარკვეული, საყოველთაოდ მიღებული წესებით, შესაძლოა, ნასულიყო საუთარი სუვერენიტეტის ნანილობრივ დათმობაზე. მაგალითად, უცხოური სახელმწიფოების დიპლომატიური ექსტერიტორიულობის პრინციპი ან მრავალი ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულება – შეასრულოს ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც საჩივარი შეაქვთ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს, ბუნებრივია, ზღუდავს სუვერენიტეტს. გლობალური რადიო და ტელემაუწყებლობა, ინტერნეტი, იჭრებიან სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიებზე არსებითად ყოველგვარი ნებართვის გარეშე და არსებული ხელისუფლების სურვილის სანინააღმდეგოდაც. მაგალითისათვის, ირანის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი პარაბოლური ანტენების აკრძალვის შესახებ, პრაქტიკულად განუხორციელებელი დარჩა. მსოფლიოს გლობალიზაცია საზღვრებს უფრო გამჭვირვალეს ხდის. მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ზოგადად, სუვერენიტეტის პატივისცემა და ჩაურევლობის პრინციპი დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედად აღიქმებოდა.

კვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს უზენაესი, ამ ურთიერთობათა მონანილე ყველა მხარის მიერ აღიარებული ხელისუფალი და თეორიულად ყველა სახელმწიფო თანასწორუფლებიანი და თავისიუფალია თავის მოქმედებებში, XX ს-ის დასაწყისამდე სუვერენიტეტის გარეგან გამოვლინებად ითვლებოდა ნებისმიერი სახელმწიფოს უფლება, გამოეყენებინა სამხედრო ძალა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას. მაგრამ 1928 წელს ბრიან-კელოგის პაქტით, რომელსაც II მსოფლიო ომის დაწყებამდე სამოცდაორმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, ისტორიაში პირველად იქნა კოდიფიცირებული ნორმა, რომელიც კრძალავდა ძალის, როგორც ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებას. უფრო გვიან ეს დადასტურდა ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ, რომელმაც ომი გამოაცხადა „უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად“. მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ ომის კანონგარეშედ მხოლოდ იურიდიული გამოცხადება არ წარმოადგენდა მშვიდობის სრულ გარანტიას.

საკვანძო კონცეფცია

სუვერენიტეტი: სახელმწიფოთა არსებობისათვის აუცილებელი პირობა, რაც ნიშნავს, რომ ისინი არ ექვემდებარებიან რაიმე გარეგან ხელისუფლებას. სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლება უპირველესად პასუხისმგებელია საკუთარ მოქალაქეთა ნინაშე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მომზადების პერიოდში იყო მცდელობა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულების – „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის“ უფრო ქმედითი მექანიზმის შემუშავებისა. სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის უარყოფის ზოგადი დებულებები ჩამოყალიბდა | თავის მე-2 მუხლში (წ 4): „გაერო-ს ყველა ნევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს არიდებს ძალით მუქარას ან ძალის გამოყენებას როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით. „მეორე მხრივ, წესდება ითვალისწინებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებასა და ალდგენას ინდივიდუალური ან კოლექტიური წესით, ანუ უშვებს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას, მათ შორის სამხედრო ძალით. VII თავი (მუხლები 39-42) კი ითვალისწინებს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით „მშვიდობის იძულებას“, რაც შეიძლება მიღებულ იქნეს მუდმივი წევრების ვეტოს არარსებობის შემთხვევაში.

„ცივმა ომმა“ კი, რომელსაც ფაქტობრივად სათავე გაერო-ს წესდების მიღებისთანავე დაედო, მოახდინა მშვიდობისა და კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ბლოკირება საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის კონფრონტაციის შედეგად. 1946-1990 წლებში გაერო-მ მხოლოდ ორჯერ შეძლო გადაწყვეტილების მიღება, რომელიც „მშვიდობის დარღვევის“ ფაქტს აფიქსირებდა. პირველ შემთხვევაში, 1950 წელს, ეს იყო კადრ-ის ნინააღმდეგ მიღებული რეზოლუცია (82), რომლის მიღებაც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი სხდომას არ ესწრებოდა. მეორეჯერ ეს მოხდა არგენტინის შეჭრასთან დაკავშირებით ფოლკლენდის კუნძულებზე (რეზოლუცია 502). ამავე პერიოდში მხოლოდ ორი სახელმწიფოს მოქმედება იქნა მიჩნეული „აგრესიულად“ – ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის. ამ ხანებში კი 80-მდე სახელმწიფოთაშორისო ომი მიმდინარეობდა, შიდა კონფლიქტების ჩათვლით კი მათი რიცხვი 300-ს აღწევდა.

1956 წელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტთან დაკავშირებით გენერალურმა ასამბლეამ შექმნა რეზოლუციის მიღების პრეცედენტი – „ერთიანობა მშვიდობის დაცვისათვის,“ რომლითაც ჩამოყალიბდა

„გაერო-ს განსაკუთრებული ძალები“ და გენერალურ მდივანს მიენიჭა მათი გამოყენების პრეროგატივა. მაგრამ „მშვიდობის შენარჩუნების“ ძალების გამოყენება მკეთრად განსხვავდება „მშვიდობის იძულების“ პრინციპებისაგან, რაც გათვალისწინებულია VII თავით. „ცისფერი ჩაფეუტები“ გამოიყენება როგორც ძალები დაპირისპირებულ მხარეთა დასაშორიშორებლად დროებითი ზავის ან მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. როგორც წესი, ამგვარ კონტინგენტებს იარაღის გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ თავდასხმის ან საკუთარი ოფიცირებისა და ჯარისკაცების სიცოცხლის დაცვისათვის.

ამგვარი მექანიზმი მეტ-ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრებისათვის, უპირველეს ყოვლისა, სსრკ-სა და აშშ-სათვის, ვინაიდან იგი დამხმარე ძალა იყო მოსკოვისა და ვაშინგტონის „კლიენტებს“ შორის კონფლიქტების „გასაყინად“, რაც არაერთხელ მომხდარა, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში. იგი ასევე ხელს უშლიდა დიდ სახელმწიფოებს ჩართულიყვნენ ამა თუ იმ კონფლიქტში, რომელში ჩარევაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მათ არ სურდათ, მაგალითად, კვიპროსზე.

იმავდროულად გაერო-ს წევ-სახელმწიფოებს, მათი ძალისა და სტატუსისაგან დამოუკიდებლად, არაერთხელ გამოყენებით სამხედრო ძალა ერთმანეთთან დაპირისპირების დროს. ამის მიზეზად და გამართლებად მიიჩნევდნენ თავდაცვის უფლებას, უცხოეთში საკუთარი მოქალაქეების დაცვის აუცილებლობას, სამოკავშირეო ვალდებულებებს, დაპირისპირებული სახელმწიფოებისა თუ სახელმწიფოთა შეგნით არსებული ძალების მიერ დახმარებისათვის მიმართვას (ამგვარი მიმართვა შესაძლოა მართლაც არსებულიყო ან ხელოვნურად შეექმნათ, მაგ., ავღანეთის შემთხვევა) და ა.შ.

უსაფრთხოების საბჭოს კულტურული წევრის კონსენსუსის აღდგენის პერსპექტივა გამოჩნდა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ქუვეითის წინააღმდეგ ერაყის აგრესიის შედეგად. 1990 წლის ნოემბერში უსაფრთხოების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 678, რომელმაც უფლებამოსილება მიანიჭა გაერო-ს წევრ ქვეყნებს გამოყენებინათ, „ნებისმიერი აუცილებელი საშუალება ქუვეითის გასათავისუფლებლად“. სსრკ-მა და დასავლეთის ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს რეზოლუციას. ჩინეთმა თავი შეიკავა. ამგვარად, ერთიანობის პრინციპის დაცვა მოხდა. 1991 წლის იანვარში კოალიციამ, რომელსაც აშშ ედგა სათავეში და რომელშიც 29 ქვეყნის შეიარაღებული ძალები შედიოდნენ, დაინყო ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“. ეს აქცია განიხილებოდა როგორც უსაფრთხოების საბჭოს ეფექტურობის აღმრძინების დასაწყისი და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის აღდგენის ერთეული არსებითი შემთხვევა.

აქვე უნდა ალინიშნოს, რომ გაერო-ს არ გააჩნია საკუთარი, სამხედრო ძალები. სამხედრო-საშტაბო კომიტეტის კი საერთოდ არ დაუნია ფუნქციონირება, მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნა გათვალისწინებული იყო ნებდების 43-ე და 47-ე მუხლებით. ამიტომაც მსოფლიო უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის გაერო-ს სანქციების აღსრულების ფუნქციის დელეგირება ხდება იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც გამოხატავენ სურვილს და რომელთაც გააჩნიათ ამისათვის აუცილებელი ძალები.

კოლექტიური ლონისძიებების რეალიზაციის მეორე, მაგრამ უფრო რთულ შემთხვევებას საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის აღდგენის საქმეში გაერო-ს ეგიდით, წარმოადგენს ოპერაცია ბოსნიაში.

ამ შემთხვევაში გაერო-ს წევრმა ქვეყნებმა კოლექტიური მოქმედებით მიაღწიეს დასახულ მიზანს – II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი კონფლიქტის შეწყვეტას და საფუძველი ჩაუყარეს ბოსნიის შესაძლებელ მშვიდობიან განვითარებას. ამასთანავე, ეს ოპერაცია მრავალი ასპექტით განსხვავდება „უდაბნოს ქარიშხლისაგან“.

ბოსნიის კონფლიქტი უმეტესწილად შეიძა, ეთნიკური ხასიათის იყო, თუმცა მასში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სერბეთი და ხორვატია. მისი არსებითი განმასხვავებელი ნიშანი მასშტაბური ჰუმანიტარული ფაქტორის არსებობა – მეორარი მხარეების მიერ სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ძალატანებითი გადაადგილება – მუსლიმების, ხორვატებისა და სერბების, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, მოსახლეობის გეგმაზომიერი განადგურება და ასევე საკუებისა და მედიკამენტების გარეშე განზრას დატოვება. ამ ოპერაციისათვის ასევე დამახასიათებელი იყო ხანგრძლივი დროის მანძილზე გაერო-ს წევრების მხრიდან სრული მზადყოფნის არარსებობა – შეეთავაზებინა საკუთარი თავი უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად „ნებისმიერი ლონისძიებების გამოყენების“ შესახებ.

სპარსეთის ყურეში ამერიკის ინტერვენცია უმეტესწილად სტიმულირებული იყო მათი ზრუნვით ამ რაიონიდან, კერძოდ, ქუვეითიდან, ნავთობის უნივერსიტ მონოდებაზე. ბალკანეთზე ამერიკას ამგვარი ინტერესები არ გააჩნდა. გარდა ამისა, ამერიკული საზოგადოება არ იყო მზად მხარი დაეჭირა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ახალ ოპერაციაში ჩაბმისათვის, ვინაიდან ძლიერი იყო გაერო-ს ეგიდით სომალიში ჩატარებული მეორე ამერიკისაგან მიღებული შოკი. კიდევ ერთ განსაკუთრებულ ნიშანს ნარმოადგენდა ის, რომ, საბოლოო ჯამში, კონფლიქტის მოგვარებაში გაერო-ს სამხედრო ინსტრუმენტად იქცა ნატო.

დაბოლოს, არათა ამიტომ იყო რუსეთის პოზიცია. თავდაპირველად რუსეთს ნინააღმდეგობა არ გაუწევია უსაფრთხოების საბ-

ჭოში რეზოლუციის მიღებისათვის, მათ შორის იმისათვის, რომელიც ითვალისწინებდა „ნებისმიერი აუცილებელი საშუალების” გამოყენებას მშევიდობის დასამყარებლად. მაგრამ შემდეგ უარყოფითად განხენყო ნატო-სა და აშშ-ის როლის გაურდის მიმართ ბალკანეთზე, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის დასრულების შემდეგ რუსეთი იმაზეც კი და-თანხმდა, რომ მისი მშევიდობის მყოფელთა კონტინგენტი ფაქტობრივად დამორჩილებოდა ნატო-ს სამხედრო ხელმძღვანელობას, ნათელი იყო, რომ უსაფრთხოების საბჭოს რიგებში განხეთქილების პირობები შეიქმ-ნა. რუსეთის პოზიცია ასევე არ იყო ნატო-ს თანმთხვევი ერაყშე ახალ დარტყმებთან დაკავშირებით.

ამ მიზეზით ახალ ბალკანურ კრიზისთან – კოსოვოს პრობლემასთან დაკავშირებით, დასავლეთს, ერთი მხრივ, და რუსეთსა და ჩინეთს შორის, მეორე მხრივ, ურთიერთსაპირისპირო პოზიციები ჩამოუყალი-ბდათ. რუსეთმა და ჩინეთმა მიიჩნიეს, რომ ეს კრიზისი იუგოსლავის სა-შინაო საქმეს ნარმოადგენდა. ამ მიზეზით ვერ მოხერხდა უსაფრთხოე-ბის საბჭოში სამხედრო ოპერაციის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღე-ბა. ნატო-ს საბჭოს განცხადებით, კოსოვოში სახეზე იყო „პუმანიტარუ-ლი კატასტროფის“ ყველა ნიშანი და, ამდენად, ნატოს ძალებმა ოპერა-ციია განახორციელეს უსაფრთხოების საბჭოს სანქციის გარეშე. ამ მოვ-ლენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს არაქმედითუნარიანობა.

პუმანიტარული ინტერვენცია

უკანასენელ ნლებში დასავლეთის როგორც პოლიტიკურ, ისე სამეცნიერო ნრებში მყარად იყიდებს ფეხს დოქტრინა მსოფლიო თან-ამეგობრობის ჩარევის უფლების შესახებ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში არა მხოლოდ საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვი-დობის დაცვის მიზნით, არამედ პუმანიტარული მიზეზებითაც (Humanitarian Intervention). ინგლისელი მეცნიერის რ. ვინსენტის შემოღებული განსაზღვრება ამ მოვლენისა დღეს კლასიკურად ითვლება: „ქმედებანი, განხორციელებული სახელმწიფოს მიერ, ჯგუფების მიერ სახელმწიფოს შიგნით, სახელმწიფოთა ჯგუფის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც ძალადობრივი ფორმით იქრებიან სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ეს არის კონკრეტული ქმედება, რომელსაც გააჩნია დასაწყისი და დასასრული და რომელიც მიმართულია ჩარევის ობიექ-ტი სახელმწიფოს სახელისუფლო სტრუქტურების ნინააღმდეგ. ის არ არის აუცილებლად კანონიერიან უკანონო, მაგრამ იგი არღვევს საერ-თაშორისო ურთიერთობების ჩვეულებრივ მოღელს.“ რაც შეეხება „ჩარევას პუმანიტარული მიზეზებით“, „ნითელი ჯვრის“ შემთხვევაში იგი განისაზღვრება, როგორც „ჩარევა, მოტივირებული პუმანიტარუ-

ლი შეხედულებებით ადამიანთა გაჭირვების შემსუბუქებისა და თავიდან აცილებისათვის.“

„ჰუმანიტარული მიზეზებით ინტერვენციის“ მომხრეები იხსენებენ ისტორიულ პრეცედენტებს. ისინი მიიჩნევენ, რომ „ცივი ომის“ პერიოდშიც კი ცალკეული სახელმწიფოები ახორციელებდნენ ჩარევის პოლიტიკას, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ პირადი, პირველ რიგში, სამხედრო-პოლიტიკური მიზნები გააჩნდა, საბოლოო ჯამში, მაინც დადგებითი ჰუმანიტარული ეფექტი მოჰქმნდა.

ამის მაგალითად ჩვეულებრივ მოპყავთ ინდოეთის ჩარევა აღმმოსავლეთ პაკისტანში 1971 წელს. აღმოსავლეთ პაკისტანელების საპროტესტო მოძრაობის ჩახშობამ ისლამაბადის მიერ ადგილობრივ მოსახლეობაში ურიცხვი მსხვერპლი გამოიწვია, 9 მილიონზე მეტი ადამიანი კი იძულებული იყო ინდოეთში გაქცეულიყო. ინდოეთმა ჯარები შეიყვანა და გაანადგურა აღმოსავლეთ პაკისტანის არმია, უზრუნველყო დევნილების დაბრუნება სამშობლოში. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ბანგლადეში. რა თქმა უნდა, ინდოეთის მოქმედებაში თვალსაჩინო იყო ტრადიციული მოწინააღმდეგის – პაკისტანის დასუსტების სურვილი და ლტოლვილების პრობლემის გადაწყვეტა, რომელთა ყოფნაც ინდოეთის ტერიტორიაზე მისი უსაფრთხოებისათვის სასურველი არ იყო. მაგრამ ამის გათვალისწინებითაც კი ინდოეთის ჩარევას უეჭველი ჰუმანიტარული ეფექტი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, გენერალური ასამბლეის 105 წევრმა დაგმო ინდოეთის აქცია, როგორც სუვერენული პაკისტანის საშინაო საქმეებში ჩარევა. უსაფრთხოების საბჭოს უფრო მკაფიო სანქციებისაგან ინდოეთი იხსნა საბჭოთა კავშირის ვეტომ, რომელიც მოქმედებდა საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე.

მეორე ამგვარი ეპიზოდია ტანზანიის შეიარაღებული ძალების მიერ უგანდელი დიქტატორის იდი ამინის დამხობა. ამინის მმართველობის დროს, 1971-1979 წელებში განადგურდა ამ პატარა სახელმწიფოს 300 ათასამდე მცხოვრები. 1978 წელს კი უგანდა წარუმატებლად შეეცადა ტანზანიის ტერიტორიის ნაწილის ანექსირებას. აგრესიის უკუგდებისა და კონფლიქტის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ტანზანიამ ჯარები შეიყვანა უგანდაში და ამინის რეუიმი დაემხო. ტანზანიას არ შეხებია გაერო-ს სანქციები, ვინაიდან ოპერაცია მოინათლა „აგრესიის უკუგდების აუცილებლობად.“

რეალურად, ვიეტნამის ჯარების შეყვანამაც 1978 წელს კამბოჯაში, ნერტილი დასუსტა პოლ პოტის სისხლიან რეჟიმს, თუმცა გაერო-ს ნევრო-ტა უმრავლესობამ დაგმო ვიეტნამის აგრესია.

90-იან წლებში გაერო-ს ნევრო ქვეყნები ჯერ კიდევ არ აღიარებდნენ „ჰუმანიტარული მიზნებით ინტერვენციის“ მართლზომიერებას და

ამჯეობინებდნენ განეხილათ სიტუაციები, რომლებიც „ჰუმანიტარული კატასტროფის“ ყველა ნიშანი ჩანდა, VII თავის ფორმულის ეუთხით: „მუქარა მშვიდობისათვის, მშვიდობის დარღვევა ან აგრესის აქტი.“ სწორედ ამ სიბრტყეზე განიხილებოდა სიტუაციები, როდესაც უსაფრთხოების საბჭო იღებდა გადანყვეტილებებს, რომლებითაც ხდებოდა „ნებისმიერი აუცილებელი საშუალების გამოყენების“ სანქცირება ერაყთან და ბოსნიასთან მიმართებაში, თუმცა სიტუაცია შექმნილი ერაყის ქურთებთან და შიიტებთან, განსაკუთრებით კი პირებელ შემთხვევაში, „ეთნიკურ წმენდასთან“ დაკავშირებით, იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მათი კვალიფიცირება მომხდარიყო, როგორც „ჰუმანიტარული კატასტროფა“. უსაფრთხოების საბჭომ არაპირდაპირად აღიარა ეს ყოფილი იუგოსლავის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებების საერთაშორისო ტრიბუნალის დაფუძნებით.

ჰუმანიტარული განზომილება კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო სომალიში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. 1992 წელს ამ ქვეყნის ცენტრალურმა ხელისუფლებამ არსებობა შენყვიტა, ქვეყანა გადაიქცა მოქიდებადაჯგუფების და „მოროდიორთა“ ჯგუფების ბრძოლისარენად და ქაოსმა მოიცვა. უსაფრთხოების საბჭომ ქვეყანაში გააგზავნა საერთაშორისო კონტინგენტი მშვიდობის გარანტიების შესაქმნელად. თუმცა ამით სიტუაცია არ შეცვლილა. გენერალ მოპამედ აიდიდის დაჯგუფება თავს დაესხა მშვიდობის მყოფელებს, რის შედეგადაც რამდენიმე ათეული პაკისტანელი მშვიდობის მყოფელი დაიღუპა. უსაფრთხოების საბჭომ მიიღო დამნაშავეთა დასჯის გადანყვეტილება და აგრეთვე ამერიკული კონტინგენტის აიდიდის ძალებზე დარტყმების ესკალაციის გადანყვეტილება. ერთ-ერთი ამგვარი ოპერაციის დროს კი 18 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა (ერთი ტყვედ ჩავარდა). ამერიკის საზოგადოებრივი აზრის გავლენით პრეზიდენტმა კლინტონმა მიიღო გადანყვეტილება აშშ-ის ჯარების გამოყვანის შესახებ სომალიდან. ქვეყანაში დარჩენილ გაეროს ძალებს, ბუნებრივია, არ შეეძლოთ, სომალის ანარქიისაგან გადარჩენა.

ინტერვენციის შედეგები

**ჰუმანიტარული
მოტივები და შედეგები**

საერთაშორისო ინტერვენცია
ჩრდ. ერაყში
1991 წ. აპრილში

**არაპუმანიტარული მოტივები
და ჰუმანიტარული შედეგები**

ვიეტნამის ინტერვენცია კამბო-
ჯაში 1978 წ. დეკემბერში

**ტანზიანის ინტერვენცია
უგანდაში**

პუმანიტარული მოტივები და
არაპუმანიტარული შედეგები
გაერო-ს ინტერვენცია სომალიში
1993.V-1995.II

არაპუმანიტარული მოტივები
და პუმანიტარული შედეგები
საბჭოთა ინტერვენცია
ავლანეთში 1979-1989წ.

ამ ოპერაციაში მიღებულმა ტრავმამ ფაქტობრივად განაპირობა შემდეგი პუმანიტარული კატასტროფის დროს ფაქტობრივი უმოქმედობა. 1994 წელს რუანდაში დაინყოფილი ტუტისისა და ხუტუს ხალხების მიერ ერთმანეთის მასობრივი განადგურება. გაერო-ს უსაფრთხოების მანდატით ისარგებლა მარტო საფრანგეთმა, რომელმაც მეტად შეზღუდული და დაგვიანებული აქცია განახორციელა რუანდაში ხუტუს ხალხის ნაწილის გადასარჩენად, რასაც ქვეყანაში სიტუაცია არ შეუცვლია.

ამგვარ ოპერაციებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1994 წელს პატიიზე ჩარევას. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა იმდენად პუმანიტარულ აქციასა და საერთაშორისო მშვიდობის გარანტიების შექმნას, არამედ კანონიერი პრეზიდენტის არისტიდის უფლებების აღდგენას, რომელიც 1991 წელს სამხედრო ხუნტამ დაამხო. ლტოლვილთა ტალღამ აშშ-სა და სხვა ქვეყნებში ხელი შეუწყო გაერო-ს მიელო VII თავზე დაფუძნებული რეზოლუცია „ნებისმიერი აუცილებელი საშუალების“ გამოყენების სანქცირების შესახებ. თუმცა აშშ-ს არ დასტირვებია ამ რეზოლუციით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება, ვინაიდან სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სამხედრო ხუნტამ ულტიმატუმებზე თანხმობა განაცხადა.

ამგვარად, 1990-1995 წლების პერიოდში გაერო-ს მოლვანეობაში მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი გარღვევა მოხდა. უნდა გამოიყოს ამ ფენომენის შემდეგი მახასიათებლები: ეს შესაძლებელი გახდა ცივი მოის დასრულებისა და უსაფრთხოების საბჭოს ნევრ ქვეყნებს შორის მიღწეული კონსენსუსის საფუძველზე. მეორე რიგში, მსოფლიოში საზოგადოებრივი აზრი და განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც უნდა ეტვირთათ ამგვარ ოპერაციებზე პასუხისმგებლობა, სულ უფრო მხარს უჭერდა მათ განხორციელებას არასასურველი შედეგების მიუხედავად (ხარჯები და მსხვერპლი სამხედრო მოსამსახურეთა შორის). ამგვარი მზადყოფნის არარსებობამ სომალიში, რუანდასა და გარკვეული პერიოდის მანძილზე ბოსნიაში გაართულა ოპერაციების განხორციელება. მესამე რიგში კი, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციები ტარდებოდა მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის ლოზუნგით, მათი უმრავლესობა მიმართული იყო პუმანიტარული კატასტროფების უვნებელსაყოფად და შიდა კანონიერების აღსაღენადაც კი.

იმავდროულად, ამ პროცესის პარალელურად იწყებს განვითარებას

ახალი ტენდენცია – დასავლეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების გადაწყვეტილება უსაფრთხოების საბჭოს სანქცირების გარეშე (რაც უპირველესად გამოწვეულია რუსეთისა და ჩინეთის არათანამიმდევრული პოზიციით). ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს დარტყმები ერაყშე „ყურის ომის“ შემდეგ და კოსოვოს ოპერაცია.

ამგვარი ოპერაციების განხორციელების მომხრენი მიიჩნევენ, რომ სუვერენიტეტი არასდროს ყოფილა აბსოლუტური ცნება. საერთაშორისო სამართლის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ავტორიტეტი რიჩარდ ფალკი 60-იან წლებში წერდა: „არსებითად შიდა წესრიგი არასდროს ყოფილა აეტონომიური მეაცრი მნიშვნელობით... სუვერენიტეტი ერს ანიჭებს მხოლოდ მთავარ კომპეტენციას, რაც არ არის და არასოდეს ყოფილა განსაკუთრებული კომპეტენცია“. სწორედ ამ მიზეზით, გაერო-ს დამფუძნებლებმა ჩამოაყალიბეს ინტერვენციის უფლება VII თავში მშვიდობის საფრთხის, დარღვევის ან აგრესის აქტის შემთხვევაში. თუკი ჩარევა პრინციპში დაშვებულია, მაშინ იმის დამტკიცებაა საჭირო, რომ „ჰუმანიტარული კატასტროფა“ ახალ ვითარებაში ისეთივე სახითვათოა, როგორც მშვიდობის საფრთხე, დარღვევა ან აგრესის აქტი.

საერთაშორისო სამართალში არსებობს პრინციპების საერთაშორისო სისტემა, რომელიც ეუფორიან კი იდენტიული კატეგორიას, ანუ პრინციპებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა და შესაბამისად ისინი არ ხვდებიან შიდა იურისდიქციაში. ამ პრინციპებს ეუფორის წამების, მონობისა და გენოციდის აკრძალვა. ინგრიდ დელიპის თვლის: „არც ერთ სახელმწიფოს, რომელიც ეუფორის ჰუმანიტარული მიზეზე ბით ჩარევის მომხრეთა რიცხვს, არ შეუძლია ამტკიცოს, ნიურნბერგის პროცესის შემდეგ, რომ საერთაშორისო სამართალი, ხელშეკრულებების არარსებობის შემთხვევაშიც კი, არ შეიცავს არავითარ ნესებს, რომელიც კრძალავენ სიმბეცესა და გენოციდს“. მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ 1948 წელს მიღებული ადამიანის საყოველთაო უფლებების დეკლარაციის პრინციპები საერთაშორისო სამართლის ნორმები გახდა და, შესაბამისად, არ წარმოადგენს სახელმწიფოს ექსკულუზიური კომპეტენციის სფეროს.

„ჰუმანიტარული მიზეზებით ინტერვენციის“ მომხრეები ასევე იშველიებენ გაერო-ს ნესდების პრეამბულას და ზოგიერთ პუნქტს, რომელთა თანახმადაც ნევრმა სახელმწიფოებმა იქისრეს ვალდებულება „განახორციელონ ერთობლივი და დამოუკიდებელი ქმედებანი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემისა და განმტკიცების მიზნით“ და, ამდენად, მიიჩნევენ, რომ გაერო-ს ნესდება არსებითად ითვალისწინებს ამგვარ ჩარევას.

ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპი დაფიქსირებულია გაეროს-

წესდებაში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, პელ-სინკის აქტში და მრავალ სხვა დოკუმენტში. ამგვარად, სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება ამ უფლებების გარანტირებისა. მაგრამ მრავალი სახელმწიფო ამ პრინციპს არღვევდა და არცთუ იშვიათად სისტემატურად და მასობრივი მასშტაბებით. ამ მიზეზით, უმთავრესი პრობლემა გახდა დეკლარირებული უფლებების პრაქტიკული განხორციელება. სუვერენიტეტის პრინციპი, ტრადიციული გაგებით, კრძალავს ჩარევას საშინაო საქმეებში, მათ შორის იძულებას ვალდებულებების განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ამ მიზეზით, მსოფლიო საზოგადოებრიობა საქმაოდ დიდი ხნის მანძილზე შემოიფარგლებოდა დაგმობით და იშვიათ შემთხვევებში არასამხედრო სანქციებით, მაგალითად, ეკონომიკური ემბარგოს შემოლებით. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ და გლობალიზაციის უსწრაფეს პროცესთან დაკავშირებით, მრავალი ქვეყნის საზოგადოებრივ წრეებში მნიშვნება აზრი, რომ მსოფლიო არ შეიძლება გულგრილი დარჩეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებისადმი ამა თუ იმ ქვეყანაში. სულ უფრო მტკიცდება პოზიცია, რომლის თანახმადაც „ჰუმანიტარული კატასტროფის“ თავიდან აცილება ისეთივე მნიშვნელოვანი მიზეზია ჩარევისათვის, როგორც გაერო-ს წესდებაში დაფიქსირებული „მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერა“.

თუმცა ამგვარი პოზიციის კრიტიკოსები მრავალ უპასუხო კითხვას ნამოქრიან: რა არის „ჰუმანიტარული კატასტროფა“? რამდენი ასეული, ათასეული ან მილიონი ადამიანი უნდა დაიღუპოს, განიდევნოს, საარსებო საშუალებებს მოკლებული დარჩეს, რათა სიტუაციის კვალიტიცირება მოხდეს როგორც ჩარევისათვის აუცილებლის? ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება „ჰუმანიტარული კატასტროფის“ არსებობის შესახებ? როგორ უნდა მოხდეს იმის გარანტირება, რომ „ჩარევა ჰუმანიტარული მიზეზებით“ არ იქნეს გამოყენებული, როგორც საფარველი ჩარეული სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისათვის? როგორ უნდა გამოირიცხოს შემთხვევები, როდესაც „ჩარევა ჰუმანიტარული მიზეზებით“ იწვევს „მის თანმხლებ ზიანს“ იმ ქვეყნის, რომელშიც ჩარევა მოხდა, სამოქალაქო მოსახლეობის დალუპვისა და „თანმხლები ზიანის“ რა დონეა დასაშვები?

გარდა ამისა, ნათელია, რომ დღეს შეუძლებელია „ჰუმანიტარული მიზეზებით“ ჩარევის პრინციპის უნივერსალური გამოყენების უზრუნველყოფა. პირველ რიგში, ვერავინ გარისკას ბირთვული სახელმწიფოს საქმეებში ჩარევას, თუნდაც რომ უტყუარად იყოს დადასტურებული „ჰუმანიტარული კატასტროფის“ არსებობა. ადამიანთა უფლებების დარღვევა იმდენად მრავალ სახელმწიფოში შეიძლება იყოს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობასა და უძლიერეს ქვეყნებს ფიზიკურად არ შეე-

ძლოთ ჩარევა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. უნივერსალურობის არარსებობის პირობებში კი, ბუნებრივია, ნამოიჭრება კითხვა: რატომ ერევიან ერთი სახელმწიფოს საქმეებში, მეორისაში კი არა? მაგალითად, ავილოთ სერბის შემთხვევა, სადაც მიჩნეულ იქნა რომ იდევნებოდნენ კოსოვარები, ანდა თურქეთის, სადაც დაახლოებით იმგვარივე პოლიტიკა ხორციელდება ქურთების მიმართ.

„პუმანიტარული მიზეზებით ინტერენციის“ მომხრენი აღიარებენ ამ საკითხების მნიშვნელობას და მათი შემდგომი დახვენის აუცილებლობას, მაგრამ ამტკიცებენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ იმ დონის ერთიანობასა და მორალური სიმნიფის დონეს მიაღწია, რომ უკვე აღარ შეურიცდება გენოციდსა და ადამიანთა ფუძემდებლური უფლებების მასობრივ დარღვევებს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ამ შემთხვევაში დისკუსია მიმდინარეობს უფრო კონკრეტული მიმართულებით. ტრადიციული მიდგომის მომხრენი ამტკიცებენ, რომ თავის დროზე გაერო-ს ყველა ნევრო სახელმწიფო დაეთანხმა ჩარევის შესახებ წესდების მიერ მოთხოვნილ მქაცრ პროცედურებს. ცალკეული სახელმწიფოების ან სახელმწიფო-თა ჯგუფების მცდელობები, ჩამოართვან უსაფრთხოების საბჭოს და გაითავისონ ჩარევის უფლება, გამოინვევს ანარქიას და იმ მსოფლიო წესრიგისა აღრევას, რომელიც არსებობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

„რევიზიონისტები“ ამის საპასუხოდ აცხადებენ, რომ მოისშემდგომი პერიოდის ძირითადი დროის მანძილზე VII თავის მექანიზმი პარალიზებული იყო და იგივე შეიძლება განმეორდეს ცივი მოის განახლების შემთხვევაში. გარდა ამისა, ხუთი სახელმწიფოს გამოყოფა გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოში 55 ნლის მანძილზე დღეისათვის ანაქრონიზმად იქცა და, მაგალითად, ნატო-ს 19 ქვეყანა და ზოგიერთი ამ ორგანიზაციაში არშემავალი სახელმწიფო გაცილებით უკეთესად და ეფექტურად ნარმოადგენენ მსოფლიო თანამეგობრობას.

თეორიულად დღეს არსებობს სამივარიანტი მომავალში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმისა:

— გაერო-ს წესდებისაკენ უპირობო შემობრუნება;

— მისი უარყოფა;

— კომპარომისის მოძიება, რომელიც არ იქნებოდა წესდების პირდაპირ გაგებაზე დამყარებული, არამედ წესდების სულისკვეთებასა და საერთო კონცეფციაზე.

ნათელია, რომ ამ საკითხების ნამოიჭრა მიუთითებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ძირეულ სახეცვლილებაზე. იმისგან,

თუროგორმოხდება მათი გადაწყვეტა, დიდად არის დამოედებული საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების ხასიათი XXI საუკუნეში.

საკვანძო საკითხები

- ტრადიციულად, ინტერვენცია განისაზღვრებოდა, როგორც სუვერენიტეტის ძალადობრივი დარღვევა, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევით.
- ძალადობრივი პუმანიტარული ინტერვენცია არის დავის საგანი რესტრიქციონიზმის (სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის შეზღუდვის) მომხრეებსა და მონინააღმდეგებს შორის.
- პუმანიტარული მოტივების გამოხატვის წინ წამონევა მსოფლიო პოლიტიკაში არის ისტორიული და სოციალური ცვლილებების შედეგი.
- სახელმწიფოები არ ახორციელებენ ინტერვენციას მხოლოდ პუმანიტარული მიზეზებიდან გამომდინარე.
- სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენენონ პუმანიტარული ინტერვენციის პრინციპები შერჩევით.
- ადამიანთა ტანჯვის ჩვენებით მასმედიამ ხელი შეუწყო დასავლეთის საზოგადოებას მოეხდინა დაწოლა საკუთარ მთავრობებზე პუმანიტარული ჩარევის მოთხოვნით.
- პუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმიზაცია შეიძლება მხოლოდ გაერო-ს წესდების VII თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს წევრთა თანხმობით. ეს ადასტურებს პუმანიტარული ინტერვენციის თაობაზე რესტრიქციონისტული თვალსაზრისის დომინირებას.
- ინტერვენციის პუმანიტარული ხასიათი უნდა განისაზღვროს როგორც მოტივების, ისე შედეგების საფუძველზე.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის „მშვიდობის იძულების“ პრინციპის არსი?
2. რა არის უფრო მნიშვნელოვანი ინტერვენციისათვის პუმანიტარული ხასიათის მინიჭებისას – მოტივები თუ შედეგები?
3. ჩამოთვალეთ პუმანიტარული ინტერვენციის მიზნები და პრინციპები.
4. რატომ ვერ აღნევენ სახელმწიფოები კოლექტიურ კონსენსუსს იმის თაობაზე, თუ რა მორალური პრინციპებით უნდა გამართოდეს პუმანიტარული ინტერვენცია?
5. შეადარეთ სპარსეთის ყურისა და ბოსნიის კონფლიქტები.

6. რამდენად ქმედითია სამხედრო ძალა პუმანიტარული ფასეულობების დამკვიდრების საქმეში?
7. საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ-სამართლებრივი რეფიმის განვითარების რა ვარიანტები არსებობს?

ლიტერატურა:

- L. Brock, M. Albert, Entgrenzung der Staatenwelt, in: *ZfIB*, 2, 1995, 259-285.
- L.F. Damrosch (ed.), Enforcing Restraint: Collective Intervention in Internal Conflicts (New York: Council on Foreign Relations, 1993).
- R. Falk, On Humane Governance: Toward a New Global Politics (Cambridge: Polity Press, 1995)
- J. Harris (ed.), The Politics of Humanitarian Intervention (London: Pinter, 1995).
- D. Lutz, (Hrsg.), Globalisierung und nationale Souveränität (Baden-Baden: 2000).
- L. Minear & T.G. Weiss, Mercy Under Fire: War and the Global Humanitarian Community (Boulder, Col.: Westview Press, 1995).
- O. Ramsbotham & T. Woodhouse, Humanitarian Intervention: A Reconceptualization (Cambridge: Polity, 1996).
- R.J. Vincent, Nonintervention and International Order (Princeton: Univ. Press, 1974).

IX. ეკონომიკის გლობალიზაცია

XX საუკუნის შუა ხანებისათვის გაძატონებული იყო აზრი, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათი ძირი უდებოდა განსხვავდებოდა XIX საუკუნეში არსებული ანალოგიური ურთიერთობებისაგან. XIX საუკუნეში არსებობდა მტკიცე რჩმენა, რომ ეკონომიკური განვითარების მთავარ გარანტიას თავისუფალი ბაზარი წარმოადგენდა, რომელიც გარეულნილად დამოუკიდებელი იყო სახელმწიფოსაგან. მაგრამ ამ რწმენამ ვერ გაუძლოვერც ორმსოფლიო ომს და ვერც 1929 წლის ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც თვალსაჩინო გახადა უკონომიკური ინტერნაციონალიზმის წარუმატებლობა და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოს ეკონომიკურ რეორგანიზაციას, რომლის მთავარი აქტორი და მომნესრიგებელი სახელმწიფო გახდა. 1944 წლიდან კი, სწორედ ამ ახალ პრინციპზე დაყრდნობით, საუკუნეველი ჩაუყარა ე.წ. „ბრეტონ-უდისის კონსენსუსს“ და ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ომისშემდგომი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლად იქცა.

ამ ხანებიდან დაწყებული, სულ უფრო თვალსაჩინო გახდა სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი ვაჭრობის, კრედიტების, შრომისა და პროდუქციის სფეროებში. ბაზრის რეგულაცია შეცვალა სახელმწიფო რეგულაციამ, ეკრძო ბანკებს ჩაენაცვლა სახელმწიფო ბანკები და ა.შ. საერთაშორისო მასშტაბით, ეკონომიკური ურთიერთობები უპირველესად იყო სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები, და თუკი მყარდებოდა ზოგიერთი ქვეყნის ჰეგემონია, ეს გახლდათ არსებული პოლიტიკური წესრიგის ლოგიკური გაგრძელება: აუცილებელი იყო, რომ ძალთა ახალ გადანანილებას შეექმნა საერთო წონასწორობის გარანტიები. ყოველივე ეს ზუსტად შეესაბამებოდა ეკონომიკური განვითარებისა და ჩამორჩენის დაძლევის ლოგიკას. მრავალი ინტელექტუალი ხაზს უსვამდა, რომ ამგვარი „მაკროეკონომიკური კაპიტალიზმი“ წარმოადგენდა მისი წინამდგარი „მიკროეკონომიკური კაპიტალიზმის“ პირმშოს.

1945 წლის შემდეგ სწორედ დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკური ნებით მოხდა ეკონომიკური ურთიერთერთვაშირების განვითარების მიზნით მრავალმხრივი სისტემის ჩამოყალიბება. ბრეტონ-უდისის სისტემის ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) მასში ფუძემდებლურ როლს ასრულებენ. მათი ერთ-ერთი ამოცანაა 30-იანი წლების დესტაბილიზაციის მსგავსი შოკისაგან თავის არიდების მექანიზმების შექმნა, იმავდროულად კი მიღწეულ იქნა საერთაშორისო შეთანხმება საბაზო ტარიფებსა და ვაჭრობაზე. ყოველივე ამან კი შემდგომისათვის სათანადო პირობები შექმნა და ინსტიტუციონალური ჩარჩოთი უზრუნველყოფით ვაჭრობის აღმავალი ლიბერალიზაცია. ინტერნაციონალიზაციის მოძრაობამ ახალი ძალა შეიძინა და მალე მსოფლიო კიდევ ერთი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა.

თანდათანობით მოხდა საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაცია, სწრაფი აღმავლობა დაიწყო თავისუფალმა ვაჭრობამ და საერთაშორისო ეკონომიკურმა წესრიგმა იმდენი ძალა შეიძინა, რომ საკუთარი კანონები თავს მოეხევია პოლიტიკისათვის. თითქოს XIX საუკუნის ცივილიზაცია ფენიქსივით ფერფლიდან აღდგა, ბუნებრივია, ახალი „სამოსით“. იმავდროულად დაიწყო რევოლუცია კომუნიკიციების სფეროში. ნინ ნამონია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით მშეიდობის მიღწევის ლიბერალურმა კრედიტი. დაიწყო გაერთიანებათა პროცესი, რაც უპირველესად თვალსაჩინო იყო საბანკო სფეროში. ეკონომიკური გლობალიზაცია თანდათანობით უფრო გამოკვეთილ სახეს იღებდა.

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, მიუხედავად გარკვეული „იდეური თანმთხვევეებისა“ XIX ს-ში არსებულ სიტუაციასთან, მკვეთრად განსხვავდება თავისი ბუნებითა და მოქმედების ფორმით მსოფლიოში ადრე არსებული ურთიერთობებისაგან: მიმდინარეობს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ინტენსიფიკაცია და იგი სულ უფრო კომპლექსურ ხასიათს იღებს. ეს უპირველესად ეხება კაპიტალის მობილურობის გაზრდას.

80-იანი წლებიდან ინწყება ფართო გარღვევა მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით, რაც გამოიხატა ეკონომიკაზე სახელმწიფოს „ზრუნვის“ შემცირებით, კერძო მენარმეობისათვის უფრო მეტი თავისუფლების მიცემით ქვეყნის შიგნით და პროტექციონიზმზე. უარის თქმით უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობებში, რაც მართალია, არ გამორიცხავს სახელმწიფოს დახმარებას მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის. უპირველესად სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვია მთელი რიგი ქვეყნების – სინგაპურის, ჰონკონგის, ტაივანის, სამხრეთ კორეის ეკონომიკის არნახულად სწრაფი განვითარების ტემპები. თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ 90-იანი წლების მინურულს ამ ქვეყნებში მეტად საგრძნობი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო.

კრიზისი, რომელშიც მოხვდა სამხრეთ აზიის ზოგიერთი ქვეყანა, მრავალი ეკონომისტის თვალსაზრისით, იყო მათი ეკონომიკების „გადახურების“ შედევი – მათი არნახული სისწრაფით განვითარება და იმავდროულად არქაული პოლიტიკური სტრუქტურების შენარჩუნება, რომელიც ეკონომიკური ლიბერალიზაციის დეფორმაციას ახდენს.

თურქეთში ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ამ ქვეყნის სწრაფ მოდერნიზაციას. 90-იანი წლების დასაწყისიდან ლიბერალ-

იზაციის პროცესი შეეხო ლათინური ამერიკის ქვეყნებსაც – არგენტინას, ბრაზილიას, ჩილეს, მექსიკას. მკაცრ სახელმწიფო დაგეგმარებაზე უარის თქმამ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებამ, მსხვილი ბანკებისა და სახელმწიფო დანესხულებების პრივატიზაციამ, საბაზო ტარიფების შემცირებამ, მათ შეაძლებინა მკვეთრად გაედიდებინათ ეკონომიკური ზრდის ტემპები და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე გასულიყვნენ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შემდეგ. იმავდროულად ანალოგიური რეფორმები, თუმცა გაცილებით ნაკლებად რადიკალური სახის, გზას იკვლევენ ინდოეთშიც, ხოლო. 90-იანი წლებიდან ნაყოფს იმკის ჩინეთის ეკონომიკის მსოფლიოსათვის გახსნა.

ამ პროცესების ლოგიკური შედეგი გახდა ნაციონალურ ეკონომიკა-თა საერთაშორისო ურთიერთქმედების მკვეთრი აქტივიზაცია. საერთა-შორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები აღემატება შიდაეკონომიკური ზრდის მსოფლიო ტემპებს. დღეს მსოფლიო საერთო პროდუქტის 15%-ზე მეტის რეალიზაცია ხდება უცხოურ ბაზრებზე. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა მსოფლიო თანამეგობრობის კეთილდღეობის ზრდის სერიოზული და უნივერსალური ფაქტორი გახდა. 1994 წელს გატუ-ის ურუგვაის რაუნდით გათვალისწინებულია ტარიფების შემდგომი არსებითი შემცირება და ვაჭრობის ლიბერალიზაციის განვრცობა მომსახურების სფეროებში. გატუ-ის გარდაქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად ნიშნავს საერთაშორისო ვაჭრობის გასვლას თვისებრივად ახალ მიჯნაზე, მსოფლიო მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულების გაზრდას.

უკანასკნელ ათწლეულში იმავე მიმართულებით ვითარდება ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის მეტად გაძლიერებული პროცესი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა საერთაშორისო ინვესტიციების ნაკადის ინტენსიფიკაციით, რაც 1995 წლიდან უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ვაჭრობა და ნარმოება. ეს გახდა მსოფლიოში საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელოვანი შეცვლის შედეგი. დემოკრატიზაციამ, პოლიტიკურმა სტაბილიზაციამ და ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ მრავალი რეგიონი მიმზიდველი გახადა ინვესტორებისათვის. მეორე შხრივ, მოხდა ფსიქოლოგიური გარდატეხა მრავალ განვითარებად ქვეყანაში, რომლებმაც გააცნობიერეს, რომ უცხოური კაპიტალის მოზიდვა ნარმოადგენს ტრამპლინს განვითარებისათვის, აიოლებს გასვლას მსოფლიო ბაზრებზე და ახალი ტექნოლოგიების მოპოვებას უწყობს ხელს. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავდა, აბსოლუტური ეკონომიკური სუვერენიტეტის ნანილობრივ დათმობას და კონკურენციის გაზრდას მთელი რიგი ადგილობრივი დარგებისათვის. მაგრამ „აზიური ვეზხვებისა“ და ჩინეთის მაგალითმა უბიძგა განვითარებად ქვეყნებსა და გარდამავალი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებს ჩართულიყვნენ შეჯიბრში ინვესტიციების მოსაზიდად. 90-იანი წლების შუა ხანებში უცხოური

ინვესტიციების მოცულობამ გადააჭარბა 2 ტრილიონ დოლარს და კულა-ვაც სწრაფი ტემპით იზრდება. / ორგანიზაციულად ამ ტენდენციას ამაგრებს საერთაშორისო ბანკების, საინვესტიციო ფონდებისა და ფასი-ანი ქალალდების ბირჟების აქტიურობის თვალსაჩინო გაზრდა. ამგვარი პროცესის ეფექტი წარმოადგინება ტრანსნაციონალურ კორპორაციათა. მოლვანეობის ველის არსებითი გაფართოება, რომლებიც დღეს აკონ-ტროლებენ მთელი მსოფლიოს კერძო კომპანიების აქტივების დაახლოე-ბით მესამედს და მათი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა უახ-ლოვდება აშშ-ის ეკონომიკის ერთიან პროდუქტს.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მთელი ამ ლიბერალ-იზაციის მიუხედავად, მაინც შენარჩუნებულია გარკვეული ნინაალმდე. გობები სახელმწიფოთა შორის. ამაზე მეტყველებს საკმაოდ ხშირი და ხისტი დავა აშშ-სა და იაპონიას შორის ვაჭრობის დისბალანსის თაობა—ზე, ანდა აშშ-სა ევროკავშირთან ამ უკანასკნელის მიერ სოფლის მეურ-ნეობის სუბსიდირების შენარჩუნების გამოქმაგრამ ნათელია, რომ ამ-ჟამად არსებული მსოფლიო ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებ-ის პირობებში, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დაუპირისპირის საკუთარი ეგონისტური ინტერესები მსოფლიო საზოგადოებას, ვინაიდ-ან ამ შემთხვევაში მას ემუქრება მსოფლიო „გარიყულად“ გადაქცევა, გარდა ამისა, იგი დაარღვევს არსებულ სისტემას, რასაც სავალალო შედეგები ექნება არა მარტო მისი კონკურენტებისათვის, არამედ საკუთრივ ამ ქვეყნის ეკონომიკისთვისაც.

მსოფლიო ეკონომიკის სისტემის ინტერნაციონალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პროცესი მიმდინარეობს ორ სიბრტყეზე – გლობალურსა და რეგიონული ინტეგრაციის სი-ბრტყეზე. თეორიულად, რეგიონულმა ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონთა შორის მეტოქეობას. მაგრამ დღეს ეს საფრთხე შემოიფარგლება მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ზოგიერთი ახა-ლი თვისებით. პირველ რიგში, ახალი რეგიონული გაერთიანებების გახსნილობით – ისინი არ ქმნიან თავიანთ პერიფერიებზე დამატებით სატარიფო ბარიერებს, და პირიქით, ამცირებენ მის მონაწილეებს შორის ტარიფებს უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ხდება გლობალურად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოებში ეს ნარმოადგენს სტიმულს ბარიერების შემდგომი, უფრო რადიკალური შემცირებისა მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის რეგიონულ ეკონომიკურ სტუქ-ტურებს შორისაც. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანა რამდენიმე რე-გიონული დაჯგუფების წევრია. მაგალითად, აშშ, კანადა და მექსიკა არიან როგორც ATES-ის, ისე NAFTA-ს წევრები. ისიც აღსანიშნავია, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა უმრავლესობა ერთდროუ-ლად ფუნქციონირებს დღეს არსებულ ყველა ორბიტაში.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ახალი თვისებები – საბაზრო მეურნეობის უსწრაფესი ზრდა, ნაციონალურ ეკონომიკათა ლიბერალიზაციადა და მათი ურთიერთქმედება ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების გზით, მსოფლიო ეკონომიკის სულ უფრო მეტი სუბიექტების – ტრანსნაციონალური კორპორაციების, ბანკების, საინვესტიციო ჯგუფების აღმავალი კოსმოპოლიტიზიცია – სერიოზულ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე. მსოფლიო ეკონომიკა ხდება იმდენად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული, რომ ყველა მისი აქტიური მონაწილის ინტერესები მოითხოვს სტაბილურობის შენარჩუნებას არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური კუთხითაც.

ზოგიერთი მკვლევარი ეყრდნობა რა იმ ფაქტს, რომ XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირის მაღალმა ხარისხმა ვერ უზრუნველყო პირველი მსოფლიო ომის თავიდან აცილება, ქადაგების მაღალი დონისა და მისი მნიშვნელოვანი სეგმენტის კოსმოპოლიტიზაციის – მსოფლიო პოლიტიკაში ეკონომიკური და სამხედრო ფაქტორების შეფარდების რადიკალური შეცვლის იგნორირებას. მაგრამ ყველაზე არსებითი საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის ფორმირებისათვის არის ის ფაქტი, რომ ახალი მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნა უშუალო კავშირშია სოციალურ-პოლიტიკური ველის დემოკრატიულ გარდაქმნებთან. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია სულ უფრო მეტად ასრულებს უსაფრთხოების სფეროში მსოფლიო პოლიტიკის სტაბილიზატორის როლს ეს გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მთელი რიგი სახელმწიფოებისა და საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებსაც ავტორიტარიზმიდან გეზი აღებული აქვთ დემოკრატიისაკენ. ეკონომიკის მასშტაბური და მზარდი დამოკიდებულება, მაგალითად, ჩინეთისა, და ასევე სხვა მრავალი ახალი დამოუკიდებული სახელმწიფოსა მსოფლიო ბაზრებისაგან, ინვესტიციებისაგან, ტექნოლოგიებისაგან მათ აიძულებს მოახდინონ თავიანთი პოზიციების კორექტირება საერთაშორისო ცხოვრების პოლიტიკურ და სამხედრო პრობლემებთან დაკავშირებით.

ეკონომიკური უთანასწორობა: ჩრდილოეთი და სამხრეთი

ბუნებრივია, მსოფლიო ეკონომიკური პორიზონტი ულრუბლო არ არის. მთავარ პოპლემად რჩება უფსერული ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებსა და განვითარებად, ან ეკონომიკური თვალ-

საზრისით სტაგნაციაში მყოფ სახელმწიფოებს შორის. გლობალიზაციის პროცესები, პირველ რიგში, მოიცავს განვითარებულ ქვეყნებს. მრავალი ეკონომისტის თვალსაზრისით, აფრიკული ქვეყნებისა და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნანილი, მაგალითად, ბანგლადეში, სამუდამოდ „ჩამორჩნენ“. მრავალი განვითარებადი ეკონომიკისათვის, კერძოდ, ლათინური ამერიკისათვის, მათი მცდელობები – მიუახლოვდნენ მსოფლიო ლიდერებს – არარად იქცევა უზარმაზარი საგარეო ვალისა და მისი მომსახურების აუცილებლობის გამო. განსაკუთრებულ შემთხვევას ნარმოადგენს ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა ახდენს ცენტრალიზებული დაგეგმარების სისტემიდან საბაზრო მოდელზე გადასვლას. მათი გასვლა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკიცნეულად მიმდინარეობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

ორი ურთიერთსანინაღმდევო პიპოთება არსებობს მსოფლიო პოლიტიკაზე ამ უფსკრულის, კავშირის განყვეტის შესახებ, რომელიც აღინერება, როგორც დაპირისპირება ახალ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. საერთაშორისო ურთიერთობათა მრავალი მეცნიევარი ამ გრძელვადიან ფენომენში ხედავს მომავალი კონფლიქტების მთავარ წყაროს და სამხრეთის მცდელობებსაც კი – ძალადობრივი ფორმით გადაანანილოს მსოფლიოს ეკონომიკური კეთილდღეობა. მართლაც, ამჟამინდელი სერიოზული ჩამორჩენა ადრე წინამავალი სახელმწიფოებისაგან ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ერთიანი პროდუქტის რაოდენობა მსოფლიო ეკონომიკში პროცენტულად ან მოსახლეობის სულადობრივი შემოსავალი, რუსეთს, ინდოეთსა თუ უკრაინას დასტირდებათ რამდენიმე ათწლეული განვითარების ისეთი აჩქარებული ტემპებით, რომ მიუახლოვდნენ აშშ-ს, გერმანიის ანდა იაპონიის დონეს და არ ჩამორჩნენ ჩინეთს. იმავედროულად ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ამჟამინდელი ლიდერები ადგილზე არ გაიყინებიან. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ ახლო მომავალში რომელიმე ახალი რეგიონული ეკონომიკური დაჯგუფება, მაგალითად, დასთ ან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ლათინური ამერიკის ქვეყნების გაერთიანება, შეძლებს მიუხლოვდეს ევროკავშირს, ATES-ს ანდა NAFTA-ს, რომელთაგანაც თითოეულზე მოდის მსოფლიო ერთიანი პროდუქტის, მსოფლიო ვაჭრობისა და ფინანსების 20%-ზე მეტი. ||

მეორე თვალსაზრისის თანახმად, მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია, ეკონომიკური ნაციონალიზმის მუხტის დასუსტება, ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა სამეურნეო ქმედება არ შეიძლება იყოს თამაში ნულოვანი შედეგით, იძლევა იმის იმედს, რომ ეკონომიკური უფსკრული ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არ გადაიქცევა გლობალური კონფრონტაციის ახალ წყაროდ, თუკი იმგვარი სიტუაცია

შეიქმნება, რომელშიც სამხრეთი, მიუხედავად ჩდილოეთიდან აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩენისა, მაინც განვითარების გზით წავადა აამაღლეს თავის კეთილდღეობას. აյ, ალბათ უპრიანია ანალოგია არ-სებულ მოდუს „ვივენდისთან“ მსხვილ და საშუალო კომპანიებს შორის წაციონალური ეკონომიკის ჩარჩოებში: სულაც არ არის გარდაუვალი მასტყაბით საშუალო კომპანიების კონფრონტაცია ლიდერ კორპორაციებთან და განსხვავებათა ნებისმიერი ხერხით ლიკვიდრების მცდელობა. ბევრია დამოკიდებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარემოსაგან, რომელშიც ფუნქციონირებს ბიზნესი, ამ შემთხვევაში ზოგადად მსოფლიოსაგან.

მსოფლიო ეკონომიკაში ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის შეწყვეტა, თვალსაჩინო სარგებელთან ერთად, თავის თავში შეიცავს ფარულ საფრთხესაც. ერთი მხრივ, ქვეყნებისა და რეგიონების მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთქმედება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან განვითარების დონით, სამეურნეო სტრუქტურით, კაპიტალის კელავნარმოების ტემპებითა და პროპორციებით, ხელს უწყობს მათში ერთიანი ეკონომიკური მოდელის შექმნას. მეორე მხრივ კი, ინფლაციური პროცესები, უმუშევრობა, სტრუქტურული დისპროპორციები ქმნის საფრთხეს, რომ ამ პირობებში ზემოაღნიშნული მოვლენები გავრცელდება ჯაჭვური რეაქციის კანონებით და მიიღებს ეპიდემიის ხასიათს, რაც ზოგადად სისტემის თავდაცვით პოტენციას აკნინებს. ცალკეული ქვეყნების მცდელობას – ნინ აღუდგნენ კრიზისული პროცესების გავრცელებას საკუთარ წაციონალურ საზღვრებში სხვადასხვა სახის პროტექციონიზმის საშუალებით, შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების გაზრდა. ამგვარი პროცესები ასევე ხელს უმდის მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის საერთო ტენდენციას. |

სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაციული პროცესები მჭიდრო კავშირშია კორპორაციული ინტერესებთან, რომელსაც დამატებითი ელემენტი შეაქვს პლანეტის სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის საერთო პრობლემაში.

კაპიტალის თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციაშ დასაბამი დაუდინტრანსაციონი კორპორაციების წარმოქმნას, რომელთა რეალიზაციაც ხდება სხვადასხვა სტრუქტურული ფორმებით. ამჟამად არსებობს დაახლოებით 44 ათასი ტრანსაციონალური კორპორაცია და მათი 276 ათასზე მეტი ფილიალი. ერთობლივად ისინი აკონტროლებენ მსოფლიო მრეწველობის კერძო სექტორის 1/3-ს, მსოფლიო სამრეწველო წარმოების 40%-ს, განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ექსპორტის 90%-ს, პირდაპირი ინვესტიციების 80%-ს. კორპორაციებზე მოდის საერთო მსოფლიო პროდუქტის 30%. მათი აქტივები 10 ტრილიონ დოლარს აღწევს.

კაპიტალის ორგანიზების დღეს არსებული ფორმები ასახავს საერთაშორისო სამეურნეო მომსახურების მონანილეთა მოღვაწეობის ახალ მასშტაბებსა და ტექნიკურ შესაძლებლობებს. ტრანსნაციონალური კორპორაციები შეიქმნა სანარმოთა სიდიდის ოპტიმაციის მოთხოვნილების შედეგად და ამასთან დაკავშირებულ აუცილებლობასთან მომხდარიყო სანარმოო ძალების უზუნჯურით შეიცვლილი საზღვრების გაფართოება. კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია ინვესტიციების უზუალო კავშირის დაკარგვას იმ ქვეყანასთან, რომლიდანაც იგი წარმომავლობითაა და აქცევს მას საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების დამოუკიდებელ ფაქტორად.

ტრანსპორტის სფეროში სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, კავშირის ახალმა სახეებმა, დამაკომპლექტებელი ნაწილების გამოშვების უმაღლესი დონის სიზუსტემ შექმნა მესაძლებლობა ეროვნული ნარმოების ერთიანი ტექნოლოგიური პროცესი და მშლილიყო სხვადასხვა. ქვეყნებში ოპტიმალური ეკონომიკური და სოციალური პირობების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს წარმოების მაქსიმალურ უდანაკარგობასა და საბოლოო პროდუქტის მასობრივ გამოშვებას.

შრომის საერთაშორისო დანანილება სულ უფრო მეტად განიცდის შრომის შიდადარგობრივი დაყოფის ზეგავლენას. ეს კი განისაზღვრება ამა თუ იმ საქონლის ღირებულებითი პირობებითა და წარმოების ტექნოლოგით, რომლებიც მზადდება პლანეტის სხვადასხვა ადგილზე განლაგებულ საერთაშორისო კორპორაციების სანარმოებში. მსოფლიო მეურნეობა თანდათანობით ერთვება ზენაციონალური გიგანტური კორპორაციების კვლავნარმეობის პროცესში. ეს გარემოება იქცა კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებისა და საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციის ძლიერ სტიმულად.

ამასთან ერთად, წარმოიქმნება წინააღმდეგობათა სულ მცირე ორი მსხვილი ჯგუფი: წარმოების ინტერნაციონალიზაციასა და იმ ფორმებს შორის, რომლითაც ხდება დღეს მისი რეალიზაცია და რაც უპირატესობას ანიჭებს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესში უფრო განვითარებულ სახელმწიფო და კერძო ფორმებს, ასევე წინააღმდეგობასახელმწიფო და კორპორატიულ ინტერესებს შორის. 100 კველაზე მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაცია შექმნილია განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში. თუკი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორის წინააღმდეგობათა გადალახვის მექანიზმი საკმაოდ განვითარებულია და მისი რეგულირება ხორციელდება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების არათანაბრობა კვლავაც არსებობს და იარსებებს.

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მოღვაწეობა განივრცო განვითარებადი სამყაროს ტერიტორიებზეც და დიდ გავლენას ახდენს იმგ-

ვარი ეკონომიკური სტრუქტურის ფორმირებაზე, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება, უპირველეს ყოვლისა, თავად ტრანსნაციონალური კორპორაციების კვლავნარმოების მექანიზმის ფუნქციონირების ინტერესებს. სანარმოები და მთელი სამრეწველო კომპლექსები, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა, მათ შორის განვითარებად ქვეყნებშიც, ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად დაკავშირებულია უპირველესად არა მოცემული ქვეყნის სამეურნეო სისტემასთან, არამედ იმ სანარმოებთან, რომლებიც შედიან ტრანსნაციონალური კორპორაციის შემადგენლობაში მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალები, რომლებიც უშენებენ ყველაზე თანამედროვე და რთულ პროდუქციას, იყენებენ უახლეს მანქანებსა და ხელსაწყოებს, განვითარებად ქვეყნებში არსებობენ ჯერ კიდევ როგორც თავისებური ზედნაშენი მრავალწახნაგოვან ბაზისზე. არცთუ ისე იშვიათად მეტად უმნიშვნელოდ დაკავშირებული ეროვნულ ნარმოებასთან, მას ართმევენ სამუშაო ძალის ყველაზე კვალიფიცირებულ ნანილს, დეფიციტურ ნედლეულს. სარგებლობენ რა ადგილობრივ, კაპიტალის ბაზრის მომსახურებით, ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ არაერთგვაროვან გავლენას განვითარებადი ქვეყნების კვლავნარმოებით კავშირებზე, აყალიბებინ შრომის საერთაშორისო დანანილების იმგვარ ტიპს, რომელსაც გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოახდინოს ამ ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის ხელშეწყობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ტრანსნაციონალური კორპორაციების სამუალებით განვითარებადი ქვეყნები რეალურად ერთვებიან მსოფლიო ეკონომიკური პროცესის დინებაში, მათთვის ხელმისაწვდომი ხდება ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციები, შრომის თანამედროვე ორგანიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობის არსები.

ხაზი უნდა გაესვას, რომ კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების კონკურენციის მიზანი მოგებაა და არა საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობა. ლიბერალიზაცია ამცირებს კონკურენციის შეზღუდვებს, გლობალიზაცია კი ზრდის მისი მოქმედების ველს. წროგორც უკანასკნელმა ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, რუსეთში, რომელიც ასევე შეეხმ მსოფლიოს თითქმის ყველა ბაზარს, მსოფლიო მეურნეობის ახალი მდგომარეობა ნიშნავს არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ ნეგატიური ტენდენციების გლობალიზაციასაც. ამის გაცნობიერება აიძულებს მსოფლიო ფინანსურ ინსტიტუტებს გადაარჩინონ სამხრეთ კორეის, სიანგანის, ბრაზილიის, ინდონეზიის, რუსეთის ბაზრები. მაგრამ ეს ერთჯერადი ოპერაციები მხოლოდ გამოკვეთს ნინააღმდეგობებს ლიბერალური გლობალიზაციის სარგებელსა და მსოფლიო მეურნეობის სიმყარის შენარჩუნებ-

ის ფასს შორის. მოსალოდნელია, რომ რისკების გლობალიზაცია გამოიწვევს მათი მენეჯმენტის გლობალიზაციასაც, ისეთი სტრუქტურების სრულყოფას, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი და შეიძილებული სახელმწიფოს ჯგუფი. ისიც ნათელია, რომ გლობალური ეკონომიკის მზარდი ეკსმოპოლიტური სექტორი უფრო ნაკლებადაა ანგარიშვალდებული მსოფლიო საზოგადოების წინაშე, ვიდრე ნაციონალური ეკონომიკები სახელმწიფოთა წინაშე.

გლობალიზაციის პროცესი რეალურად მოიცავს ეკონომიკურად ყველაზე წინამავალ პოზიციებზე მყოფ განვითარებად ქვეყნებს, მათ ძირითად ჯგუფს ეს კელავაც მსოფლიო მეურნეობის პერიფერიაზე ტოვებს. 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ კარდინალური გზით მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების დაფორმაცია, გამოიწვია მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ხანგრძლივი კრიზისი. ორი სამყარო - ორი სისტემა - ეს არ არის მხოლოდ სიტყვიერი პარადიგმა. ორი სისტემის ურთიერთკავშირი ეკონომიკური თვალსაზრისით ფორმალური, ასევე საკმაოდ ბუნდოვანი და კონფლიქტური. იყო. პოლიტიკური და სისტემური ბარიერების სიმყარე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა სოციალისტური ქვენების მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილ ფუნქციურ ჩართვას. საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის უმთავრესი ნაკადები, ძირითადად, ტრიალებდა ქვეყნების ამ ორი ჯგუფის ჩაეცეტილ ორბიტებში. |

კონკურენტულ-საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებლად უნდა ჩამოყალიბებულიყო კვლავნარმოების ოპტიმალური და რაციონალური მოდელი, რომელმაც შექმნა თანამედროვე ტექნოგენური ცივილიზაცია - ლიბერალური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი და დარტყმა მიაყენა აგრესიული ნაციონალიზმისა და ქსენოფობის იდეებს, ხალხთა შორის უნდობლობის პოლიტიკას.

სოციალიტურ ქვეყნებში არსებული კვლავნარმოების ანტისაბაზრო მოდელი ხელოვნური ნარმონაქნი იყო. ის ნარმოადგენდა იდეოლოგიურ შეხედულებათა ემანაციას. ზრდის შიდა ხელშეწყობის მოტივებს მოკლებული, იგი ინვევდა ბუნებრივი და ადამიანური. რესურსების შემცირებას და, საბოლოო ჯამში, კვლავნარმოების ტემპების შენელებასა და კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობის მოსპობას. მსოფლიო მეურნეობაში სოციალისტურმა ქვეყნებმა ფაქტობრივად ნედლეულის დანამატის სახე მიიღეს. სსრკ-ზე მოდიოდა მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ნარმოების მხოლოდ 0,3%. ამ პირობებში კი ვითარდებოდა მხოლოდ სამხედრო მრეწველობა და იარაღის ექსპორტი. დღეს ეს ბარიერი მოხსნილია, მაგრამ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის ახალი პრობლემები დგას.

90-იან წლებში ზემოაღნიმნული ქვეყნების უმრავლესობის მიერ

ცენტრალიზებულ გეგმურ ეკონომაზე პრინციპულად უარის თქმა ნიშნავდა მათი პოტენციალისა და ბაზრების ჩართვას საბაზრო ეკონომიკის გლობალურ სისტემაში. თუმცა ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ იყო ორი დაახლოებით თანაბარძალოვანი ბლოკის დაპირისპირების შეწყვეტაზე. სიციალიზმის ეკონომიკური სტრუქტურები არასოდეს ნარმოადგენდა ლირსეულ კონკურენტს დასავლური ეკონომიკური სისტემისათვის. 80-იანი წლების მინურულს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ხვედრითი წილი ერთიანი მსოფლიო პროდუქტის ნარმოებაში შეადგენდა დაახლოებით 9%-ს, ხოლო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისა – 57%-ს. „მესამე სამყაროს“ ეკონომიკათა უმრავლესობა ორიენტირებული იყო საბაზრო სისტემაზე. ამ მიზეზით, ყოფილ სოციალისტურ ეკონომიკათა ჩართვას მსოფლიო მეურნეობაში უფრო მეტად პერსპექტიული მნიშვნელობა ჰქონდა და წარმოადგენდა ახალ დონეზე ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების ან აღდგენის სიმბოლოს. თვისებრივი ცვლილებები კი საბაზრო ეკონომიკაში დაგროვდა ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დასრულებამდე.

გარდამავალ ეკონომიკათა ქვეყნები, მათ შორის საქარველო, მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (პირველ რიგში, მსოფლიო სავალუტო ორნდი და მსოფლიო ბანკი) პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს და პრაქტიკულად არ ითვალისწინებს ადგილობრივ სპეციფიკას. ამ ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამჯობინებს (ანდა იძულებულია) ბრმად მისდიონ ამგვარი ორგანიზაციების რეკომენდაციებს. რეფორმათა წარუმატებლობაზე კი პრაქტიკულად პასუხიმებლობას იხსნიან (ხომ არ მოგვაგონებს ეს სიტუაცია საბჭოთა პერიოდში არსებულ ვითარებას, როდესაც ნებისმიერი მეტ-ზაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი ცენტრში – მოსკოვში წყდებოდა და ადგილობრივი პოლიტიკური ხელისუფლების მოვალეობას სულაც არ შეადგენდა ამა თუ იმ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება?)

რაც არ უნდა ითქვას, ნათელია, რომ მსოფლიო პოლიტიკის ახალი ეტაპი წინა პლაზე წამოსწევს თავის ეკონომიკურ კომპონენტს. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, დიდი ევროპის გაერთიანებას, საბოლოო ჯამში, ხელს უშლის არა ინტერესთა წინააღმდეგობა სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, არამედ სერიოზული ეკონომიკური შეუსაბამობა, ერთის, მხრივ, ევროკავშირსა და, მეორე მხრივ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის. ამის მსგავსად, საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების მთავარი ღოვიკა, მაგალითად, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, გამოდინარეობს არა იმდენად სამხედრო უსაფრთხოების მოსაზრებიდან, რამდენადაც ეკონომიკური გამოწვევებითა და შესაძლე-

ბლობებით. უკანასკნელი წლების მანძილზე ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები, როგორიცაა „შვიდეული“, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, ATES და NAFTA, აშეარად უტოლდებიან მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის თვალსაზრისით უსაფრთხოების საბჭოს, გაერო-ს გენერალურ ასამბლეას, რეგიონულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, სამხედრო კავშირებს და ხშირად აღმატებიან ერთობისათვის. ამგვარად, მსოფლიო პოლიტიკის ეკონომიკიზაცია და მსოფლიო ეკონომიკის ახალი თვისებების ფორმირება ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ამჟამად ფორმირებადი სისტემის უმნიშვნელოვანების პარამეტრი.

საკვანძო საკითხები

- საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაციის შედეგად საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს გაუჩნდა იმის ძალა, რომ საკუთარი კანონები მოეხვიათავს პოლიტიკისათვის.
- 80-იანი წლებიდან იწყება ფართო გარღვევა მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით.
- მსოფლიო ეკონომიკის სისტემის ინტერნაციონალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პროცესი მიმდინარეობს ორ სიბრტყეზე – გლობალურსა და რეგიონული ინტეგრაციის სიბრტყეზე.
- მსოფლიო ეკონომიკის ახალ სისტემაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკონომიკური განვითარების შეუსაბამობა.
- კაპიტალის თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციამ დასაბამი დაუდო ტრანსაციონალური კორპორაციების წარმოქმნას.

კითხვები და დავალებები:

1. დაახასიათოთ ბრეტონ-ვუდსის სისტემა.
2. რა ძირითადი მიზეზები განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას?
3. რა სიძნელეები ახლავს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას?
4. რამ განაპირობა ზოგიერთი მკვლევრის აზრით, აზიური „ვეფხვების“ ეკონომიკური „გადახურება“?
5. რა სიძნელეები ახლავს ცენტრალიზებული დაგეგმარების ეკონომიკების გადასვლას საბაზრო რელსებზე?
6. რამდენად სახითათოა არსებული ეკონომიკური უფსკრული ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის?

7. რა როლს ასრულებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები?

ლიტერატურა:

- N.B. Adams, *World Apart: The North-South Divide and the International System* (London: Zed, 1993).
- J. Gavanagh, D. Wysham & M. Arruda (eds.), *Beyond Bretton Woods: Alternatives to the Global Economic Order* (London: Pluto Press, 1994).
- P. Knox & J. Agnew, *The Geography of the World Economy* (London: E. Arnold, 1994).
- R. O'Brien, *Global Financial Integration: the End of Geography* (London: Pinter, 1992).
- T. Porter, *States Markets and Regimes in Global Finance* (London: Macmillan, 1998).

X. რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის განსაზღვრება

რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის განსაზღვრება

XX საუკუნის 60-იანი წლების მანძილზე, იმ ენთუზიაზმის ტალღაზე, რომელიც მოპყვა რეგიონული ჯგუფების რაოდენობრივ ზრდასა და ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას, რეგიონები საერთაშორისო პოლიტიკაში განისაზღვრებოდა, როგორც „სახელმწიფოთა შეზღუდული რიცხვი, რომელთა კავშირსაც განაპირობებს გეოგრაფიული სიახლოევე და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე. მათი დიუკერენცირება კი შესაძლებელია სავაჭრო კავშირების განვითარების, ფორმალური ორგანიზაციების რიცხვისა და მნიშვნელობის, პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის მიხედვით“ (Nye 1968: viii). ნაი მიიჩნევდა, რომ რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის პროცესი მოიცავდა მსოფლიოს მრავალ მხარეს და მას ხელს უწყობდა ახალი სახელმწიფოების – ყოფილი კოლონიების რიცხვის გაზრდა; დაძაბულობის შედარებითი განმუხტვა ზესახელმწიფოებს შორის; ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების აღმავლობა; მრავალმხრივი სავაჭრო რეჟიმის განმტკიცება; დასავლეთ ევროპის უძძლავრესი ქვეყნების დაახლოება ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებით.

რეგიონალიზმის სასურველი განვითარებისათვის არ არის საკმარისი მარტოოდენ გეოგრაფიულ სიახლოევე და ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულება. სხვა ფაქტორებიც ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის პროცესების განვითარების პოტენციური საფუძვლების შექმნისათვის. ეს არის ისტორიული გამოცდილება, ძალაუფლებისა და კეთილდღეობის გადანაწილება ჯგუფების შეგნითა და გარეთ, კულტურული, სოციალური და ეთნიკური ტრადიციები, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური არჩევანი – ყოველივე ზემოთქმულს შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდეს იმის გასაგებად, თუ რატომ და როგორ სურთ მიიღონ აქტორებმა გადაწყვეტილებანი რეგიონულ დონეზე.

მიუხედავად ამისა, რეგიონალიზმი შესაძლოა გარკვეულწილად განსასაზღვრად მონოლითური კონცეფცია იყოს. ზოგიერთი მკელევარი მოითხოვს, რომ იგი დავანანილოთ სპეციფიკურ და კონკრეტულ ტიპებად (Hurrel 1995). ამ გზით ჩვენ შეგვიძლია რეგიონალიზმის მნიშვნელოვანი ვარიაციების იდენტიფიცირება. ვარიაცია, მაგალითისათვის, შეიძლება აიხსნას სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დონის ზრდის თვალსაზრისით; იმ სივრცით, რომელშიც ცალკეული ფასეულობები და კულტურული ტრადიციები განაგრძობენ არსებობას; ფორმალური ინსტიტუციონალური ნესრიგის განვრცობის ხარისხით; იმ გეოგრაფიული გარემოთი, რომელშიც რეგიონული და-

ჯგუფება გამოხატავს თანმთხვევა იდენტურობას. მთავრობები და სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ უმთავრესი აქტორები ზოგიერთ რეგიონულ დაჯგუფებაში, სხვებში კი უფრო მნიშვნელოვან აქტორებს შეიძლება წარმოადგენდეს კორპორატიული და ეკონომიკური ინტერესები. ზოგიერთი რეგიონული დაჯგუფების მიზანი შეიძლება იყოს უპირველესად შიდარეგიონული ვაჭრობისა და ინვესტირებისაგან მაქსიმალური ეკონომიკური მოგების მიღება, სხვების დანიშნულებას კი შეადგენდეს თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ან სოციალური და კულტურული ტრადიციების დაცვა.

რეგიონალიზმი შემდეგ ტიპებად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- რეგიონალიზმი, როგორც პროცესი, რომელიც გულისხმობს არაფორმალური კავშირებისა და ურთიერთობების გაზრდას. იგი უპირველესად ეკონომიკური აქტიურობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ასევე მოიცავს სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთეკვირს.
- რეგიონული ცნობიერება და იდენტურობა, როდესაც ისტორიული, კულტურული და სოციალური ტრადიციების თანმთხვევა თვალსაჩინოს ხდის გარკვეული საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობას.
- რეგიონალიზმი, როგორც სახელმწიფოთაშორისო კოოპერაცია: სახელმწიფოებმა ან მთავრობებმა, საერთო პრობლემების გადაწყვეტისათვის, შეიძლება მიაღწიონ შეთანხმებებსა და მოახდინონ მოქმედებათა კოორდინაცია, რათა „დაიცვან და გააძლიერონ სახელმწიფო და მთავრობის ძალაუფლება“.
- სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ხშირად რეგიონალიზმის ყველაზე საერთო ფორმას წარმოადგენს. მთავრობები და ბიზნესის ინტერესები ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას, რაც ინვესტიციების ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას.
- ოთხი პირველი პროცესის კომბინაციამ უნდა გამოინვიოს მტკიცე და კონსოლიდირებული რეგიონული გაერთიანების წარმოქმნა. ამგვარად, პოლიტიკურად უმაღლეს დონეზე დაკავშირებულ დაჯგუფებამ შეიძლება იტვირთოს უმნიშვნელოვანესი როლი როგორც შიდა გარემოში, ისე გლობალურ პოლიტიკაში“

(Hurell 1995: 334-8)

ინტეგრაციის კონცეფცია უფრო რთული ჩამოსაყალიბებელია. იგი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც პირობა ან პროცესი, როგორც სისტემის აღნერა უკვე არსებული ელემენტებით; ან გამოყენებულ

იქნეს იმის ასახსნელად, თუ რატომ არსებობს გარკვეული პოლიტიკური სისტემა და რატომ ვითარდება იგი ამა თუ იმ მიმართულებით.

საყურადღებოა ინტეგრაციის შემდეგი სახით განსაზღვრება: „მან-ამდე ავტონომიურად არსებულ ერთობებს შორის ურთიერთქმედების ინტენსიური და მრავალმხრივი კავშირების შექმნა და შენარჩუნება. ეს კავშირები თავისი ხასიათით ნაწილობრივ შეიძლება იყოს ეკონომიკური, ნაწილობრივ სოციალური, ნაწილობრივ კი პოლიტიკური: პოლიტიკურ ინტეგრაციას თან ახლავს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთქმედების მაღალი დონე“ (Wallace, 1990: 9).

ინტეგრაცია შეიძლება ატარებდეს როგორც ფორმალურ ხასიათს – რაც გამოიხატება პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, ისე შეიძლება გამოიხატოს არაფორმალური ცნებებით – რაც გულისხმობს ურთიერთქმედებას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებში. მსოფლიო რეგიონებს შორის ინტეგრაცია შეიძლება იყოს კომპლექსური და მრავლმხრივი პროცესი, რომელშიც ჩართული არიან აქტორთა სხვადასხვა ტიპები. ეს აქტორები მოქმედებენ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში და ასევე არიან ამ სფეროების დამაკავშირებელნი.

კონცეპტუალური მიღღომები ინტეგრაციის მიმართ

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის პლურალისტული ტრადიცია მოიცავს არა მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებს, არამედ სხვადასხვა სახის აქტორებსაც, რომლებიც ჩართული არიან პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ ტრადიციის მიხედვით, კარლ დოიჩი (K. Deutsch) ამტკიცებს, რომ კომუნიკაციებისა და ურთიერთქმედების (ტრანსაქციის) ზრდამ სხვადასხვა აქტორებს შორის შეუძლია გაამყაროს ტრანსნაციონალური პოლიტიკური საზოგადოების კავშირები (ინტეგრაცია) და გამოიწვიოს „უსაფრთხოების საზოგადოების“ შექმნა, რომლის საფუძველს ნარმოადგენს მშეიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთობის სურვილი.

მეორე მხრივ, რეალისტური ტრადიცია, ინტეგრაციის ამხსნელ ფაქტორად სტრუქტურულ პირობებს მიიჩნევს. ნეორეალისტური და ნეოლიბერალური შეხედულებებით, ინტეგრაცია უნდა განისაზღვროს უტილიტარული ტერმინოლოგით, ანდა სხვა სიტყვებით, გარკვეული დაჯგუფება ერთიანობას აღნევს იმ მიზნით, რათა მისმა ნევრებმა საკუთარი პოზიციები გაამყარონ და ძალა გაზარდონ სხვა ერთობის ნევრებთან მიმართებაში.

ინტეგრაციამ, როგორც სამართლებრივმა პროცესმა, რომელიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთქმედებას ქვეყ-

ნების ჯგუფებს შორის, ბუნებრივია, შეიძლება სხვადასხვა ფორმა მი-იღოს. ეკონომიკური ინტეგრაცია ხშირად გულისხმობს საბაჟო კავ-შირებს, შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ანდა თავისუფალ ბაზარს, რის შედეგადაც იქმნება ეკონომიკური მოლვანეობის ლიბერალ-იზაციისათვის აუცილებელი პირობები და მიიღება რეგულირებისათვის საერთო ნესები სხვადასხვა ეროვნული კანონების სანაცვლოდ. პოლი-ტიკური ინტეგრაცია შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ინსტიტუ-ციონალური მექანიზმების ფორმირებასა და გადაწყვეტილებათა მიღე-ბის პროცედურებს, არამედ ასევე თანმთხვევი ფასეულობებისა და მიზნების ჩამოყალიბებას, უთანხმოებათა მშვიდობიან გადაწყვეტასა და სოციალურ-პოლიტიკურ მჭიდრო დაკავშირებას.

საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა მიუთითებს რეგიონ-ალიზმის განვითარების ეფექტურობაზე მშვიდობისათვის, სტაბილ-ურობისა და ნესრიგისათვის. რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის შეს-ნავლა დაკავშირებულია იმ პრობლემებთან, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს კონფლიქტები, განვითარდეს თანამშრომლობა და შენარ-ჩუნდეს სტაბილურობა. ძალაუფლებისა და აღიანსების ტრადიციული ბალანსის თეორიებით ყურადღება გამახვილებულია ნესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე (რეგიონული) თავდაცვითი კოალიციე-ბის ჩამოყალიბებითა და ერთმანეთის მიმართ „ბალანსირებადი“ სამხედრო ძალით. გასული საუკუნეში, ომთაშორის პერიოდში, გლო-ბალური კოლექტიური უსაფრთხოება და მრავალფუნქციანი საერთა-შორისო ორგანიზაციის შექმნა უფრო სასურველი ჩანდა, ვიდრე „ზედა-ლაზე“ დამყარებული აგრესიული რეგიონალიზმი. 1945 წლიდან საერ-თაშორისო ურთიერთობებში დომინირებდა ბიპოლარული ქიმი და დაპირისპირება, რამაც უცილობლად გამოინვია ამა თუ იმ ბანაკთან რეგიონული დაკავშირება. მნიშვნელოვანი გამონაკლისი იყო მი-უმხრობლობის მოძრაობა, რომელიც 50-იან წლებში ნარმოიქმნა და მიზნად ისახავდა ზესახელმწიფოებზე დამოკიდებულების შემცირებას. დასავლეთ ევროპის ნარმატებული კოოპერაცია და ინტეგრაცია მთლი-ანად იქნა მხარდაჭერილი აშშ-ის მიერ ფინანსური და თავდაცვითი ას-პექტებით. იმავდროულად კი განხორციელდა აღმოსავლეთ და ცენ-ტრალური ევროპის ქვეყნების ძალადობრივი მიერთება საბჭოთა ბლოკ-თან.

1989 წლის შემდეგ გლობალური პოლიტიკა ცვალებადობითა და მრავალპოლუსიანობით ხასიათდება. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია, პირველ რიგში, იმის გარკვევას ისახავს მიზნად, თუ რამდენად შეუძლიათ ან არ შეუძლიათ ინსტიტუციონალი-ზებულ კოოპერაციულ რეგიონულ ჯგუფებს გახდნენ მშვიდობიანი მრავალპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის ინტეგრალური ელემენ-

ტები. რეგიონული თანამშრომლობისა და სტრუქტურების განვითარება ხშირად აიხსნება, როგორც უტილიტარისტული და სახელმწიფოს მიერ ნარმართული პროცესი, რომელიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ მოთხოვნების პარმონიზაციას გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პირობებში. ნეორალისტური-ნეოლიბერალური დებატები საერთაშორისო ურთიერთობების მესახებ მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რამდენად გააჩნია უნარი რეგიონულ თანამშრომლობასა და დაჯგუფებებს იყვნენ ეფექტური და სანდო იარაღი ნესრიგისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად. დებატები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების მიმართულების შესახებ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ თანამშრომლობისა და კავშირების მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, როგორიცაა ურთიერთნდობა, ეკოლოგიურობის გადანაწილება თანამშრომლობის გზით; პროპაგანდა, რომლის მიზანიცაა დაჯგუფების ნევრთა ურთიერთობის პროცესში უნდობლობის მოსპობა; და ასევე ის, თუ რამდენად შეიძლება იყოს შეთანხმება, გამაგრებული ინსტიტუციონალიზაციის მაღალი დონით, მისი ნევრებისაგან ავტონომიური და დამოუკიდებელი ქმედების საშუალება.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები შეიძლება გახდეს გლობალური პოლიტიკური ცვლილების კატალიზატორი. ამ პერსპექტივიდან, „ნაციონალური“ ეკონომიკის ინტეგრაცია და კორპორატიული აქტიურობა შეიძლება გამოჩნდეს, როგორც რეგულირების სტრატეგია მოუწესრიგებელ და მეტად მგრძნობიარე გლობალურ ეკონომიკაში. ამასთანავე, საერთაშორისო ურთიერთობათა დისკიპლინის დიდი ნაწილი ტერიტორიული სუვერენული ძალაუფლების კონცენტრირების ერთგული რჩება. ამ შემთხვევაში კი შეიძლება პრობლემები წარმოიქმნას იმ მიზეზით, რომ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ლოგიკა და აპარატი არ არის ტრანსნაციონალური ინტეგრიზმის – ეკონომიკურისა თუ პოლიტიკურის – ხელშემწობი; მაგრამ ნეოფორდიზმის შედეგებმა აიძულა მრავალი ქვეყანა განვითარებინა სხვადასხვა სახის კოოპერაციული სტრატეგიები“ (Knox and Agnew 1994: 380).

„ტერმინი ნეოფორდიზმი გამოიყენება კაპიტალის ინვესტირების, წარმოების პროცესების, სანარმოო ძალების იმ შეცვლილი ურთიერთობების გამოსახატავად, რომლებიც აღარ თავსდება ტრადიციულ ჩარჩოებში. ეს ცვლილებები ასოცირებულია დომინირებად გლობალურ ეკონომიკურ ან ეულტურულ ნიმუშებთან და ასევე ორიენტირებულია რეგიონში არსებულ დინამიკასა და იდენტურობაზე.“

საკუთხებო საკითხები

- თუ კი ჩვენ გვსურს კარგად გავიგოთ როგორ და რატომ ვითარდება რეგიონალიზმი, რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის საბაზისო პირობებს – გეოგრაფიულ სიახლოესა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მაღალ დონეს უნდა დაემატოს მნიშვნელოვანი ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები.
- ამ ფაქტორების ურთიერთზემოქმედება ინვესტ რეგიონალიზმის სხვადასხვა ტიპის ნარმოქმნას. სხვადასხვა სახის ფორმალური სტრატეგიები და არაფორმალური პროცესები მეთოდურად და თანდათანობით ახორციელებენ ინტეგრაციულ პროცესებს რეგიონის შიგნით და ქმნიან მნიშვნელოვან განსხვავებებს რეგიონულ დაჯგუფებებს შორის.
- საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლა ხასიათდება მრავალი სხვადასხვა თეორიული მიდგომით, ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თურა იგულისხმება რეგიონული იდენტურობისა და თანამშრომლობის განვითარებაში და როგორ შევისწავლით მას. გასულ ათწლეულში ღრმა და სწრაფი ცვლილებები ეკონომიკურ პროცესებში, კაპიტალში, კულტურასა და პოლიტიკაში ინტერპრეტირებული და გაგებულია სხვადასხვა გზით სხვადასხვა რეგიონული დაჯგუფების მიერ. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია იწყებს მათ მიმართ ადაპტირებას.

რეგიონალიზმი მსოფლიო პოლიტიკაში

რეგიონული ბლოკებისა და დაჯგუფებების ჩამოყალიბება 1945 წლის შემდეგ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. დღეს მსოფლიო პოლიტიკაში რეგიონალიზმის მრავალი ნიმუში არსებობს, რომელშიც გაერთიანებული არიან ამერიკის, სამხრეთ-დასავლეთი აზიის, აფრიკისა თუ ევროპის ქვეყნები. ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამოძინარე, განვიხილავთ სწორედ ევროპული რეგიონალიზმისა და ინტეგრიზმის პრობლემებს.

1945 წლის შემდეგ დასავლეთ ევროპა სულ უფრო აღიქვამდა საკუთარ თავს, როგორც ეკონომიკებისა და ხალხების მაღალ დონეზე ინტეგრირებულ და მჭიდროდ დაკავშირებულ დაჯგუფებას. 1989 წლის შემდეგ ევროპის კონტინენტზე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები „აღარ ემყარება დანაწევრებულ, ძალთა ბალანსზე დაფუძნებულ ევროპას, არამედ პოლიტიკურ სივრცეს, რომელშიც სულ უფრო მეტად დომინირებს ერთიანი ორგანიზაცია,

იმდენად, რომ დაპირისპირება და მეტოქეობა წევრებს შორის უკიდურესად შემცირებულია საერთო ნესებისა და ინსტიტუტების საშუალებით (Keohane, Mye and Hoffmann 1993: 385). 1989 წლის შემდეგ ხდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რეინტეგრაცია ევროპის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებებში.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ევროპული ინტერაციისა და რეგიონალიზმის გამოცდილება დიდად განსხვავდება სხვა რეგიონული დაჯგუფებებისაგან (მაგ., NAFTA-სა და ACEAN-ისაგან). ევროპული ინტეგრაციის ფორმალური პროცესი, რომლის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა ევროკავშირი, განპირობებულია სპეციფიკური ისტორიული და პოლიტიკური მიზეზებით. ეს მიზეზები შეიძლება არც არსებობდეს, ანდა ნაკლები მნიშვნელობის იყოს სხვა რეგიონულ დაჯგუფებებში.

1945 წლის შემდგომი ეპოქის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თეოსება იყო ძალაუფლებისა და ხელისუფლების ფუნდამენტური გადანაცვლება ევროპულ და იმპერიაზე ორიენტირებულ ძალთა ბალანსიდან ახალ დაპირისპირებულ ბიპოლარულ მსოფლიოზე. როგორც ერთი მკელევარი შენიშნავს, „ზესახელმწიფოები“ ევროპაში უკვე აღარ არსებობენ და ზენაციონალური „ევროპული საზოგადოების“ შექმნის ძალისხმევა და მისი შესაბამისი ევროპული იდენტურობის გრძნობის ჩამოყალიბების სურვილი, რომელიც მონოდებულია შეცვალოს სახელმწიფოთა და ხალხების მიმართ არსებული ისტორიული ლინიალურობა, მკაფიოდ აჩვენებს ამ ცვლილების მთელ სილმეს“ (Hobsbawm 1994: 14).

ბიპოლარული წესრიგი მიუთითებდა ევროპის, როგორც გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრის დასასრულზე. სამხედრო უსაფრთხოება, განადგურებული ეკონომიკური და ფინანსური ინფრასტრუქტურები, პოლიტიკური არასტაბილურობა მთელს ევროპაში გახდა 1945 შემდგომ პირველ წლებში რეგიონალიზაციისა და დასავლეთ ევროპაში სახელმწიფოების მიერ გაზიარებული ინტეგრაციული სქემების წარმატებისა და გაიოლების მთავარი ფაქტორები. უისტონ ჩერჩილის მიერ 1946 წელს წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც გაკეთდა მონოდება „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის შესახებ, მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორც ცდილობდნენ პოლიტიკური ელიტები მორგებოდნენ და დაერეგულირებინათ ამ გლობალური ცვლილების კულმინაცია.

თანამშრომლობისა და განვითარების არაერთი გეგმის, შემდგომ კი ორგანიზაციების შექმნის შედეგად ევროპის ინტეგრაციის პროცესი აღმავალი გზით წავიდა.

ევროპის საბჭო

ევროსაბჭო შეიქმნა 1949 წელს და ამჟამად აერთიანებს 43 ნევრს. ორგანიზაციის მიზანია ნევრი სახელმწიფოების დაახლოება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მხარდაჭერის, აგრეთვე კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, ახალგაზრდობის, ინფორმაციის, სამართლის, გარემოს დაცვის გზით.

ევროსაბჭოს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კომიტეტი, რომელიც ორჯერ იკრიბება ნელინადში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მიიღება რეკომენდაციები ნევრ-სახელმწიფოთა მთავრობებისათვის და რეზოლუციები საერთაშორისო-პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მეტად აქტიურად ფუნქციონირებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რომელშიც წარმოდგენილნი არიან ნევრ-სახელმწიფოთა პარლამენტარები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროსაბჭოს მიერ მიღებულ 170-ზე მეტ საერთო-ევროპულ კონვენციას, რომელთა დაცვაც აუცილებელია იმ სახელმწიფოთათვის, რომლებმაც მათი რატიფიცირება მოახდინეს.

ქვეყნები, რომლებიც ევროსაბჭოში ერთიანდებიან, იღებენ ვალდებულებას, რომ ხელს მოაწერენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. ევროსაბჭოში მიღების პირობას წარმოადგენს სახელმწიფოს დემოკრატიული სამართლებრივი მოწყობა, თავისუფალი არჩევნები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მრავალი საკითხი ევროსაბჭოს ყურადღების ცენტრში ექცევა. მათ შორისაა, დევნილთა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემა, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები და ა.შ.

ევროსაბჭო უაღრესად ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის ნევრობას სახელმწიფოსათვის გარკვეულ-ნილად ადასტურებს მათ მიეცუთვნებას პლურალისტული დემოკრატიის სტანდარტებისადმი. აქედან გამომდინარე, არსებობს გარკვეული ზენოლის სისტემა ევროსაბჭოში შემავალ იმ სახელმწიფოებზე (ან კანდიდატებზე), რომლებშიც ამ წიაღაგზე წარმოიქნება ესა თუ ის პრობლემა. ამასთანავე, ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოთა უკმაყოფილება საშინაო საქმეებში ჩარევის გამო. სხვა სიტყვებით, – ევროსაბჭოს მოღვაწეობა ინერება ამ თუ იმ საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში და მონაწილეთა მიერ განიხილება, პირველ ყოვლისა, მათი პირადი საგარეო-პოლიტიკური ინტერესების პრიზმაში. ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის შედეგად შეიძლება შეიქმნას საკმაოდ სერიოზული კოლიზიები და, ამგვარად, არაერთხელ მომხდარა. მაგ., შიდაპოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით თურქეთში (ქურთებ-

ის პრობლემა), ბელარუსში (ადამიანის უფლებათა დარღვევა), რუსეთს კი ჩეჩინეთის ომთან დაკავშირებით დროებით შეუწყიტეს წევრობა. საკმაოდ გაინელა ევროსაბჭოში სომხეთისა და აზერბაიჯანის მიღების პროცესი ყარაბალის კონფლიქტის გადაუწყვეტელობის გამო.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

ეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს 1973 წლიდან. მასში შედიოდა პრაქტიკულად ყველა ევროპული სახელმწიფო, აგრეთვე აშშ და კანადა. ეუთო-ს უნიკალურობას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წყობის მქონე და ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო სტრუქტურები (ნატო და ვარშავის ხელშეკრულება), აგრეთვე ნეოტრალური და მიუმხრობელი ქვეყნები, ცდილობდნენ შეექმნათ მუდმივი დიალოგის ორგანიზებული პროცესი და ენარმობებინათ მოლაპარაკებები კონტინენტზე უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტიების შესაქმნელად.

ეუთო-ს მოლვანეობის შედეგი გახდა 1975 წ. მიღებული „პელსინჯის აქტი“. მან განსაზღვრა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პრინციპები („პელსინჯის დეკალოგი“). პელსინჯის შეხვედრას მოჰყვა არაერთი ანალოგიური ფორმუმი. საერთო ჯამში, ეუთო-ს მოლვანეობამ 80-90-იან წლებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ევროპის რეგიონში მდგრამარეობის სტაბილიზაციის საქმესა და ევროპული თანამშრომლობის განვითარებაში. ცივიომის დასრულებამ კიდევ უფრო გაზარდა ორგანიზაციის როლი და მოაქცია იგი კონტინენტზე საერთაშორისო-პოლიტიკური განვითარების პოსტკონფრონტაციული ფაზის ცენტრში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა 1990 წ. ეუთო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობების მეთაურების შეხვედრაზე მიღებულ „პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის“.

სოციალისტური ბლოკისა და საბჭოთა კავშირის დაშლამ და ყოველივე ამის შედეგად მომხდარმა ცვლილებებმა ევროპულ საერთაშორისო-პოლიტიკურ ლანდშაფტში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ორგანიზაციის მუშაობაზე. 90-იანი წლების დამახასიათებელ ნიშნად იქცა მნიშვნელოვანი სიახლეები მთელი რიგი მიმართულებებით. იმავდროულად მიმდინარეობს მუდმივი დებატები ამ სტრუქტურის ფუნქციური დანიშნულების შესახებ და მისი როლის თაობაზე ევროპის საერთაშორისო ცხოვრებაში.

მოხდა ეუთო-ს წევრ-სახელმწიფოთა რიცხვის მნიშვნელოვანი გაზრდა (ყოფილი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავის რესპუბლიკების ხარჯზე).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეუთო-ს ჩაბმა კონფლიქტური

სიტუაციების მონესრიგების საქმეში. არაერთი განცხადება და მონოდება გაკეთდა შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს განცხადებები, რომელიც ხშირად გაერო-ს რეზოლუციების იდენტურია, ძირითადად, უპასახუდ რჩება და პრაქტიკული შედეგი არ გააჩნია. სწორედ ამ თვალსაზრისით ეუთო-ს როლის ეფექტურობის გაზრდა უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

ეუთო-ს თითქოს სურს, რომ გახდეს მთავარი ინსტრუმენტი კონფლიქტების წარმოქმნის უვნებელყოფის, კრიზისების რეგულირებისა და პოსტკონფლიქტური აღმშენებლობის საქმეში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები: ეუთოს-გრძელვადიანი მისიები პოლიტიკური მონიტორინგის მიზნით, დაპირისპირებულ მხარეთა კონტაქტების ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის მხარდაჭერა. ამ მიზნებით ეუთო-ს არაერთი მისია მოქმედებს სხვადასხვა სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც.

აღსანიშნავია ეუთო-ს მოღვაწეობა ყარაბალის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. სწორედ მისი ეგიდით ფუნქციონირებს ე.წ. „მინსკის ჯგუფი“.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ეუთო-ს მოღვაწეობაში არის მისი მომავალი როლის განსაზღვრა. არსებობს საერთო აზრი, რომ მან უნდა დაიკავოს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ევროპის საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა რეალურად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის მისწრაფება წატო-სა და ევროკავშირისაკენ, აშკარას ხდის ეუთო-ს როლის მარგინალიზაციის ტენდენციას. თავის მხრივ კი რუსეთს სურს (ჯერჯერობით წარუმატებლად) იგი გადაქციოს წატო-ს გასანეიტრალებელ იარაღად.

ევროპის კავშირი

ევროპის კავშირს, რომელიც 15 წევრ-სახელმწიფოს აერთიანებს, უნიკალური ადგილი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის. ამ სისტემის ჩარჩოებში ხდება მასში მონაწილე ქვეყნების თანდათანობითი ინტეგრირება – სულ უფრო ფართო უფლებამოსილების გადაცემა და საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება მთელი თანამეგობრობის დონეზე, რომელიც სულ უფრო მეტად იღებს ერთიანი ორგანიზმის სახეს და იძენს დამოუკიდებელი ფუნქციონირების უნარს. ამ პროცესის აბიექტური საფუძველია ეკონომიკის აღმავალი ინტერნაციონალიზაცია. ამდენად, ევროკავშირის ჩარჩოებში ინტეგრაციული განვითარების მთავარ სფერო იყო და არის ეკონომიკა. ამ თვალსაზრისით მთავარ ამოცანას წარმოადგენს უნიფიცირებული ეკონომიკური სივრცის ფორმირება, რომელშიც ყველა მოქმედი პირი როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული, ჩაყენებ-

ულ იქნება თანაბარ პირობებში მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კუთვნილების მიუხედავად.

1968 წელს დასრულდა საბაზო კავშირის ფორმირება. ერთიანი აგრძარული ბაზრისა და სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფორმირება ევროკავშირის ჩარჩოებში კიდევ უფრო ადრე დაიწყო. 1985 წ. მიღებულ იქნა ერთიანი ევროპული აქტი, რომლის შესაბამისადაც 1992 წ. შეიქმნა ერთიანი შიდა ბაზარი და მოისპო ყველა შეზღუდვა და ფორმალობა, რომლებიც მოქმედებდა ინტეგრაციული ჯგუფის ქვეყნების შიდა საზღვრებში. 1990 წლიდან დაიწყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფორმირება, რომლითაც საუკუნის დასასრულს ეკონომიკური სისტემების კონვერგენცია მოხდა (მასში შედის ინტეგრაციული გაერთიანების ცენტრალური ბანკი და ერთიანი ვალუტა).

კავშირის კომპეტენცია თანდათანობით ივება სხვა სფეროებითაც – ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი, ენერგოუზრუნველყოფა, კულტურა, გარემოს დაცვა, ინდუსტრიული პოლიტიკა, სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიების განვითარება, სოციალური პოლიტიკა. 1992 წ. მასატრიიხტი ხელმონერილი ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ ადგენს, რომ მას უნდა გაჩნდეს ორი „საყრდენი“ – თანამშრომლობა და ურთიერთგაგება სასამართლო პრაქტიკისა და საშინაო საქმეების სფეროებში (კერძოდ, ნეკრ-სახელმწიფოთა პოლიციურ სამსახურებს შორის, აგრეთვე საგარეო და უშიშროების პოლიტიკაში (Common Foreign an Security Policy).

ევროკავშირი თანდათანობით ხდება სულ უფრო ანგარიშგასანევი ძალა საერთაშორისო ურთიერთობების ახალ გლობალურ სისტემაში. კავშირის შიგნით შექმნილია საგარეო-პოლიტიკური კონსულტაციებისა და შეთანხმების სისტემა, რაც ნეკრ-სახელმწიფოებს ხშირად აძლევს საშუალებას ილაპარაკონ „ერთი ხმით“ და ანიჭებს ევროკავშირის საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებლად მოქმედი პირის სახეს. ეს კლინდება გაერო-ში და მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა თუ მოლაპარაკებებზე საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციების სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ზოგჯერ ევროკავშირის გავლენა მეტად თვალსაჩინო და ქმედითი ხდება ზოგიერთი საერთაშორისო პოლიტიკური პროექტის მიღების საქმეში (ასე იყო, მაგ., 1995 წ. ევროპაში სტაბილურობის პაქტის ხელმონერასთან დაკავშირებით). კავშირი მეტად აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს „მესამე სამყაროს“ ქვეყნების მიმართ და დახმარებას უნდეს ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს.

მიუხედავად ამისა, ინტეგრირებული ურთიერთქმედება გარე სამყაროსთან (სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს გამოკლებით) ევროკავშირში ხორციელდება უპირველესად სამთავრობოთშორისო კოორდინაციის გზით და გაცილებით უფრო ნაკლებად უფლებამოსილებათა

დელეგირებით ინტეგრაციული კავშირის დონეზე. ამის შედეგად, წევრ-სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური ორიენტირების არდამთხვევის პირობებში, „ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარება ხშირად შეუძლებელია. მაგ., ევროკავშირის წვლილი ყოფილი იუგოსლავის კონფლიქტების მონესრიგების საქმეში უფრო მცირე გამოდგა, ვიდრე ამას ელოდნენ. სწორედ ეს წარმოადგენს დღეს ევროკავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას და საერთაშორისო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის მნიშვნელობა გაიზრდება მხოლოდ „ერთიანი საგარეო პოლიტიკის“ შემუშავების შემთხვევაში. ყოველივე ამის პრაქტიკულ რეალიზაციას კი ხელს უშლის წევრ-სახელმწიფოთა შიში, რომ ხელ-ფეხი შეეკერებათ საკუთარი საგარეო-პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისას.

კიდევ ერთი პრობლემაა სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია. მიღებული თვალსაზრისით, „ერთიანი ევროპის“ არსებობა სრულყოფილი არ იქნება თავდაცვის სფეროში ინტეგრაციის გარეშე, თუმცა მაასტრიხტის ხელშეკრულებას ამ თვალსაზრისით საკმაოდ ზოგადი ხასიათი აქვს და ითვალისწინებს მხოლოდ „ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის შესაძლებელ ფორმირებას, რომელმაც შემდგომ უნდა შექმნას ერთიანი თავდაცვითი სისტემა. იუგოსლავის მაგალითი ადასტურებს, რომ ეუექტური ერთიანი საგარეო პოლიტიკისათვის აუცილებელია მისი გარკვეული სამხედრო უზრუნველყოფა.

დღის წესრიგში დგას ევროკავშირის გაფართოების საკითხი. მასში გაერთიანების პირველი კანდიდატები არიან პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, სლოვენია და კვიპროსი.

საკვანძო საკითხები

- დასავლეთ ევროპის რეგიონალიზაცია და ინტეგრაცია 1945 წლის შემდეგ სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებულ, კერძოდ, ევროპული ჰეგემონიზმისა და იმპერიული მსოფლიო სისტემის დრომოქმულობა და ბიპოლარული სისტემის წარმოქმნა, რომელიც ემყარებოდა ბირთვულ შეკავებას; აგრეთვე მანამდე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევა და მოშლა.
- რეგიონალიზაციის საწყისი პროცესი არ იყო არც ერთიანი ფორმის და არც სწორხაზოვანი. სხვადასხვა ინტერესი და პოლიტიკური ძალა ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნიდა რეგიონული და სპეციფიკური მიზნების მქონე ჯგუფებს.
- ევროპაში ინტეგრაციის პროცესების საზღვრები და კომპლექსურობა მნიშვნელოვანნილად იზრდება XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. თუკი დავაკერდებით ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ნათელი ხდება, რომ ამ მოღვანეობის შედე-

გები უკვე დიდი ხანია არ შემოიფარგლება „ნაციონალური“ საზღვრებით.

— არაფორმალური ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვან შედეგებს იწვევს. მაგალითად, იმ მცირე კონტაქტებმა, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებობდა, გარკვეულნილად ხელი შეუწყო კომუნისტური იდეოლოგიის კრახსა და საბჭოთა ჰეგემონიის დასასრულს. ასევე მნიშვნელოვანია მნვანეთა თუ მშრომელთა სხვადასხვა სახის მოძრაობები დასავლეთ ევროპაში.

— 1989 წლის შედეგ ნატო-სა და ევროკავშირის წინაშე დადგა მათი როლისა და შესაძლებლობების განსაზღვრის ფუნდამენტური საკითხი. ყოველივე ამაზე ევროკავშირის პასუხი იყო, პირველ რიგში, კავშირის ჩარჩოების გაფართოება და ნევრი ქვეყნების უფრო ღრმა პოლიტიკური ინტეგრაცია, მეორე მხრივ კი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრირების ხელშეწყობა.

— ევროკავშირი დღეს არის კომპლექსური და ვრცელი რეგიონული დაჯგუფება. მისი ნევრობა გულისხმობს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებამოსილებების დათმობას; დათანხმებას მაღალ დონეზე ინტეგრირებულ ეკონომიკურ, ფინანსურ ანდა ტექნოლოგიურ მოღვაწეობაზე; კულტურული და ლინგვისტური ჰეტეროგენურობის მნიშვნელოვან ხარისხს. ევროკავშირი ნარმოადგენს არა მხოლოდ ინტეგრირებული ევროპული პოლიტიკის სტრუქტურას, არამედ იგი სულ უფრო ხშირად აღიქმება, როგორც პირველადი სტრუქტურა.

დასკვნები

გლობალიზაციის პროცესი მოიცავს კაპიტალის, ვაჭრობის, ინფორმაციის, ტექნოლოგიების სწრაფ ტრანსნაციონალიზაციას. მსოფლიო სულ უფრო იკუმშება. მიუხედავად ამისა, ადამიანური რესურსები და სოციალური ზნე-ჩვეულებები გაცილებით იშვიათდ არის ტრანსნაციონალური ფენომენი. გლობალიზაცია, რომელშიც დომინირებს დასავლეური კორპორატიული იდენტურობა, ხშირად აღიქმება ადგილობრივი წესებისა და საზოგადოებებისათვის საფრთხედ. რეგიონალიზმი და და ინტეგრაცია შეიძლება აღქმულ იქნეს და გახდეს „ლოკალური“ იდენტურობისა და ფასეულობების დაცვისა და გამდიდრების მექანიზმი. მაგალითად, ევროკავშირის შიგნით, დავა ნევრ-სახელმწიფოებს შორის წამოიქრება საერთო სოციალურ უზრუნველყოფაზე, ასევე კორპორატიული ინტერესების გამომუშავებაზე კავშირის შიგნით ან მის გარეთ „იაფი ფასების“ ქვეყნებიდან საქონლისა და მუშახელის

გადაადგილებაზე. იმავე ევროკავშირის შიგნით საფრანგეთის მთავრობა გამოხატავს უკმაყოფილებას აშშ-ის კინონდუსტრიის შემოქმით ევროპაში, რასაც დამღუპველი შედეგები აქვს ადგილობრივი ევროპული პროდუქციისათვის კინოს, მუსიკის, კულტურის სფეროებში. ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვან ელემენტად იქცა აშშ-ევროკავშირის კონფლიქტისას ურაუგვაის თთ-ის რაუნდზე.

კონფლიქტების ნარმოქმნის პოტენციალი სულაც არ მოსპობილა მაღალ დონეზე ურთიერთდამოკიდებული გლობალური სისტემის შექმნით, მაგრამ რეგიონალიზმი და ინტეგრაცია ხელს უწყობს სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობების ჩამოყალიბება-განვითარებას ლოკალურ დონეზე და ზოგიერთ შემთხვევაში ინვესტ ტრადიციულ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობასა და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსოფლიო პოლიტიკის დიფუზია და დეცენტრალიზაცია ინვესტ არა არასტაბილურობას სისტემაში, არამედ ამჟამად ამტკიცებს კიდევ მის სტაბილურობას, ამჟღავნებს მოქნილობასა და ადაპტირებადობის უნარს მსოფლიო სისტემისადმი მაკრო დონეზე... ახალი მსოფლიო ნესრიგის უმთავრესი ნიშან-თვისება, მაგალითისათვის, ერთი მხრივ, უნდა იყოს ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების განმუხტვა, ხოლო მეორე მხრივ, კონფლიქტების სტაბილიზაცია მთლიანად სისტემაში" (Cetny 1993: 49).

ამ პერსპექტივით, რეგიონალიზმი და ინტეგრაცია არ ნარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოთა ინტერესების შეჯერების იარაღს, ლოკალური უსაფრთხოების შექმნის საშუალებას ანდა ლოკალური იდენტურობისა და ნესების დაცვის გზას გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ, არამედ ასევე ცივი ომის შემდგომ პერიოდში ხდება მსოფლიო ნესრიგის სტაბილურობის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი მექანიზმი.

კითხვები და დავალებები:

1. რა ფაქტორები განაპირობებს რეგიონალიზმის სხვადასხვა ტიპის არსებობას?
2. რა ფორმებით შეიძლება ინტეგრაციის განსაზღვრა?
3. რა მიზეზებმა შეუწყობელი ევროპული ინტეგრაციის განვითარებას?
4. რა ფუნქციები გააჩნია ევროსაბჭოს?
5. რა როლი ეკისრება ეუთო-ს?
6. რა არის ევროკავშირის მიზნები და სპეციფიკა?

ლიტერატურა:

- J. Goodman, Die Europäische Union: Neue Demokratieformen jenseits des Nationalstaates, in: U. Beck (Hg.), Politik der Globalisierung, 331-373, 1998.
- J.S. Nye (ed.), International Regionalism: Readings, (Boston: Little, Brown, 1968).
- A. Hurrell, Explaining the Resurgence of Regionalism in World Politics, Review of International Studies, 21: 4, 1995.
- B. Jachtenfuchs, Kohler-Koch, (Hrsg.), Europäische Integration, UTB, Opladen: 1996.
- P. Knox & J. Agnew, The Geography of the World Economy, London: Edward Arnold, 1994.
- E. Hobsbawm, Age of Extremes: The Short History of Twentieth Century, 1914-1991, (London: Michael Joseph, 1994).
- R. Keoane et al. (eds.), After the Cold War: International Institutions and State Strategies in Europe 1989-1999, (London: Harvard Univ. Press, 1993).
- W. Wallace (ed.), The Dynamics of European Integration, London: Pinter, 1990.

XI. ნაციონალიზმით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები

ნაციონალიზმია, როგორც ჩრდენათა სისტემამ, იდეოლოგიამ და ასევე პოლიტიკურმა მოძრაობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების პროცესში. იდეოლოგიის თვალსაზრისით, იგინარმოადგენს იდეათა ერთობლიობას კაცობრიობის საზოგადოებებად ორგანიზების შესახებ, ამ ორგანიზების შესაბამისი პოლიტიკური ფორმის თაობაზე და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ნარიმაროს ურთიერთობები სახელმწიფოებს მორის, რომელიც გამოხატავენ სხვადასხვა ერების ინტერესებს. ნაციონალიზმით მრავალი დისერსია გამოინვია როგორც ზოგადად სოციალური მეცნიერების, ისე კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ამ დისერსიების ნანილის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რატომ გახდა ნაციონალიზმი ესოდენ ყოვლისმომცველი ფენომენი, სხვა დისერსიების თემას ნარმოადგენდა იმ სიძნელეების გადალახვის გზების მოძიება, რომელიც თანაბეჭდავს ნაციონალური მოთხოვნების შეთანხმებას, შერიგებას საერთაშორისო ნესრიგის მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმი ხშირად განიხილებოდა, როგორც ნარსულის გადმონაშთი, საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ იგი ერთდროულად უპირისპირდება გლობალიზაციის პროცესებს და, მეორეს მხრივ, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სწორედ ამ პროცესების შედეგია. ნაციონალიზმის უმთავრეს პარადოქსს კი ნარმოადგენს ის, რომ იდეოლოგიის სახით იგი გამოკვეთს სახელმწიფოებისა და ხალხების ურთიერთგანსხვავებულ ხასიათს. ამასთანავე, იგი იმ გლობალური პროცესის შედეგია, რომლის დროსაც ყველა ქვეყანა ჩართულია ერთიან პოლიტიკურ და ნორმატიულ სისტემაში.

ნაციონალიზმი და გლობალიზაცია

ნაციონალიზმია, როგორც იდეოლოგიამ და სოციალურმა მოძრაობამ, უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების პროცესში. ამ ცოტა ხნის ნინათაც კი ნაციონალიზმს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ნაციონალიზმი განიხილებოდა, როგორც ნარსულის გადმონაშთი, 1945 წლამდე ევროპაში ომების მიზეზი, კოლონიალიზმის მიერ დატოვებული „მემკვიდრეობა“ მესამე სამყაროში, საერთაშორისო ურთიერთობების თანმხლები, შესაძლოა, აუცილებელი, მაგრამ, ამასთანავე, ირაციონალური თვისება. დომინირებდა თვალსაზრისი, რომ სახელმწიფოები თანდათანობით დაივინებდნენ ნაციონალიზმს და საერთაშორისო ნესრიგის უზრუნველსაყოფად, უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის, გამოიყენებდნენ ახალ ინსტიტუტებს,

მაგალითად, გაერო-ს ან ეეროკავშირს. გლობალიზაცია, როგორც სახელმწიფოთა და საზოგადოებების მჭიდროინტეგრაციის ფორმა, ამ პროცესის ხელშემწყობად მიიჩნეოდა: შემცირდებოდა განსხვავებები სახელმწიფოთა შორის, მოსახლეობა გახდებოდა უფრო გახსნილი თანამშრომლობისა და ვაჭრობისათვის. იდენტურობისა და ლინიალურობის დონე, რასაც აქამდე ემყარებოდა ნაციონალური სახელმწიფო, შემცირდებოდა. აქედან გამომდინარე, თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო უფრო დაპირისპირებული გლობალიზაციის სულისკვეთებასთან, ვიდრე ნაციონალიზმი.

ამგვარმა მიღებომამ დღეს გარევეულნილად სიმყარე დაკარგა და ბევრი უკვე საპირისპიროს ამტკიცებს. ნაციონალიზმის არსებობა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად სამყაროში, უმეტესნილად განპირობებულია ხალხების მიერ დამოუკიდებლობის, ან სახელმწიფოთა შიგნით ფართო ავტონომიის მოთხოვნით, ან პროტესტით მიგრაციისა და თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა პროცესში ნაციონალიზმი ქმნის ტერიტორიული ქიმპისა და ომის, ან ეკონომიკური სარგებლის მიღებისათვის დაპირისპირების საფუძვლებს.

ნათელია, რომ გლობალიზაცია სრულიად სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაპირისპირო პროცესების სახით ვლინდება. საქონლისა და ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის შექმნით, სახელმწიფოთა შორის ადამიანთა გადაადგილებით, იგი ასევე ინვესტ უკურეაქციასა და წინააღმდეგობას, მათი მხრიდან, ვინც მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები შეილახა. ყოველივე ეს თვალსაჩინოა როგორც განვითარებულ ქვეყნებში, სადაც არსებობს მტრული დამოკიდებულება მიგრაციისა და თავისუფალი ვაჭრობის მიმართ, ისე მესამე სამყაროში, სადაც მიიჩნევენ, რომ ისინი იჩავრებიან განვითარებული ქვეყნების მიერ. ამ თვალსაზრისით ნაციონალიზმი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც რეაქცია გლობალიზაციის წინააღმდეგ, მაგრამ, მეორე მხრივ, ნაციონალიზმი ასევე არის გლობალიზაციის პროდუქტი. ერთი მხრივ, ნაციონალიზმის აღმავლობა 80-90-იან წლებში მიუთითებს სახელმწიფო აღმშენებლობის სხვა ფორმების ნარუმატებლობაზე, ჟპირველეს ყოვლისა, კომუნისტური სამყაროს ყოფილ მულტიეთნიურ ქვეყნებში: სოციალისტური ბანაკის კოლაფსის შემდეგ ნაციონალური ნიშნით ოთხი სახელმწიფო დაიშალა – სსრკ, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და აფრიკაში ეთიოპია. ნარმოიქმნა 22 ახალი ქვეყანა. ამ შემთხვევაში გლობალიზაციის სამყაროში ხალხები მოითხოვენ არა უფრო დიდ სახელმწიფოებში ინტეგრირებას, არამედ სეცესიას – გამოყოფას, დამოუკიდებლობას და გამოხატავენ მსოფლიო ბაზარზე საკუთარი პირობებით გასვლის სურვილს. მაგრამ, მეორე მხრივ, გამოვლინდა ნაციონალიზმის

სხვა ფორმაცი – ნაციონალური უნიფიკაცია, ან სწრაფვა გაერთიანებისაკენ, რისი უპირველესი მაგალითიცაა გერმანია და ასევე ნაწილობრივ ჩინეთი, იემენი და კორეა. ერთ შემთხვევაში კავშირი ნაციონალიზმსა და გლობალიზაციას შორის გამოიხატება ფრაგმენტაციით, სეცესიით, მეორე შემთხვევაში კი უნიფიკაციით, გაერთიანებით.

<p>გლობალიზაცია და ნაციონალიზმი: ნინააღმდეგობრივი პროცესები ნაციონალიზმის საპირისპირო ფაქტორები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ეკონომიკური ინტეგრაცია. - მიგრაცია - მოგზაურობა და ტურიზმი. - სამუშაო ადგილები. - გლობალური საფრთხეები. - მსოფლიოს მომცველი. კომუნიკაციები. - ეკონომიკური სუვერენიტეტის რჩმენის დასასრული. 	<p>ნაციონალიზმის ხელშემნყობი ფაქტორები:</p> <ul style="list-style-type: none"> - უცხოელი ინვესტიორებზე კონტროლის დაკარგვა. - მტრული განწყობა ემიგრაციისადმი. - უმუშევრობის შიში. - უკმაყოფილება ზენაციონალური ინსტიტუტებით. - უცხო კულტურის მიუღებლობა. - ტერორიზმისა და ნგრევის შიში. - მტრული დამოკიდებულება გლობალური მედიისადმი. - ლტოლვა სეცესიისადმი
--	---

ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთკავშირის განხილვა, აღნიათ, უნდა დაიწყოს საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემის ფორმირების საწყისი ეტაპიდან. დოქტრინის სახით, ნაციონალიზმი გულისხმობს დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობას. მისი დედაარსია ხალხების განსხვავებული კულტურისა და ისტორიის არსებობის ხაზგასმა. ამასთანავე, ნაციონალიზმი ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე გახდა საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების შემადგენელი ნაწილი. გლობალური ცვლილებების შედეგად სოლიდარობისა და ლოიალურობის ძველი ფორმები დაენინდა. ახალი იდეების გავრცელებას კი ხელი შეუწყო საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციამ, სახელდობრ: მსოფლიო ბაზრის აღმავალმა ინტეგრაციამ, ევროპული კოლონიური იმპერიების შექმნამ, ამ იმპერიებისადმი ნინააღმდეგობის მოძრაობების ჩარმოქმნამ, მსოფლიო ომებმა და დემოკრატიის გავრცელებამ. პარადოქსია, რომ ნაციონალიზმის დოქტრინამ, რომელიც ქადაგებს ხალხთა უამოუკიდებლობასა და სეპარატიზმს, აღმავლობა განიცადა გასულ ორ უკუნეში საერთაშორისო და გლობალური ტერიტორიების წინ ნამონევის უდიდესობაზე და, ამასთანავე, დაუპირისპირდა ამ ტერიტორიებს.

ზემოთქმულის მიუხედავად, კავშირი ნაციონალიზმსა და საერთაშორისო სისტემას შორის მარტოლიდენ ისტორიული ხასიათით არ შემოიფარგლება, იგი ასევე ნორმატიულია, რაც მოიკავეს გარკვეულ ფასეულობებსა და იდეებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვოროს ხალხმა და ვის მიმართ უნდა იყოს იგილოიალური, ვის უნდა დაემორჩილოს. ნაციონალიზმი, მსოფლიოში მისი გავრცელების შედეგად, გახდა საკუთრივ საერთაშორისო სისტემის არსებობის მთავარი გამამართლებელი ფაქტორი ანდა მისთვის ლეგიტიმურობის მიმნიჭებელი დოქტრინა. თანამედროვე ეპოქამდე სახელმწიფოთა არსებობა მართლდებოდა მათი მმართველების, დინასტიებისა და რელიგიების მეშვეობით. ნაციონალიზმის გავრცელების შედეგად მოხდა ამგვარი მიდგომის უარყოფა და მის სანაცვლოდ შეიქმნა სისტემა, რომელშიც სახელმწიფოთა არსებობა მართლდება იმის საფუძველზე, რომ ისინი გამოხატავენ საკუთარი ხალხების ინტერესებს. ამგვარად, გაჩნდა „ეროვნული სახელმწიფოს“ ცნება, რომელიც გულისხმობს, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია და მოვალეა განახორციელოს საკუთარი ხალხის ინტერესები. შეიქმნა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი, რომლის თანახმადაც თითოეულ ერს გააჩნია უფლება განსაზღვროს საკუთარი ბეჭი – იყოს დამოუკიდებელი ანდა ნებაყოფლობით გაერთიანდეს დიდ სახელმწიფოში. ზემოთქმული კი ნიშნავს, რომ საერთაშორისო ნესრიგის, სამართლის, ლეგიტიმურობის ნებისმიერი პრინციპი, რომელიც სრულიად სხვა საფუძველზე ნარმოიქმნა, ამჟამად გამართლებულია აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით. ნაციონალიზმი გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა ეთიური, მორალური, საფუძველი. საგულისხმოა, რომ დღეს არსებულ სახელმწიფოთა უდიდეს ორგანიზაციას სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ენოდება.

საკვანძო საკითხები

- ნაციონალიზმის უშუალო კავშირი საერთაშორისო ურთიერთობებთან სრული სახით აღიარებულ იქნა მხოლო უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე.
- ნაციონალიზმი, ერთი მხრივ, დაპირისპირებულია გლობალიზაციასთან, მეორე მხრივ კი, მის პროდუქტს წარმოადგენს.
- ნაციონალიზმი ამჟამად წარმოადგენს სახელმწიფოთა და საერთაშორისო სისტემის არსებობის მორალურ საფუძველს.

ნაციონალიზმი როგორც იდეოლოგია

ნაციონალიზმს, სოციალურ მეცნიერებაში არსებული მრავალი სხვა ტერმინის – დემოკრატიის, რევოლუციის, ლიბერალიზმის ანდა სოციალიზმის მსგავსად, საჯაოდ ფართო მნიშვნელობა გააჩნია და გამოიყინება.

ენება ორი საკმაოდ განსხვავებული მოვლენის აღსანიშნავად. პირველ რიგში, იგი ნარმოადგენს პოლიტიკურ დოქტრინას ანდა იდეოლოგიას, ე.ი. არის იმ პოლიტიკური პრინციპების ერთობლიობა, რომლებსაც მხარს უჭერენ მოძრაობები და ინდივიდები. მეორე მხრივ კი, იგი არის სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა, ტენდენცია, რომელმაც უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მთელ მსოფლიოში მოიცვა ყველა საზოგადოება და მოახდინა მათი პოლიტიკური ტრანსფორმაცია.

ნაციონალიზმს, როგორც იდეოლოგიას, სხვა ზემოთ ნახსენები კონცეფციების მსგავსად, მრავალი ვარიანტი გააჩნია და შეუძლებელია მისი ძარტივი, ცალმხრივი დეფინიცია. მრავალი სხვა პოლიტიკური დოქტრინის მსგავსად ნაციონალიზმს არ გააჩნია ფუძემდებლური თეორია ანდა კლასიკური ტექსტები, რომელზეც დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მისი განსაზღვრა. ალბათ, ნაციონალიზმი ახლოს დგას იმასთან, რასაც ზოგჯერ ფილოსოფიურები უწოდებენ – „cluster-concept“ (სხვადასხვა, დამოუკიდებელი ნაწილებისაგან შემდგარი კონცეფცია), ე.ი. ნარმოადგენს იდეას, რომელზეც ჩვეულებრივ „გამომულია“ სხვადასხვა ელემენტები. ნაციონალიზმის აღიარებული ანალიტიკოსი ენტონი სმიტი ნაციონალიზმის 7 მახასიათებელს გამოყოფს.

ნაციონალისტური იდეოლოგიის ფუძემდებლური მახასიათებლები:

1. კაცობრიობა ბუნებრივად არის დაყოფილი ერებად;
2. ნებისმიერ ერს გააჩნია საკუთარი განსაკუთრებული ხასიათი;
3. ნებისმიერი პოლიტიკური ძალაუფლების წყარო ხალხია;
4. თავისუფლებისა და თვითრეალიზაციისათვის ადამიანებმა უნდა მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ერთან;
5. ერებმა საკუთარი ინტერესები შეიძლება განახორციელონ მხლოდ სახელმწიფოების საშუალებით;
6. ერთგულება ეროვნული სახელმწიფოს მიმართ იწვევს სხვა სახის ერთგულების (ლოიალურობის) უარყოფას;
7. გლობალური მშეიფობისა და პარმონიულობის არსებობის უპირველესი წყაროა ეროვნული სახელმწიფოს ძლიერება.

Anthony Smith, *Theories of Nationalism*, 2nd edn., London: Duckworth, 1983, p. 21

ერნესტ რენანის განსაზღვრებით კი „ნაციონალიზმი უპირველესად არის პოლიტიკური პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ პოლიტიკური

და ნაციონალური ერთიანად, პარმონიულად უნდა არსებობდნენ". ზე-მოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმი უპირველესად მორალური პრინციპია, რომლის თანახმადაც ერები უნდა არსებობდნენ ერთი და იმავე ხალხისა და თვითმართვადი პოლიტიკური საზოგადოებების არსებობის საფუძველზე. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, უპირველესად მორალური ან ნორმატივული პრინციპია და ნარმოადგენს შეხედულებას: მის თაობაზე, თუ როგორია სამყარო და როგორი უნდა იყოს იგი.

ნაციონალიზმის თანახმად, ცალკეული „ერები“ და შესაბამისად „ეროვნული გრძნობა“ ათასწლეულების მანძილზე არსებობს. ისტორიის მოხმობასამყაროს ნაციონალისტური ხედვის ცენტრალური ნაწილია. მუდმივად იხმარება „ძველის“, „პირველმოსახლის“, „ტრადიციულის“ ცნებები. მაგრამ საკუთრივ დოქტრინის შედარებით ახალი შექმნილია და იგი ნარმოადგენს XVIII ს-ის მიწურულსა და XIX ს-ის | ნახევარში საერთაშორისო სისტემის შეცვლის შედეგს. სიტყვა „ნაცია“ ანდა მისი ეკვივალენტები, მრავალი საუკუნეა, რაც არსებობს და სხვადასხვაგვარად გამოხატავს იმას, რასაც დღეს უნდა ეუნოდოთ ტომები, ხალხები, მონარქის ქვეშევრდომთა ჯგუფები, თემები. თემის, საზოგადოების გარკვეული იდეა, მისი საკუთარი ისტორიითა და იდენტურობით, და ხშირად საკუთარი ენითა და რელიგიით, ნებისმიერ კულტურაში არსებობდა. მიუხედავად ამისა, ტერმინ „ნაციისა“ და მასთან ასოცირებული „ნაციონალიზმის“ დოქტრინის თანამედროვე სახით გამოყენება XVIII ს-დან იწყება. ჩანს, რომ იგი შეიქმნა სამი გამოცალკევებული, მაგრამ ურთიერთყავშირში მყოფი ფაზის შედეგად.

პირველი ფაზა ასოცირდება განმანათლებლობასთან და უპირველესად საზოგადოებათა თვითგამორკვევის პრინციპითან. ეს არის იდეა, რომლის თანახმადაც ხალხის ჯგუფს გააჩინია გარკვეული საერთო ინტერესები და მან უნდა გამოხატოს საკუთარი სურვილი – თუ როგორ შეიძლება საუკეთესო გზით ამ ინტერესების განხორციელება. ძველი საბერძნეთიდან ნამოსული პოლისის, ანუ პოლიტიკური საზოგადოების იდეაზე დაყრდნობით, ყველაზე სრულყოფილად ეს იდეა უან უან რუსომ გამოხატა. მან შექმნა დემოკრატიისა და უმრავლესობის მმართველობის ლეგიტიმურობის თანამედროვე იდეების საფუძველი. გვიანდელი დემოკრატი მოაზროვნები, უპირველესად, ჯონ სტიუარტ მილნი, მას უმატებენ ნარმომადგენლობით ხელისუფლებას, როგორც პოლიტიკური სისტემის ყველაზე სასურველ ფორმას: თუკი მოხდება ნარმომადგენლობითი ხელისუფლების, როგორც ინდივიდუალური თვითგამორკვევის პრინციპის კოლექტიური ფორმის საშუალების რეალიზაცია, აქედან მეტად მცირე გზა რჩება გასავლელი ერთა თვითგამორკვევის იდეამდე.

მეორე ფაზა ნაციონალიზმის იდეის ევოლუციისა საფრანგეთის რევოლუციიდან მომდინარეობს. მონარქიის ოპოზიცია საკუთარი

თავის ალსანიშნავად იყენებდა ტერმინს „ნაცია“, რომელშიც იგულისხმებოდა მთლიანად ფრანგისალხი დამოუკიდებლად მანამდე არსებული წოდებებისა და სტატუსისა. ამ შემთხვევაში „ნაციის“ კონცეფცია უპირველესად გამოხატავს ერთიან, თანასწორუფლებიან მოქალაქეობას, ხალხის ერთიანობას. რევოლუციის ლოზუნგი „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ სწორედ ამ იდეიდან იყო ნარმოშობილი. ამდენად, „ნაციის“ კონცეფცია დაკავშირებული იყო სახელმწიფოთა შიგნით მცხოვრებთა თანასწორობასთან, დემოკრატიის ადრეულ კონცეფციასთან. საფრანგეთში მიმდინარე ამ ევოლუციასთან ერთად დაიწყო მსგავსი პროცესები ამერიკაში, რაც გამოიხატა ჩრდილოეთში ამბოხით ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ (1776-1826.) და მოგვიანებით ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლით სამხრეთში (1820-1826.). აქ ამბოხის საფუძველი პოლიტიკური იყო – ბრძოლა ევროპის იმპერიული ცენტრებისაგან დამოუკიდებლობისათვის, პოლიტიკური უფლებებისა და საზოგადოების თვითგამორკვევისათვის.

„ნაციის“ ამ დემოკრატიულ და პოლიტიკურ კონცეფციას შეუერთდა მისი მესამე ფაზა, საბოლოო კომპონენტი – გერმანული რომანტიკული იდეა Volk-ის ანუ ხალხისა. რაც გულისხმობს, რომ საზოგადოების ერთიანობა ეფუძნებოდა არა იმდენად პოლიტიკურ იდენტურობას, რამდენადაც ისტორიას, ტრადიციასა და კულტურას. Volk-ის იდეის თანამემად, როგორც მას ქადაგებდნენ, მაგალითად, პერდერი და ფიხტე, კაცობრიობა დაყოფილია ცალკეულ ხალხებად, რომელთა შორის განსხვავებები და მათი იდენტურობა უნდა გამოვლინდეს კელევის საშუალებით და, ამგვარად, შესაძლებელი გახდება თითოეული ხალხის ხასიათისა და განსაკუთრებულობის დადგენა.

სწორედ ამ სამი ფაზისაგან შეიქმნა ის პოლიტიკური დოქტრინა, რომელსაც დღეს ნაციონალიზმს უწევს. იგი ალბათ ყველაზე მკაფიოდ იტალიელმა ჯუზეპე მაზინიმ ნარმოაჩინა. მისი რწმენით, ერებს გააჩინათ საკუთარი ეროვნული ტერიტორიები და უნდა იყვნენ დამოუკიდებელი. იტალიის შემთხვევაში ლაპარაკი იყო დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებაზე. მაგრამ მაზინიმ ხმარებაში ასევე შემოიტანა ორი სხვა ელემენტი, რომელიც შევიდა ნაციონალიზმის თანამედროვე კონცეფციაში. პირველი ნარმოადგენს ერის მორალურ კონცეფციას, რომლის თანამემადაც თითოეული ინდივიდი არა მხოლოდ ეკუთვნის ერს, არამედ მოვალეობაა დაემორჩილოს ერის ნებას. ამ გზით ერთგულების, პატრიოტიზმის, საზოგადოებასთან იდენტიფიცირების ადრეული კონცეფციებითანამედროვე სახელმწიფო სისტემის ნაწილი გახდა. მაზინის მეორე იდეას ნარმოადგენს „ნაციების ოჯახის“ კონცეფცია, კერძოდ, თუეკი მსოფლიო დაყოფილია ერებად, მაშინ მათი იდენტიფიცირებისა და თვითგამორკვევის გზით, შეუძლიათ მიაღწიონ დამოუკიდებლობას. მისი თვალსაზრისით, ყოველივე ამის

შედეგი იქნება მშევიდობა ერებს შორის ამ ახალ საფუძველზე. ფრანგი ერნესტ რენანისათვის კი ნაციონალიზმი იყო „ყოველდღიური პლების ცი-ტი, პროცესი, რომლითაც ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზოგადოებას მუდმივად შეუძლია საკუთარი იდენტურობა და ნება გამოხატოს განვიძო-ბადი არსებობის, თვითგამორკვევისა და სურვილების საშუალებით.“

საკვანძო საკითხები

- ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, ნორმატიული იდეაა. ერები ობიექტურად არსებობენ და მათ უნდა გააჩნდეთ თვითგა-მორკვევის უფლება.
- ნაციონალიზმის თანამედროვე იდეა ნარმოადგენს შერწყმას:
 1. თვითმართვადი საზოგადოების განმანათლებლობის და ლიბ-ერალური იდეებისა;
 2. თანასწორუფლებიან მოქალაქეთა სა-ზოგადოების საფრანგეთის რევოლუციის იდეის;
 3. ისტორიით, ტრადიციებითა და კულტურით ფორმირებული ხალხის გერმან-ული კონცეფციებისა.
- ნაციონალიზმი არის როგორც ისტორიის, ტრადიციის, ისე გარკვეული მოვალეობის იდეა.

ნაციონალიზმი როგორც მოძრაობა

ნაციონალიზმი XIX საუკუნის მინურულიდან იწყებს გაერცელებას. XIX საუკუნის დასაწყისიდან ევროპა ნაციონალისტური მოძრაობების არნახული აღმავლობის ფაქტის წინაშე აღმოჩნდა – საბერძნეთში, გერ-მანიაში, იტალიასა და ირლანდიაში, უფრო მოგვიანებით კი ცენ-ტრალური და აღმოსავლეთის ევროპის მულტიეთნიკურ იმპერიებში – ავსტრი-უნგრეთის, პრუსიის, რუსეთის, ოსმალეთის იმპერიებში. ნა-ციონალისტური მოძრაობების გაექტიურების შედეგად ეს იმპერიები თანდათანობით თმობდნენ თავიანთ პოზიციებს, სანამ I მსოფლიო ომის შემდეგ საერთოდ არ გაქრნენ მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან.

I მსოფლიო ომის შედეგად შეიქმნა იმის საშუალება, რომ ეროვნუ-ლი თვითგამორკვევა, რომელიც აქამდე ეხებოდა მხოლოდ ევროპასა და ამერიკის თეთრკანიან ელიტას, გამხდარიყო უნივერსალური პრინცი-პი და გამოვლენილიყო რადიკალური რევოლუციის ფორმით (ბოლშე-ვიკური რევოლუცია რუსეთში) ანდა აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსო-ნის მიერ ნარმოდგენილი ლიბერალური პროგრამის ფორმით. ომამდე მრავალი ნაციონალისტი მიიჩნევდა, რომ ერების უფლებების რეალი-ზება შეიძლებოდა მომხდარიყო სეცესიის გარეშე, ფედერალური ან რეგიონული უფლებების განხორციელებით სახელმწიფოთა შიგნით, ანდა კულტურული ავტონომიით. მაგრამ ომის შემდეგ თანდათანობით მოხდა თვითგამორკვევის პრინციპის ასოცირება დამოუკიდებლო-

ბასთან. თითქოს ჩანდა, რომ ადგილს იმკვიდრებდა ეროვნული თვით-გამორკვევის ეპოქა და მაზინის მიერ ნაქადაგები „ნაციათა ოჯახი“. მაგრამ ამგვარად არ შომხდარა სამი ძირითადი მიზეზის გამო:

პირველ მიზეზს ნარმოადგენს ის, რომ ეროვნული კოლონიური იმპერიები საკმაო ხნის მანძილზე უარს ამბობდნენ დამოუკიდებლობა მიეცათ აფრიკისა და აზიის ხალხებისათვის. მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც დამარცხებულების გარდა, გამარჯვებულებსაც გამოაცალა ძალა, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია და ბელგია დათანხმდნენ და იძულებულნიც გახდნენ დამოუკიდებლობა მიენიჭებინათ მესამე სამყაროში თავიანთი კოლონიებისათვის.

შეორე მიზეზი არის ის, რომ ნაციონალიზმი, მთელი სისრულით გამოხატვის შემთხვევაში, იწვევდა არა მშვიდობას სახელმწიფოებს შორის, არამედ კონფლიქტებს, დიქტატურების დამყარებას, დაბოლოს, – მსოფლიო ომებს. მაზინის პერეფრაზირება რომ მოვახდინოთ, თუკი მართლაც არსებობდა „ნაციათა ოჯახი“ – ეს იყო შიდადაპირისპირებებით სავსე, ბელნიერებასა და სიმშვიდეს მოკლებული ოჯახი. ხალხები ტერიტორიული თვალსაზრისით, ხშირად ერთმანეთში აღრეულები იყვნენ და ისტორიული უფლებებით აპელირება აუცილებლად იწვევდა მათ შორის კონფლიქტებს. მაგალითად, ნაციონალიზმის ნიადაგზე დაპირისპირები და ომები ბალყანეთზე პრაქტიკულად დღემდე გრძელდება. განსაუთრებით საშიში ფორმა კი ნაციონალიზმა 20-30-იან წლებიდან გერმანიასა და იტალიაში მიიღო. იტალიაში იგი ემყარებოდა ძალაუფლების გაზრდის სურვილსა და სამხედრო ექსპანსიას, ხოლო გერმანიის შემთხვევაში, საზღვრების ძალადობრივ გადასინჯვასა და ებრაელების გენოციდს.

გარდა ამისა, არსებობდა მესამე მიზეზიც, რომელმაც 1918 წლის იმედების დასამარება გამოიწვია და რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო II მსოფლიო ომის შემდეგ გახდა. ეს მიზეზი შემდეგი სახის იყო: დამოუკიდებელ სახელმწიფოებშიც კი, სადაც მიიჩნეოდა, რომ მოხდა ნაციონალური იდენტურობისა და თვითგამორკვევის რეალიზაცია, შეიქმნა დაძაბულობის ახალი კერები. პირველად ეს თვალსაჩინო გახდა განვითარებულ სამყაროში, სადაც 60-იანი წლებიდან გამოვლინდა ეროვნული თვითგამორკვევის ახალი ტენდენციები ანდა ნარმოიქმნა ეთნიკური მრავალფეროვნების აღიარებისა და სათანადო უფლებების მოთხოვნა სახელმწიფოთა შეგნით. ევროპაში არაერთი მაგალითი არსებობს: სეპარატისტული მოძრაობები ბასეეთში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში, ბელგიასა თუ კორსიკაზე. აშშ-ში მასობრივი საპროტესტო მოძრაობები დაიწყო თავდაპირველად ზანგების, ხოლო შემდეგ ყველა ფერადანიანის თანასწორუფლებიანობის მოთხოვნით. კანადაში ფრანგულენოვანი კულტურის პროვინცია მოითხოვს ფართო ავტონომიას და ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლობასაც. თუმცა, ნაციო-

ნალისტური და ეთნიკური მოძრაობების აღმავლობას ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ქვეყნების ფრაგმენტაცია არ მოჰყოლია.

გაცილებით უფრო ფეთქებადი აღმოჩნდა ნაციონალიზმის აღმავლობა აღმოსავლეთის კომუნისტურ ქვეყნებში. ნაციონალიზმი ამ შემთხვევაში გახდა საბჭოთა მმართველობასათან დაპირისპირებისა და ნარსულთან კავშირის აღდგენის იარაღი. იგი ასევე დაუკავშირდა ეკონომიკური თავისუფლებისა და დემოკრატიის მოთხოვნებს. საერთო ჯამში, ნაციონალიზმი კომუნიზმის ოპოზიციის საყრდენად გადაიქცა. ყოველივე ამან კი მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა.

საკვანძო საკითხები

- ნაციონალიზმი პირველად თვალსაჩინო გახდა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში;
- I მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა აღმოსავლეთ ევროპის მულტი-ეთნიკური იმპერიების რღვევა, ხოლო II მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის კოლონიური იმპერიების დაშლა;
- 1918 წელს პრეზიდენტ ვილსონის მიერ ერთა თვითგამორკვევის დეკლარაციის შემდეგ არაერთი კონფლიქტი და ომი გაჩადა.

ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები

ნაციონალიზმის დოქტრინის გაძლიერებისა და გავრცელების შედეგები საერთაშორისო ურთიერთობებისათვის მრავალი სახისაა. ერთი მხრივ, ეს არის ნაციონალიზმის ჩართვა საერთაშორისო სისტემაში, მეორე მხრივ კი, ის ანალიტიკური და ეთიკური პრობლემები, რომელთაც ნაციონალიზმი წამოჭრის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისა და პრაქტიკისათვის.

შედეგების თვალსაზრისით, ოთხი უმთავრესი უნდა გამოიყოს: პირველ რიგში, ნაციონალიზმმა გამოიწვია სახელმწიფოთა სისტემისათვის ახალ ფასეულობათა, ლეგიტიმიზაციის ახალი სისტემის დამკვიდრება. სუვერენიტეტისა და ჩაურევლობის ტრადიციული, ვესტფალიის სისტემისათვის დამახასიათებელი გამართლების გარდა, სახელმწიფოთა სისტემას ამჟამად სურს გამოხატოს ცალკეული, ინდივიდუალურად ლეგიტიმური ხალხების ინტერესები. აქედან მომდინარეობს „ეროვნული სახელმწიფოს“ კონცეფციის მნიშვნელობა და ის, რომ, სახელმწიფოებმა უნდა გამოხატონ ერთა ინტერესები (საკუთრივ ტერმინი „საერთაშორისო“ გამოხატავს ამ ორაზროვნებას. იგი 1780 წელს შემოილო ინგლისელმა პოლიტიკურმა თეორეტიკოსმა ჯერემი ბენ-თონემა, რათა განვითარებულ ტონის შორის ურთიერთობისას. შემდგომში იგი აღნიშნავდა „სახელმწიფოთაშორისო“ ურთიერთობებს, რაც ასევე მოიცავდა „ერთაშორის“ ურთიერთობებს). თვითგამორკვევა გახდა

თეორიულად საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი და არსებული საერთაშორისო წესრიგის სავარაუდო საფუძველი. როგორც ერთა ლიგის ხელშეკრულება, ისე გაერო-ს ქარტია ითავისებს ამ თვალ-საზრისს და სნორედ მისგან ნარმოდება საერთაშორისო სამართლის სისტემა. სახელმწიფოებს პრაქტიკული საქმიანობისას შეუძლიათ გამოხატონ ან არ გამოხატონ საკუთარი ხალხების ინტერესები, მაგრამ დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში, დიპლომატიასა და სამართალ-ში, თეორიულად ისინი მოვალენი არიან ამგვარად მოიქცნენ.

მეორე შედეგი არის ის, რომ ნაციონალიზმი გამოიყენებოდა როგორც მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული კომპონენტი სახელმწიფო აღმშენებლობისათვის, საერთო იდენტურობისა და საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობის ფორმირებისათვის. ბუნებრივია, ლინიალურობის ფორმები მანამდეც არსებობდა. ისტორიის მანძილზე ადამიანები თავს წირავდნენ საკუთარი საზოგადოების კეთილდღეობისათვის და ეს მოვალეობად მიაჩნდათ. მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოსათვის, რომელიც აღმოჩნდა ქალაქებში ადამიანების დიდი რაოდენობით მოდინების ფაქტის წინაშე და რომელსაც სჭირდება რესურსების მობილიზება გარეგანი მოქიმებების უკუსავდებლად და საფრთხის უვნებელსაყოფად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა ნაციონალური იდენტურობისა და მიზნების ფორმირება. ყოველიერ ამის რეალიზაციის საშუალებებს წარმოადგენს განათლება, ეროვნულ ჯარში სამსახური, ეროვნული ისტორიის აპოლოგია, პატრიოტული ფილმების გადაღება. ეს ხელს უწყობს ხალხში საერთო იდენტურობის გრძნობის გაძლიერებასა და სახელმწიფოსადმი მორჩილების გაზრდას. ნაციონალიზმის მკვლევრები ხშირად ამტკიცებენ, რომ ნაციონალიზმის ამგვარი ქადაგება განსაკუთრებით ძლიერია ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს საზღვრები და იდენტურობა შეიძლება სრულიად ახალი და გარედან თავსმოხვეული ხასიათის იყოს. ოფიციალური ნაციონალიზმის ქადაგება უეჭველად არის მესამე სამყაროს სახელმწიფოების მიერ ნარმართული ეროვნული აღმშენებლობის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ეს არ ეხება მხოლოდ მესამე სამყაროს. განვითარებულ ქვეყნებშიც – აშშ-ში, საფრანგეთსა თუ დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო ასევე ზრუნავს ეროვნული იდენტურობის გაძლიერებასა და ნაციონალური მიზნების ჩამოყალიბებაზე. განათლებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით იგი გახდა ნანილი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის კავშირის ფორმირებისათვის, აუცილებელი საშინაო კომპონენტი საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს აუტორიტეტისა და ძალოვანების ფორმირების პროცესში. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ნარმატებას მიაღწიოს საერთაშორისო არენაზე თუკი იგი საკუთარი საზღვრების

შიგნით არ ზრუნავს ეროვნული იდენტურობის გაძლიერებასა და ნაციონალური მიზნების ჩამოყალიბებაზე.

გაერო-ს წესდება, თავი I, მუხლი I

გაერო მიზნად ისახავს:

...2. განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიღლოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად;

მესამე შედეგით, ნაციონალიზმი წარმოადგენს უძლიერეს იარაღს საერთაშორისო პოლიტიკურ რუკაზე ცვლილებათა შეტანის საქმეში, ე.ი. სახელმწიფოებს შორის საზღვრების განსაზღვრასა და მათ ტერიტორიებზე. თეორიულად ეს ნიშნავს, რომ რუკა ასახავს ხალხების გადანაწილებას დედამინაზე. მაგრამ პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევაში, ამ რუკის კონტურებს ისტორიული შემთხვევითობა განაპირობებს – ომები, კოლონიური ეპოქის შემდეგ საზღვრების ხელოვნური შექმნა. გარკვეულნილად ასევე შემთხვევითობას წარმოადგენს საზღვრები აშშ-სა და კანადას, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის. მიუხედავად ამისა, ნორმა, რომ რუკა უნდა შეესაბამებოდეს ხალხთა განსახლებას, კვლავაც უბიძებს სახელმწიფოებს იზრუნონ „სამემკვიდრეო“ ტერიტორიების მოპოვებაზე. როგორც აღინიშნა, კომუნიზმის კოლაფსმა გამოიწვია როგორც სახელმწიფოთა გაერთიანება, ისე მათი დაშლა და, შესაბამისად, პოლიტიკურ რუკასთან დაკავშირებული მრავალი ახალი პრობლემა შექმნა.

ნაციონალიზმის მეოთხე შედეგი საერთაშორისო ურთიერთობებისათვის არის ის, რომ იგი წარმოადგენს კონფლიქტებისა და ხშირად ომების წყაროს. ომთაშორის პერიოდში დავამ ტერიტორიული დაყოფის შესახებ, შექმნა რჩმენა, რომ თვითგამორკვევის პრინციპს უნდა უზრუნველეყო მშვიდობა ხალხებს შორის. მაგრამ ამგვარად არ მოხდა. წაცისტურმა და იაპონურმა ექსპერიმენტებმა შექმნეს თვალსაზრისი ნაციონალიზმის დამანგრეველი ძალის შესახებ. ნაციონალიზმი გამოიყენება დიქტატორული რეჟიმების მიერ შიდა ოპოზიციის ჩასახშობად, ასევე გარე აგრესიასთან დასაპირისპირებლად. ნაციონალისტური დაპირისპირების შედეგები გახდა უკანასკნელი პერიოდის კონფლიქტები ყოფილი იუგოსლავიაში, ქაშმირში, შრი-ლანკაში, არაბულ-ისრაელის დაპირისპირებაში.

საკუვანძო საკითხები

- ნაციონალიზმი გასული ორი საუკუნის მანძილზე იყო სახელმწიფოთა სისტემის ნორმატიული და მორალური საფუძველი;
- ნაციონალიზმი ახდენს სახელმწიფოთა ლეგიტიმიზაციას და ასევე გამოიყენება სახელმწიფოთა მიერ, როგორც ეროვნული აღმშენებლობის კომპონენტი.
- ნაციონალიზმი ხდება სეცესიისა და ტერიტორიული მოთხოვნების საფუძველი;
- ნაციონალიზმი მჭიდრო კავშირშია კონფლიქტებისა და ომების დაწყებასთან.

დებატები ნაციონალიზმთან დაკავშირებით

ნაციონალიზმითან დაკავშირებულმა პრობლემებმა არაერთი დისკუსია გამოიწვია. ყურადღებას გავამხვილებთ სამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

სამართლიანობა ნესრიგის ნინააღმდევე

საერთაშორისო სისტემა ემყარება ორ პრინციპს – სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და მშვიდობის შენარჩუნებას მათ შორის. ხშირად მიიჩნევა, რომ ეროვნული თვითგამორკვევა და ლეგიტიმური ეროვნული უფლებების გამოხატვა შეესაბამება ამ საერთო პრინციპებს. ეს პრინციპები ხშირად ასრულებენ გადამწყვეტ როლს, მაგრამ სულაც არ მოგვინევს ღრმა ისტორიული ექსკურსი იმის დასანახად, რომ არცთუ ისე იშვიათად სწორედ ეს პრინციპები განაპირობებენ კონფლიქტებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა პრინციპებთან დაპირისპირება უწევთ. პირველ რიგში, ხშირია შეუსაბამობა და კონფლიქტი ძალთა ბალანსისა და თვითგამორკვევის პრინციპებს შორის. დიდ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის შენარჩუნების პრობლემამ შესაძლოა გამოიწვიოს მათ მიერ გავლენის სფეროების გადანაწილება და ურთიერთათანხმობა, რომ გააჩინდეთ კოლონიები. XVIII საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა და პრუსიამ გაიყევს პოლონეთის მანამდე დამოუკიდებელი სამეფო, ეს აქტი კი გახდა ძალთა ბალანსის შენარჩუნების მკაფიო გამოხატულება. XIX ს.-XX ს.-ის დასაწყისში ევროპულმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს ურთიერთათანხმობას კოლონიური სისტემის არსებობასა და აზიასა და აფრიკაში გავლენის სფეროების გადანაწილებაზე. ცივი ომის დროს და მის შემდეგაც დასავლურმა სამყარომ უფლება მისცა რუსეთს დაემორჩილებინა ხალხები აღმოსავლეთ ევროპაში და საკუთრივ საბჭოთა კავშირის შიგნით. ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებდა დასავლეთის სურვილი შენარჩუნებულიყო სტაბი-

ლურობა და უსაფრთხოება მსოფლიო მასშტაბით (გავიხსენებთ მხოლოდ ორ მაგალითს: 1956 წელს უნგრეთის აჯანყებასა და საუკუნის მიწურულის ჩეჩენეთის ომებს – ორივე შემთხვევაში დასავლეთიდან რეაქცია პრაქტიკულად არ მოჰყოლია თვითგამორჩევის აღიარებული პრინციპის მოთხოვნას). მსოფლიოს სხვა მხარეებში დამოუკიდებლობის ლეგიტიმური მოთხოვნები არაფრად იქნა ჩაგდებული რეგიონული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. 1961 წლიდან 1991 წლამდე აფრიკული სახელმწიფოები უარს ამბდნენ ეცნოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ერთია, სანამ ეს უკვე რეალურ ფაქტად არ იქცა. ასევე არც ერთი ქვეყანა არ არის მზად აღიაროს 15-20 მილიონი ქურთის უფლება – შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ ირანში, თურქეთსა და ერაყში. საბჭოთა სისტემის კოლაფსის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოება მზად იყო მისალმებოდა მის მემკვიდრე სახელმწიფოებსა და ელიარებინა მათი დამოუკიდებლობა, მაგრამ საერთო კონსენსუსი არსებობდა იმის თაობაზე, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულებულიყო. 1993 წელს ლონდონის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში გამოსვლისას, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა დაგლას პერდმა განაცხადა: „მე იმედი მაქვს, რომ აღარ გავხდებით ახალი ეროვნული სახელმწიფოების შექმნის მონაბენი.“

უეჭველია, რომ სწორედ ამგვარ დამოკიდებულებასთან არის დაკავშირებული დასავლური პოლიტიკის დაბნეულობა და უმოქმედობა 90-იან წლებში იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესების მიმართ: ნათელი არ იყო, თუ რა დონეზე უნდა აღმოჩინათ მხარდაჭერა თვითგამორკვევისათვის და რა ეტაპზე უნდა შეწყვეტილიყო ეს მხარდაჭერა. მაგრამ ამ შემთხვევიდან გამომდინარეობს სხვა, მასთან დაკავშირებული პრობლემა. თუკი ერთ საზოგადოებას მიეცემა სეცესიის უფლება, მაშინ დადგება იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სეცესიის პრობლემა: ეს ეხება სერბებს ბოსნიასა და ხორვატიაში, ასევე ჩრდილოეთი რეგიონისა, უკრაინაში მცხოვრებ რუსებს, ისრაელის არაბებს. მსგავსი შემთხვევა, მეტად სავალალო შედეგებით, გერმანელებს უკავშირდება, რომლებიც ჰიტლერის რაიხის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდნენ. არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ ნებისმიერხალხს, ვისაც გააჩნია გარკვეული იდენტურობა, შეუძლია მოითხოვოს საკუთარი სახელმწიფო. მაგალითად, ოთხი ათასამდე ენა არსებობს, მაგრამ არავინ მიიჩნევს, რომ საჭიროა ოთხი ათასი სახელმწიფოს არსებობა. ასევე, ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ხალხებს შესაძლოა გააჩნდეთ სხვადასხვა სახელმწიფოები, მაგალითად, არაბულ, ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, სპარსულად მოლაპარაკეებს. პრობლემაა, თუ სად უნდა გავიდეს გამყოფი ხაზი. ამისათვის საჭიროა სა-

მართლიანობისა და წესრიგის გარკვეული ბალანსის მოძიება. თეოთ-გამორკვევის უფლება, მიჩნეული როგორც ერთი საზოგადოების ხალხ-ების უფლება და მოთხოვნილება – ჰქონდეთ დამოუკიდებელი სახელმ-წიფრ, ხშირად უპირისპირდება საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა პრინციპებს.

ისტორია თანამედროვეობის წინააღმდეგ

ნაციონალიზმი ემყარება „უწყვეტი ისტორიის“ კონცეფციას – ხალხ-ები არსებობდნენ საუკუნეების მანძილზე და მათ გააჩნიათ ისტორიული მესაიერება. ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის მიღწევა ამ ისტორიის კულმინაციას წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს გატაცება იმგვარი სიტყვებით, როგორიცაა – „ალორძინება“, „ხელახალი დაბადება“, ინტერესი არქეოლოგიისა და წინაპრების მიმართ. „ისტორიული“ მოთხოვნები და პრეტეზზიები ასევე გამოიყენება არგუ-მენტების გასამყარებლად საზოგადოების შიგნით, თუ რა არის, ან რა არ არის „ჭეშმარტი, სანდო“. ყოველივე ამას მეტად მნიშვნელოვანი შედე-გები მოაქვს საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. მაგალითად, იმის განსაზღვრა, თუ რა არის „ისტორიული“, „ბუნებრივი“, ზოგჯერ „ლეთის მიერ ბოძებული“, რის გამოხატულებაცაა ეროვნული ტერიტორია. როდესაც ხალხს სურს უარყოს სხვა ხალხის მოთხოვნების ლეგიტიმურობა, უპირველესად იმის მტკიცება ხდება, რომ დაპირისპირებული არ წარ-მოადგენს „ჭეშმარიტ“ ერს, ანდა მეტად მოკლევადიანი და არაფ-რისმთქმელი ისტორია აქვს, ან იგი არსებობდა სადმე სხვაგან – დღევან-დელი განსახლების ადგილიდან დაშორებულ ტერიტორიაზე, ანდა იყო და არის უცხო ძალის მსახური. ისტორია სავსეა მსგავსი მაგალითებით.

ნაციონალური სიმბოლოები

- ენა
- საკვები და სასმელი
- ტანისამოსი
- დღესასწაულები
- სამხედრო გმირები
- დროშები, ფერები და პიმნი
- უცხოელთა დამამცირებელი ტერმინოლოგია

ნაციონალიზმისადმი ამგვარი მიდგომა საერთოა ნებისმიერი ნა-ციონალისტური მოძრაობისათვის. იგი შეიძლება განისაზღვროს,

როგორც პერენაილისტური (მუდმივად არსებული) მიდგომა. საპირისპიროდ, მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ერები არიან: а) შემთხვევითი და ბ) შედარებით ახალი შექმნილები. ამგვარი მიდგომა ზოგადად იწოდება მოღვაწენისტულად. ამ თვალსაზრისით, დღეს არსებული მსოფლიო პოლიტიკური რუკა ასახავს შემთხვევებით და შედარებით ახალ პროცესებს – კოლონიური სისტემის რღვევის შედეგად ნარმოქმნილ საზღვრებს, რომელიც არ ემთხვევა ხალხების რეალურ განსახლებას, ომების შედეგებს, რასაც პრაქტიკულად იგივე შედეგები მოაქვს, კერძო პოლიტიკური დაჯგუფების ტრიუმფს, რომელსაც პრეტენზია გააჩნია იყოს კონკრეტული ერის ნების გამომხატველი. ამ ერის „შექმნაზე ზრუნვა“ კი მხოლოდ შემდევ იწყება. არსებობს ჩეაქცია საზოგადოების არსებობის ძეველი ფორმების მოსპობაზე, რაც ემყარებოდა რელიგიის, დინასტიურ მმართველობას, სასოფლო ცხოვრებას და არის გზა თანამედროვე ქალაქების მცხოვრები უზრუნველყოს არსებობის გამართლებისა და დანიშნულების გრძნობით. იგი ქმნის ნარმოსახვითი საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობას. ეს ტერმინი გამოიყენა ბენედიქტ ანდერსონმა იმ იდეის გამოსახატავად, რომლის თანახმადაც გარკვეული ხალხის ჯგუფში ერთი მეორეს იცნობს, მაგრამ ამ ჯგუფის ყველა წევრის ერთად თავმოყრა შეუძლებელია. ნარსული - ტრადიცია, ისტორია, ენა, ფოლკლორი არ არის ის, რაც განსაზღვრავს დღევანდელობას. იგი პოლიტიკური და ინტელექტუალური ლიდერების მიერ გამოიყენება მასალად ხალხის ერთიანობის განმტკიცებისათვის და სადაც ნარსული საკმარისი არ არის, იქ ისტორია გამოიგონება. ნაციონალიზმის არსებობა შესაძლოა გარდუვალია, მაგრამ მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია შემთხვევებითობის როლი. ერთი მოღერნისტის სიტყვებით, – „ნაციონალიზმის მაგიას ნარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია შანსი გარდაქმნას ბედად“ (Anderson 1991: 19).

ამ ორ პოზიციას შორის არსებობს სხვა, ნაკლებად რადიკალური მიდგომები. ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ერები და ნაციონალიზმი, თანამედროვე პოლიტიკური თვალსაზრისით ახალი შექმნილია, მაიც არსებობს მისი უფრო ადრინდელი კულტურული, ლინგვისტური და პოლიტიკური საფუძვლები. ეს კი ნიშნავს, რომ გადაჭარბებულია ერების შექმნის პროცესში შემთხვევითობაზე ყურადღების გამახვილება. ამგვარად, პერენიალისტური მიდგომის გაზიარების გარეშე, მესაძლებელია დაინეროს, მაგალითად, ინგლისელი, რუსი, ჩინელი თუ ქართველი ხალხის ისტორია. ასეთია გამოჩენილი ავტორის, ენტონი სმიტის (A. Smith 1991) პოზიცია, რომელიც ფორუსირებას ახდენს სიმბოლიზმზე. სმიტი, კერძოდ, ემხრობა კონცეფცია ეთნოსის გამოყენებას, რომელიც ემყარება ეთნიკური ჯგუფის გამოსახატავად გამოყენებულ ფრანგულ ტერმინს იმ საზოგადოებების აღსანიშნავად,

რომლებიც, ჯერ კიდევ წინანაციონალისტურ ხანაში, ქმნიდნენ გარკვეულ საფუძველს თანამედროვე ერებისათვის. ზოგიერთმა მკვლევარმა გამოიყენა ეს შიღვიმა, რათა განესხვავებინა ერების სხვადასხვა სახეები – ისინი, ვისაც გააჩნდა ხანგრძლივი ისტორია გამომდინარე ეთნიკური საფუძვლებიდან. ამგვარი კანდიდატები შეიძლება ყოფილიყვნენ ჩინელები ანდა გერმანელები – და ისინი, რომლებიც უფრო ახალი შექმნილნი არიან – წარმოადგენ ევროპული კოლონიური სისტემის პროდუქტს – აშშ, ავსტრალია, ლათინური ამერიკისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა. აქ განსხვავება შეიძლება გამოიკვეთოს ეთნიკურ და პოლიტიკურ ნაციონალიზმს, ანდა „ისტორიულ“ და „ახლად შექმნილ“ ფორმებს შორის. გამოყოფი ხაზი შეიძლება გაიკლოს იმ შემთხვევებს შორის, როდესაც სახელმწიფო და მასთან ასოცირებული ნაციონალიზმი მომდინარეობს უკვე არსებული საზოგადოებიდან და იმ შემთხვევებს შორის, როდესაც სახელმწიფო თავად ქმნის ნაციონალიზმს და აკრცელებს სოლიდარობის გრძნობას ხალხში. ამგვარ გამოცალებებას შეიძლება გარკვეული გამართლება გამოიქცებოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მრავალმა ქვეყანამ არნახული ძალისხმევა გასწია საკუთარი ნაციონალიზმის შექმნა-განვითარებისათვის. ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია დიდი ენერგია შეაღიერს საკუთარ ხალხში იდენტურობის, ისტორიის ენის განსაკუთრებული გრძნობის ჩანერგვას, იმ ტრადიციების შექმნას, რასაც ეროვნული შეიძლება ენოდოს.

პოზიტიური და ნეგატიური

საერთაშორისო ურთიერთობებში ნაციონალიზმთან დაკავშირებული დისკუსიები ხშირად ეხება მის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. ამ თვალსაზრისით სულ მცირე, ოთხი პოზიტიური არგუმენტის მოყვანა შეიძლება. 1. ნაციონალიზმი ინვესტ ლეგიტიმურობის პრინციპის შექმნას, რასაც ემყარება სახელმწიფოთა თანამედროვე სისტემა. ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოებს შეუძლიათ და ვალდებული არიან გამოხატონ საკუთარი ხალხის ინტერესები, ვინაიდან სწორედ ხალხისაგან იღებენ ლეგიტიმურობას: რუსო-მილნის თემა წარმომადგენლობითი ხელისუფლების შესახებ საერთაშორისო მასშტაბით სწორედ ამ გზით ხორციელდება; 2. ნაციონალიზმი არის დემოკრატიული პრინციპების რეალიზაცია: იგი არის საშუალება, რომლითაც წარმომადგენლობითი ხელისუფლების განმანათლებლობის პრინციპები უნდა განხორციელდეს საერთაშორისო არენაზე; 3. ნაციონალიზმს გააჩნია მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფუნქცია: იგი ინვესტ საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობას, კულტურული ერთიანობის კოხერეტული ფორმების შექმნას. ნათელია, რომ ზემოთქმულის გარეშე ქაოსიდა გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნებოდა; 4. ნაციონალიზმი იყო და რჩება ადამიანთა შემო-

ქმედებისა და მრავალფეროვნების უმნიშვნელოვანეს მასაზრდობელ წყაროდ – ნაციონალიზმის ნარმოქმნას უზარმაზარი შედეგები პქონდა ხელოვნების, ლიტერატურის, ენის, სპორტის და ა.შ., თუნდაც გასტრონომიის განვითარებისათვის. იგი არა მარტო კონკრეტულ ხალხებს, არამედ მთლიანად კაცობრიობას ამდიდრებს. მის გარეშე მსოფლიო უსახური და კარჩაკეტილი იქნებოდა. დიდი საზოგადოებებში მცხოვრები ხალხების კულტურული გამოხატულება – მულტიკულტურალიზმის განვითარება ყოველივე ამის უკანასკნელი მაგალითია.

ასევე არსებობს მრავალი მყარი ძალის ნეგატიური არგუმენტი:

1. ნაციონალიზმი არის კონფლიქტებისა და ომების მიზეზი. ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიების მოსპობის სირთულე, საერთაშორისო და ნაციონალურ პოლიტიკაში ემოციებზე დაყრდნობა გამორიცხავს შეთანხმების შესაძლებლობას. ნაციონალიზმი გახდა თანამედროვეობის შავი ჭირი, მსოფლიო ომების, ეთნიკური წმენდის, გენოციდის მიზეზი და მთელ მსოფლიოში არსებული დაუსარულებელი დაბალი ინტენსიურობის კონფლიქტების მასაზრდობელი წყარო. თავისთვად ნაციონალიზმი შეიძლება ნარმოადგენდეს საღაზრზე დამყარებულ, ლეგიტიმურ იდეოლოგიას, მაგრამ მეტად სწრაფად გარდაიქმნას ქსენოფობიად – უცხოს ზიზღად, შოვინიზმად – აგრესიულ დამოკიდებულებად უცხოელთა და უცხო ქვეყნების მიმართ, მილიტარიზმად – ძალის გამოყენებად პრობლემების გადასაწყვეტად და იმპერიალიზმად – იმპერიების შექმნის სურვილად სხვა ქვეყნების დასამორჩილებლად;
2. ნაციონალიზმი, თუნდაც რომ ერიდებოდეს სამხედრო კონფრონტაციას, შეიძლება გახდეს ნინალობა თანამშრომლობისათვის, იქნება ეს ვაჭრობა, მიგრაცია, გარემოს დაცვა თუ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის სხვა რაიმე მახასიათებელი. თანამედროვე მსოფლიო უნდა ემყარებოდეს არა სეპარატულ, ურთიერთმოქიდევ ნაციონალური მიზნების, არამედ საერთო, გლობალური ინტერესების გააზრებას: მაგალითად, ეს არის პოტენციური გლობალური ბირთვული და ეკოლოგიური საფრთხეები;
3. ნაციონალიზმი, სახელმწიფოების დამლის ხელშეწყობით, ასევე არღვევს სიცოცხლისუხარიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებებს. პოლიტიკური სამართლიანობისა და რესურსების გადანაწილების პრობლემები ნებისმიერ საზოგადოებაში წარმოიქმნება, მაგრამ სეცესიის გარდა ეს პრობლემები სხვა გზებითაც შეიძლება გადაწყდეს;
4. სახელმწიფოს შიგნით ნაციონალიზმის აყვავება არასასურველ მოვლენად შეიძლება იქცეს. იგი კვენების შიგნით ქმნის არატოლერანტობისა და დიქტატურის დამყარების ნიადაგს. მართველობის გარკვეულმა ფორმამ შეიძლება გამოიყენოს ნაციონალიზმისა და უსაფრთხოების არგუმენტები, რათა გაამართლოს ძალაუფლების უზურპაცია. ასევე შეიძლება მოხდეს ნაციონალიზმის

გამოყენება უმრავლესობის ჯგუფის მიერ, რათა დაიმორჩილოს, გააძევოს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, გაანადგუროს ისინი, ვინც არ არიან მიჩნეული უმრავლესობის ნაწილად. ამგვარი კლიმატის პირობებში საერთაშორისო ზენოლას ადამიანთა უფლებების დაცვის მოთხოვნით მეტად მცირე შედეგები თუ მოაქვს. ამგვარი სახელმწიფოებისა და მთავრობების მიერ, რომლების არღვევენ საკუთარი ხალხების უფლებებს, ნებისმიერი კრიტიკა აღიქმება ერის ცხოვრებაში გარეგანი ჩარევის ფორმად და, ამდენად, ყველა კრიტიკოსი ხალხის მტერია და კრიტიკოსთა ფასეულობები სხვა ერის ფასეულობებია. ნაციონალიზმი ასევე იწვევს კულტურისათვის მიუღებელ და უცხო კარჩაკეტილობას.

საკვანძო საკითხები

- ნაციონალიზმი ნარმოადგენს როგორც ხალხთა ხანგრძლივი ისტორიული განვითარების გამოხატულებას, ისე უფრო ახალ, თანამედროვე პასუხს სოციალურ ცვლილებებზე.
- არსებობს მტკიცე არგუმენტები, ერთი მხრივ, იმ თვალსაზრისის დასაცავად, რომ ნაციონალიზმს სარგებლობა მოაქვს საერთაშორისო სისტემისათვის, ისე იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ართულებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს.

პოსტნაციონალისტური ეპოქის დასაწყისი

ჯერ კიდევ ნაციონალიზმის გარიურაჟზე, XIX საუკუნის დასაწყისიდან წინასწარმეტყველებდნენ, რომ ნაციონალიზმს გარდუვალი დაკინება ელოდა, რასაც გამოიწვევდა ის საერთაშორისო პროცესები, რომლებსაც დაეჭვემდებარებოდა სახელმწიფოები და ხალხები. XIX საუკუნის ლიბერალებსა და კომუნისტებს სწამდათ, რომ მსოფლიო ბაზრის შექმნა წამლიდა განსხვავებებს ხალხთა შორის. I მსოფლიო ომის შემდეგ არსებობდა იმედი, რომ საერთაშორისო სამართალი, დემოკრატიის გავრცელება და თვითგამორკვევის პრინციპის ტრიუმფი უზრუნველყოფა ეროვნული კონფლიქტების დასრულებას. 70-იანი წლების შემდეგ, თავდაპირველად ურთიერთდამოკიდებულებისადმი, ხოლო შემდეგ გლობალიზაციისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, ხაზი გაესმეოდა, რომ ჩვენ ვმოძრაობთ უფრო ერთიანი სამყაროს მიმართულებით, რომელშიც ეროვნული განსხვავებები და ეროვნული სახელმწიფო ნაელებად გავლენიანი და ნაკლებად საჭირო გახდებოდა.

ნაციონალიზმი რჩება საერთაშორისო ურთიერთობათა მყარ შემადგენელ ნაწილად. ამასთანავე, ნაციონალიზმის სიძლიერესა და მასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის მიუხედავად, გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ დღეს მსოფლიოში ახალი სიტუაციაა შექმნილი. პირველ რიგში, ნაციონალიზმის კლასიკური გამა-

რთლება – დამოუკიდებლობის მოთხოვნა იმ მიზეზით, რომ არსებობს უცხო კოლონიური ძალაუფლება, თითქმის მთლიანად წარსულს ჩაბარდა. საბჭოთა კავშირისა და სხვა მულტიერნიური იმპერიების კოლაფლება კაცობრიობის ისტორიის ეს თავი გადაფურცლა. დღეისათვის ორასამდე სახელმწიფო არსებობს და საერთაშორისო არენაზე გაბატონებული თვალსაზრისით, ახალი სახელმწიფოების შექმნა არეულობების, დისპარმონიისა და არა წესრიგის დამყარებას გამოიწვევს. ამდენად, მაზინისა და ვუდრო ვილსონის არგუმენტები პრაქტიკულად დავინყებულია. მაზინის მეტაფორის პერეფრაზირება რომ მოვახდინოთ, უფრო მეტი ბავშვი ოჯახს არა უფრო ბედნიერ, არამედ ნაკლებად ბედნიერად აქცევს.

მეორე, ზემდღავრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა უმეტესწილად დამოკიდებულია დემოკრატიულობის დონეზე. საკამაოდ ძლიერია არგუმენტი, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს შორის არ იმობენ და ამდენად, შეუძლიათ თავიდან აიცილონ ნაციონალიზმის ყველაზე არასასურველი შედეგები. მესამე, ნაციონალიზმის შინაარსი, მისი პოლიტიკური პროგრამა იცვლება. როდესაც 80-90-იან წლებში მრავალგვარი ნაციონალიზმის აყვავების ხანა დადგა და არა მხოლოდ ყოფილ კომუნისტურ სამყაროში, ნაციონალიზმი ერთი თვალსაზრისით მაინც შეიცვალა. როგორც ერიკ ჰორბაში ნერს, ნაციონალური ინტერესისა და დიდების ძველი რწმენა, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული თვითდაკმაყოფილებადი ნაციონალური ეკონომიკის ქადაგებით, თანდათანობით შეიცვალა სხვა, ასევე ნაციონალისტური იდეით, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ნარმოადგენს საუკეთესო საშუალებას საერთაშორისო ბაზარზე სასურველი აღგილის მოსაპოვებლად (Hobsbawm 1990).

საბოლოოდ ჩვენ მივდივართ არგუმენტამდე, რაც საკუთრივ გლობალიზაციას ახასიათებს, კერძოდ, კავშირების გამყარება საზოგადოებათა შორის – ვაჭრობაში, მიგრაციაში, ტურიზმში, კომუნიკაციებში – ინვევს ნაციონალური იდენტურობის ნგრევას, ისე როგორც საერთაშორისო და გლობალური მართვის ინსტრუმენტებისა და ინსტიტუტების გამრავლება, ბაზრების გლობალიზაციასთან ერთად, ამცირებს სახელმწიფოთა ძალაუფლებას. არ არის საჭირო გამოვიყენოთ გლობალიზაციის ყველაზე რადიკალური სავარაუდო ვარიანტები ანდა ვინინასწარმეტყველოთ ეროვნული სახელმწიფოების გაქრობა იმის დასანახად, რომ ამ არგუმენტებში სიმართლის გარკვეული მარცვალია. სანინაალმდეგო არგუმენტი უკვე იყო გამოყენებული: ინტეგრაცია ინვევს რეაციის სახით ფრაგმენტაციას, და ბევრი რამ, რაც მიიჩნევა გლობალიზაციად, არის ერთი ქვეყნის ფასეულობებათა და ინტერესის თავისმოხვევა სხვისათვის. მიუხედავად ამისა, გლობალიზაციას ყოველთვის თან ახლავს ცენტრიდანული და სეპარატისტული ტენდენციები, როგორც ეს იყო საერთაშორისო სისტემის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. ნაციონალიზმთან ერთად ნაციონალიზმი,

სხვადასხვა ფორმით, რჩება ნებისმიერი ხალხის ცხოვრების, ასევე ინტერ-ნაციონალური სისტემის განუყოფელ ნაწილად. ნაციონალიზმი არ არის გლობალიზაციის ალტიერნატივა, არამედ მისი შემადგენელი ნაწილია.

საკვანძო საკითხები

- ნაციონალიზმი რჩება როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა, ისე მრავალი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად.
- თვალსაზრისი, რომ ნაციონალიზმი დაკინიდებოდა, მცდარი აღმოჩნდა.
- ნაციონალიზმი წარმოადგენს ახალი საერთაშორისო კონტექსტის პასუხს. მას თავისი, განსაკუთრებული ადგილი უკავია გლობალიზაციის პროცესებში.

კითხვები და დავალებები:

1. რამ შეუწყო ხელი ნაციონალიზმის გავრცელებას ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე?
2. შეიძლება თუ არა ნაციონალიზმის დეფინიცია?
3. რა შედეგები მოჰყევა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის ნაციონალიზმის აღმაფლობას?
4. რა ფუნქცია აკისრია ნაციონალიზმს თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებაში?
5. ერები ყოველთვის არსებობდნენ: დისკუსია.
6. როგორია საერთაშორისო სისტემის დამოკიდებულება ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნებისადმი?
7. რა კავშირშია ნაციონალიზმი საერთაშორისო პოლიტიკური ექონომიკის შესწავლასთან?
8. რა ადგილი უკავია ნაციონალიზმს გლობალიზაციის პროცესებში?

ლიტერატურა:

- A. Anderson, *Imagined Communities, Reflections on the Origin and Spread of Nationalism* (London: Verso, 1992).
- K. Deutsch, *Nationalism and Social Communication* (Cambridge, Mass.: MIT Press, 1996).
- E. Gellner, *Nations and Nationalism*, (Oxford: Blackwell, 1983).
- E. Hobsbawm, *Nations and Nationalism Since 1780: Programme, Myth, Reality* ((Cambridge Univ. Press, 1991).
- J. Mayall, *Nationalism and International Society* (Cambridge Univ. Press, 1991).
- A. Smith, *Theories of Nationalism*, 2nd edn., (London: Duckworth, 1983).
- A. Smith, *National Identity* (London: Penguin, 1991).

XII. კულტურული კონცეპტის სახითამორისო ურთიერთობაში: დასავლეთი და ისლამი

კულტურა და კულტურული განსხვავებების პრობლემა საერთა-შორისო ურთიერთობათა მთელი ისტორიის მანძილზე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ამასთანავე, XX ს-ის მიწურულს, ცივი ომის დასრულებისა და გლობალიზაციის პროცესების განვითარების შედეგად ახალი საერთაშორისო ნესრიგის ფორმირების პირობებში, კულტურის მნიშვნელობა ახალი კუთხით ნარმოჩნდა. მსოფლიოს „შემტიდროებამ“ სხვადასხვა კულტურებს შორის კონტაქტები გააღმავა, ყოველივე ამის შედეგად კი მოხდა კულტურისა და სოციალური ნესრიგის ტრადიციული მოდელების რადიკალური ცვლილება. მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ხალხები აღმოჩნდნენ დილემის ნინაშე – რა უნდა შენარჩუნდეს მათი კულტურიდან და რა უნდა მიეცეს დავინცებას, როგორც დრომოჭმული და გამოუსადეგარი.

დასავლური კულტურა და პოლიტიკური ეკონომიკა გლობალიზაციის დომინირებად ფორმად იქცა.. თუյკ დასავლური მოდელის გლობალური მოძალება, ერთი მხრივ, კაცობრიობას უფრო იდენტურს და მსგავსს ხდის, მეორე მხრივ, ივი ინვესტიციების მძაფრ უკურეაქციას, განსაკუთრებით კულტურის სფეროში. მაშინ, როდესაც გარეული კულტურის მატარებელი ხალხი სხვის კულტურას აღიქვამს არა მხოლოდ უცხოდ, არამედ საფრთხეედაც, იქნება სერიოზული კონფლიქტის საფუძველი. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ნინნამონია ისტორიულმა კულტურულმა განსხვავებამ დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის და გახდა კულტურული უნდობლობის ატმოსფეროს შექმნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. დასავლეთისა და ისლამური სამყაროს დაპირისპირების ისტორიაში ბევრი შავი ფურცელია. დღესაც მიმდინარეობს დისკუსია „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დასავლური და ისლამური ცივილიზაციების დაპირისპირებას ეთმობა... ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას, რომ კულტურა, თანამედროვე სახელმწიფოებრივ სისტემაში, საზოგადოების ერთიანობის გამყარების უმძლავრეს იარაღად რჩება.

კულტურის ფაქტორი კაცობრიობის მოღვაწეობაში

კულტურებმა არსებობა ადამიანთა მიერ საზოგადოებების შექმნისთანავე დაინტენსიური სოციალურ კონსტუქციას ნარმოადგენს, რომლის მრავალსახვანებაც მის დეფინიციას მეტად რთულს ხდის. საზოგადოების ლიტერატურა და ხელოვნება კულტურის ნანილია. ასევე საზოგადოების შიგნით ყალიბდება და ვითარდება პოლიტიკური კულტურა. იგი იმ რნენათა და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთობლიობაა, რომლებიც ასახავენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და

ხალხს უყალიბებენ გარკვეულ მრნამსს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოება და რა მიმართულებით უნდა განვითარდეს იგი. კულტურა სცდება იდეოლოგიის ჩარჩოებს და იგი განმარტავს საზოგადოებაში ინდივიდთა იდენტურობის შინაარსს. საერთო ენის, ეთნიკურობის, რელიგიის, ჩვეულებების, ინსტიტუტების გაცნობიერება, რაც ივსება სპეციფიკური ტერიტორიული განსახლების ფაქტორით, ნარმოადგენს კულტურის სამშენებლო მასალას. ხალხის კულტურის ფორმირების პროცესში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვითიდენტიფიკაციის სიმბოლოები, ტოტემები.

კულტურები ყალიბდება სხვადასხვა დონეზე: სოფლის, ქალაქის, რეგიონის დონეზე ოჯახის, კლანების, ეთნიკური ჯგუფების საშუალებით. კულტურული იდენტურობა ახასიათებს როგორც ერს, ისე სახელმწიფოს. კულტურული იდენტურობის ყველაზე დიდ კონსტრუქციას ნარმოადგენს ცივილიზაცია, რომელშიც სხვადასხვა ხალხების იდენტიფიკირება ხდება მათი დამაკავშირებელი ესთეტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული თუ სოციალური ტრადიციებით. ცივილიზაციები ტრანსნაციონალურ ერთობებია და ისინი ყალიბდება სხვადასხვა ხალხებისა და მსოფლიოს რეგიონების ფუძემდებლური კულტურული მახასიათებლების გაერთიანებით.

ცივილიზაციები დინამიკურია დროსა და სივრცეში. სხვადასხვა კულტურების გაერთიანებასთან ერთად, ისინი ყალიბდება ნარსული ცივილიზაციების იდებსა და მაგალითებზე. ამგვარად, შეუსაუკუნეების ქრისტიანობა გარკვეულნილად დაემყარა ძეველბერძნული და რომაული ცივილიზაციების მრავალ ფილოსოფიურ და ტექნოლოგიურ მიღწევას. შემდგომ ევროპული ქრისტიანობა გარდაიქმნა ევროპულ ცივილიზაციად, რომლის საფუძველიც ეროვნული სახელმწიფო გახდა და ამგვარივე მოდელი გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკაშიც.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მეკანიკური გამოკვეთილი ცივილიზაციების გარკვეული რაოდენობა, უპირველესად ეს არის დასავლური, ისლამური, ინდური და ჩინური. ამასთანავე, მრავალი ხალხის მიეკუთვნება გარკვეული ცივილიზაციისადმი, საკმაოდ რთულია. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ისინი არ ერთიანდებიან ჩამოყალიბებული და საკმარისი ძალის მქონე სიმბოლოების, ტოტემების ირგვლივ, მეორე მხრივ კი, „იგლიჯებიან“ სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ რთულია სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, ანდა იმავე რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების განსაზღვრა.

კულტურის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სფეროში დომინანტური დასავლური ტრადიციის, რეალიზმის მიხედვით, კულტურას მხოლოდ

მეორეული მნიშვნელობა აქვს და საერთაშორისო სისტემის ანარქიაში მას გადაწონის ძალაუფლების ლოგიკა. Realpolitik-ის ფაქტის ნინაშე მრავალი სახელმწიფო სწორედ ამგვარად იქცევა. და მაინც, რეალისტური ლოგიკის მიუხედავად, მეტად სათუოა საერთაშორისო ურთიერთობებში კულტურისათვის მხოლოდ უმნიშვნელო, მეორეული ადგილის მინიჭება. საკუთრივ საერთაშორისო სისტემა, რომელიც ემყარება ტერიტორიული სახელმწიფოსა და სუვერენიტეტის ცნებებს, საერთაშორისო სამართალსა და დიპლომატიას, ნარმონიქმნა აღორძინების ეპოქის ევროპაში და თანდათანობით გავრცელდა მსოფლიოში XIX-XX საუკუნეების მანძილზე. საერთაშორისო სისტემამ ნარმოშვა საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც დამყარებულია ევროპოცენტრულ კულტურულ ნარმოდგენებსა და მოთხოვნებზე.

ამდენად, კულტურა ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისტემისათვის. განსაკუთრებით საყურადღებო „უცხოს“, „სხვის“ აღქმის ისტორია, რომელიც ისეთივე ძველია, როგორც ცივილიზაცია.

„უცხოს“ ისტორია

საერთაშორისო სისტემაში ჰქონდება ჰეგემონიისადმი მიძღვნილ შრომაში ჯონ ეგნიუ და სტიუარტ კორბრიჯი ყურადღებას ამახვილებენ იმ გზაზე, რომლითაც „ორგანიზებულ იქნა გეოპოლიტიკური ნესრიგი სივრცის, ადგილების, ხალხების გარშემო“ (Agnew and Corbridge 1995: 46). თანამედროვე ეპოქაში დომინირებადი გლობალური თვალსაზრისი გამომუშავდა ევროპული ცივილიზაციის მიერ. ამ თვალსაზრისით, XV ს-ის მინურული და XX ს-ის დასაპყისამდე, ევროპელებმა განსაზღვრეს „ადამიანთა საზოგადოებების – პრიმიტიული დან თანამედროვე მდე – იერარქია“ (Agnew and Corbridge 1995: 49). ევროპული ცივილიზაცია საკუთარ თავს სხვებზე ზემოთ მდგომად მოიაზრებდა, საკუთარ ძირებად მიიჩნევდა ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციებს. ევროპული ცივილიზაციის მოდერნიზაცია კი გამოიხატა ეროვნული სახელმწიფოების შექმნით.

„უცხოს“ დახასიათება ევროპელთა მიერ თითქმის ყოველთვის სტერეოტიპული და დამამცირებელი იყო. „უცხოს“ ამგვარი იდენტიფიცირება არსებითად განაპირობებდა ევროპელთა პოლიტიკური მოღვაწეობის ფორმას მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში. ევროპის შიდა სივრცეში საერთაშორისო საზოგადოების „ცივილიზებული“ წესები ფართოდ გამოიყნებოდა, მაგრამ ამ წესების დაცვაზე ევროპის ფარგლებს გარეთ აღარ ზრუნავდნენ. ევროპელები მოდერნიზაციის მოდელს მთელ მსოფლიოში კოლონიური სისტემის შექმნითა და სხვა ხალხების დამორჩილებით ავრცელებდნენ. ევროპული „უპირატესობის“ ამგვარმა დეკლარირებამ სახეცვლილება მხოლოდ XX ს-ის შუა ხანებში დაინყო.

რასაც შედეგად ევროპული იმპერიების თანდათანობითი დაშლა მოჰყვა. მიუხედავად ამისა, რომ დასავლეთი ნარმოადგენს მოდელს კაცობრიობის პროგრესისათვის, კელავაც დარჩა.

XX საუკუნის შუა ხანებიდან განვითარების მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახდა აშშ-სა და სსრკ-ს შორის გლობალური პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში კულტურის ფაქტორის უკანა პლაზმიზე გადაწევა. ორი ზესახელმწიფო ერთმანეთს უპირისპირდებოდა პოლიტიკური ეკონომიკის მოდელებით – ლიბერალური კაპიტალიზმითა და სახელმწიფო ცენტრალიზებული სოციალიზმით. ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებები გამოიხატებოდა პოლიტიკური ტერმინოლოგით და ყურადღება არ ექცეოდა ლოკალურ კულტურულ მახასიათებლებს. ცივი ომის მონაწილე ორივე მხარე ცდილობდა, რომ თავს მოეხვია საკუთარი მოდელი მესამე სამყაროსა და მიუმხმობელი ქვეყნებისათვის. ერთ-ერთ პოლიტიკურ-სამხედრო ბლოკთან დაკავშირება შესაბამისად განსაზღვრავდა, თუ ვინ და რა იყო „უცხო“.

ცივი ომის დასრულებამ კვლავ წინა პლაზმიზე გამოიტანა კულტურული განსხვავებების პრობლემა. დასავლური საბაზრო კაპიტალიზმისა და ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფმა, ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად, გზა გაუხსნა გლობალიზაციის მანამდე არნახულ პროცესს. ეგნიუ და ქორბრიჯი ამ „ტერიტორიული პრინციპის უარმყოფელ“ გეოპოლიტიკურ წესრიგს ტრანსნაციონალური ლიბერალიზმის ჰეგემონიას უწოდებენ. მათი თვალსაზრისით, „ლიბერალური სახელმწიფოს, საერთაშორისო ინსტიტუტების სიძლიერით შექმნილი და განმტკიცებული ბაზრის (ან ბაზარზე გასვლის) ეს ახალი იდეოლოგია შეიძლება თავისითავად იწოდოს „კაპიტალის წრიულ მოძრაობად“ (Agnew and Corbridge 1995: 166). მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ჩართულია, ან სურს ჩაერთოს მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაში. მრავალი რეზიმი განვითარებად ქვეყნებში ცდილობს თავი დაანებოს სახელმწიფო ცენტრალიზებულ ეკონომიკას, როგორც ეკონომიკის მენეჯმენტის დრომოქმულ ფორმას, დაუკავშირდეს დასავლეთს და გახდეს მსოფლიო ბაზრის ნაწილი.

გლობალიზაცია და კულტურა

გლობალიზაციის პროცესებს მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს კულტურებისათვის. ამ პროცესების შედეგად ნარმოქმნილი დილემა მთელ მსოფლიოს – მათ შორის დასავლეთის ქვეყნებსაც მოიცავს: რამდენად სახიფათოა მსოფლიო ბაზარში ჩართვა არსებული კულტურული მოდელებისა და სოციალური წესრიგისათვის. გლობალიზაციის პროცესის თანმდევი ღრმა გავლენა, რასაც ფრენსის ფუურიამა ნათლავს „ლიბერალურ იდეად“, ჩანს, რომ მსოფლიოს უფრო ერთგვაროვანს ხდის, მაგრამ ასევე ინვევს მძაფრ კულტურულ უკურეაქციას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დასავლეთისადმი სტერეოტიპული უარყოფითი დამოკიდებულებაა ჩამოყალიბებული. იგი გამოიხატება დასავლეთის არსის გადმოცემისას აროგანთობის, ექსპლუატაციონის, უპასუხისმგებლო ინდივიდუალიზმის, სექსუალური უზნეობის გამომხატველი ტერმინოლოგიის გამოყენებით. განვითარებადი სამყაროს ზოგიერთ ნაწილში ინდივიდუალურ ავტონომიურობასა და ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ლიბერალური კაპიტალიზმი მორალურ გაბანკროტებად, გახრნნად მიიჩნევა.

დასავლეთის პოპ-კულტურა გლობალიზაციასთან დაკავშირებული დებატების ცენტრშია მოქცეული. დასავლური პოპ-კულტურა თავისით ვად გლობალური მოვლენაა, მაგრამ ხშირად მას ეჭვის თვალით უყურებენ და მძაფრი წინააღმდეგობა არსებობს მის მიმართ. ახლო და შუა აღმოსავლეთში ისლამური ფასეულობების დაცვის მოთხოვნა მასობრივი ფენომენი ხდება. საუდის არაბეთისა და ირანის ისლამური რეჟიმები ცდილობენ აკრძალონ ფილმები, მუსიკა, ვიდეო, სატელიტური ანტენები. აზიაში მიმდინარეობს დისკუსიები „აზიური ფასეულობების“ შესახებ და სახელმწიფო/ბიზნეს ელიტა ქადაგებს, რომ დასავლური მოდელის შემოჭრა – ინდივიდუალიზმი და კაპიტალიზმი ხელს უშლის ადგილობრივი საბაზრო ეკონომიკის ნარმატებებს. სინგაპურსა და მალაიზიაში „აზიურ ფასეულობებზე“ დაყრდნობით შეიქმნა არალიბერალური კანონმდებლობა ადგილობრივი ახალგაზრდობის დასავლური გავლენის „დაცვისაგან“, მისი ქცევისა და მოთხოვნების კონტროლისათვის.

ცივილიზაციათა შეჯახება?

ცივი ომის დასრულების შემდეგ, დასავლურ, უპირველესად შეერთებული შტატების, აკადემიურ წრეებში, გაჩაღდა დისკუსია მსოფლიოს მომავლის შესახებ. ამ დებატების დროს განსაკუთრებით გაესმეოდა ხაზი, რომ კულტურული განსხვავებები სულ უფრო მეტად იქმნიებდა მომავალში გავლენას მსოფლიო წესრიგზე. ამ მხრივ განსაკუთრებულად საყურადღებო გამოდგა სემუელ პანთინგთონის სტატია „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ ცივილიზაციები სულ უფრო მეტად ასრულებენ აქტორების როლს საერთაშორისო სისტემაში. პანთინგთონი (1993: 25), მსოფლიოში შემდეგ ცივილიზაციებს გამოყოფს: დასავლურ, კონფუციანურ, იაპონურ, ისლამურ, ინდურ, სლავურ-მართლმადიდებლურ, ლათინურ ამერიკულ და, შესაძლოა აფრიკულ ცივილიზაციებს.

პანთინგთონისათვის „ცივილიზაციათა შეჯახება“ ისტორიული განვითარების შედეგია. ისტორიაში ყოველთვის მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის ბრძოლები. ახალი ისტორიის საწყისი ეტაპის ევროპაში ბრძოლები ნარმოებდა მონარქებს შორის ტერიტორიების გასავრცო-

ბად და მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე. საფრანგეთის რევოლუციამ წარმოიშვა ბრძოლა ერებს შორის წაციონალიზმის ნიადაგზე. რუსეთის რევოლუციის შემდეგ კი დაიწყო იდეოლოგიათა ჭიდოლი – კომუნიზმს, ფაშიზმსა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის. ცივი ომის დასავლება ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა, როდესაც კონფლიქტი გამოვიდა დასავლეური ფაზიდან და გარდაიქმნა დასავლეურ და არადასავლეურ ფაზად. არადასავლელებს სურთ არა მხოლოდ იყვნენ დასავლეური პოლიტიკის გადამდებნი, არამედ – ისტორიის ახალი მამოძრავებელნიც.

ცივი ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიოში, კონფლიქტები ასევე იცვლება იდეოლოგიური და ეკონომიკურიდან კულტურულის მიმართულებით. სახელმწიფოები ისევ უნდა დარჩინენ მთავარ აქტორებად, მაგრამ კონფლიქტები სულ უფრო მეტად გახდება სხვადასხვა ცივილიზაციური ჯგუფების დაპირისპირების შედეგი. პანთინგიონი მიიჩნევს, რომ განსხვავებები ცივილიზაციათა შორის გაცილებით უფრო ღრმა არის, ვიდრე ქიშპის იმპულსები საკუთრივ ცივილიზაციათა შიგნით. ცივილიზაციურ განსხვავებებს შეადგენს წარმოდგენები ადამიანისა და ღმერთის, კაცისა და ქალის, ინდივიდუალურსა და სახელმწიფოს, უფლებების, ხელისუფლების, მოვალეობისა და სამართლიანობის შესახებ. კულტურა არ არის მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი რწმენათა სისტემა, ნაციონალიზმისა თუ კომუნიზმის მსგავსად, არამედ საკუთრივ იდენტურობა განაპირობებს და ქმნის ცხოვრების აღქმის საფუძველს. იგი წარმოადგენს საუკუნეების მანძილზე მიმდინარე სოციალური კონსტრუქციის შედეგს.

პანთინგიონის თანახმად, გლობალიზაცია კიდევ უფრო შესაძლებელს ხდის ცივილიზაციურ კონფლიქტს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთს საკმაოდ მყარი პოზიციები აქვს, მსოფლიოს მრავალ მხარეში მის მიერ ნაერადაგებმა იდეებმა ნარუმატებლობა განიცადა. სოციალისტურმა და ნაციონალისტურმა იდეოლოგიებმა გზა გაუხსნა “რეისლამიზაციას, ინდუიზაციასა თუ რუსიზაციას”. „ლიბერალური იდეა“ უნივერსალურია მხოლოდ ხელოვნურ დონეზე და ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის, კონსტიტუციონალიზმის, ადამიანის უფლებების, კანონის მმართველობის, დემოკრატიის, თავისიუფალი ბაზრის, აგრეთვე სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფის დასავლეურ იდეებს ხშირ შემთხვევაში შესაბამისი რეზონანსი არ მოჰყევება ისლამურ, ჩინურ, იაპონურ, ინდურ, ბუდისტურ ან მართლმადიდებლურ კულტურებში.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო უსაფრთხოება უფრო მეტად დამოკიდებული იქნება კულტურულ იდენტურობაზე, ვიდრე სახელმწიფოს ანდა ერის სუვერენიბაზე. კულტურული კონფლიქტი თავის მხრივ ორ დონეზე შეიძლება გამოიხატოს: პირველ რიგში, ეს არის

ბრძოლა რესურსებისათვის „ტერიტორიული უსამართლობის“ საფუძველზე, მეორე რიგში, კი უფრო ზოგადი შეჯიბრი საერთაშორისო სისტემაში გავლენისა და ძალის მოსაპოვებლად, კერძოდ, საერთაშორისო ნორმებსა და ორგანიზაციებზე. ამ შეჯიბრის მთავარი დინამიკა გახდება დაპირისპირება „დასავლეთს“, როგორც დომინანტ ცივილიზაციას, და სხვადასხვა ხარისხით, „დანარჩენ“ ცივილიზაციებსა შორის. ცივილიზაციათა უმრავლესობა სულ უფრო მეტად იხრება იმისაკენ, რომ ნინაალმდევობა გაუწიოს იდეას, რომლის თანახმადაც დასავლური ნორმები უნივერსალურია; მაგალითად, დასავლეთის მცდელობა გაავრცელოს ლიბერალური დემოკრატიის მოდელი და ადამიანის უფლებები, ბევრგან მიიჩნევა ნეომიპერიალიზმის ფორმად.

ცივილიზაციური კონფლიქტის შესახებ მსჯელობისას ფოკუსირება ძირითადად ისლამზე ხდება. 80-იან წლებში რეიგანის აღმინისტრაციის დროს ურთიერთობის გართულებამ ირანთან, ლიბიასთან, სირიასთან და ლიბანთან გამოიწვია გარკვეული არაბულ/ისლამური ბლოკის შექმნა, რომელიც გააფთრებით უპირისპირდება შეერთებულ შტატებსა და მის ფასეულობებს. ცივი მოს დასრულების შემდეგ არაერთი ნაშრომი მიედლვნა ისლამური საფრთხის ანალიზს (თუ პან-თინგონი მხოლოდ თეორიულ ჩარჩოებში განიხილავს ამგვარ საფრთხეს, სხვა ავტორები, მაგალითად, ბერნარდ ლიუისი უფრო ღრმა, მეცნიერულ კვლევას ანარმოებენ ამ მიმართულებით).

ისლამი შეიძლება ნარმოადგენდეს კონფლიქტის განსაკუთრებულ ნყაროს როგორც საკუთრივ ისლამურ სამყაროში, ისე დიასპორის გზით. 90-იანი წლების დასანყისში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისლამი ნარმოადგენს „კრიზისის ნახევარმთვარეს“ მოსაზღვრე ცივილიზაციებთან კონფლიქტების სახით ბალკანეთზე, აფრიკაში, შუა აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ფილიპინებზე. უპირველესად კი, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისლამი ანარმოებდა კულტურულ და იდეოლოგიურ ბრძოლას დასავლეთთან. ისლამურ სამყაროში დამკვიდრებული წმენის ფორმებისათვის თითქოს სრულიად უცხო იყო დასავლური ფასეულობები და ის, რაც იგულისხმება მოდერნიზმში. დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის არსებული ისტორიული კონფლიქტი თითქოსდა ორივე მხრიდან ხელახლა აღორძინდა.

საკვანძო საკითხები

- კულტურა განსაზღვრავს სოციალური ცხოვრების ხასიათსა და ინდივიდის იდენტურობას. კულტურა გამოიხატება ჩვეულებებით, ნარსულის მემკვიდრეობისადმი ერთგულებითა და ცხოვრების სტილით, რაც საფუძველს უყრის საზოგადოებათა შიგნით

პოლიტიკურ, სოციალურ და მხატვრულ ცხოვრებას.

- ცივილიზაცია წარმოადგენს იდენტურობის ყველაზე ფართო ფორმას და შეიძლება ურცელდებოდეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი საზღვრების გარეთ.
- ისტორიულად საერთაშორისო სისტემა ხასიათდებოდა სხვა კულტურების „უცხოდ“, მიუღებლად გაცნობიერებით.
- ახალ დროში დასავლეთი იქცა დომინირებად ცივილიზაციად. დასავლეთი სხვა საზოგადოებებზე ზემდგომად მიიჩნევდა საკუთარ თავს.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების დასრულების შემდეგ გაჩნდა შეხედულება, რომ ცივილიზაციათა (კულტურათა) შეჯახება შეცვლიდა ცივი ომის იდეოლოგიურ ბრძოლას. ამგვარ შეჯახებას ყველაზე სავარაუდოდ მიიჩნევენ დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის.

ისლამური „უცხო“

დასავლეთსა და ისლამს შორის ისტორიული კონფლიქტი არ სებიბოს. ორი ცივილიზაციის ურთიერთუნდობლობა მრავალი საუკუნის მანძილზე გროვდებოდა „სახალხო მეხსიერებაში“.

VII საუკუნის შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე, ქრისტიანობას ავინროებდა ისლამური ძალა. ისლამური ცივილიზაცია საკუთარ თავს ქრისტიანულზე უფრო მაღლა მდგომად მიიჩნევდა და იდეები და ტექნოლოგიები სწორედ აღმოსავლეთიდან გადადიოდა დასავლეთში და არა პირიქით. უკევ VIII საუკუნეში არაბებმა გადაკვეთეს ჩრდილოეთ აფრიკა და ღრმად შეიჭრნენ ესპანეთსა და საფრანგეთში. საუკუნეები გრძელდებოდა ბრძოლები ესპანეთისათვის, ხმელთაშუა ზღვის აუზში დომინირებისათვის, ნმინდა ადგილებისათვის. ისლამი ევროპის კარიბჭესთან იდგა, თუმცა ეს საფრთხე მოიხსნა. ასევე განადგურდა ესპანეთში არსებული მაღალგანვითარებული ისლამური საზოგადოება. თუმცა ისლამური საფრთხე კვლავც დარჩა და შემდგომ ოსმალური იმპერიის სახით გამოვლინდა, რასაც 1453 წელს აღმოსავლეთში ქრისტიანობის ფორმოსტის, კონსტანტინოპლის დაცემა მოჰყვა. ოსმალური ჰეგემონია შუა აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში დიდ საფრთხეს უქმნიდა ევროპელებს. ოსმალოები ევროპაშიც შეიჭრნენ და მათი უკუგდება მხოლოდ XVII ს-ის შუა ხანებში მოხერხდა.

ახალ დროში, ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ დასავლეთისა და ისლამის ურთიერთობა დასავლეთის დომინირებით წარიმართებოდა. XVIII ს-ში დასავლეთში მხოფლიოს უმთავრესი ინდუსტრიული და სამხედრო ძალების შექმნამ მაღლე გამოიწვია ისლამური სამყაროს

უმეტეს ნაწილზე კოლონიური და იმპერიული ბატონობის დამყარება. 1798 წელს ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტეში შემოტრიალების უმთავრესი მომენტია. დასავლეთის ფიზიკური და პოლიტიკური შექრა და მისი შედეგები დღემდე აღელვებს არაბულ/ისლამურ ცივილიზაციას. მეორე მხრივ, დასავლეთის მთავარი ინტერესი ისლამურ სამყაროში კონტროლის შენარჩუნება იყო. თავის ცნობილ ნაშრომებში „ეულტურა და „იმპერიალიზმი“ და „ორიენტალიზმი“, ელუარდ საიდი (E. Said) ყურადღებას ამახვილებს იმ ნიშნებზე, რაც ახასიათებს დასავლეთის დომინირებას. საიდი ამტკიცებს, რომ დასავლურ კულტურულ ნარმოდენაში დიდ ხნის მანძილზე ყალიბდებოდა მცდარი სტერეოტიპები მუსლიმიანი ხალხების შესახებ. ამ ფენომენს საიდი ნათლავს ორიენტალიზმად. ორიენტალისტური ტრადიციის დიდი ნაწილი ემყარება მითს, არასწორ გაგებას და ბევრი რამ უთქმელი რჩება აღმოსავლეთის შესახებ. დასავლეთში დომინირებდა რწმენა, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთის ხალხები კულტურულად, ისტორიულად, სოციალურად უცხონი და ჩამორჩენილები არიან. დაინყო აღმოსავლეთის ასოცირება სისასტიკესთან, დესპოტიზმთან, უსამართლობასთან, უგზოტიკურ სექსუალურ პრაქტიკასთან. საერთო ჯამში, საიდის რწმენით, ორიენტალისტური შეხედულება არის დასავლური ჰეგემონიის გამოხატულება. აღმოსავლეთის „ორიენტალიზაცია“ მოხდა არა იმიტომ, რომ იგი აღმოსავლურია, არამედ იმის გამო, რომ იგი სუბორდინაციის პოზიციაშია და სწორედ ამგვარადვე უნდა იყოს. ამასთანავე, თანამედროვე ისტორიამ და მასმედიამ ძალა შემატა ამ სტერეოტიკებს.

ისლამური ცივილიზაციის პასუხი დასავლეთისადმი

უვროპულმა ექსპანსიამ ისლამურ სამყაროში მრავალი სახის რეაქცია გამონვია. თავისი შედეგებით, საბოლოო ჯამში, უმნიშვნელოვანესი გამოდგა ისლამური რევაივალიზმი და ნაციონალიზმი. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო ჯამალ ადლინ ალ-ავლანი (გარდ. 1897 წ.). ავლანი მიზნად ისხავდა თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით პირველსანაყისი ისლამის იდეალების აღორძინებას. ამტკიცებდა, რომ ისლამის სული შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს და მხოლოდ მის აღორძინებას შეუძლია ისლამური სამყაროს გაერთიანება და კოლონიალიზმის შედეგების მოსპობა. ამგვარი მრნამსი შემდგომში თანამედროვე ისლამისტური აზროვნების ქვაკუთხედად იქცა.

თუმცა კონკრეტულად ისლამის აღორძინებამდე დაინყო ნაციონალისტური აღორძინება საკუთრივ მუსლიმ ხალხებში. XIX ს-ში მულტიეთნიკური ოსმალეთის იმპერიის დაკინების პირობებში, რაც საბოლოო ჯამში, იმპერიის დაშლით დასრულდა, ფართოდ ინყებს გავრცელებას

პანთურქიზმის იდეები. საბოლოოდ, სწორედ თურქული ნაციონალიზმის შედეგი გახდა მოდერნიზებული თურქული სეკულარული სახელმწიფოს შექმნა და ისლამური სახალიფოს იდეის ოფიციალური უარყოფა 1924 წელს.

ოსმალეთის იმპერიის შიგნით ძალას იკრეფდა არაბული ნაციონალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია დაიშალა და II მსოფლიო ომის შემდეგ მრავალმა არაბულმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ნაციონალიზმის ნიადაგზე ნარმოქმნილმა არაბულმა ერთობის იდეამ ერახი განიცადა. ამის მეტი დასტურია ეგვიპტისა და სირიის გაერთიანების წარუმატებელი ექსპერიმენტი, ასევე ისრაელ-არაბული ქვეყნების ომები, როდესაც ომში მონანილე არაბული ქვეყნები უპირველესად საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობდნენ, რის შედეგადაც ისპობოდა კოორდინირებული მოქმედებისა და, შესაბამისად, წარმატების მიღწევის საშუალება.

ისლამის როლის, მისი პოლიტიზაციისა და რადიკალიზაციის საქმეში შემობრუნების წერტილი გამოდგა არაბული სახელმწიფოების ფიასკო 1967 წელს ისრაელთან ექვსდღიან მოშო. რადიკალური ისლამისტური მოძრაობების წარმატება ამ პერიოდიდან იღებს უკიდურესად ანტიდასავლურ ხასიათს.

XX ს-ის 20-იანი წლებიდან იწყება ირანში ნაციონალიზმის ასევე „ზემოდან“ ქადაგება. ნაციონალისტური იდეოლოგიის გამოყენებითა და აშშ-ის მხარდაჭერით ირანის შაპმა თითქოსდა მუსლიმური სამყარო-სათვის არნახულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ეს წარმატებები ეფემერული გამოდგა. – გზა გაუხსნა პოლიტიკური ისლამს. ყოველივე ეს კი უპრეცედენტო მოვლენით – ირანში ისლამური რევოლუციით დაგვირგვინდა.

თანამედროვე პოლიტიკური ისლამი

ვესტერნიზაციის წინააღმდეგ მოძრაობა ისლამურ სამყაროში XX ს-ის დასაწყისში იღებს სათავეს, მაგრამ რეალურ და ქმედით სახეს 70-იანი წლებიდან იღებს. რამ შეუწყობელი ისლამიზმის ესოდენ წინ წამონევას? რა ფაქტორებმა განიირობეს ის, რომ დღეს ისლამისტებს რელიგიია სურთ აღიქვანა არა რელიგიურ დოქტრინად არამედ პოლიტიკურ იდეოლოგიად? დაბოლოს, რას ისახავენ ისინი მიზნად და რამდენად ახდენს გავლენას პოლიტიზებული ისლამი საერთაშორისო ურთიერთობებზე?

პოლიტიკური ისლამის აღსანიშნავად ყევლაზე მიზანშენონილად მიგვაჩინა ტერმინ ისლამიზმის(და არა ფუნდამენტალიზმისა თუ ინტეგრალიზმის) გამოყენება. საკუთრივ ეს სიტყვა გარკვეულ ტერმინოლოგიურ კონსენსუსს წარმოადგენს იმ სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ჯგუფებისა და ორგანიზაციების აღსანიშნავად, რომელებიც ისლამს უპირველესად პოლიტიკურ იდეოლოგიად აღიქვამენ. ამდენად, დღეისათვის ისლამიზმის არაერთი ვერსია არსებობს.

ისლამისტებისათვის ისლამი წარმოადგენს გლობალურ და ტოტალურ მსოფლმხედველობას და ნებისმიერი პოლიტიკური საკითხის განმსაზღვრელიცაა. ისლამს ტიპიური ტოტალიტარული იდეოლოგიის სახე აქვს მიღებული.

ისლამისტებისათვის ძალაუფლების ხელში აღება ნიშნავს „დასავლური ფასეულობებით კორუმპირებული“ საზოგადოების რეისლამიზაციას, მაგრამ, ამასთანავე, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენებით, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ისლამის კონცეპტუალურ ჩარჩოებში ჩასმით.

ისლამიზმა დაიკავა ის ადგილი, რომელიც ადრე პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ და ნაციონალისტურ მოძრაობებს ეკავათ. კოლონიალიზმის ნინააღმდეგ მებრძოლი მუსლიმიხალხები წარსულში შედარებით წაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ისლამს. ამჟამად კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა – ეროვნული საკითხის წაცვლად წინა პლაზე გამოვიდა რელიგია. ერსაც ისლამისტები აღიქვამენ მუსლიმური სამყაროსათვის უცხო ცნებად და კოლონიალიზმის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ერთ-ერთ გამოხატულებად.

ისლამიზმი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მუსლიმური სამყაროს შინაგანი გამოცოცხლების ერთ-ერთი ასპექტი, რისი გამომწვევიც დასავლურ მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმთან შეხებაა. ისლამისტთა დამოუკიდებულება დასავლეთისადმი საკმაოდ სტერეოტიპულია და სამ ძირითად პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ნოსტალგია (სწორედ ისლამმა შეიტანა დასავლეთში ცივილიზაცია);
2. დასავლეთის ფასეულობათა მანკიერებისა და დასავლეთის „ორმაგი“ პოლიტიკის მხილება (მორალური პრინციპების დაცვას იგი მხოლოდ სხვისაგან მოითხოვს);
3. ისლამის პოლოგია (ყველაფერი ყურანსა და სუნაშია მოცემული და ისლამი საუკეთესო რელიგიაა).

ცნობილი ისლამისტი მოაზროვნე ჯალალ ალ-ე აზმადი ამასთან დაკავშირებით წაშრომში „მედასავლეთეობა“ წერს: „მთავარი შეცდომა არის ის, რომ დასავლეთი აღიქმება არა „უზმინდურად“ და „ურნმუნოდ“, არამედ „მოძღვრად“. „იყო დრო, როდესაც ყურანის ერთი ლექსით ან ერთი ისლამური ტრადიციით ხმას აკმენდინებდნენ ყველას და ნებისმიერ მტერს თავის ადგილს უჩენდნენ. დღეს კი დასავლელის ნებისმიერ სიტყვას ჭეშმარიტებად ვიღებთ.“

საერთო ჯამში, ისლამიზმი შეიძლება მივიჩნიოთ მესამე სამყაროში მიმდინარე პოლცესების ერთ-ერთ გამოვლინებად, რომლის დედარსია რელიგიის განახლება, მისგან რევოლუციური პოლიტიკური პრო-

გრამის შექმნა და ამ პროგრამის რეალიზაციით საზოგადოებრივი ცხოვრების რეისლამიზაცია. ისლამიზმი „მესამე სამყაროს“ ფენომენია, გაჯერებული მუსლიმური სპეციფიკით. რევოლუციისა და თეოლოგიის სინთეზი (ე. ნ. „გათავისუფლების თეოლოგია“) ზოგადად მესამე სამყაროში მიმდინარე მოძრაობებისთვისაა დამახასიათებელი. „მესამე სამყაროსეული“ რევოლუციის თემა ისლამიზმში შეცვალა ჯიპატის, „წმინდა ომის“ თემამ.

ჯერ კიდევ პანთინგთონის ნინასნარმეტყველებამდე „ცივილიზაცია-ათა შეჯახების“ შესახებ, შეიქმნა ისლამური რევოლუციის ფენომენი, რომელიც მოულოდნელი გამოდგა როგორც პოლიტიკურებისათვის, ისე საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევრებისათვის. მოდერნიზაციამ და ულრუბლო მომავლის იმედმა მძიმე დარტყმა მიიღო და, აქედან გამომდინარე, შეირყა იმ თეორიების საფუძველი, რომლის თანახმადაც სეკულარიზაცია ისტორიული განვითარების პროცესის საფუძველი უნდა ყოფილიყო. კიდევ უფრო რთული აღსაქმელია ის ფაქტი, რომ „ისლამური“ რესტუბლიკის იდეას რეზონანსი მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. მან შემოიტანა პოლიტიკურ დებატებში ანტიდასავლური და ანტიმოდერნისტული ცნებები და მძიმე დარტყმა მიაყენა საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზის ორ დასავლურ კონცეფციას – რეალიზმსა და ლიბერალიზმს.

სადამ ჰუსეინის მთავრობა, რომელიც არაბული სეკულარული სოციალისტური პარტიის – ბაასის ნიალიდან გამოვიდა, იყენებდა რელიგიურ არგუმენტებს ირანთან ომის დროს. ჰუსეინი თავის მიმართვებს ხალხისადმი ალაპის ხსენებით იწყებდა და იზრუნა, რომ გარემოცული ყოფილიყო რელიგიური სიმბოლოებით. ამგვარადვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, რომელიც 70-იან წლებში ლაპარაკობდა ლაიცისტური პალესტინის შესახებ, რომელშიც ყველა რელიგია თანაბარი უფლებებით ისარგებლებდა, უკვე მხოლოდ ისლამურ სიმბოლოებს იყენებს: იერუსალიმის კლდის გუმბათის მეჩეთის გამოსახულება გახდა ლოგო ყველა ოფიციალურ დოკუმენტზე, საფოსტო მარკებზე, სატელევიზიო არზე და ა.შ. ყურანის მუდმივი ციტირება და ალაპის ხსენება არაფატის გამოსვლების მუდმივი თანმხლები ატრიბუტებია. საერო არაბული ნაციონალიზმისაგან დარჩა მხოლოდ მუსლიმური იდენტურობა. ისლამი გამოიყენება ერთდროულად არსებული რეჟიმებისათვის დამცავად – ხელისუფლებაზე თავდასხმა იგივეა, რაც ისლამზე თავდასხმა და იმათი მოტივირებისათვის, ვინც ცდილობს ამ რეჟიმების დამხობას – დამორჩილდეს ამგვარ ხელისუფლებას, ნიშნავს დმერთის დაუმორჩილებლობას. ამასთანავე ის, რომ ისლამი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაბული ქვეყნების მოსახლეობის თვითშეგნებაში არ ნიშნავს, რომ იგი განსაზღვრავს ამ სახელმწი-

ფოთა პოლიტიკას. ისლამური სიმბოლიკა ხელისუფლების მიერ უპირველესად პრაგამატული მოსაზრებით გამოიყენება.

საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიის როლი განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ქვეყნების შემთხვევაში, სადაც რელიგია და სახელმწიფო ოფიციალურად არ არიან ურთიერთგამოყოლნი. ეს უპირველესად ეხება თანამედროვე ისლამურ სამყაროს, სადაც ხშირ შემთხვევაში, სეკულარიზმი აღიქმება იდენტურობისათვის მთავარ საფრთხედ. ისლამურ სამყაროში ისლამური რევოლუციის კონცეფციამ შეცვალა კომუნისტური რევოლუციური იდეოლოგია. ე. გელნერი (E. Gelner) ისლამში ხედავს მკვიდრ და დაცულ ბლოქს, რომელმაც გაუძლო როგორც თანამედროვე საზოგადოების მიერ თავსმოხვეულ სეკულარიზაციას, ისე იდეოლოგიურ ეროვნიას, რომლის მსხვერპლიც კომუნიზმი გახდა. მაგრამ ეს ურთიერთობანი, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და ნაციონალიზმს, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებებსა და გლობალიზაციას შორის, სრულიად განსხვავებულ შეფასებებს იმსახურებენ სპეციალისტთა მხრიდან.

მრავალი მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ისლამიზმი წარმოადგენს თანამედროვე ფერმენს, რომელმაც ფაქტობრივად გადმოიიღო იმ იდეოლოგების საფუძვლები, რომელთა წინააღმდეგაც იგი იბრძვის. ლაპარაკია უპირველესად სოციოკულტურულ საპროტესტო მოძრაობაზე, რომელსაც არ შეუქმნია პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჩამოყალიბებული სიცოცხლისუნარიანი მოდელი.

ირანის ისლამური რევოლუციის მაგალითი მეტად საგულისხმოა, ვინაიდან ისტორიაში პირველად ისლამისტებმა მოახდინეს რევოლუცია, რის შედეგადაც ხელისუფლების სათავეში მებრძოლი რადიკალი სამღვდელოება მოვიდა. ბუნებრივია კითხვა, — თუ თვისებრივად რა ცვლილებები მოიტანა ამ რევოლუციამ? პირველ რიგში, ქვეყანაში ნაციონალისტური რიტორიკა შეიცვალა ისლამისტურით (ის, რასაც ცდილობდნენ 60-იანი წლებიდან დაწყებული ისლამისტები). შაპის ნაციონალისტური ლოზუნები კი შეიცვალა ისლამურით. ამ პირობებში ბუნებრივია მტრის ხატის შესაქმნელად უპირველესად გამოყენებულ იქნა აშშ — შაპის უპირველესი მოყავშირე, საერთაშორისო ასპარეზზე კი ახალი ისლამური რესპუბლიკა არაპროგნოზირებად და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისათვის მიუღებელ სახელმწიფოდ იქცა. თუმცა, ყოველივე ამას ახალი რეჟიმი პრაგმატული მიზნებიდან გამოდინარე იყენებდა. უპირველესად ირანთან დაპირისპირებულ მუსლიმურ სახელმწიფოებში ოპოზიციური მოძრაობებისა და აგრეთვე პალესტინის მოძრაობის მხარდასაჭერად. თუმცა, ყოველივე ამას, იმავე პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელი არ შეუშლია ახალი რეჟიმისათვის, საიდუმლოდ შეესყიდა იარაღი ერაყთან ომის დროს

ამერიკისაგან ისრაელის შუამავლობის გზით („ირანგეიტის საქმე“). თუკი მრავალეროვან ირანში მონარქიის დროს ქვეყნის ერთიანობის საფუძვლად ეთნიკურობა იყო აღქმული, ხაზი გაესმეოდა, რომ ქვეყნის ყველა მცხოვრები ირანელი იყო (ამ მიზნით, ქვეყანა 1935 წლიდან სპარსეთის ნაცვლად ირანი ეწოდა), დღეს, სახელმწიფოს მცხოვრებთა მუსლიმობას გაესმევა ხაზი. ამასთან ერთად, ცენტრალურ ხელისუფლებას არსებობის პირველივე ხანებში ეთნიკურ სეპარატიზმთან მოუხდა შეხება (უპირველესად ლაპარაკია ქურთების აუტონომისტურ მოთხოვნებზე) და გარკვეული დათმობების გაკეთებაც მოუხდა სწორედ ნაციონალისტების მიმართ, თუმცა ახალი რეჟიმი, ზოგადი ისლამური მრნმასისაგან გამომდინარე, თეორიულად არ ცნობს ეთნიკურობას ერთიანი ისლამური თემის – ამ შემთხვევაში ირანის შიგნით. ირანისა და ნაციონალური პატრიოტიზმის თემამ კიდევ ერთხელ ნამოინია ირანში ერაყოთან ომის პერიოდში. ომის ნარმოება მხოლოდ ისლამის სახელით, რაც ბუნდოვანი და გაუგებარიც ხდებოდა ერაყთან და პირისპირების პირობებში, რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი შიგითია. ამდენად, ლოზუნგად ისევ იქცა სამშობლოს, არა ისლამურის, არამედ ირანის ერთგულება.

რა ადგილს იკავებს დღეს, გლობალიზაციის პირობებში ისლამიზმი მუსლიმურ საზოგადოებაში და რამდენად არის მზად ისლამური სამყარო მიიღოს თანამედროვეობის გამოწვევა? სახელმწიფო მეთაურთა და ოპოზიციის ხშირ შემთხვევაში პოპულისტური რიტორიკის მიუხედავად, დასავლური სამომხმარებლო მრნამსი მტკიცედ იკიდებს ფეხს აღმოსავლეთში. დღეს ლაპარაკობენ პოლიტიკური ისლამის მარცხის შესახებაც.

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, რომელშიც დომინირებენ სახელმწიფოები, რელიგიათა როლი ერთდროულად რეალური და ლიმიტირებულია. რელიგიებმა შეიძლება შეცვალონ რეჟიმის სახე (ირანი), თუმცა ნაკლებად შეუძლიათ ზემოქმედება საერთაშორისო ნესრიგზე. ისლამური კონფერენციის ორგანიზაციამ შეიძლება გააკეთოს მოწოდება, რომელიც გათვლილია პოპულისტურ ემოციებზე და არც თაკილობს ამას, მაგრამ როდესაც დგება სიტყვიდან საქმეზე გადასვლის დრო, სწორედ სახელმწიფოები ცვლიან მას (ამდენად, აქ თავის სიტყვას ამბობს რეალისტური მოდელი). ქაშმირის კონფლიქტის დროს ინდოეთი და პაკისტანი ხშირად აპელირებენ რელიგიით, მაგრამ ეჭვიც არ არსებობს, რომ თუკი ორი სახელმწიფო ხელს მოანერს სამშვიდობო ხელშეკრულებას, ისინი თავიანთ რელიგიურ მეთაურებს დავალებას მისცემენ, რომ თეოლოგიური გამართლება გამოუნახონ ახალ პოლიტიკას.

დღევანდელი მუსლიმური სამყაროს მდგომარეობა არასტაბილ-

ურია. სოციალური თუ ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, პარტიები თუ ჯგუფები ხშირად რელიგიას მიჩნევენ. დღევანდელ ვითარებაში, ეკონომიკური მოდერნიზაციისა და სოციალური ცვლილებების შედეგად, მთელ მსოფლიოში სუსტდება ადამიანთა ტრადიციული იდენტიფიკაცია საცხოვრებელ ადგილთან, ასევე სუსტდება ეროვნული სახელმწიფოს, როგორც იდენტიფიკაციის წყაროს როლი. შექმნილი სიცარიელე ხშირად ივსება რელიგიით, რომელიც ზოგჯერ რადიკალური იდეოლოგიის სახეს იღებს. ნათევამი უპირველესად ეხება მუსლიმურ სამყაროს. ისლამის პოლიტიზაციამ უმაღლეს დონეს მიაღწია, თუმცა ამ პოლიტიზაციის შემოქმედთ არ გააჩნიათ კონკრეტული პოზიტიური პროგრამა და მხოლოდ არსებულის მოსპობის აუცილებლობაზე ამახვილებენ ურალებას. ისლამურ სამყაროს კი აქვს უნარი გაითავისოს ლიბერალურ აზროვნება ისე, რომ არ დაკარგოს საკუთარი მეობა. ამ საქმეში მას დასავლეთიც უნდა ამოუდგეს მხარში, რომელმაც გარკვეული კორექტივები უნდა შეიტანოს თავის პოლიტიკაში ისლამური სამყაროს მიმართ და მაქსიმალურად მხარი დაუჭიროს დემოკრატიზაციის პროცესებს, დაეხმაროს მუსლიმურ ქვეყნებს იმ სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც სამყაროში რელიგიური ლოზუნებით მიმდინარე ექსტრემისტული მოძრაობების საფუძველს წარმოადგენენ.

საკვანძო საკითხები

- ისლამი ყოველთვის წარმოადგენდა ქმედითუნარიან კულტურულ ძალას ახლო და შეუა აღმოსავლეთში. სეკულარული სოციალისტური სახელმწიფოების წარუმატებლობის შემდეგ, ისლამი ისევ მოექცა პოლიტიკური კულტურის შუაცეცხლში.
- სუნიტურ და შიიტურ იდეოლოგიაში ცვლილებებმა გამოიწვია ისლამური რევაივალიზმი, რომელმაც ხელი შეუწყო „ისლამური ნესრიგის“ მოთხოვნის წინამონევას ისლამური სახელმწიფოს შექმნისა და ისლამური სამართლის – შარიათის უზენაესობის აღიარების სახით.
- ირანის 1978-1979 წწ. ისლამური რევოლუცია ისლამური რევაივალიზმის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია.
- რევაივალისტურმა ისლამმა შექმნა დასავლეთის, როგორც „კულტურული მტრის“ იმიჯი. მოხდა დასავლური პოპ-კულტურისა და ლიბერალური პოლიტიკური იდეების უარყოფითი სახით სტერეოტიპიზაცია.

კითხვები და დავალებები:

- რა არის კულტურა? რა მნიშვნელობა აქვს მას საერთაშორისო ურთიერთობებში?
- კულტურული ნარმოდგენით, ჩვეულებრივ როგორც ხასიათდება „უცხო“?
- რატომ ფიქრობს ს. ჰანტინგთონი, რომ პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონფლიქტები ცივიომის ძემდევ შეიცვლება ცივილიზაციური კონფლიქტებით?
- რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ისლამის რევაივალიზმი?
- რა სახისაა დასავლური კულტურის ისლამისტური შეფასება?
- რა იყო ნაციონალიზმის ისლამი ზმით შეცვლის მიზეზები?

ლიტერატურა:

- J. Agnew, and St. Corbridge, *Masretring Space: hegemony, territory, and international political-economy* (London: Routledge, 1995).
- J. Bill, and R. Springborg, *Politics in the Middle East* (London: Scott, Foresman/Little, Brown, 1990).
- S. P. Huntington, *The Clash of Civilizations*, *Foreign Affairs* (Summer 1993).
- E. W. Said, *Orientalism: Western conceptions of Orient* (London: Penguin, 1995).
- B. Badie, *Les deux Etats, Pouvoirs et société en Occident et en terre de l'Islam*, (Paris: Fayard, 1986).
- H. Enayat, *Modern Islamic Political Thought. The Response of the Shi'i and Sunni Muslims to the Twentieth century*, (Austin: Univ. of Texas Press, London-Basingstoke: McMillan, 1982).
- J. L. Esposito, *Islam: The straight path*, (New York, 1991).
- O. Roy, *L'échec de l'Islam politique*, (Paris, 1992).

- ADAMS N.B., *World Apart: The North-South Divide and the International System* (London: Zed, 1993).
- AGNEW J., CORBRIDGE St., *Masretring Space: Hegemony, Territory, and International Political Economy* (London: Routledge, 1995).
- ALBROW M., Introduction in Albrow M. and King E. (eds.), *Globalization, Knowledge and Society*, (London: Sage, 1990)
- ALLAN Pierre, GOLDMANN Kjell (Eds.), *The End of the Cold War: Evaluating Theories of International Relations*, (Martinus Nijhoff, 1995).
- ALPEROVITZ G., *Atomic Diplomacy: Hiroshima and Potsdam: The Use of the Atomic Bomb and the American Confrontation with Soviet Power* (New York, Simon & Shuster, 1965).
- ANDERSON A., *Imagined Communities, Reflections on the Origin and Spread of Nationalism* (London: Verso, 1992).
- ARCHER C., *International Organizations*, 2nd edn. (London: Routledge, 1992).
- ARON Raymond, *The Century of Total War*, (Boston: The Beacon Press, 1955).
 —, *Paix et guerre entre les nations*, (Paris: Calmann-Lévy, 1984).
 —, *Leçons sur l'histoire*, (Paris: Ed. de Fallois, 1989).
- BAGBY Wesley M., *America's International Relations Since World War I*, (Oxford: Oxford Univ. Press, 1999).
- BALDWIN D.A., (ed.), *Neoliberalism and Neoliberalism: The Contemporary Debate* (New York: Columbia Univ. Press, 1993).
- BADIE Bertrand, *Les deux Etats, Pouvoirs et société en Occident et en terre de l'Islam*, (Paris: Fayard, 1986).
- BECK Ulrich, *Was ist Globalisierung?* (Fr. am M., 1997).
- BEISHEIM M., WALTER G., "Globalisierung" – Kinderrankheit eines Konzeptes? in: *ZfIB*, 1997, 1, (4), 153-180.
- BERSTEIN S., *Democraties, régimes autoritaires et totalitarismes au XXe siècle*, (Paris: hachette, 1992).
- BILL J., SPRINGBORG R., *Politics in the Middle East* (London: Scott, Foresman/ Little, Brown, 1990).
- BITCH M.-Th., *Histoire de la construction européenne*, (Bruxelles: Comlexe, 1995).
- BLÜHDORN Rudolf, *Internationale Beziehungen. Einführung in die Grundlagen der Außenpolitik*. Springer-Verlag, Bln., 1998 -
- BOOTH K., ZALEWSKI M. (eds.), *International Theory: Positivism and Beyond* (Cambridge: Cambridge University Press, 1996).
- BROWN Chris, *Understanding International Relations*, (St. Martins Pr., 1997).
- BURCHILL S., LINKLATER A. et al., *Theories of International Relations* (Basingstoke: Macmillan, 1996).
- БЖЕЗИНСКИЙ Збигнев, Большая шахматная доска, (М.: 2000).
- BUZAN B., *People's States and Fear* (London: Harvester, 1983).

- ВАСИЛЕНКО, И.А. Политическая глобалистика, (М.: Логос, 2000).
- CARLSSON I. et al., Our Global Neighbouring (Oxford: Univ. Press, 1995).
- Cox M., United States Foreign Policy Since the End of the Cold War (London: Pinter, 1995).
- DALACOURA Kate, DALACOURA Katerina, Islam, Liberalism and Human Rights : Implications for International Relations, (I. B. Tauris & Co Ltd, 1998).
- DAMROSCH L.F. (ed.), Enforcing Restraint: Collective Intervention in Internal Conflicts (New York: Council on Foreign Relations, 1993).
- DEUTSCH K., Nationalism and Social Communication (Cambridge, Mass.: MIT Press, 1996).
- DOYLE M. W., On the Democratic Peace, *International Security*, 19 (4), 1995.
- DUFOUR J.-L., VAISSE M., La guerre au XXe siècle, (Paris: Hachette, 1993).
- DUNBABIN J.P.D., The Cold War : The Great Powers and Their Allies (International Relations Since 1945, Vol 1), (Addison-Wesley Pub. Co, 1994).
- DUROSELLE J.-B., Histoire diplomatique de 1919 à nos jours, (Paris: Dalloz, 1993).
- ENAYAT Hamid, Modern Islamic Political Thought. The Response of the Shi'i and Suni Muslims to the Twentieth century, (Austin: Univ. of Texas Press, London-Basingstoke: McMillan, 1982).
- ESPOSITO John L., Islam: The straight path, (New York: 1991).
- FEATHERSTONE M. (ed.), Global Culture: Nationalism, Globalization and Modernity (London: Sage 1990).
- FROST M., Ethics in International relations: A Constitutive Theory (Cambridge: Cambridge University Press, 1996).
- FUKUIMANA F., The End of History and the Last Man, (London: Hamish Hamilton, 1992).
- ÃÀÀÅÈÈÅÅ K.N., âåäååñèå â ååññëèòèåç, I., Èïäîñ, 1999.
- gaerTianebuli erebis wesdeba da saerتاðmornisom სამართლის სტატუსი (თბ.: 1999)
- GAVANAGH J., WYSHAM D., ARRUDA M. (eds.), Beyond Bretton Woods: Alternatives to the Global Economic Order (London: Pluto Press, 1994).
- GELLNER E., Nations and Nationalism, (Oxford: Blackwell, 1983).
- GIDDENS A., The Consequences of of Modernity: Self and Society in the Late Modern Age (Cambridge: Polity Press 1990).
- GOLDSTEIN J.S., International Relations, Longmann Pub. Group, 1998.
- HALLIDAY F., Rethinking International Relations (London: Macmillan, 1994).
- HARRIS J. (ed.), The Politics of Humanitarian Intervention (London: Pinter, 1995).
- HARVEY D., The Condition of Postmodernity: An Enquiry into the Conditions of Cultural Change, (Oxford: Balakwell, 1989).
- HASHMI Sohail H. (Ed.), State Sovereignty: Change and Persistence in International Relations, (Pennsylvania State Univ., 1997).

- HASTEDT Glenn P., American Foreign Policy: Past, Present, Future, (Prentice Hall, 1999).
- HERZ J., Idealist Internationalism and the Security Dilemma, *World Politics*, 2 (2), 1950.
- HIRST P., THOMPSON G., Globalization in Question: The International Economy and the Possibilities of Governance, (Cambridge: Polity Press 1996).
- HOBSBAWM E., Age of Extremes: The Short History of Twentieth Century, 1914-1991 (London: Michael Joseph, 1994).
- , Nations and Nationalism Since 1780: Programme, Myth, Reality (Cambridge Univ. Press, 1991).
- HOGAN M. (ed.), The End of the Cold War: Its Meaning and Implications (Cambridge: Univ. Press, 1992).
- HOLsti Kalevi J., The State, War, and the State of War (Cambridge Studies in International Relations, 51), (Cambridge: Univ. Press, 1996).
- HUNTINGTON Samuel P., The Clash of Civilizations and the Remaking of World Order, (Touchstone Books, 1998).
- HURRELL A., Explaining the Resurgence of Regionalism in World Politics, *Review of International Studies*, 21: 4 (1995).
- JAMES A., Peacekeeping in International Politics (Basingstoke: Macmillan, 1990).
- KEGLEY C. (ed.), Controversies in International Relation: Realism and the Neoliberal Challenge (New York: St. Martin's, 1995).
- KEOHANE R. et al. (eds.), After the Cold War: International Institutions and State Strategies in Europe 1989-1991 (London: Harvard Univ. Press, 1993).
- , After Hegemony: Co-operation and Discord in the World Politics (Princeton: Princeton Univ. Press, 1984).
- KEOHANE R., MARTIN G., The Promise of Institutional Theory, *International Security*, 20 (1), 1995.
- KEVENHÖRSTER Paul, WOYKE Richard, Internationale Politik nach dem Ost-West-Konflikt. Globale und regionale Herausforderungen, (Münster: Agenda Vlg., 1995).
- KISSINGER Henry A., Diplomacy, (Touchstone Books, 1995).
- KNOX P., AGNEW J., The Geography of the World Economy (London: Edward Arnold, 1994).
- KOFMAN E., YOUNGS G. (eds.), Globalization: Theory and Practice (London: Pinter, 1996).
- KOENIG Hans-Joachim, RINKE Stefan, Transatlantische Perzeptionen: Lateinamerika-USA-Europa in Geschichte und Gegenwart, (Hans-Dieter Heinz, 1998).
- KRASNER S. D., (ed.), International Regimes, (Ithaca NY: Cornell Univ. Press, 1983).

- , Structural Conflict: The Third World Against Global Liberalism (Berkeley: Univ. of California Press, 1985).
- KRATOCHWIL Friedrich, Of Systems, Boundaries, and Territoriality. An Inquiry into the Formation of the State System, *World Politics*, 39: 1, 1986, 27-52.
- , International Organization: Globalization and the Disappearance of Publics, in: Young Chung (ed.), *Global Governance*, ch. 4, 71-123 (Seoul: 1997).
- , Does Religion make a Difference in International Conflicts? (First Draft).
- KUPHAN Ch. and C., Concerts, Collective Security abd the Future of Europe, *International Security*, 16 (1), 1991.
- LAKE David A., POWELL Robert (Eds.), Strategic Choice and International Relations, (Princeton Univ. Pr., 1999).
- LAURENS H., le Grand Jeu. Orient arabe et rivalités internationales depuis 1945, (Paris: A.Colin, 1991).
- LEBOW Richard, RISSE-KAPPEN Thomas, International Relations Theory and the End of the Cold War (NY: Columbia Univ. Press, 1995).
- LELOUCHE P., Le nouveau Monde. De l'ordre de Yalta au désordre des nations, (Paris: Grasset, 1992).
- LÉVESQUE J., L'URSS et sa politique internationale de Lénine à Gorbatchev, (Paris: A.Colin, 1988).
- LEVY M. A., YOUNG O. R., ZURN M., The Study of International Regimes, *European Journal of International Relations*, 1 (3): 267-330.
- LINK Werner, BENNETT-RUETE Jackie, The East-West Conflict: The Organization of International Relations in the Twentieth Century, (St. Martins Pr., 1986).
- MARTINEZ G., Le conflit israélo-arabe, des origines à nos jours, (Paris: Seuil, 1997).
- MAYALL J., Nationalism and International Society (Cambridge Univ. Press, 1991).
- MEARSHEIMER John, Back to the Future. Instability After the Cold War, *International Security*, 15 (1), 1990.
- , The False Promise of International Institutions, *International Security*, 19 (3), 1994-5.
- MICHEL M., Décolonisation et émergence du tiers-monde, (Paris: Hachette, 1996).
- MULZA Pierre, les relations internationales 1945-1973, (Paris: Hachette, 1994).
- , les relations internationales de 1973 à nos jours, (Paris: Hachette, 1996).
- MINEAR L., WEISS T.G., Mercy Under Fire: War and the Global Humanitarian Community (Boulder, Col.: Westview Press, 1995).

- MODESKI G., *Sea Power in Global Politics*, (Seattle: Univ. of Washington Press, 1988).
- NYE J.S. (ed.), *International Regionalism: Readings*, (Boston: Little, Brown, 1968).
- O'BRIEN R., *Global Financial Integration: the End of Geography* (London: Pinter, 1992).
- OHMAE K., *The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy* (London: Fontana, 1990)
- OYE K.A. (ed.), *Co-operation under Anarchy* (Princeton: Princeton Univ. Press, 1986).
- PORTER T., *States Markets and Regimes in Global Finance* (London: Macmillan, 1998).
- RAMSBOTHAM O., WOODHOUSE T., *Humanitarian Intervention: A Reconceptualization* (Cambridge: Polity, 1996).
- V. RITTBERGER, (ed.), *Regime Theory and International Relations* (Oxford: Clarendon Press, 1993).
- ROBERTS A., KINGSBURY B. (eds.), *United Nations, Divided World: The UN's Roles in International Relations*, 2nd edn. (Oxford: Clarendon Press, 1993).
- ROBERTSON R., *Globalization: Social Theory and global Culture*, (London: Sage, 1992).
- რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები (თბ.: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996)
- ROSENAU J.N., *Turbulence in World Politics* (Princeton: Univ. Press, 1990).
- ROSENAU J.N., CZEMPIEL E.O. (eds.), *Governance without Government: Order and Change in World Politics* (Cambridge: Univ. Press, 1992).
- ROY Olivier, *L'échec de l'Islam politique*, (Paris: 1992).
- RUSSET B., *The Democratic Peace, International Security*, 19 (4), 1995.
- RYAN Stephen, *Ethnic Conflict and International Relations*, (Dartmouth Pub. Co, 1995).
- SCHOLTE J.A., *Globalization: A Critical Introduction* (London: Macmillan, 1997).
- SAID Edward W., *Orientalism: Western conceptions of Orient* (London: Penguin, 1995).
- SMITH Anthony, *Theories of Nationalism*, 2nd edn., (London: Duckworth, 1983).
- _____, *National Identity* (London: Penguin, 1991).
- SMITH M. J., *Realist Thought from Weber to Kissinger* (Baton Rouge: Louisiana State Univ. Press, 1986).
- SHAW M., *Global Society and International Relations* (Cambridge: Polity Press, 1994).
- TAYLOR P., *International Organization in the Modern World*, (London: Pinter, 1995).
- VASQUEZ J.A., *The War Puzzle* (Cambridge: Univ. Press, 1993).

- VINCENT R.J., Nonintervention and International Order (Princeton: Univ. Press, 1974).
- VIOTTI P.R., KAUPPI M.V., International Relations: Realism, Pluralism, Globalism, and Beyond, (Allyn & Bacon, 1999).
- WALLACE W. (ed.), The Dynamics of European Integration (London: Pinter, 1990).
- WATERS M., Globalization (London: Routledge 1995).
- WENDT Alexander, Social Theory of International Politics (Cambridge Studies in International Relations, 67, Cambridge Univ. Pr., 1999).
- , Anarchy is What States Make of it: The Social Construction of Power Politics, *International Organization*, 46:2 (1992).
- ZACHER M.W., SUTTON B.A., Governing Global Networks: International Regimes for Transportation and Communications (Cambridge: Cambridge Univ. Press, 1996).
- ZORGIBÉ Ch., Dictionnaire de politique internationale, Paris, PUF, 1988.
- ZÜRN M., Regierung jenseits des nationalstaates, (Fr.a.M: 1998).

გამომცემლობის რედაქტორი: ნ. ელიზბარაშვილი
ტექნიკურაქტორი ლ. ნინიკაშვილი
კორექტორი მ. კილაძე
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.08.01
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/₁₆
სააღრ.-საგამომც.თაბაზი 13.75
შეკვეთა № 45 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო